PRIME Time
N25 (223) ორშაბათი 24 ივნისი 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი ... press.ge



# არა ნამეზებს

EXCLUSIVE

„გაუპატიურების შემდეგ მოძალადეები მსხვერპლს ეუბნებოდნენ: შენ ხარ ქათამი, პიდარასტი, შენი ბედი ახლა ჩვენს ხელშიაო“.
„მოძალადეებს შორის დიალოგი:
- ეს მერამდენე მო...ნით?
- რა ვიცი, ამ ყ..-ებს რა დათვლის?“

## რა არ ისმოდა სკანდალურ ვიდეოფირებში?

## „ნაციონალური მოძრაობა“ გასამართლდება?

## სკანდალური ექსკლუზივი

# სამალავებში აღმოჩენილ დასაჭერთა სიაში იყვნენ:

EXCLUSIVE








# გია გაჩეჩილაძე, შოთიკო გლურჯიძე, ლევან გაჩეჩილაძე, ბიძინა გეგიძე, შალვა ოგბაიძე, გია ბურჯანაძე

## რესპუბლიკელები შსს-ს დაყოფას ითხოვენ

**ვახტანგ ხმალაძე:**
„სამინისტროს პოზიცია არც მაინტერესებს. ჩვენ ვთქვით, რომ ეს უნდა გავაკეთოთ და ამას აუცილებლად გავაკეთებთ“
**ლევან იზორია:**
„რა თქმა უნდა, ასეთი წინადადების წინააღმდეგი ვარ“

EXCLUSIVE

## 5 წლის შემდეგ მამუკა ყურაშვილი აგვისტოს ომზე ალაპარაკდა

„ბევრი სიახლე გამოიკვეთება, რაზეც საზოგადოება შეცდომაში იყო შეყვანილი. სახელებითა და გვარებით გაჟღერდება, არ დაიმალება“

EXCLUSIVE



## რა წამლებს ასმევენ ბაჩანა ახალაიას?

EXCLUSIVE

„სასჯელაღსრულების სისტემაში ახლა ნარკოტიკები შეედინება და ამას მინისტრიც არ უარყოფს“
„წინა ხელისუფლებამ შევარდნაძის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები დაიჭირა და... გაანარკომანა“
„პატიმრებს „ატნაშენიები აქვთ გასწორებული ექიმებთან“. უყიდიან სიგარეტს, სნიკერსს, კეთილგანწყობის მოსაპოვებლად... იმ პატიმარზე, რომელსაც უნდა, რომ მუდმივად გაბრუებული იყოს, იქ უკვე ფულზეც არის საუბარი“



## როგორ მიითვისა და რა კორუფციული სქემა ააწყო გადაზიდვების ბიზნესში ადეიშვილმა

EXCLUSIVE

„ზურაბ ადეიშვილთან თვეში 3 მილიონი მარტო გადაზიდვებიდან შედიოდა“
„აზერბაიჯანის, დუბაის, თურქეთის ხაზი ქარსელაძის იყო; ჩინეთის ხაზი – კოდუების“
„ზურა ადეიშვილი წყვეტდა, რომელ ბიზნესს უნდა ემუშავა და რომელს – არა. 10 წელი პროკურორად ვიმუშავე, ყველანაირი ნაგლობა მინახავს, მაგრამ ასეთი – არასოდეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ მიითვისა და რა კორუფციული სქემა

მარიამ ნადირაძე

**როცა ნაციონალური ხელისუფლების დროს არსებულ მართვის სტილზე გვიწევს წერა, აწ უკვე ოპოზიციაში მყოფი უმცირესობა, როგორც წესი, ისხლეტს მათი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს. როცა საქმე უფრო შორს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდე მიდის, გაზეპირებული ფრაზებით გაიძახიან, – პოლიტიკური დევნა ხორციელდება, მყარი არგუმენტი არ არსებობსო. მაგრამ რა ვუყოთ იმ კონკრეტულ ადამიანებს, რომლებიც არსებობენ და გვიამბობენ, რა ჯოჯოხეთის გავლა მოუხდათ მათი მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში?**

ერთ-ერთია ბორის მჭედლიძეც, რომელიც უკვე დიდი ხანია საქართველოში აღარ ცხოვრობს და ამის მიზეზი ის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები გახდნენ, რომლებსაც, როგორც თავად აცხადებს, მისი ბიზნესის წამოწყებამ იდილია დაურღვია და მათ ჯიბეებს სოლიდური თანხები მოაკლო.

საქმე ამჯერად საჰაერო გადაზიდვებს ეხება. ისტორია კი 2007 წელს იწყება...

**ბორის მჭედლიძე:**

– 10 წელი ვიყავი ტრანსპორტის პროკურორი, ვემსახურებოდი რკინიგზას, აეროპორტსა და მეტროს. 2004 წელს გააუქმეს ეს პროკურატურა... მე მყავდა პარტნიორი, ლარი ქოენი, ის იყო ინგლისელი, მსოფლიო გადამზიდავი. მან მითხრა, თუ შენ ტერმინალს გახსნი, მე საჰაერო ტრანზიტს გავაკეთებო. საქართველოში მაშინ ტრანზიტი მხოლოდ რკინიგზითა და ხმელეთით ხდებოდა. მე რომ დავიწყე ტერმინალის აშენება აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, კაციშვილმა არ იცოდა, რას ვაკეთებდი. მიწა 55 წლით აღნაგობის წესით მქონდა აღებული. ავიღე ლიცენზიები. მაშინ გადაზიდვები იყო კეზერაშვილის, რომელიც ფინანსური პოლიციის უფროსი გახლდათ. როცა ის თავდაცვის მინისტრად გადაიყვანეს, თავის ადგილზე დანიშნა დავით ქარსელაძე. მისი ძმა, სოსო ქარსელაძე იყო ოფიციალურად ამ საქმეში ჩართული. რაც კი კარგოს გადაზიდვები ხდებოდა აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან დუბაიდან, სოსო ქარსელაძის იყო. ძმა ჰყავდა ფინანსურის უფროსი... ჩინეთის ხაზი იყო დათო კოდუას პრეროგატივა, რომლის ძმაც იყო სოდ-ის უფროსი. ამათ ჰქონდათ ეს საქმე გაყოფილი. მერე გაერთიანდნენ ტერმინალ „გაკოს“ ქვეშ. ორივე იყო დირექტორი და კიდევ დირექტორად ჰყავდათ დანიშნული ამირან გვაზავას, საბაჟოს უფროსის მამა. ეს შემადგენლობა გახლდათ, ვის ხელშიც იყო მთელი გადაზიდვები. ამ საქმეში შესვლა გამორიცხული იყო. იქ იყო თანხების დამალვა, ფული ხელზე იყო მისაცემი... საბაჟოზე თანხა, პრაქტიკულად არ შედიოდა, საბაჟო მათი იყო, ფინანსურიც და სოდ-იც. ვის უნდა გაეკონტროლებინა? რაც შეეხება ჩემს ბიზნესს, ის მთლიანად დამოკიდებული იყო ლარი ქოინზე. მას ტვირთი თვითმფრინავით შემოჰქონდა. ბოინგ-747 ჩვენ ჩამოვიყვანეთ და მაგას ჩამოჰქონდა მთელი აზიის ტვირთი, 120 ტონა. ნაწილი იყო ყაზახეთის, ნაწილი – თურქმენეთის, ნაწილი – აზერბაიჯანის, ნაწილი – სომხეთის და ძალიან მცირე იყო საქართველოსი. შემდგომში ყაზახეთიდან, თურქმენეთიდან და უზბეკეთიდან მოდიოდნენ თვითმფრინავები, რაშიც ეს იტვირთებოდა, აზერბაიჯანსა და სომხეთში ვაგზავნიდით მანქანებით.

**– აქედან ქვეყანას რა რჩებოდა?**

– ჯერ ერთი, მარტო ტერმინალში 100 კაცი მყავდა დასაქმებული. შემოსულ ტვირთს სჭირდებოდა ლოჯისტიკა, დეკლარანტები... ჩემი 100-ის გარდა, კიდევ 300 კაცი მუშაობდა ტვირთების ჩამოტვირთვა-ატვირთვაზე. მაგრამ ამ ბიზნესში თანხები მხოლოდ გადარიცხვით მოძრაობდა, ჩემს ბიზნესში ქეში ფული საერთოდ არ ყოფილა. პლუს, თვითმფრინავი, რომელიც ჯდებოდა, მისი დასმა ძალიან ძვირი იყო. ამ ბოინგის დასმა 25000 დოლარი ღირდა, ეს თანხა ხომ აეროპორტში შედიოდა?

**– რა სიხშირით ჯდებოდა ეს ბოინგი?**

– კვირაში ერთხელ, ან ორჯერ. ამის გარდა, ის თვითმფრინავებიც ხომ მოდიოდნენ ტვირთის წასაღებად. ისინიც ხომ იხდიდნენ ფულს? ამ საქმის პარალელურად სხვა საქმეც წამოვიწყე. რუსეთის გზა რაც დაიკეტა, ქართველობა საბერძნეთში, იტალიასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში წავიდა. მარტო საბერძნეთში დაახლოებით 150 ათასი ადამიანია წასული. ეს ხალხი ყოველდღე აგზავნიდა პატარა ამანათებს ოჯახებისთვის. მე ვიყავი ჩასული, ამის ლოჯისტიკა გავაკეთე და ავაწყვე ბიზნესი: დავაყენე მანქანები, შეიქმნა ფირმები. შევთავაზე, ეს ტვირთი ავტობუსებით რომ შემოგაქვთ, 2 ტონაზე მეტს ავტობუსი ხომ ვერ შემოიტანდა? არადა მოთხოვნა დიდი იყო. მოდით, „ფურებით“ აავსეთ მანქანები, წამოიღეთ, შემოიტანეთ ჩემთან ტერმინალში, იქ დაასაწყობეთ, საბაჟო გასინჯავს და მერე წაიღეთ-მეთქი. თქვენთვისაც კარგი იქნება-მეთქი. ანუ, ტვირთის გადატანას მივეცი ცივილიზებული სახე. მანქანა იდგა, ჩაიტვირთებოდა ამანათები და ასე მოდიოდა საქართველოში. ეს არაკომერციული ტვირთი იყო, მაგრამ ბევრი იყო. თვეში 300-400 ტონა ტვირთი შემოდიოდა. ყველაფერი შევათანხმე საბაჟოსთან. იქ კი მითხრეს, ამდენ ამანათს ხელით ვერ გავსინჯავთ, „რაპისკანი“ უნდა შეიძინოო. ეს არის დიდი დანადგარი, აეროპორტში ჩანთას რომ დადებ და ჩანს შიგნით ყველაფერი... ოღონდ მაღალი დონის „რაპისკანი“ ვიყიდე. თითოში გადავიხადე 100 ათასი ფუნტი სტერლინგი, ლარი ქოინმა თავისი თვითმფრინავით ჩამომიტანა. ისეთი ტექნიკა დავაყენე, რომ, თუ მებაჟეს მანქანის გასინჯვისთვის 2 დღე დასჭირდებოდა, ამით ის ამას 2-3 საათში ახერხებდა.

**– ქოინიც დაინტერესდა ამ ბიზნესით?**

– არა, მაგას დიდი გადაზიდვები ჰქონდა. ამერიკის სახელმწიფო შეკვეთებს ის ასრულებდა. ამის გარდა, აუცილებელი თანამედროვე სასწორიც დავდგი. ასეთი ტექნიკით აღვჭურვე და ვამუშავე. ეს იყო ჩემი ტკბილი ბიზნესი – ჩემი მოგონილი, ჩემი აშენებული, ჩემი. როცა ქოინის ტვირთი ჩამოვიდოდა, აზიიდან ხომ ცარიელი თვითმფრინავები მოდიოდნენ? ისე ვაკეთებდი, რომ ჩინეთიდან გამოგზავნილი ტვირთისთვის, ეს თვითმფრინავი ჩაფრინდებოდა იქ, აიღებდა ტვირთს და მოჰქონდა, მაინც ცარიელი ხომ უნდა წამოსულიყო? ასე განვავითარე ეს ბიზნესი. საბაჟო ამ ბიზნესში არაფერ შუაში იყო... სანამ ხელისუფლება გაიგებდა, რას ვაკეთებდი, მომგებიანი იყო თუ არა, ვმუშაობდით ჩვეულებრივ. ეს ყველაფერი გავაკეთე ერთი წლის განმავლობაში. აი, მერე წამოვიდა დაინტერესება. შემოუშვეს ჩემთან ფინანსური პოლიცია. მათი დაინტერესება იმ დროიდან იწყებოდა, როცა ბიზნესს უკვე „რასკრუტკა“ ჰქონდა, თორემ მანამდე არავის არაფერი აინტერესებდა. როცა უკვე რაღაც შემოსავალი გაჩნდა, მაშინ შემოვიდნენ. ეტყობა, უფრო ადრე ომის გამო ვერ მოიცალეს. ომის დროს ყველა სამხედრო ტვირთი მე შემოვიტანე. ომი რომ დამთავრდა, 52 თვითმფრინავით შემოვიდა ჰუმანიტარული ტვირთი, რომელსაც უფასოდ მოვემსახურე. 350 ათასი ლარი უნდა შემოგვსვლოდა ამ მომსახურებისთვის. მუშებს მე ვუხდიდი ფულს, ის ხომ ტყუილად არ იმუშავებდა? მაშინ წერილი მივწერე ფინანსთა სამინისტროს, მოგების გადასახადისგან მაინც გამათავისუფლეთ-მეთქი ამ შესრულებულ სამუშაოზე. უარი მივიღე და დამატებით კიდევ 70 ათასი შემატანინეს ბიუჯეტში. როგორც ჩანს, მაშინ აღმოაჩინეს, რომ გადამხდელუნარიანი კომპანია ვიყავით და 2009 წლის აპრილში შემოვიდა ფინანსური. ფინანსურს თუ ბიზნესი აინტერესებდა, დასაზვერად ინვენტარიზაციის სახელით შემოდიოდნენ. რომ ჩახედეს, რომ თეთრი ბიზნესი იყო, მახსოვს, მთხოვეს კიდეც, ჩაგიწერთ, რომ ერთი სკამი გაკლია, თორემ არავინ დაგვიჯერებსო. რაღაც 150 ლარი გექნება მარტო ჯარიმაო. კარგი, თუ თქვენთვის ეს აუცილებელია-მეთქი... და დავთანხმდი. გარკვეული დროის შემდეგ ტერმინალს მალხაზ ბიწაძე მოადგა, ჩინოსანი იყო, მაგრამ მისი კონკრეტული თანამდებობა არ მახსოვს... საბერძნეთის მანქანები მქონდა მიღებული, თვითმფრინავიც ჩამოსული იყო და ტვირთი ყაზახეთში უნდა გამეშვა. შემოვიდნენ და მითხრეს, შენ ველარ იმუშავებო. ვინ გადაწყვიტა-მეთქი? შენ კარგად იცი, ვინ წყვეტს ამასო.

**– იცოდით?**

– რა თქმა უნდა, ასეთ საკითხებს წყვეტდა ადეიშვილი. რა შემეძლო, მეთქვა? ხმა ვერ ამოვიღე. აეროპორტის უფროსს, კიაზო ახალაიას დაავალა, არავინ ამუშაოო. ამანაც მითხრა, ვერ იმუშავებო. მანქანების მფლობელებს გაყრა დაუწყო, აქ ვერ დაიცალებითო. მებაჟეებიც გაუშვა, აქ აღარ დაგინახოთო. თვითმფრინავიც იდგა, მანქანებიც იდგა... ყველაფერი გაჩერებული იყო... მებაჟეები აღარ მოდიოდნენ და მე როგორ გამეშვა ტვირთი? ბოლოს ვუთხარი, წადით-მეთქი. სად წავიდეთო, რომ იკითხეს, ახალაიამ უთხრა, „გაკოს“ ტერმინალში უნდა წახვიდეთო. თვითმფრინავებიც „ლასარეში“ გადაბარგდა. ის ჩემამდე სამგზავრო თვითმფრინავებიდან ჩამოტანილ ტვირთს იღებდა. პრაქტიკულად „გაკომ“ ამით ჩემი ხაზი წაიღო... ამის შემდეგ უკვე შემოდის ფინანსურის საგამოძიებო აღძრული საქმით, რაღაცის გადაუხდელობით... ისეთი სისულელე იყო, რომ არც კი მახსოვს, რა იყო. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იყო მიზეზი. უნდოდათ ტერმინალის პარალიზება. წაიღეს კომპიუტერები და დამილუქეს ტერმინალი. ამოწმეს ერთი თვე და მერე მეუბნებიან, 365 ათასი დღგ-ს ფული გაქვს გადასახდელიო. საერთაშორისო გადაზიდვა კანონით დღგ-სგან განთავისუფლებულია, ვაჩვენე კიდეც. არ ვიცით, შენ უნდა გადაიხადოო და 45 დღე მომცეს, თუ არ გადაიხდი, თუ ახლა ფაქტზე გვაქვს გამოძიება, მერე შენ მიმართ აღვძრავთ საქმესო. მე წავედი საქართველოდან საბერძნეთში, სადაც ნათესავები მყავს, სახლიც მაქვს. ჩემმა პარტნიორმა, აქ ვინც იყო, ბადრი აბრამიშვილმა, მითხრა, იქნებ გადავიხადო და ისევ გავაგრძელოთ მუშაობაო. ვარწმუნებდი, მაინც არ გვამუშავებენ-მეთქი. მაგან ჩემს გარეშე გადაიხადა ეს თანხა, მაგრამ მაინც არ ამუშავეს. იძულებული გავხდი, ჩამოვსულიყავი. ჩემთან ითხოვდნენ მოლაპარაკებას.

**– ვინ ითხოვდა?**

– ნიკოლოზ ალასანიამ, თემურ ალასანიას ბიჭმა მითხრა, ამ ტერმინალს ავამუშავებ, შენ გვერდით დამიდექი, მე ვიქნები „კრიშაო“. თავისი ინიციატივით მოვიდა ტერმინალში. მანამდე, როცა ნაცნობს მივუშვებდი, მეუბნებოდნენ, ადეიშვილი არ არის კარგად განწყობილი, შენზე ამბობს, ოპოზიციონერიაო. ზურა ადეიშვილი წყვეტდა, რომელ ბიზნესს უნდა ემუშავა და რომელს – არა. 10 წელი პროკურორად ვიმუშავე, ყველანაირი ნაგლობა მინახავს, მაგრამ ასეთი – არასოდეს.

**– მართლა იყავით ოპოზიციაში?**

– არა. უბრალოდ, ადრე ვიყავი მისული ხიდაშელთან, ძიძიგურთან, ლაშა ჩხარტიშვილთან. ეტყობა, დამაფიქსირეს, მაშინ დამადეს ტაბუ. ამასობაში ის 365 ათასი ვალი გვქონდა. პრაქტიკულად, ჩიხში ვიყავი და იძულებული გავხდი, ვინმე მენახა და ტერმინალი არ დამეკარგა. ალასანიასთან რომ ვილაპარაკე და ვუთხარი ჩემს ე.წ. ოპოზიციონერობაზე, მითხრა, მე გადავწყვეტ ამ საკითხს, შენ კი იმუშავეო.

***– ალასანია, პრეზიდენტის ბიძაშვილობის გარდა, რამეს წარმოადგენდა?***

– არა. მან მითხრა, რომ პრეზიდენტსაც დაელაპარაკებოდა და ადეიშვილსაც, ის იქნებოდა გარანტი, რომ ამ საქმიდან ფული ოპოზიციაში არ წავიდოდა. მან ეს შეასრულა კიდეც. შეხვდა ორივეს და ამის შემდეგ მომეცი მუშაობის განახლების უფლება.

**– ალასანიას „კრიშობისთვის“ რამეს უხდიდით?**

– რა თქმა უნდა. მან თავიდან ფირმა გახსნა, თითქოს მაგას უნდა ემუშავა, მაგრამ ასე უბრალო საქმე არ იყო. ამ ყველაფერს ლიცენზიები სჭირდებოდა. ულიცენზიოდ „გაკო“ მუშაობდა, რადგან მათ იმ ეტაპზე არავინ აკონტროლებდა. მე კი ამას ვერ გავაკეთებდი. შევთავაზე, გაეხსნა ფირმა, ემუშავა და „კარიბჭისთვის“, რაღაც თანხა გადაეხადა, ვთქვათ, თვეში 30 ათასი. თავისი ფირმის მუშაობაში კი მე დავეხმარებოდი. მაგრამ ეს ვერ გააკეთა, რადგან ცალ-ცალკე ლიცენზიებია საჭირო სახიფათო ტვირთების მომსახურებისთვის, ონკოლოგიურ ტვირთს რომ ემსახურები, ამისთვის ცალკე ლიცენზია გჭირდება, ცხოველს რომ ემსახურები – ცალკე. ზოგი დიპლომატი 5 ძაღლით ჩამოდიოდა. ივანიშვილმა სულ ჩვენი თვითმფრინავით გადმოიყვანა თავისი ცხენები, პინგვინები, თუთიყუშები... ჩვენთან „ბრითიშ ეარვეიზის“ თვითმფრინავი ჩამოდიოდა, მანაც მომცა სერტიფიკატი, მაღალი სტანდარტით მომსახურების გამო. ამ ყველაფრის ასაღებად ახალ ფირმას 8 თვე დასჭირდებოდა. ამიტომ შევთანხმდით, რომ ეს რვა თვე ძველი ფორმით ვიმუშავებდით და მერე ალასანიას ფირმა ჩაგვენაცვლებოდა, მაგრამ როგორც მოლაპარაკებულები ვიყავით, ისე. ბოლოს, როგორც ვიცი, ნიკუშა ალასანია მივიდა თავის მამიდაშვილთან და უთხრა, უკეთესად იმუშავებდა, ქარსელაძე და კოდუა რომ არ უშლიდნენ ხელს. ქარსელაძეც მოხსნეს და კოდუაც გადაიყვანეს. ამის შემდეგ სულ სხვა სიტუაცია აეწყო, რაკი ალასანიას პირდაპირი გზა ჰქონდა პრეზიდენტთან და ეს ადეიშვილს არ აწყობდა.

**– ანუ, ალასანიას მადა გაეხსნა და კარგო გადაზიდვების გაკონტროლებაც მოუნდა?**

– რა თქმა უნდა. ნიკუშას გაჩერება ერთადერთ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ მე ჩამომაშორებდნენ რამენაირად ბიზნესს. 2010 წელს, 3 ნოემბერს მაკავებს ფინანსური პოლიცია და მიყენებს ბრალს, რომ ვარ ქურდული სამყაროს წევრი და მისი ტრადიციების მატარებელი. ჯერ დავიწყოთ იმით, რომ ეს ფინანსურის ქვემდებარე საერთოდ არ იყო.

**– მაგრამ ფინანსურში ხომ ქარსელაძე უკვე აღარ იყო?**

– მაგრამ იყო მთავარი, ადეიშვილი. ყველა თანხა მიდიოდა ადეიშვილთან. მისივე დავალებით მოხდა ჩემი დაკავება. ეს გავიგე დაკავებიდან 3 კვირაში: ვინც მე დამაკავა და ჩხრეკა ჩაატარა, ის ყაჩაღობაზე დაიჭირეს და მოხვდა ჩემთან. იმან მითხრა, პირდაპირ ადეიშვილის დავალება იყო და შენ მიმართ საქმეს პირადად აკონტროლებდაო. ერთი სიტყვით, წამიყენეს ბრალი, სადაც მიწერია, რომ მე ქალაქ ათენში, თუ სალონიკში, ჩავატარე ე.წ. სხადნიაკი... ეს იცით, როგორი აბსურდია? დღეს შეიძლება ვიქურდო, ვიყაჩაღო, მაგრამ ერთ დღეში, ყოფილმა კომკავშირის მდივანმა და პროკურორმა მოვინდომე და ჩავატარე „სხადნიაკი“? იქ საერთოდ ვინ დამსვამდა? ამ „სხადნიაკს“ კი თურმე ესწრებოდნენ შუშანაშვილი, უსოიანი და კიდევ ვიღაცები. ათი ქურდი იყო ჩამოთვლილი. თითქოს მე ვავალებდი ქურდებს ქოენის ტვირთი ჩემთან შემოსულიყო. ქოენს კი იცით, როგორი ტვირთი ჩამოჰქონდა? ახლოსაც ვერ მივდიოდი, თავისი კამერები ჰქონდა. ნატოს ტვირთი იყო. და თურმე ქურდები ავალდებულებდნენ, გინდა თუ არა ბორიასთან უნდა წაიღო „კარიბჭეშიო“. თუ ვინმე წინააღმდეგი წავიდოდა, მანქანებს უწვავდნენ და საშინელებებს სჩადიოდნენ. მოგვიანებით, პროკურორი, რომელიც სასამართლოზე გამოდიოდა, საერთოდ ვერ იგებდა ვერაფერს. კითხვას ვაძლევდი, შეხედავდა მოსამართლეს, ის კი მეუბნებოდა, ამ კითხვის დასმა არ შეიძლებაო. ჩემი კითხვა კი შემდეგში მდგომარეობდა: იცით, სისტემა როგორია? ნებისმიერ მანქანას, რომელიც მოადგება ლარსს, წითელ ხიდს, მიმართულებას აძლევს საბაჟო. მაშინ მე ამ საბაჟოებს ვაკონტროლებდი-მეთქი? აქედან ნებისმიერი რამე რომ გაგზავნოთ გერმანიაში და დაიჟინოთ, გინდა თუ არა მიუნხენში ამა და ამ ტერმინალში უნდა შევიდეს ჩემი ტვირთიო, ხომ გეტყვიან, შენ ვინ გეკითხება ამასო? ამას კანონით ვამბობ, თორემ „სხადნიაკზე“ რომ არ ვიყავი, ეს ხომ ვიცი, არა? 9 თვე ვებრძოდი ამ სიტუაციას, მაგრამ არავინ მისმენდა. მოიყვანეს მოწმე. ვკითხები, ვინ ხარ? „კარიბჭის“ დირექტორიო. ქურდული სამყაროს წევრად მიცნობ? არა, რას ამბობო? არადა, ეს ის ხალხი




**„ადეიშვილს ფული შესდიოდა ტერმინალ „გაკოდან“. ერთი დირექტორი იყო დავით კოდუა, სოდ-ის უფროსის ძმა, რომელიც ჩინურ ხაზს აკონტროლებდა. მეორე დირექტორი – სოსო ქარსელაძე, ფინანსური პოლიციის უფროსის ძმა, რომელიც აზერბაიჯანის, თურქეთის, დუბაის ხაზს აკონტროლებდა, მესამე დირექტორი კი – ამირან გვაზავას, საბაჟოს უფროსის მამა“**



**„ზურაბ ადეიშვილთან თვეში 3 მილიონი მარტო გადაზიდვებიდან შედიოდა“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აანწყო გადაზიდვების ბიზნესში ადეიშვილმა?

**„ნიკოლოზ ალასანიამ, თემურ ალასანიას ბიჭმა მითხრა, ამ ტერმინალს ავამუშავებ, შენ გვერდით დამიდექი, მე ვიქნები „კრიშაო“**





EXCLUSIVE

## როგორ გადაუკეტეს გზა პრეზიდენტის ბიძაშვილს, ნიკუშა ალასანიას? და როგორ გახდა ქურდული სამყაროს წევრი ყოფილი პროკურორი?

იყო, რომლებზეც ეწერა, რომ ბრალი მათი ჩვენებებით დასტურდებოდა. დაახლოებით 40 კაცი იყო ასეთი. იყო ერთი შემომტანი „ნეოტური“, მისი მფლობელი დაკავებული გახლდათ სხვა საქმეზე. ეს კაცი ამოიყვანეს ხელბორკილებით, რაკი დაკავებულია, ბარემ ესეც ვათქმევინოთო. ეუბნებიან, შენ თქვი, რომ ბორის მჭედლიძე იყო ქურდული სამყაროს წევრიო. არა, ასეთი რამ არასდროს მითქვამსო, – პასუხობდა ის, – ეს კაცი მანამდე სახეზეც არ მინახავსო. დგება პროკურორი და 5 წუთს შესვენებას ითხოვს. ეს ბრალდებული გაჰყავთ ქვემოთ, სცემენ სარდაფში, ამოჰყავთ და ეკითხებიან, ადასტურებ ამ ჩვენებასო? ისევ არ ადასტურებდა. ხალხი უსტვენს, ყვირის... დამსწრეები გაუშვეს დარბაზიდან. მე უკვე მეცოდებოდა ის კაცი, აქედან ვუყვიროდი, დამადე ხელი-მეთქი. მოსამართლემ მოითხოვა, მოიცა, მე უნდა გავაფრთხილოო. ეუბნება, თუ შეცვლი ჩვენებას, სამი წელი დაგემატებაო. იძახდა, მე არ დამიწერიაო. ბოლომდე არ დამადო ხელი. გადაწყდა, 2 დღეში ისევ მოვიყვანთო. წაიყვანეს ციხეში, მაგრად სცემეს. 2 დღეში მოიყვანეს, ისევ არ დამადო ხელი.

**– თქვენზე იყო ფიზიკური ზეწოლა?**

– არა, ვერ მოვიტყუები.

**– სად იყო ამ დროს ალასანია?**

– ალბათ, მერე უთხრეს, მორჩა ეს სიტუაციაო და დაკეტეს ბიზნესი... ალასანიასაც ეგონა, რომ მე მართლა მქონდა ქურდებთან რაღაც გარიგება და ვერ მიხვდა, რომ სინამდვილეში ბიზნესს კეტავდნენ. ვერ მიხვდა, რომ ზუსტად მაგის გამო მოხდა ეს ყველაფერი, რომ ფული იქ არ მიდიოდა, სადაც საჭირო იყო.

**– ანუ საბოლოოდ მასაც დაუკეტეს ბიზნესი?**

– დიახ, არასწორად განაწილებული ფულისთვის. მაგრამ ეს უკვე მაგათი პრობლემა იყო. ნიკუშა ალასანიას ფული რომ მიჰქონდა, ალბათ, თავისთვის იტოვებდა. ეტყობა, ამიტომაც არ იყო ჩემზე ზეწოლა, რადგან ეს ყველაფერი მათ შორის გაუგებრობა იყო. მაგრამ ჩემ გარდა კიდევ 2 კაცი დააკავეს. ერთი იყო ჩემი თანამშრომელი, რომელსაც უთხრეს, შენ და შენს უფროსს უნდა გამოგერთმიათ აზერბაიჯანელისთვის ფულიო, რომელმაც ივნისში შემოიტანა ტვირთი, განაბაჟა და გაიტანა, ჩვენთან რაც იყო გადასახადი, გადაიხადა. ეს პიროვნება სასამართლოზე ამბობს, ფული უნდა მიმეცა ნოემბერშიო. მაშინ რამდენიმე თვის წინ რატომ არ გადაიხადა? ამაზე ჩემი თანამშრომელი დაიჭირეს. იმას სცემდნენ და აღიარებასა და ჩემზე ხელის დადებას სთხოვდნენ. დაიჭირეს კიდევ ერთი შემომტანი, საკანიანი, რომელსაც ასევე ჩემზე ხელის დადებას სთხოვდნენ. უარი თქვა, თუ გინდათ, მომკალითო. მეორე დღეს დაიჭირეს, საბერძნეთის მოქალაქე იყო, მანქანაში წამალი ჩაუდეს და მასაც წაუყენეს ბრალი, იმ ქურდულ გარჩევებში მონაწილეობდიო. ანუ, ჩემი საქმე გააერთიანეს ამათთან. ბოლოს ცემამ შედეგი გამოიღო და დააწერინეს ჩვენებები. საბოლოოდ, ჩემთან შემოდის გიორგი ყავლაშვილი და მეუბნება, რომ ეს ტერმინალი სახელმწიფოს უნდა გადავუფორმო. ალბათ, იფიქრეს, რომ, ადრე თუ გვიან, გამოვიდოდი და ამ საქმეს დავუბრუნდებოდი. ამიტომაც საბოლოოდ გადაწყვიტეს, საერთოდ არ მქონოდა ტერმინალი. არ ვთანხმდებოდი, ოდესღაც ხომ გამოვიდოდი? იმ ორ კაცს აღარ უშვებდნენ. ესენი ამბობდნენ, ხომ ვთქვით, რაც გინდოდათო? ვისრაში სჭირდებოდა მათი აღიარება, თუ საპროცესოზე არ წავიდოდი. სასამართლოზე დამისვამდნენ პირველ რიგებში მათ ნათესავებს, მწყევლიდნენ. ერთი სიტყვით, ჩემი „მძევლები“ იყვნენ ეს ადამიანები. ყავლაშვილი რომ შემოვიდა, გადმომცა, სჯობია, დათმოო. ის ხომ მათი ენა იყო. 10 წელს მოგცემენო, 10 წელში ხომ იცი, რა მოგივაო. იმ ტერმინალს მაინც წაიღებენ, ოჯახზეც ხომ უნდა იფიქრო, 18 წლის ბიჭი გყავსო. დავთანხმდი. როგორც კი ჩუქებას ხელი მოვაწერე, მეორე დღესვე ის ორი კაციც გაუშვეს. წარმოგიდგენიათ, კაცს 5 კილო ჰეროინსა და და ქურდული ტრადიციების მიმდევრობას ედავებოდნენ და დარბაზიდან გაუშვეს... აღარაფერში სჭირდებოდათ ისინი, მისია შეასრულეს და... საბოლოოდ ერთი წელი ვიყავი ციხეში და საპროცესო შეთანხმებით 5 წელი პირობითი გამომაყოლეს. ფაქტობრივად, ახლაც პირობითის ქვეშ ვარ, ანუ სასჯელს ვიხდი. ამნისტია რომ მიიღეს, ჩემს მუხლს არ შეეხო. კურიოზია, მაგრამ ამბავი რომ ატეხეს, ქურდები გამოუშვესო, არც ერთი არ იყო ამ ბრალდებით, ყველა წამალზე, ან იარაღზე იჯდა. ყველა, ვინც სახელით იყო ციხეში, არც ერთი არ იყო ამ მუხლით და მე, ყოფილ პროკურორს, ამნისტია არ მეხება, რადგან თურმე ქურდული სამყაროს წევრობისთვის უნდა მოვიხადო სასჯელი.

**– ქურდებმა თუ იციან, რომ ქურდი ხართ (ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით...)?**

– ჩემთვის ეს სირცხვილია, ამ მუხლით რომ ვარ გასამართლებული. რომ გამოვედი, ყავლაშვილთან მივედი, ოფიციალურად 3 ათას 400 გადავიხადე და საქართველო დავტოვე. ყველას არ აძლევენ ამის უფლებას. ეს საკითხი პრობაციაში იხილება. დავწერე, არ ვიჩივლებ, არც საბერძნეთში გავეკარები ამ საქმეს-მეთქი. სიტყვიერადაც შევუთვალე ადეიშვილს ყავლაშვილის პირით, რომ ხელს არაფერში შევუშლიდი და გადაწყდა, რომ გავეშვი.

**– ქონება ყავლაშვილზე გადააფორმეთ?**

– არა, ეკონომიკის სამინისტროზე.

**– რამდენად შეფასდა თქვენი ტერმინალი?**

– 9 მილიონ დოლარად.

**– „კარიბჭე“ აღარ მუშაობს?**

– „კარიბჭე“ გადასცეს საქართველოს ფოსტას. რომ გადავაფორმე, გახსნეს. მაგრამ გადამზიდავებმა უარი თქვეს მათთან ტვირთების შეტანაზე. ფოსტის უფროსად დანიშნეს მერაბიშვილის სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, ლევან სანოძე. ორი კაცი შსს-დან საბერძნეთში იყო მივლინებული. სამინისტრო მათ თვეში 10 ათას დოლარს უხდიდა, რომლებიც იქ აგვარებდნენ „კანონიერ ქურდებთან“, რომ გადამზიდავებს პოზიციები შეეცვალათ. მათ ეშინოდათ, ბორია დაიჭირეს, პრეზიდენტის „კრიშა“ ჰქონდა და ამათთან როგორ მივიდეთო. ესენი შემოაბრუნეს ქურდების მეშვეობით, ნდობის ფაქტორი რომ გაჩენილიყო, ამაში „ატვეჩაიში ჩადგნენ“ ქურდები. მაინც ვერ მოახერხეს და სხვა პოლიტიკაზე გადავიდნენ, ვისაც საქართველოში ჰყავდა ვინმე, მათი დაჭერები დაიწყეს, მაგრამ მე რომ ვამუშავებდი, მაგის 20 პროცენტიც ვერ აითვისეს.

**– ანუ ეს ის პერიოდია, როცა გადაზიდვებში უკვე მერაბიშვილის უწყება ჩაჯდა?**

– დიახ, სწორედ ასეა და ამ ჩემი ბიზნესის დამატებით „ტორტი“ მთლიანად შეკრეს.

**– „გაკოს“ რა ბედი ეწია?**

– გაჩერდა ყველა ტერმინალი, მათ შორის „გაკოც“.

**– კეზერაშვილი თავდაცვის მინისტრად გადასვლის შემდეგ ამ ბიზნესით აღარ იყო დაინტერესებული?**

– კეზერაშვილის იყო რკინიგზის გადაზიდვა, იქ ყველაზე დიდი შემოსავალია.

**– შეგიძლიათ, მითხრათ ამ გზით ადეიშვილს ყოველთვიურად რა შემოსავალი შესდიოდა?**

– რა თქმა უნდა. მე ზუსტად ამიტომ დამიჭირეს, რომ ამის დადასტურება შემეძლო. ავიღოთ სარფის საზღვარი, დავთვალოთ, რამდენი მანქანა გადმოვიდა, თუ ეს საბაჟომ დამალა, საზღვარი ვერ დამალავს. თუ სხვაობაა, მაშინ დამალულია. თუ საზღვარი საბაჟოსთან შეკრულია, მაშინ ნავიგაციაში შევამოწმოთ. ბოლოს და ბოლოს, თურქული მხარე არ დამალავს, საქართველოში რამდენი მანქანა შევიდა. ძალიან ადვილი გასაშიფრია. აზერბაიჯანიდან კვირაში 2-3 მანქანა შემოდიოდა, დუბაიდან – 10, თურქეთიდან – 20. ანუ თვეში 140 მანქანა ვივარაუდოთ. თითო მანქანიდან, სულ მცირე, 15 ათასი რჩებოდა. ამას დავუმატოთ ჩინეთიდან შემოსული 30 კონტეინერი, მაგრამ მისგან 20 ათასი მინიმუმ რჩებოდა თითოზე. ანუ 600 ათასი მთლიანად. ანუ, თვეში მინიმუმ 3 მილიონი შესდიოდა მარტო კარგო გადაზიდვიდან. ჩვენ კი, ნიკუშა ალასანიას ჩართვით გამოვიდა, რომ ხელი შევუშალეთ. ბოლოს და ბოლოს, პირს ხომ არ ამიკრავდნენ სკოჩით? როგორც კი გახმაურდა, რა ხდებოდა ამ გადაზიდვებში, მერაბიშვილი გაოცდა, ტყემალზე ვზივართო? უკვე იძულებულნი გახდნენ, ეს ყველაფერი „გაეპრავებინათ“, არჩევნები მოდიოდა. ყველას დაუძახეს, ვინც ფულს ქარსელაძესა და კოდუას აძლევდა, დაავალეს, ეს თანხები ფოსტისთვის მიეცათ. ფოსტამ მათ 55 პროცენტი მოსთხოვა, მაგრამ იმ გადამზიდავის 45 პროცენტში შედიოდა ხარჯები. ანუ შემომტანი 10 პროცენტზე მუშაობდა.

**– ანუ ამ ე.წ. „გაპრავების შემდეგ“ ხელისუფლების არალეგალურ ჯიბეებში მიდიოდა, სულ მცირე, იმ 3 მილიონის 55 პროცენტი?**

– არა. მათ ფოსტისთვის ამ ბიზნესის გადაცემის შემდეგ ფასები ასწიეს. თუ მე საბერძნეთის ტვირთებს კილოზე 0,7 თეთრად ვემსახურებოდი, ამათ აწიეს ეს თანხა 1,9 ევრომდე კილოზე. ამ თანხას გადამზიდავის ფასიც ემატებოდა, 10-20 ცენტი, რომელიც მათ მომგროვებლებად გადააქციეს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენად შეიძლებოდა გაზრდილიყო ის სამი მილიონი...

**– ეს ყველაფერი პროკურატურაში განაცხადეთ?**

– დიახ. მეუბნებიან, რომ მიმდინარეობს გამოძიება.



**„აზერბაიჯანის, დუბაის, თურქეთის ხაზი ქარსელაძის იყო; ჩინეთის ხაზი – კოდუების“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ნაციონალური მოძრა

მარიამ ნინუა

**დასაწყისშივე გეტყვით, რომ ჩვენთვისაც შემძვრელია ამ თემაზე მკითხველის ინფორმირება, თუმცა, ტრადიციას არ ვღალატობთ და „პრაიმტაიმის“ მკითხველს მეტ ინფორმაციას ვაწვდით.**

**ასე რომ, გნებავთ ბავშვებს მოარიდეთ ეს სტატია, გნებავთ სუსტი გულის მკითხველმა უბრალოდ, გადაფურცლეთ. ჩვენ იმ კოშმარის შესახებ უნდა გიამბოთ, რომლის გარშემო ვნებათაღელვა, თუ ნორმალურთან მიახლოებულ საზოგადოებაში მაინც ვცხოვრობთ, ვნებათაღელვა კიდევ დიდხანს არ ჩაცხრება.**

„ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ მას შემდეგ მოუხდა „აღშფოთების გამოხატვა“, რაც სკანდალური ვიდეომასალა, რომელიც თურმე სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავში ნახეს, დიპლომატებმაც საკუთარი თვალით, ყოველგვარი დაფარვისა და ხმების ჩახშობის გარეშე იხილეს. „აღშფოთება გამოხატეს, რადგან, ალბათ, სხვა გზა არ იყო... ახლა უკვე ცუდიდან უარესისგან თავის გადარჩენის სტრატეგიის დასახვის პროცესში არიან. სხვა ვერაფერს დავარქმევთ იმას, რომ როცა გაიშიფრა, რა ხდებოდა რეალურად პოლიციის სარდაფებში და ამაზე ამერიკის ელჩმაც „შოკი“ მიიღო, ახლა ისინი ცალსახად ვეღარ უარყოფენ ფაქტს და საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვენ. ამ იდეის ერთადერთი მიზანი შეიძლება იყოს ის, რომ თუ საზოგადოების დიდი ნაწილი მომხდარში სისტემურ დანაშაულს ხედავს, მათ ეს ინდივიდუალურ, ლოკალურ დანაშაულამდე დაიყვანონ. თუმცა, სანამ ამ პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლების დეტალებს განვიხილავთ, ალბათ, უმჯობესია, ჩვენს მკითხველს გავაგებინოთ, რა ხდებოდა იმ კადრებში, რომელიც შს სამინისტროში სამოქალაქო სექტორს დაფარული სახეებით წარუდგინეს.

მოდით, გაშიშვლებულად გეტყვით: მოქმედება მიმდინარეობს ოთახში, სადაც მაგიდაზე გადასკოჩილ მამაკაცს ცოცხლად აუპატიურებენ. ეს ყველაფერი კი იმის გამო ხდება, რომ მას ტერაქტის საკუთარ თავზე აღებას სთხოვენ. ამის შესახებ ვიდეომასალის მნახველი მხოლოდ წარწერებით რწმუნდება, ვინაიდან ხმაც დახშულია. არის მეორე კადრიც, სადაც მამაკაცს ორი კაცი აუპატიურებს და ამისთვის ბილიარდის ჯოხს იყენებს... ყველა ცალსახად აღიარებს, რომ ასეთი ამაზრზენი რამ არსად, არასდროს უნახავს. იქვე ასკვნიან, რომ თუ ამ კადრებს ფართო საზოგადოება ნახავს, ქვეყანაში საერთო ფსიქოზი დაიწყება. იქვე, ინფორმაციის სახით გაირკვა, რომ ნაწამები ადამიანი შემდეგ სამართალდამცველებს აღარ დასჭირდათ და იმისთვის, რომ არ ალაპარაკებულიყო, მას წამალი ჩაუდეს და ციხეში გაამწესეს.

**„პრაიმტაიმი“ ესაუბრა პიროვნებასაც, რომელმაც დიპლომატების მსგავსად ეს ვიდეომასალა ყოველგვარი დაშტრიხვის გარეშე იხილა. გარკვეული მოსაზრებებით მისი ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებთ. აი, რას გვიამბობს ის:**

- იქ არის აღწერილი კვალიფიციური წამება პოლიციელების მიერ. მათი ქმედებით ჩანდა, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა. ეს, უფრო მეტად, მათთვის რუტინულ საქმედ მომეჩვენა, იმდენად განაფულები იყვნენ.

**- რამდენი კაცი ახორციელებს ძალადობას?**

- კადრში ორი ჩანს, მაგრამ ისმის კიდევ სხვების ხმა, რომლებიც ამ ყველაფერს ესწრებოდნენ.

**- თავიდან ყველაფერი დაკითხვით იწყება?**

- მე ამას დაკითხვას ვერ დავარქმევდი. ვინც აწამეს, ის უკვე ისეა ნაცემი, რომ გათიშვის პირას არის მიყვანილი... ამაზე მეტყველებს მისი პასუხების მანერა. პასუხებს აგვიანებს და გაურკვევლად ლუღლუღებს.

**- რას მოითხოვენ მისგან?**

- სხვადასხვა ტიპის დანაშაულის საკუთარ თავზე აღებას, ყაჩაღობის, ტერაქტის... მთავარი აქცენტი იყო მუქარაზე და გინებაზე ქურდების მისამართით. ეს ადამიანი მოიაზრება ქურდული სამყაროს ნაწილად. როდესაც მასზე სასტიკად ძალადობენ, მერე ეუბნებიან: შენ ხარ ქათამი, პიდარასტი და შენი ბედი ჩვენს ხელშიაო. მიუხედავად იმისა, რომ ის არაერთხელ ამბობს, ქურდობა არ მინდაო. თუმცა ამბობს, ეს გადაჭარბებული ნათქვამია. ყოველ შემთხვევაში ამ აზრს გამოხატავს. მას აძალებენ ინფორმაციების მოტანას...

**- ანუ აგენტობისთვის ამუშავებდნენ?**

- საბოლოო ჯამში, კი. ამ მოძალადეების მოქმედებაში იგრძნობა არა ინდივიდუალური შურისძიება, არამედ მათი ქცევის მიხედვით, მათ უკან ძალა ჩანს. ესენი თავის თავს აღიქვამენ, როგორც ტიპები, რომლებიც კარგ საქმეს აკეთებენ, სახელმწიფოებრივად მოქმედებენ. გარდა იმისა, რომ აშკარად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ პირველად არ აკეთებენ, ისინი ზედაჯერებულები არიან თავის მოქმედებაში. თან ასეთი სილაღით ამ ყველაფერს ვერ გააკეთებ, როცა პირველი შემთხვევაა... არის ასეთი მომენტიც: ერთი მოძალადე ეკითხება მეორეს, ეს მერამდენე მოვ...-ნითო. ის კი პასუხობს, რა ვიცი, ამ ...-ებს რა დათვლისო. შესაძლოა, ეს მსვერპლზე ზემოქმედების ეფექტზეც იყო გათვლილი, მაგრამ მათი სილაღეც ადასტურებდა ამას.

**- მედიას რაც აჩვენეს, დარჩა შთაბეჭდილება, რომ მაგიდაზე მიბმული იყო გვამი, რადგან ის საერთოდ არ ინძრეოდა...**

- გარწმუნებთ, რომ გვამი არ არის. გამოსცემს ღმუილის ხმას. ამ ყველაფრის შემხედვარე, მე ვერ წარმომიდგენია, პოლიციის სარდაფებში ასეთი რამ ხდებოდეს და ზევით ეს ვინმემ არ იცოდეს. კანცელარიის თანამშრომელსაც კი ეცოდინებოდა, თუ მას ოდნავი დაკვირვება აქვს.

რა თქმა უნდა, ამ მძიმე აღწერილობის შემდეგ ძალიან რთულია დეტალებზე საუბარი, თუნდაც იმაზე, თუ როგორ მოხვდა რეალურად კასეტები ამ სამალავში, ვინაიდან ამჟამინდელი პოლიტიკური უმცირესობის მტკიცებით, ის იქ შეიტანეს...





# რა არ ისმოდა სკან

ამ თემაზე მსჯელობისას, მახსენდება ძალიან ცნობილი ამერიკელი პოლიციელი ედგარ გუვერი. მას ბევრი კომპრომატი ჰქონდა თავის კოლეგებზე და შესაბამისად გავლენაც დიდი ჰქონდა. ის ამბობდა, ტყუილი ყველაზე კარგად ორ სიმართლეს შორის იმალებაო. სიმართლეა, რომ სამალავები არსებობდა, ყველამ ვიცოდით, ამის შესახებ და პრესაში ბევრი იწერებოდა...სწორედ ასეთ სამალავებზე კულუარულად საუბრობდნენ მაშინაც, როდესაც თბილისი კარვების ქალაქად გადაიქცა და საქართველო თითქოს რუსული ჯარების მოლოდინში უნდა ყოფილიყო. მაშინ ამ სამალავების არსებობას თავდაცვის მიზნით ამართლებდნენ. მეორე მხრივ, ისიც აშკარად ცნობილია, რომ ნაციონალური ხელისუფლება, განსაკუთრებით ბოლო წლებში, არამარტო მტრებს, მეგობრებსაც წერდა. ანუ, დიდი ალბათობით, ფირი ავთენტურია, სამალავები რეალურია და თუ გუვერს დავუჯერებთ, ეს ორი ფაქტი შეაერთეს და გამოიყენეს იმისთვის, რომ საჭირო ნივთი საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩენილიყო. სანდო წყაროს ცნობით, ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, მტკიცებულების დასაშვებობისთვის სჭირდებოდა დღევანდელ ხელისუფლებას. ამას გარდა, ამით ბევრი რამ შეიძლება დაიმალოს, თუნდაც ის, თუ რეალურად ვისგან არის მიღებული ფირი. მით უმეტეს, დაახლოებით 2 თვის წინ ღარიბაშვილისა და დავით ახალაიას წარგზავნილების კულუარული შეხვედრის შემდეგ, საზოგადოებაში ძალიან დიდი მოლოდინი გაჩნდა, რომ სკანდალური ფირებით „დაიბომბებოდა“ ქართული ფსიქოლოგია... რა თქმა უნდა, გაჩნდება კითხვა, ამ საქმეში ახალაიას ხელი რომ ერიოს, მეგის ქარდავას და მისი მეგობრების წინააღმდეგ საქმეს ვინ აღძრავდაო? სულაც არ არის გამორიცხული, რომ ძაღლის თავიც სწორედ

**„მოძალადეებს შორის დიალოგი:**
**- ეს მერამდენე მოვ--- ნით?**
**- რა ვიცი, ამ ...-ებს რა დათვლის?“**

აქ იყოს დამარხული...

სამალავების გარშემო ვნებათაღელვას ვერ იცხრობდნენ ნაციონალები, როდესაც აღმოაჩინეს, რომ ვიდეოკასეტებს მავანი შიშველი ხელით ეხებოდა. როგორც ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, ამას აბსოლუტურად არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ვინაიდან გლუვ პირზე თითის ანაბეჭდი მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში შეიძლება შენარჩუნდეს...

ნაციონალური იდეის ნაჟურია ისიც, რომ ეს ვიდეომასალა კიდევ ერთი მორიგი ბომბია დღეს არსებული „რელური ოპოზიციის“ წინააღმდეგ, რათა მოხდეს შიდა დაპირისპირება და პარტია ჩამოიშალოს. ეს იდეა სულაც არ არის გამორიცხული, მით უმეტეს ნაციონალებს ერთიანობის შენარჩუნება ყველა შემთხვევაში სჭირდებათ თუნდაც მათი ლობისტების დასანახად დასავლეთში, ვინაიდან თუ ეს პარტია დაიშლება, როგორც ხუხულა, და მისი აკადემიური სახეც დაიკარგება, სახეზე გვექნება ინდივიდუალურ კრიმინალებთან გამკლავება. ბუნებრივია, არც იმის უარყოფა შეიძლება დაბეჯითებით, რომ ამ ფირების იმ სამალავში აღმოჩენა სწორედ რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა. კინომცოდნეობაში არსებობს ტერმინი, დოკუდრამა. ეს არის ფილმი, რომელიც ძირითადად აგებულია დოკუმენტურ მასალაზე და საერთო სურათის უფრო ნათლად საჩვენებლად, საჭიროა დადგმული სცენების ჩვენებაც. რატომაც არ შეიძლებოდა ამ მეთოდის ამ შემთხვევაში გამოყენება?...

... მაგრამ, როდესაც რეალურად არსებობს მსგავსად შოკისმომგვრელი მასალა, იქ უკვე ბევრი კითხვა კარგავს აზრს...

ახლა კი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ დანაშაულთა განხილვა, როგორც ცალკეული კრიმინალური შემთხვევა, თუ როგორც სისტემური მიდგომა?

**„პრაიმტაიმთან“ საუბრისას ირაკლი კაკაბაძე ასეთ პოზიციას გამოხატავს:**

- ორი აზრი არ არის, რომ ეს იყო სისტემური დანაშაული. ეს არის სტრუქტურული დანაშაული. აქ ერთი და ორი ადამიანის დასჯა, თუნდაც ეს იყოს მიშა სააკაშვილი, არაფერს მოიტანს. ეს უფრო მეტად დაემსგავსება პირად რევანშს, რომ ვიღაცას ვიღაცის დაჭერა უნდა და შემდეგი ხელისუფლება მერე ამათ დაიჭერს... უნდა გასამართლდეს ბოროტების მთავარი პრინციპი: „ნულოვანი ტოლერანტობა“, „ესროლეთ ყველას, ხელი არ აგიკანკალდეთ!“... აი ეს ნეოკონსერვატიული იდეოლოგია, რომელიც გიგა ბოკერიამ და მიშა სააკაშვილმა მიიღეს. ასეთი იდეოლოგია საზღვარგარეთაც არსებობს. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაშიც არსებობს და ისინიც აწამებდნენ ადამიანებს. ისინი გასამართლდნენ ამერიკის საზოგადოებრივი აზრის მიერ, ძალიან მწარედ და წააგეს არჩევნები. 2005-2006 წლებში აბუ გრეიბში რაც ხდებოდა, ხომ გახსოვთ? ( ეს არის ციხე ერაყის ქალაქ აბუ გრეიბში, რომელიც ბაღდადიდან დასავლეთით 32 კილომეტრში მდებარეობს. ჯერ კიდევ სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს, როდესაც ერაყში ამერიკელები შევიდნენ, ციხე გადაიქცა იმ ადამიანთა თავშეყრის ადგილად, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ დასავლური კოალიციის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებისთვის - მ.ნ.). იქ ხდებოდა ადამიანების გაუპატიურება და წამება. ქალები აუპატიურებდნენ მამაკაცებს და საშინელებები ხდებოდა ნეოკონსერვატორების მიმბაძველობით. წარმოგიდგენიათ, რიჩარდ ჩეინი, ამერიკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ამას ამართლებდა. ასე რომ, ეს იდეოლოგია მარტო ქართული არ არის და ეს იდეოლოგია უნდა გასამართლდეს. დღეს სახელმწიფოს შეუძლია ადამიანის წამება, სახელმწიფოს შეუძლია ადამიანის ტყ-





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოზა“ გასამართლდება?







ისინი მათ პარლამენტის უკეთ გასაკონტროლებლად სჭირდებათ? ერთი რამ ყველამ უნდა იცოდეს: მოსახლეობის შეკვეთაა მათი სასწრაფო წესით გასამართლება და, როგორც რომაელი სენატორი ითხოვდა დაჟინებით კართაგენის დანგრევას, მეც არ დაგზარდებით და უსასრულოდ შემიძლია გითხრათ, რომ სააკაშვილის სისტემა უნდა დაინგრეს.

**სხვათა შორის, ამ ფონზე გვახსენდება 2011 წელს გადაცემა „ანატომიაში“ გასაჯაროებული ერთ-ერთი პატიმრის განცხადება:**

„2011 წლის 19 მაისს, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზებით გადმომიყვანეს #8 საპყრობილეში, სადაც ამჟამად ვიმყოფები. საპყრობილეში შემოყვანიდან მეორე დღეს დირექტორის კაბინეტში ამიყვანეს, სადაც დამხვდა მეგის ქარდავა, რომელმაც მითხრა, რომ უნდა დამეწერა აღიარებითი ჩვენება ზუგდიდში მომხდარ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით. მე განვუმარტე, რომ აღნიშნულ დანაშაულთან შეხება არ მქონია. რაზედაც მან უთხრა ჩემთვის უცნობ ორ პირს, რომ ჩავეყვანე კარანტინში. ჩაყვანის დროს ისინი მირტყამდნენ, მათ მიმიყვანეს ერთ-ერთი საკნის კართან და შემახედეს სათვალთვალოში, სადაც დავინახე, თუ როგორ აუპატიურებდა მამაკაცი მამაკაცს. თან მეუბნებოდნენ, რომ კარგად მეყურებინა და დამემახსოვრებინა. მეუბნებოდნენ, რომ თუ არ დავწერდი აღიარებით ჩვენებას, იგივეს მიზამდნენ. ამის შემდეგ მომცეს ფურცელი და პასტა, რომ დამეწერა ჩვენება თავის გადასარჩენად. ჩვენებაში დავწერე სხვადასხვა დროს ტელევიზიაში გასული აფეთქების შესახებ და მივუთითე, რომ აღნიშნულში მონაწილეობა მქონდა მიღებული. ეს ნაწერი მეგის ქარდავას აუტანეს და ცოტა ხნის შემდეგ მეც ამიყვანეს. რომ ამიყვანეს, მეგის ქარდავა ჩემს ნაწერს კითხულობდა და მითხრა, რომ ეს არ იყო ის ჩვენება, რომელიც მას სჭირდებოდა და მითხრა, რომ შემეჭამა ის ნაწერი. ვინც მეგისს მიჰყვებოდა, მაგან ძალით შემაჭამა დაწერილი ფურცელი. მერე უთხრა, რომ ჩავეყვანეთ ქვემოთ - „მოტ...ნით, მაგის დედა ვატირე“. ჩამიყვანეს ქვემოთ, შემაგდეს კარანტინში და კარები დახურეს. ამის შემდეგ იხსნება ტუალეტის კარი და გამოდის ორი ნიღბიანი მამაკაცი. ისინი მეცნენ, რომ მე ჩამეხადა შარვალი, მაგრამ მე წინააღმდეგობა გავუწიე. ერთი ეუბნება მეორეს, წესიერად დამიკავე ეს ნაბიჭვარი, უნდა მ...აო. უცებ გაიღო „კარმუშკა“, საიდანაც იყურებოდა ორი პირი, ვინც მეგის ქარდავას ახლდა და ამასთან, მიღებდნენ სურათს. ამ დროს დამაგდეს იატაკზე, შარვალჩახდილი და ერთი მეორეს ეუბნება, ჯერ ... მივცეთ და მერე მ... თო. აღნიშნულზე მე დავუწყე თავის დარტყმა ბეტონზე, ამ დროს შემოვიდა გარეთ მყოფი ის ორი პირი, ერთ-ერთმა თავზე ფეხი დამადო, რომ არ ამეწია, ამ დროს ვიყავი უკვე შებოჭილი. მეორე პირმა მომადო თავის სასქესო ორგანო და გადამიღეს სურათი. შემდეგ შემეშვნენ. ორი ნიღბიანი საკნიდან გავიდა, ხოლო საკანში ქარდავას თანხლებით ის ორი ტიპი შემოვიდა და მითხრეს, რომ თუ არ მივცემდი აღიარებით ჩვენებას, ისინი მართლა გამაუპატიურებდნენ და ზემოაღნიშნულ სურათებს ინტერნეტში დადებდნენ. გაუპატიურებისა და ცემი შიშით დამაწერინეს მათთვის სასურველი აღიარებითი ჩვენება, მოწმის სახით“.

**ალბათ, ხედავთ მსგავსებას იმ ვიდეომასალის შინაარსსა და ამ ჩვენების შინაარსს შორის. ამდენად, თუნდაც ამ ორი ფაქტის საერთო ხელწერით რთული სამტკიცებელია, რომ „დემოკრატიულ“ ნაციონალურ რეჟიმს ცალკეული პირები „არცხვენდნენ“.**

# დალუურ ვიდეომასალში...

უილად დაჭერა, სახელმწიფოს შეუძლია სატელეფონო საუბრებს მოუსმინოს და მერე დაგაშანტაჟოს, სახელმწიფოს ტერორის მონოპოლია უნდა ჩამოვართვათ. ტერორი უნდა აეკრძალოს ყველას, მათ შორის, სახელმწიფოსაც.

**- ეს როგორ უნდა მოხდეს?**

- უნდა შედგეს სიმართლის კომისია, რომელიც დაკომპლექტდება ავტორიტეტული ადამიანებისგან, მწერლებისგან, საზოგადო მოღვაწეებისგან, ჰუმანიტარული სფეროს წარმომადგენლებისგან. ეს უნდა იყოს სამოქალაქო კომისია. სადაც ასევე იქნებიან იურისტები, მაგრამ იურისტები არასად არ დომინირებენ ასეთ კომისიებში. ისინი ითანამშრომლებენ, რა თქმა უნდა, ყველა სამართალდამცავ ორგანოსთან, მაგრამ ეს იქნება დამოუკიდებელი და უმაღლესი ავტორიტეტი, როგორც ეს იყო სამხრეთ აფრიკაში, არგენტინაში, ჩილეში. ეს კომისია მიიღებს ვერდიქტს, გაასამართლებს სისტემას. შემდეგ უკვე, თუ კონკრეტული ადამიანები აღიარებენ და მოინანიებენ, მერე უკვე არსებობს იურიდიული მექანიზმები, რომელზეც აღარ შევჩერდები. ეს სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაა. სამხრეთ აფრიკაში, არგენტინაში გასამართლდა რეჟიმები, მაგალითად არგენტინის ხუნტა, რომელიც ძალიან ჰგავდა სააკაშვილის რეჟიმს. ჩილეში გაასამართლეს რეჟიმი, რომელიც არჩეული იყო, ისე, როგორც მიხეილ სააკაშვილი, ჰყავდა სიკვდილის ბრიგადები, იტაცებდა ადამიანებს, იჭერდა ადამიანებს და აშანტაჟებდა მათ. იგივე მოხდა ჩილეში, როდესაც პინოჩეტი გაასამართლეს... გვატემალაში და ა.შ. ასე რომ, პრეცედენტები არსებობს, მაგრამ ჩვენ ჩვენი ქართული თავისებურებიდან უნდა ამოვიდეთ. ამ კომისიებს ძირითადად ხელმძღვანელობს რელიგიური მოღვაწე, ან კიდევ ჰუმანიტარი, რომელსაც საზოგადოებაში აქვს პატივისცემა და არ არის პოლიტიკური პარტიის წევრი.

**- როგორ ფიქრობთ, თუ ეს ფირები არ განადგურდება, ვინ არის იმის გარანტი, რომ სხვა ხელისუფლება არ გამოიყენებს მათ იგივე მიზნით?**

- ამიტომაც არის საჭირო კომისიის შექმნა, რომელიც სისტემას შეცვლის. ჩემი აზრით, არაფერიც არ უნდა განადგურდეს, სანამ ასეთი კომისია არ გამოიტანს თავის ვერდიქტს და არსებულ სისტემას ტრანსფორმირებას არ მოუწყობს. ამ ტრანსფორმირებაში შედის სამინისტროს ძირეული რეფორმა, მისი დეცენტრალიზაცია, მუნიციპალურ მმართველობებში გადასვლა და ამ მონსტრი სისტემის გაადამიანურება. ეს მონსტრი ყოველთვის იქნება, სანამ იარსებებს სისტემა, რომელიც სააკაშვილმა შექმნა. საზოგადოებამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ ეს სისტემა გასამართლდეს და შეიცვალოს. სისტემა ჯერ შეცვლილი არ არის.

**სანდრო ბრეგაძე:**

- პირველ რიგში „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა ჩამოშორდეს პოლიტიკურ არენას, როგორც პოლიტიკური ძალა და ამისთვის უნდა დაინიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ეს ძალა აღარ უნდა ჭაჭანებდეს არსად, არც პარლამენტში და არც ადგილობრივ ხელისუფლებაში. სანამ საუბარი მიდის ამ ძალასთან კოჰაბიტაციაზე და ზოგიერთების ამოცანა არის ამ პოლიტიკური ძალის გადარჩენა, ნუ გაგვიკვირდება ამერიკის კონგრესის და ევროსტრუქტურებისგან ასეთი დოკუმენტების არსებობა. რადგან, როდესაც ქვეყანაში გყავს პოლიტიკური ძალა და აპატიმრებ მათ ლიდერს, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დატოვებს რეპრესიის შთაბეჭდილებას. ასე რომ, პირველ რიგში უნდა მოხდეს მათი პოლიტიკიდან ჩამოშორება კანონიერების ფარგლებში და მათი გასტუმრება პოლიტიკურ მოუსავლეთში. ერთი რამ არ მესმის, როდესაც მინისტრი აცხადებს, რომ საქმე გვაქვს სისტემურ დანაშაულთან, ამ დროს კოალიციის ზოგიერთი წევრი აცხადებს, რომ ეს ძალა, როგორც ოპოზიციური, თურმე უნდა იქნას შენარჩუნებული. ასე რომ, შევთანხმდეთ, ჯერ ორგანიზაციის გასამართლება უნდა მოხდეს, შემდეგ კი კონკრეტულ დამნაშავეებზე ჩამოვყალიბდეთ. პრეზიდენტზე, ადეიშვილზე, მერაბიშვილზე, ბოკერიაზე. ისინი უნდა მიეცენ პასუხისგებაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ადამიანები, რომლებიც ახლა არიან დაკავებულნი, აუცილებლად იტყვიან, ვისგან იღებდნენ დავალებებს ადამიანების გაუპატიურებაზე, დასმენებზე, დასახიჩრებებზე, დაშანტაჟებაზე. მაგრამ ამ ყველაფერს სჭირდება ნება. ჩემთვის სამწუხაროდ კი, ასეთი ნება ჩნდება მხოლოდ მინისტრ ღარიბაშვილისგან და კიდევ 2-3 მინისტრისგან. დანარჩენებს ამ განწყობას რატომღაც ვერ ვატყობ. თუ ნაციონალურმა ბანდამ ეს კრიზისი დღეს გადაიტანა, ხვალ ეს ყველაფერი ძალიან ცუდად შეუბრუნდება ამ ხელისუფლებას.

**- მხოლოდ ეს ცნობილი ფირებია მიზეზი ნაციონალური რეჟიმის გასამართლების მოთხოვნისთვის?**

- ფირები მხოლოდ ერთი ნაწილია იმ სისასტიკისა, რომლებიც აღმოაჩინეს. სისტემური დანაშაული არ არის 26 მაისის დარბევა? 7 ნოემბერი? ნულოვანი ტოლერანტობა? ათასობით საჩივარი და განცხადება? ასეთი ტიპის პროცესები სხვა ქვეყნებში ყოფილა. ბოლივიაში, გვატემალაში, ჩილეში პინოჩეტი, ღრმად მოხუცებული გაუშვეს ციხეში. თუნდაც ფუხიმორის რეჟიმი გავიხსენოთ, რომელიც საოცრად ჰგავს სააკაშვილის ისტორიას. ასე რომ, ამის განხორციელება ჩვენს სინამდვილეში შესაძლებელია სრულიად მართივად. დღეს კი „ნაციონალური მოძრაობა“ დაგვცინის, თუნდაც სააკაშვილი დაგვცინის თავისი განცხადებებით, რომ თურმე არ იცოდა რას აკეთებდა ახალაია და მეგის ქარდავა. იმ დროს, როდესაც ამ ყველაფერზე პარლამენტის ტრიბუნიდან საუბრობდა სოზარ სუბარი, გია ცაგარეიშვილი, კეთდებოდა დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიებები, იწერებოდა პრესაში. პირადად მე მაქვს მიწერილი „ესემესი“ რამდენიმე ჩემი კოლეგისთვის, თუ რა საშინელებები ხდებოდა ციხეში, როდესაც ციხიდან გამოვედი. ასე რომ, მათ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცოდნენ. მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ძირითადად სამი ტიპის ადამიანები იყვნენ. პირველნი, რომლებიც ფულის საშოვნელად მივიდნენ, ჩოჩელის მსგავსი ადამიანები. მეორე - სადისტები, როგორებიც იყვნენ ადეიშვილი, მერაბიშვილი, ახალაია, სააკაშვილი... და მესამე ნაწილი - იყვნენ ისინი, ვინც ამ ყველაფერზე უბრალოდ, თვალს ხუჭავდა სხვადასხვა მოტივაციით. დღეს სწორედ ამ ნაწილს უნდა მივმართოთ, რომლებსაც სისხლში ასე ძალიან არ აქვთ ხელი გასვრილი. მათ შესაძლოა არ უყვარდეთ საქართველო, მაგრამ უყვართ თავისი შვილები, შვილიშვილები. შევახსენოთ, რომ ფილიპე მახარაძის, ორჯონიკიძის და ბერბიჭაშვილის შთამომავლებს დღეს ძალიან რცხვენიათ მათი გენეტიკური წარსულის და არ იციან ეს ყველაფერი რითი გამოისყიდონ. მათ უნდა თქვან უარი სისხლიან საპარლამენტო მანდატებზე, უნდა გაემიჯნონ „ნაციონალურ მოძრაობას“ და ბოდიში მოუხადონ ხალხს, რადგან ამ მოძრაობის გასამართლება გარდაუვალია.

**- ამ გასამართლებით ვინმე ციხეში აღმოჩნდება?**

- პირველ რიგში, რეჟიმის არსებობას უნდა დაერქვას სახელი, მერე კი ადეიშვილი უნდა გასამართლდეს ბიზნესმენების დაწიოკებისთვის, მერაბიშვილი წამებებისთვის, მოსმენებისთვის, შანტაჟისთვის, ტერორისთვის, ბოკერია - იდეოლოგიისთვის, სააკაშვილი - ამ ყველაფრის მამამთავრობისთვის... ჩამონათვალი ძალიან შორს წაგვიყვანს. თქვენ წარმოგიდგენიათ, 12 888 ჩანაწერია აღმოჩენილი. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე ათასი ადამიანის მიმართ ხდებოდა მიყურადება, პიკანტური გადაღებები, რომ ეს ყველაფერი მერე შანტაჟისთვის ყოფილიყო გამოყენებული. ეს სხვა არაფერია, თუ არა სისტემური ტერორი. ამ ფონზე კი ძალიან მიკვირს: როდესაც ყველამ ვიცით, რომ არსებობს დამნაშავე ორგანიზაცია, რატომ არ აჩვენებენ მას წითელ ბარათს? თუ

**„გაუპატიურების შემდეგ მოქალაქეები მსხვერპლს ეუბნებოდნენ: შენ ხარ ქათამი, პიდარასტი, შენი ბედი ახლა ჩვენს ხელშიაო“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „პრეზიდენტს შეუძლია, პარ
# ოლონდ პრეზიდენტს და არა

ქეთი ხატიაშვილი

**წინასაარჩევნო ტრიუკი თუ სამართლიანობისთვის ბრძოლა. რას ნიშნავს საარჩევნო კამპანიის დროს სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავები და შოკისმომგვრელი ფირის ჯერ ელჩებისთვის და შემდეგ მედიისთვის ჩვენება? ვის ებრძვის ახალი ხელისუფლება – „ნაციონალურ მოძრაობას“ თუ უსამართლობას? ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ შოკისმომგვრელი ფირები სისტემის დანაშაულზე მიუთითებს, „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ ცალკეული დამნაშავე პირები, ვინც ასეთ უმსგავსობას სჩადიოდა, აუცილებლად უნდა დაისაჯონ.**

**ფაქტია, რომ ფირები წინასაარჩევნოდ გასკანდალდა. იმ ფონზე, როცა გიორგი მარგველაშვილის რეიტინგი საკმაოდ დაეცა, ნინო ბურჯანაძე კი ისეთ სენსიტიურ თემას ჩაეჭიდა, როგორიც სამართლიანობის აღდგენაა, ენერგიულად გამოჩნდა ირაკლი ღარიბაშვილი და განაცხადა, რომ ის ებრძვის სამართლიანობას... ასე რომ, ამ თემაზე საავტორო უფლება ბურჯანაძეს ჩამოერთვა.**

# თინა ხიდაშელი:
## „პოლიტიკურად ეს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია, რადგან გამოჩნდება, ვინ არის ანგარიშგასაწევი ფიგურა ოპოზიციურ სეგმენტში“



## „ეს საპრეზიდენტო არჩევნები არის ყველაზე კარგი შანსი იმ ქალების გამოსაჩენად, რომლებიც ბედავენ, გახდნენ რეალური ალტერნატივა“

EXCLUSIVE

## „ჩვენ, ე.წ. ერთპროცენტიანმა პარტიებმა, ისეთი ოლქები მოვიგეთ, რომელიც არასოდეს ოპოზიციურ კანდიდატს არ მოუგია“

**ნინო ბურჯანაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვა და ვადამდელი არჩევნები მოითხოვა. საპარლამენტო უმრავლესობა სამართლიანობის აღდგენის მზადყოფნას ადასტურებს, თუმცა, მიიჩნევენ, რომ ვადამდელი არჩევნების თემა არასერიოზულია. „პრაიმტაიმი“ კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს თინა ხიდაშელს ესაუბრა:**

– ვადამდელი არჩევნები არ არის თეორიული თემა ან პოლიტიკური. ეს არის წმინდა სამართლებრივი საკითხი. უნდა პირობები დადგეს იმისთვის, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. ძალიან რთულად წარმომიდგენია ასეთი რამის ვარაუდიც კი. ან უნდა ჩავაგდოთ ბიუჯეტი, ან უნდობლობა უნდა გამოვუცხადოთ მთავრობას. პარლამენტმა ხელოვნურად კრიზისი შექმნას მაშინ, როცა პარლამენტი და მთავრობა ერთ პოლიტიკურ ძალას ეკუთვნის, ღრმად არასერიოზული იქნება. ამიტომ ამას სერიოზულ საკითხად არ აღვიქვამ.

**– საუბარია კიდევ სხვა მეთოდზეც. თუ არ ვცდები, იყო შეთავაზება, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარდეს რეფერენდუმი, შეგროვდეს ხელმოწერები, რომელიც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ პარლამენტი არალეგიტიმურად გამოცხადდეს...**

– გასაგებია, რომ ადამიანებს სრულიად კეთილშობილური მოტივით აზრები გაუჩნდეთ. თუმცა ჩვენ ვლაპარაკობთ კონსტიტუციურ სამართლებრივ სივრცეზე, ამიტომ ჩემგან ამაზე საუბარი არასერიოზული იქნება.

**– თქვენ თქვით, რომ არჩევნებში მარგველაშვილი გაიმარჯვებს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ, თუ მეორე ადგილზე გავა ნინო ბურჯანაძე ან ნებისმიერი ის, ვის პროგრამაშიც არის ვადამდელი არჩევნები, ეს უკვე ცვლის პოლიტიკურ სიტუაციას და ეს უკვე ნიშნავს, რომ პარლამენტმა შეიძლება აღარც გამოხატოს საზოგადოებრივი აზრი. ხედავთ ამ ორ მოვლენას შორის კავშირს?**

– არა. ამ ორ მოვლენას შორის კავშირს ვერ ვხედავ. პრეზიდენტს შეუძლია, პარლამენტი დაითხოვოს, ოლონდ პრეზიდენტს და არა მეორე ადგილზე გასულს. რაც შეეხება პირველ საკითხს, მე ვფიქრობ, რომ ოქტომბრის არჩევნებში მარგველაშვილს კონკურენტი არ ეყოლება, რაც შეეხება დანარჩენ ადგილებს, ეს ჩემი საფიქრალი თემა არ არის. პოლიტიკურად ეს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია, რადგან გამოჩნდება, ვინ არის ანგარიშგასაწევი ფიგურა ოპოზიციურ სეგმენტში. მაგრამ ეს მეორე ადგილის მებრძოლებს შორისაა საინტერესო თემა და არა ჩემთვის.

**– სანამ ეს სამალავები გამოჩნდებოდა და შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყოდა, რომ ეს დაკავშირებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ვანო მერაბიშვილთან და ასე შემდეგ, მანამდე სოციალური ქსელების კვლევებით გიორგი მარგველაშვილი დავით ბაქრაძესთან აგებდა, ლევან ბერძენიშვილი კი დარწმუნებით ამბობდა, რომ დავით ბაქრაძე მოუგებს ნინო ბურჯანაძესო. როგორ ფიქრობთ, შეცვალა ამ ფირებმა სიტუაცია?**

– ამ ფირებს საპრეზიდენტო არჩევნების თვალსაზრისით სიტუაცია არ შეუცვლია. ჩვენ შედეგები ვნახეთ გაცილებით ადრე, შუალედური არჩევნების დროს.

ჩემი აზრით, ამბავი იმის შესახებ, რომ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ადგილზე გავიდა, არის სწორი და ობიექტური. რადგან იმ მომენტისთვის, ამ ორი პოლიტიკური ძალის გარდა, სხვა ორგანიზებული პოლიტიკური ძალა არ არსებობდა და ასეთი მასშტაბური საარჩევნო კამპანია სხვას არ უწარმოებია. თუმცა ამბავი იმის შესახებ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 40% აიღო, არის ტყუილი. მათ რამდენიც მოახერხეს, იმდენი გააყალბეს და მოიპარეს. ამიტომ სურათი, რომელიც დღეს პარლამენტშია, არის სწორი წარმოდგენილი პოლიტიკური ძალების თვალსაზრისით და არის აბსოლუტურად არასწორი, პროპორციების თვალსაზრისით.

„ქართული ოცნება“ არის სწორედ ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც თავად აქვს მწარედ გამოცდილი, რას ნიშნავს, იგნორი გაუკეთო ოპოზიციას. ვიცით, რა შედეგს მოგვიტანს მთავარი ოპოზიციური ძალის იგნორირება, ამ შეცდომებს ჩვენ აღარასოდეს გავიმეორებთ. ამიტომ საინტერესო იქნება საპრეზიდენტო არჩევნების ყველა შედეგი.

ამასთანავე, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არ არსებობს არც ერთი კონკრეტული არჩევნები, რომელიც საბოლოო პასუხს სცემს ყველა კითხვას, რადგან პოლიტიკური ცხოვრება დინამიურია და რეიტინგებიც იცვლება. რაღაც მომენტში შესაძლებელია, ნებისმიერი პარლამენტი არაპროპორციულად გამოხატავდეს პოლიტიკურ ძალთა ბალანსს ქვეყანაში. ეს ბუნებრივი პროცესია, ოთხი წლის განმავლობაში ვიღაც უფრო პოპულარული ხდება, ვიღაცაზე აგრესია ჩნდება. იმიტომ არის დადგენილი ოთხწლიანი ციკლი, რომ ოთხწლიანია ეს ციკლი. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრიზისია და შემდეგ უკვე კონსტიტუციური მექანიზმი ირთვება. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკური კრიზისი არ ემუქრება ქვეყანას მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

**– იყო საპარლამენტო არჩევნები, რომლის დროსაც არსებობდა IRI-სა NDI-ს კვლევები, სადაც „ქართულ ოცნებას“ წინ უსწრებდა „ნაციონალური მოძრაობა“. ივანიშვილიც ამბობდა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ 40%-ს ავიღებთ, ეს იქნება „ნაციონალური მოძრაობისთვის“ პრობლემა... ციხის კადრებმა რეალურად იმოქმედა მაშინ არჩევნების შედეგებზე...**

– არაფერი არ შეცვლილა ციხის კადრებით. შესაძლებელია „ქართულ ოცნებას“ ციხის კადრებმა დაუმატა ახალ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლამენტი დაითხოვოს, მეორე ადგილზე გასულს“

## „მითი, რომ მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ მაგარია და არავისი არ ეშინია, მაშინ დაინგრა, როდესაც ეკა ხვედელიძესა და ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა წაართვეს“



გაზრდების ხმების 3%-4%. ვფიქრობ, ციხის კადრებმა გაათამამა საპროტესტო ხმა ახალგაზრდობაში. ჩვენ აგვისტოსა თუ ივნისში, როდესაც კვლევა ჩავატარეთ, იქ ნათლად ჩანდა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ გამარჯვების არავითარი შანსი არ ჰქონდა. მითი, რომ მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ მაგარია და არავისი არ ეშინია, მაშინ დაინგრა, როდესაც ეკა ხვედელიძესა და ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა წაართვეს. იქ წააგო არჩევნები „ნაციონალურმა მოძრაობამ“. მან ადამიანებს გაუჩინეს განცდა, რომ სააკაშვილს ეშინია.

**– ეს საინტერესო ანალიზია, ციხის კადრების თემა რომ გავაგრძელოთ, ახლაც არჩევნების წინ ციხის კადრებზე ხდება პოლიტიკური ხაზის გავლება...**

– კი, მაგრამ ეს „ქართულ ოცნებას“ არ სჭირდება. არავინ დაობს, რომ „ქართულ ოცნებაზე“ პოპულარული ძალა არ არსებობს.

**– აქ საუბარია მარგველაშვილზე და არა ივანიშვილზე, როგორც წინა არჩევნების დროს...**

– რა მნიშვნელობა აქვს?

**– კოალიციაში შემავალი ძალები ამბობენ ხოლმე, ხალხს ეს ერთპროცენტიანი პარტიები კი არ აურჩევიათ, არამედ ბიძინა ივანიშვილიო, ხომ შეიძლება ასეთივე განცდა გაჩნდეს მარგველაშვილის მიმართაც?**

– ეს დამოკიდებულება არასწორია. ჩვენ, ე.წ. ერთპროცენტიანმა პარტიებმა, ისეთი ოლქები მოვიგეთ, რომელიც არასოდეს ოპოზიციურ კანდიდატს არ მოუგია. მე მოვიგე ოლქი, რომელიც არასოდეს არც ერთ ოპოზიციონერს არ მოუგია. შეგვიძლია, ავიღოთ ოპოზიციონერი კანდიდატების რეიტინგები და ვნახავთ, რომ არავითარ ერთპროცენტიანობაზე საუბარი არ არის და მეორე, ორგანიზებული იყო კამპანია. მთავარი მიზეზი, რატომაც მე მოვიგე საგარეჯო, იყო ის, რომ არ მივეცით გაყალბების საშუალება. ასე იქმნება ობიექტური რეალობა და არა ისე, რომ მარნეულის ხმებს დააყრი თბილისს და გააბათილებ. სანამ ასე გაგრძელდება, სულ იქნება მითი ერთპროცენტიანი პარტიების შესახებ.

**– თქვენ მაინც არ ხედავთ არანაირ კავშირს ამ კადრებსა და არჩევნებს შორის...**

– რა თქმა უნდა, არ ვხედავ. უფრო ზუსტად, ასეთი კავშირი არ არსებობს. ეს მასალები არავის დაუტოვებია ირაკლი ღარიბაშვილის კაბინეტში. მიმდინარეობს გამოძიება, რომ დადგინდეს, მართალია ეს თუ ტყუილი. გვისმენდნენ თუ არა, გვაწამებდნენ თუ არა, გვაუპატიურებდნენ თუ არა. ამ გამოძიების პროცესში რაღაცები ხდება ცნობილი. ზოგი იმიტომ, რომ ვიღაცას ნერვებმა უმტყუნა და გათქვა ამბავი და ზოგი იმიტომ, რომ გამოძიება ჩვენებებიდან გამომდინარე მივიდა კონკრეტულ დასკვნებამდე. სამეგრელო რატომ არის გასაკვირი, ეს მიკვირს, რადგან ეს სწორედ ის რეგიონი იყო, სადაც სულ იყო ლაპარაკი და გამოძიება რომ არ დაინტერესებულიყო, გამოდის, რომ საკუთარი თავისთვის უნდა გამოგვეცხადებინა უნდობლობა. როდესაც ცხრა წლის განმავლობაში ვლაპარაკობთ, რომ სისტემატურად აწამებდნენ ადამიანებს, პოლიტპატიმრები დავარქვით ადამიანებს, ამას ვამტკიცებთ, შემდეგ ხელისუფლებაში მოვდივართ და ამით აღარ დავინტერესდეთ, ეს არასწორია.

**– პროცესის პოლიტიზებაზე მიანიშნებს თუნდაც ბედუკაძის განთავისუფლება სასჯელისგან. ის, როგორც ირკვევა, უშუალოდ მონაწილეობდა წამებაში. სხვა პირებიც, ეგრეთწოდებული ბასტი და ბუბუ, რომლებიც ასევე საპროცესო გარიგებით გამოუშვეს... რატომ უშვებენ იმათ, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ წამებაში?**

– მთავარი ის არის, რომ იმის მიუხედავად, მე ვის გავუშვებ ციხიდან სწორად თუ არასწორად, ეს არ ნიშნავს, რომ, ხვალ რომ ახალ ფაქტს გავიგებ, იმაზე რეაგირება არ მოხდეს. ეს ამბები ერთმანეთთან კავშირში არ არის. ბედუკაძე რომ გაუშვეს, რაღაცის მერე გაუშვეს... ახლა ჩვენ საწყის მდგომარეობაში ვართ. დავადასტურეთ ის, რასაც სულ ვლაპარაკობდით. ახლა შინაგან საქმეთა სამინისტროს რა უნდა ექნა? დამჯდარიყო ირაკლი ღარიბაშვილი და ეფიქრა, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებია, მოდი და ვინმემ არ დამაბრალოს, რომ ამას არჩევნების გამო ვაკეთებო და ნოემბრიდან დაეწყო ამაზე ლაპარაკი?.. ეს „ნაციონალური მოძრაობის“ პასუხისმგებლობის საკითხია.

**– მაშინ რატომ არ უერთდებით ნინო ბურჯანაძის მოთხოვნას „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვასთან დაკავშირებით?**

– იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აიკრძალება თუ არა, ეს გაირკვევა იმის შემდეგ, როდესაც სამართლებრივი გადაწყვეტილება დადგება იმის შესახებ, რომ ეს იყო ორგანიზებული დანაშაული. მე დღეს შემიძლია ვთქვა სრული რწმენით, რომ ქვეყანაში, სადაც გვეუბნეოდნენ, რომ ვანო მერაბიშვილი იყო „ხერხემალი“ და მის გარეშე ბუზიც ვერ შეფრინდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასეთი რამეები ვერ მოხდებოდა ისე, რომ ვანო მერაბიშვილს არ სცოდნოდა. ან მოხდებოდა, მაგრამ შემდეგ რომ არ გამოძიებულიყო და დამნაშავე არ დასჯილიყო, ეს იყო შეუძლებელი, თუ არ მოხდებოდა მისი მხრიდან თვალის დახუჭვა. ამიტომ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მაქვს ჩამოყალიბებული რწმენა, რომ მერაბიშვილმა ეს იცოდა, ან ავალებდა ან თვალს ხუჭავდა. ორივე შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის საკითხი დგას. თუმცა პასუხისმგებლობები განსხვავებულია. თან პარალელურად ვლაპარაკობთ მასობრივ მოსმენებზეც, ანუ თუ ვლაპარაკობთ სისტემურ დანაშაულზე და ვამბობთ, რომ იყო რეჟიმი, რომელიც ქვეყანას ასე მართავდა, მაშინ აქ ერთი კომპონენტი საკმარისი არ არის და საკითხი ასე ისმება: რატომ მისმენდი? რატომ მაწამებდი და რატომ არ სჯიდი? ყველაფერ ამას ერთი მიზანი აქვს. ჩემი ვარაუდით, ეს მიზანი იყო საზოგადოების მორჩილება. ეს ან დადასტურდება, ან – არა. ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ჩვენ ვსჯით ვანო მერაბიშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, ბოროტად გამოყენებისთვის, უკანონო ბრძანებისთვის თუ, უბრალოდ, გულგრილობისთვის.

მეორე საკითხია, რომ სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი. თუ დანაშაულის სიმძიმე, ხარისხი, კომპლექსურობა, ბრძანების გამცემების თანამდებობრივი პასუხისმგებლობა მიგვიყვანს იქამდე, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ამ შემთხვევაში იურიდიული პირია „ნაციონალური მოძრაობა“. ოპოზიციაში გაცილებით მარტივია საუბარი, რადგან არ გაქვს წვდომა ინფორმაციაზე... თუმცა როდესაც ხელისუფლებაში ხარ, ასე ვერ იქცევი, რადგან, თუ კითხვები გაქვს, წადი და გაერკვიე, თან გაქვს ამ ინფორმაციებზე წვდომა. ამიტომ მე არ შემიძლია, ასე ვილაპარაკო, რომ ხვალ უნდა ავკრძალოთ „ნაციონალური მოძრაობა“. ემოციურად გაინტერესებთ?

**„ამბავი იმის შესახებ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 40% აიღო, არის ტყუილი. მათ რამდენიც მოახერხეს, იმდენი გააყალბეს და მოიპარეს“**

არაფერიც არ უნდა ავკრძალოთ. მე ემოციურად ძალიან მსიამოვნებს, როდესაც ეს ადამიანები არიან პარლამენტში და წუწუნებენ; ასევე, როდესაც გიორგი ღვინიაშვილი ლაპარაკობს, როგორც მსხვერპლი, რადგან ჩემთვის ემოციურად ეს ადამიანი პირდაპირ არის დაკავშირებული სანდრო გირგვლიანისა და ბუტა რობაქიძის საქმის დაფარვასთან. თუმცა ეს უნდა დადასტურდეს. ნინო ბურჯანაძეს ყველა საფუძველი, უფლება და მოვალეობაც აქვს, რომ ასე ილაპარაკოს. მე რომ ვილაპარაკო, რომ უნდა აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა“, მეტყვიან, აკრძალეო... ფუნქცია შეიცვალა და სხვა ტიპის პასუხისმგებლობა გვაქვს.

**– არჩევნების თემას რომ მივუბრუნდეთ, თქვენ არ დაასახელეთ, ვინ შეიძლება დაიკავოს მეორე ადგილი, ამას გულწრფელად ამბობთ, ნამდვილად არ იცით?**

– მე არ ვიცი. წარმოდგენა არ მაქვს ამაზე. ზუსტად ვიცი, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არავითარი შანსი არ აქვს. საპრეზიდენტო არჩევნები გამოცხადებული არც არის. აგვისტოში ვთქვი, როდესაც „ექვსიანი“ დაიშალა, ვთქვი, რომ ზუსტად ვიცი, ქვეყანაში პოლიტიკური ცუნამი მოხდება-მეთქი. შემდეგ, როდესაც ბატონმა ბიძინამ განცხადება გააკეთა, ყველას ეგონა, რომ რაღაც ვიცოდი. ახლაც ასეთი განცდა მაქვს, რომ არ იქნება ისე, რომ სხვა კანდიდატები არ გამოჩნდებიან... მე ველოდები, რომ ვიღაცები გამოჩნდებიან.

არ ვიცი, ეს რა სეგმენტიდან წამოვა, მაგრამ ოქტომბერში ტარდება ის არჩევნები, სადაც პირველი წრთობა უნდა გაიაროს ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალამ, ვინც ხვალ ამ ქვეყნის ხელისუფლებაში მოვა. ამიტომ მგონია, რომ ის, ვინც სწორად ითვლის, მაშინ ასეთი კანდიდატები უნდა გამოჩნდნენ, რომლებსაც მომავალზე აქვთ გათვლა... სინამდვილეში რეალური პოლიტიკური ბრძოლა იქნება მომავალი წლის ადგილობრივი არჩევნების დროს პოლიტიკურ ძალთა ბალანსისთვის. ეს საპრეზიდენტო არჩევნები არის ყველაზე კარგი შანსი – ადგილობრივ არჩევნებთან ახლოსაა, იმ ძალების გამოსაჩენად, რომლებიც გეგმავენ, გახდნენ რეალური ალტერნატივა.

**– ვისზე საუბრობთ, ამ დღეებში მარგველაშვილთან ერთად ლევან ვასაძე ვნახეთ...**

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ვასაძის არც პოლიტიკური და არც სამართლებრივი მიზნები. მოქალაქეც არ ვიცი, რომელი ქვეყნისაა.

**– რუსეთის... გამორიცხავთ პოლიტიკაში მის შემოსვლას?**

– არ ვიცი, თავის დროზე იყო საუბრები, რომ მიმართვის მიუხედავად, სააკაშვილმა მოქალაქეობა არ მისცა...

**– თქვენ მისცემდით?**

– მე საქართველოს მოქალაქეობას მივცემდი ყველას, ვისაც აქვს საშუალება, ამ ქვეყანას დაეხმაროს.

**– შსს-ს მოულოდნელ გადაწყვეტილებას მივუბრუნდეთ. პირველად კომისიის ზოგიერთმა წევრმა განაცხადა, რომ პიკანტური საუბრები არ უნდა განადგურდეს ჯერ, თუმცა, როდემდე არ უნდა განადგურდეს, ამის ვადაც არ არის ცნობილი. ხომ არ ფიქრობთ, რომ ახალმა ხელისუფლებამ ეს შეიძლება შანტაჟისთვის გამოიყენოს?**

– არ მაქვს არც ერთი მიზეზი, რომ ეს ვიფიქრო. არ ვფიქრობ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვენდობი ღარიბაშვილს, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანაში არსებობს პარლამენტი, რომელიც რეალურად თავის ფუნქციებს ასრულებს და ეს არის ხელისუფლება, იმ ადამიანებით დაკომპლექტებული, რომლებმაც თავის თავზე იწვნიეს, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა ამ აბსურდში ცხოვრებამ.

ამ ჩანაწერებიდან კი არაფერი არ უნდა დარჩეს, ყველა უნდა განადგურდეს იმის შემდეგ, რაც მოხდება მათი სისხლის სამართლებრივი წესით დამაგრება. ყველა უნდა განადგურდეს სელექციის გარეშე... მე როგორც ვიცი, ამ ჩანაწერებს შორის არის ჩანაწერები „რესპუბლიკური პარტიის“ ოფისებზეც, გარკვეულ შეხვედრებზე სხვადასხვა რესტორანსა თუ კაფეში.

**– რა ინფორმაცია არსებობს პირადად თქვენზე, იცით?**

– არ მაინტერესებს. მე ხომ ვიცი, რას ვაკეთებდი, ვის ვხვდებოდი... ვიცი, რომ 2010 წელს ვაჟაზე ადგილობრივი არჩევნების დროს ჩემს ოფისს უსმენდნენ.

**– დაბოლოს, საგამოძიებო კომისიის შექმნა ამ ფირებთან დაკავშირებით...**

– არ ვიცი, ეს სერიოზული საკითხია და ამას დაჯდომა და ანალიზი სჭირდება...




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ციხეებში მედპერსონალს საკუთა



**„სასჯელაღსრულების სისტემაში ახლა ნარკოტიკები შეედინება და ამას არ უარყოფს მინისტრიც“**

# რა წამლებს ასმევენ ბაჩანა ახალაიას?

მარიამ ნადირაძე

**თემა არის ასეთი: ბაჩანა ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის ინფორმაციით, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ე.წ. მატროსოვის ციხეში აძლევენ სხვადასხვა სახის წამლებს, აბების სახით. უცნობია ამ წამლების დასახელება და ბაჩანა ახალაიას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ის გრძნობს საერთო სისუსტეს. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კი არ უშვებენ მის პირად ექიმს.**

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რასთან შეიძლება გვქონდეს საქმე? ინფორმაცია მის ადვოკატთან, დავით დეკანოიძესთან გადავამოწმეთ: „არაფერი ისეთი არ ხდება. ჩვენ, უბრალოდ, გვინდოდა, შეგვეყვანა ექიმი, რომელიც გაარკვევდა იქ ექიმების სანდოობას“.

შესაბამისად, ჩნდება მეორე კითხვა: ამ მიზნით ექიმის შეშვება რამდენად ლეგიტიმური შეიძლებოდა ყოფილიყო?

ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი არ გამორიცხავს, რომ ბრალდებულ ახალაიას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დამამშვიდებლებს აძლევდნენ, ვინაიდან ყოფილი მინისტრი ისტერიული პიროვნებაა, ყვება ემოციებს და არ არის გამორიცხული, მას ამ ტიპის წამლები დასჭირვებოდა.

თუმცა, უფლებადამცველი ირაკლი კერესელიძე მიიჩნევს, რომ შესაძლებელია, ახალაიას უკანონოდ ართმევენ კანონით მინიჭებულ უფლებას, მაგრამ იქვე არ გამორიცხავს იმასაც, რომ მისი დაცვის მხარის მოთხოვნა ყოფილიყო კანონგარეშე: „თუ მოთხოვნა იყო, რომ ახალაიას ჯანმრთელობის მდგომარეობა შემოწმებულიყო და პროფესიული დიაგნოზი დასმულიყო, ამაზე უარი არის კანონსაწინააღმდეგო. თუ მოთხოვნა იყო, რომ ამ ექიმს სხვა ექიმების ტესტირება დაეწყო, ეს, რა თქმა უნდა, კანონგარეშეა“.

...მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ირაკლი კერესელიძესთან ამ თემაზე დიალოგმა სულ სხვა პრობლემამდე მიგვიყვანა, რომელიც, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო მომსახურების სფეროს, ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, სულ ცოტა, დიდ უხერხულობაში ჩააგდებს და ნორმალურ ქვეყანაში სისტემის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს.

მაშ ასე, რა ხდება ციხეებში? როგორ აბრუებენ პატიმრებს? როგორ „აპრავებენ“ არამიზნობრივად გაცემულ ფსიქოტროპულ წამლებს? რას ნიშნავს „შპრიცების ბიზნესი“? და უნდა აგოს თუ არა პასუხი მინისტრმა დაწესებულებაში მეძავებისა და ნარკოტიკების შესვლაზე? – სწორედ ეს გახდა ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციის მთავარი თემა.

**ირაკლი კერესელიძე, უფლებადამცველი:**

– გამოდის, რომ ჩვენი საუბარი რამდენიმე ნაწილად უნდა დავყოთ. დავიწყოთ იქიდან, რომ ბაჩო ახალაია იქნება ეს თუ სხვა ვინმე, საქართველოს კანონით ყველას უფლება აქვს, მიიღოს სამედიცინო მომსახურება, ასევე ალტერნატიული აზრიც, ანუ აქვს მეორე მედიკოსის აზრის მოსმენის უფლება. შესაბამისად, თუ მას მართლა არ აძლევენ უფლებას, საკუთარი ექიმის, ან სხვა ექიმის მომსახურებით ისარგებლოს, ეს უკვე ავტომატურად კანონდარღვევას ნიშნავს. გასათვალისწინებელია ისიც, როგორი სტანდარტებია სასჯელაღსრულების სისტემაში და შესაბამისად, „მატროსოვზე“, სამედიცინო მომსახურების მხრივ. სასჯელაღსრულების ეს ნაწილი არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო მონიტორინგისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკის საგანი. ისედაც ქართული სამედიცინო მომსახურების დონე ძალიან დაბალი დონისაა ევროპულ სტანდარტებთან შედარებით, მაგრამ ის, რაც ციხეებში ხდება, წარმოუდგენელი რამ არის. თითოეულ დაწესებულებას, პატიმრობის კოდექსის თანახმად, უნდა ჰქონდეს სამედიცინო ნაწილი, მაგრამ უმეტეს სამედიცინო დაწესებულებაში ეს მხოლოდ ფორმალურად არსებობს.

**– ანუ, ექიმი იქ არ არის?**

– ექიმი არის, მაგრამ მოდით, ვთქვათ, რა კატეგორიის ექიმები არიან? რა განათლება აქვთ? შემიძლია, გითხრათ კონკრეტული ფაქტები: რამდენიმე დაწესებულებაში ექიმებს ან შეჩერებული, ან ვადაგასული სერტიფიკატი ჰქონდათ, ან საერთოდ არ ჰქონდათ სერტიფიკატი. ანუ მათი უმეტესი ნაწილი, მყარად შეიძლება ვთქვათ, არის არაკვალიფიცირებული და ამ არაკვალიფიცირებული ექიმების უმეტესი ნაწილი იქ ღამითაც არ რჩება.

**– ანუ, ღამით პატიმარი ავად რომ გახდეს, განწირულია?**

– განწირულია, მით უმეტეს, თუ მის ავადმყოფობას სწრაფი რეაგირება სჭირდება. სულ მარტივი რამ რომ ვთქვათ: პატიმარს გაუსკდა ბრმა ნაწლავი. ის განწირულია, რადგანაც იქ არის ე.წ. ექიმი, ან ექთანი. ე.წ. იმიტომ, რომ მას არავითარი გამოცდილება არ აქვს და ექთანი იმიტომ ჰქვია, რომ, უბრალოდ, ნემსის გაკეთება იცის (ზოგმა ესიც არ იცის), უბრალოდ, დაცულია ფორმალობა, რადგან იქ ვიღაც უნდა იჯდეს თეთრ ხალათში. ასეთ ექთანს აქვს 10-15 აბი ტკივილგამაყუჩებელი და ტრანკვილიზატორები, რომლებსაც, რა ავადმყოფობასთანაც არ უნდა ჰქონდეს საქმე, პატიმარს მაინც აძლევს.

**– დუმბაძის „ლუმინალივით“?**

– სხვათა შორის, დუმბაძეს ეს იუმორში აქვს ასახული, აქ კი უფრო ტრაგიკულ ფერებშია ყველაფერი, რადგან, თუ წარმოვიდგენთ, რომ, ვთქვათ, ადამიანს აწუხებს გულსისხლძარღვთა დაავადება და აწუხებს წნევა, იმას ტკივილგამაყუჩებელი არაფერს უშველის, რადგან პროცესები მაინც წავა და საქმე შესაძლოა, ლეტალურ შედეგებამდე მივიდეს. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია: ექიმების უდიდესი ნაწილი, შეიძლება ითქვას, 99 პროცენტი პირდაპირ დამოკიდებულია სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელის – უფროსისა და მოადგილის გუნებაგანწყობაზე. ექიმი თავისი პროფესიიდან და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ იღებს გადაწყვეტილებას, ვთქვათ, პაციენტის ჰოსპიტალიზაციის შესახებ, ან ე.წ. რეზბალნიცაზე გადაყვანის შესახებ. გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, მოადგილე, ან უმეტეს შემთხვევაში დეპარტამენტს უთანხმებენ ამას.

**– ექიმის რეკომენდაცია და აზრი გათვალისწინებული არ არის?**

– საქმეც ეს არის, კანონით ექიმის რეკომენდაცია არის სრულებით საკმარისი. არსებული რეალობით კი ექიმი არის ადმინისტრაციის ირიბი დანამატი.

**– საუბრობთ დღეს არსებულ რეალობაზე?**

– დიახ, იმ რეალობაზე, რომელიც სისტემას ძველიდან გადმოჰყვა. ახლა სიტუაცია უფრო მოეშვა, რადგან ექიმები უფრო მეტად შედიან კანონგარეშე ურთიერთობებში პატიმრებთან. მაგალითად: ვთქვათ, პატიმარს, რომელიც წამალდამოკიდებული იყო გარეთ ყოფნის დროს და მას სჭირდება, რომ ეს დამოკიდებულება რაღაცით ჩაანაცვლოს, ასეთ შემთხვევაში, წინა დროისგან განსხვავებით, სამედიცინო პერსონალი თავს უფლებას აძლევს, ის ტკივილგამაყუჩებლები, რომლებსაც გარკვეულწილად გამაბრუებელი ეფექტი აქვს, გაყიდონ.

**– შემოაქვთ და ყიდიან?**

– საქმეც ის არის, რომ არ შეაქვთ. ყიდიან იმ წამლებს, რომლებიც აქვს დაწესებულებას იმისთვის, რომ მძიმე ტკივილები გაუყუჩოს ვიღაცას. ამ წამლებს ისინი მიმართავენ არასაჭიროებისამებრ.

**– ფულზე ყიდიან?**

– ფულზეც, მაგრამ პატიმრებს „ატნაშენიები აქვთ გასწორებული ექიმებთან“. ანუ უყიდიან სიგარეტს, სნიკერსს, ან სხვა რამეს „ლარიოკში“, მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. მერე ექიმიც პატივს სცემს მათ. მაგრამ, როდესაც საუბარია რეგულარულ მოხმარებაზე, ანუ იმ პატიმარზე, რომელსაც უნდა, რომ მუდმივად გაბრუებული იყოს, იქ უკვე ფულზეც არის საუბარი.

**„სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო პერსონალს აქვს ძალიან დაბალი ხელფასი – 250-400 ლარი. შესაბამისად, ისინი იყენებენ ყველა შესაძლებლობას, რომ მიიღონ დამატებითი შემოსავალი...“**



**– როგორ?**

– ჩამოწერს ამ წამლებს, არ მისცემს მას, ვისაც ეს ესაჭიროება და მისცემს სხვა პატიმარს. ასევე, არის ერთი ბიზნესი, ე.წ. შპრიცების ბიზნესი.

**– ეს რას ნიშნავს?**

– ვინაიდან სასჯელაღსრულების სისტემაში ახლა ნარკოტიკები შეედინება და ამას არ უარყოფს მინისტრიც და ამბობს, რომ პრობლემა არის, ჩვენ ამას ვხედავთო...

**– ამას ხმამაღლა ამბობს?**

– კი... ის იმასაც ამბობს, მეძავები შედიან სისტემაში, ეს ადრეც იყო და ახლაც არის და ამას ვერ ვუშველეთო... ასეთი განცხადებები ცოტა ცინიკურად ჟღერს: პრობლემას ხედავ, მაგრამ არ წყვეტ? იღებ, როგორც მოცემულობას? მოცემულობად იღებენ იმას, რომ ნარკოტიკი მოძრაობს ინტენსიურად? ვინაიდან ნარკომანები ძირითადად ინტრავენური მომხმარებლები არიან, ძალიან იშვიათად სარგებლობენ ე.წ. „კალიკებით“...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...რი არალეგალური ბიზნესი აქვს(?!)

**„პატიმრებს „ატნაშენიები აქვთ გასწორებული ექიმებთან". ანუ უყიდიან სიგარეტს, სნიკერსს, ან სხვა რამეს „ლარიოკში", მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. მერე ექიმიც პატივს სცემს მათ. მაგრამ, როდესაც საუბარია რეგულარულ მოხმარებაზე, ანუ იმ პატიმარზე, რომელსაც უნდა, რომ მუდმივად გაბრუებული იყოს, იქ უკვე ფულზეც არის საუბარი"**



EXCLUSIVE

## რატომ აბრუებენ პატიმრებს? და რას გულისხმობს „შპრიცების ბიზნესი"?

**– ეს რა არის?**

– ერთგვარი „პილულები", რომლებიც რეალობიდან მოწყვეტას იწვევს... შესაბამისად, საჭიროა შპრიცი და ეს ბიზნესი ძალიან არის მოდებული. დავუშვათ, დაწესებულებამ მიიღო 200 შპრიცი. აქედან ასი იყიდება და ასი დანიშნულებით გამოიყენება. ზოგ შემთხვევაში არც არაფრის ჩამოწერა არ ხდება. უბრალოდ, არავინ აქცევს ყურადღებას. ამას სჭირდება მონიტორინგი. როცა ეს კონტროლი დუნდება, როცა ყველაფერი ინდივიდუალურ წესიერებაზეა დამოკიდებული, ყველაფერი მიდის აქამდე. ძალიან მიჭირს ამ ხალხის ექიმებად მოხსენიება, რადგან ეს კვალიფიკაციას გულისხმობს. ერთი სიტყვით, სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო პერსონალს აქვს ძალიან დაბალი ხელფასი – 250-400 ლარი. შესაბამისად, ისინი იყენებენ ყველა შესაძლებლობას, რომ მიიღონ დამატებითი შემოსავალი...

**– და ეს ე.წ. ბიზნესი ცენტრალიზებულია?**

– ჯერჯერობით, ერთი ცენტრის ქვეშ არ არის ყველაფერი. ანუ დეპარტამენტიდან ცენტრალიზებული ეს არ არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, მოადგილე და დირექტორიც სარგებლობს. ანუ, ექიმის უფროსი ან იმ დონის არაპროფესიონალია, რომ მასატყუებენ, ან უარეს შემთხვევაში, ისიც სარგებლობს ამით.

**– რამდენად შემოსავლიანია?**

– აქ არ არის საუბარი კოლოსალურ თანხებზე, მაგრამ პრობლემა დგას ასე: ვინ სადამდე წავა. ანუ, თუ დღეს მზად ხარ, პატიმართან ასეთ გარიგებაზე წახვიდე, ხვალ ვინმემ ნარკოტიკის შეტანა უფრო მაღალ ფასად რომ შემოგთავაზოს, ალბათობის მაღალი ხარისხით ამასაც გააკეთებ. პრობლემა ის არის, რომ ამ ადამიანების ქმედებები არ ექვემდებარება მონიტორინგს და ეს ქმედებები არის დაუსჯელი.

**– იგივე ხდება „მატროსოვზეც"?**

– უფრო მეტიც. იქ, სავარაუდოდ, ყველაფერი ეს უფრო ძვირი იქნება, რადგან კონტინგენტი გამორჩეულია. მაშინ, როდესაც მსჯავრდადებულს არ აწვდი ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას და ამავდროულად ციხეში სხვა ფაქტორებიც არსებობს, ვთქვათ, გადაადგილების შეზღუდვა, ჰაერის უკმარისობა, არაადეკვატური კვება, ამ ყველაფერს ის ადამიანი, რომელსაც რამდენიმე წელი აქვს მისჯილი, საბოლოო ჯამში, ლეტალურ შედეგამდე მიჰყავს.

**– რა ტიპის წამლებია, რაც გაბრუებას იწვევს?**

– ძირითადად ფსიქოტროპული წამლებია. არსებობს ამის სათანადო რეგულაციები, ვის რა შემთხვევაში უნდა მიეცეს ეს წამლები. ერთი მხრივ, ადამიანი, რომელიც არ საჭიროებს, ამას იღებს, და ყველა ეს წამალი იწვევს მიჩვევას. და ის წამალდამოკიდებული ხდება. მეორე მხრივ, ეს წამლები ძალიან ლიმიტირებულია და ვისაც ეს სჭირდება, ის ვერ იღებს ამას. უფრო მარტივად: ერთი მხრივ, ერთი რჩება წამლის გარეშე, მეორე კი ამით ავადდება. არის შემთხვევები, როდესაც ასეთ წამლებს აძლევენ პატიმარს, რომელიც ხმაურობს, აწუხებს ადმინისტრაციას, ჩივის, განცხადებას, საჩივრებს წერს და ეს ადამიანი ოდნავ მაინც მიდრეკილია იმისკენ, რომ წამალი მიიღოს, შეიძლება ამის საჭიროება არც ჰქონდეს, მაგრამ მას აუცილებლად დაუნიშნავენ ამ ტიპის წამალს, იმიტომ რომ დამალონ პრობლემა. ამ ყველაფრის იდეა კი შემდეგში მდგომარეობს: აქციონ კონკრეტული პირი ბიოლოგიურ ორგანიზმად. ის არც ამქვეყნიურია და არც იმქვეყნიური. კონკრეტული შემთხვევები ვიცი, რომ ასეთები საპირფარეშომდეც ვერ მიდიოდნენ, რადგან სხვადასხვა ადამიანზე ასეთი ტიპის წამლები სხვადასხვანაირად მოქმედებს. მაგრამ მთავარი იდეა იცით, რა არის? ის აღარ არის აქტიური და თუ სადმე გდია „შკონკაზე", არა უშავს, ეგდოს.

**„მე კონკრეტული მაგალითები მახსოვს, როდესაც წინა ხელისუფლებამ შევარდნაძის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები დაიჭირა და როდესაც ზოგიერთ მათგანს შეატყვეს, რომ ცდუნებას ადვილად დაექვემდებარებოდნენ, გაანარკომანეს"**

**– ამას გაბედავენ იმ პატიმრებზეც, რომელთა მიმართაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესია?**

– ასე იოლად, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავენ, მაგრამ მე კონკრეტული მაგალითები მახსოვს, როდესაც წინა ხელისუფლებამ შევარდნაძის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები დაიჭირა და როდესაც ზოგიერთ მათგანს შეატყვეს, რომ ცდუნებას ადვილად დაექვემდებარებოდნენ, გაანარკომანეს. პიროვნებების დასახელება ნამდვილად არ მინდა, რადგან არაეთიკური იქნება.

**– მაგრამ ძალით ხომ არავინ არავის დაალევინებს წამალს?**

– არა, მაგრამ შეიძლება შეუქმნა ისეთი ცდუნება ადამიანს, რომელიც ამისკენ გიბიძგებს. აქვე გეტყვით ბარემ, რომ ძალიან გართულებულია ოჯახის წევრის მიერ მიტანილი წამლის ადრესატამდე მიტანა. ოჯახის წევრს ამისთვის მინიმუმ სამჯერ უწევს მისვლა დაწესებულებაში, რომ ყველაზე მარტივი, ვთქვათ, ვალიდოლი მოხვდეს მისი ოჯახის წევრთან.

– წამლები სისტემაში არ არის? რატომ უნდა მიჰქონდეს ის იქ ოჯახის წევრს?

– უნდა იყოს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში აუცილებელი წამლებიც კი არ არის. მარტივი ლოგიკაა: იქ, სადაც შპრიცებიც კი ვაჭრობის საგანი ხდება, ძვირადღირებული წამალი, რომელიც დაწესებულებაში გარკვეული ოდენობით შედის, ბოლოს და ბოლოს, დონორები იძლევიან მას, არადანიშნულებით გამოიყენება.

**– სამჯერ რატომ უწევს მისვლა ოჯახის წევრს?**

– პირველად განცხადებით უნდა დაარეგისტრიროს თავისი მოთხოვნა. ნებართვას შესაძლოა 10-20 დღე ელოდოს. მერე უნდა წარადგინოს ეს წამალი და დატოვოს ამანათებში. მერე უნდა დაელოდოს, ამ წამალს როდის ნახავს ექიმი და იტყვის, შესაძლებელია თუ არა ამ წამლის შეშვება. ამასობაში უნდა გადარეკოს, გადმორეკოს და გაარკვიოს, ნახა თუ არა ეს ექიმმა, თუ მისცეს უფლება, ამის შემდეგ კიდევ ერთხელ უნდა მივიდეს, ისევ დაწეროს განცხადება, სადაც მიუთითებს, რომ წამალი შემოწმებულია ექიმის მიერ და ამის შემდეგ ხერხდება, რომ წამალი მოხვდეს ადრესატთან, ანუ პატიმართან.

დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ ეს ინფორმაცია, რომელიც „პრაიმტაიმმა" უფლებადამცველისგან მიიღო, შესაძლოა, ბევრისთვის ნაცნობია, მაგრამ მაინც შოკისმომგვრელია. თუ სისტემაში მიღებული ფორმაა, აქტიური პატიმარი გააბრუონ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ანი ნადარეიშვილის შეშფოთებას საკმაოდ სერიოზული საფუძველი ჰქონდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვისი გვარები ფიგურირებს სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილ დასაჭერთა სიაში?


ნინო ბორჩხაძე

# „დასაჭერთა სიაში იყვნენ გია გაჩეჩილაძე, შოთიკო გლურჯიძე, ლევან გაჩეჩილაძე, ბიძინა გეგიძე, შალვა ოგბაიძე და გია ბურჯანაძე“

**my View**


**მირიან ბოქოლიშვილი**

რა კავშირი აქვს სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილ იარაღს საპარლამენტო არჩევნების წინ სქურის ტყეში შექმნილ პოლიციის არაფორმალურ ბანაკთან? ჟურნალისტმა და ამჟამად „თავისუფალი საქართველოს“ წევრმა, ნინო ბორჩხაძემ გასული წლის აგვისტოში ფარული კამერით მოახერხა ხსენებული ბანაკის გადაღება. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ის ამბობს, რომ რეგიონში მსგავსი არაერთი ბანაკი მოქმედებდა, რომლებსაც პოლიცია კურირებდა, თუმცა რიგითი მოსახლეობით იყო დაკომპლექტებული. მისი თქმით, ამ ბაზებზე შეტანილი იყო იარაღი, რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ ის იარაღია, გასულ კვირას სამართალდამცველებმა სამალავებში რომ იპოვეს. ნინო ბორჩხაძე, ასევე, დასაჭერთა იმ სიას აკონკრეტებს, რომელიც იარაღთან, ნარკოტიკებთან და ვიდეოფირებთან ერთად ამ სამალავებიდან ამოიღეს.

**ნინო ბორჩხაძე, „თავისუფალი საქართველო“:**

– ბაზები, რომელიც მე გადავიღე, ნახევრად გასამხედროებული იყო. არსებობდა ინფორმაცია, რომ იქ იარაღი ინახებოდა. სამეგრელოში განთავსებულ ბანაკებში ძირითადად კრიმინალები იყვნენ, რომლებიც გაუგებარ ვითარებაში გამოუშვეს, არც ამნისტიით და არც შეწყალებით. პრაქტიკულად ციხეში უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი, რომელიც იქ იყო, 20-წლიან სასჯელს იხდიდა. ეს გახლდათ ნახევრად სამხედრო ბანაკი, ანუ ზოგს სამხედრო ტანსაცმელი ეცვა, ზოგს – არა. ისე, ბაზა სამხედრო იყო. ყველაზე მთავარი და ეჭვის გამჩენი იყო ის, რომ იქ პოლიციის პიკაპები იდგა. ვიკითხე, რა არის ეს მანქანები-მეთქი და მითხრეს, ჩვენი საკუთრებააო. შემდეგ მითხრეს, ჯარის ბაზააო, მოკლედ, არეულ-დარეული პასუხები ჰქონდათ. ეს იყო ზუსტად ის ბანდფორმირებები, რომელსაც ახალაიები არჩევნების ფარგლებში ამზადებდნენ, მათ შორის მეგის ქარდავაც კურირებდა ამ საკითხს.

**– თვითონ დაფიქსირებულან ამ ბაზებზე?**




– სანამ მე ჩავიდოდი, წინა დღეს იყო ჩასული ბაჩო ახალაია. მე ეს გადაღებული არ მაქვს, მაგრამ ეს არის დადასტურებული ინფორმაცია.

**– რა მიზნით შექმნეს საერთოდ ეს ბანაკები?**

– რა თქმა უნდა, არეულობის გამოწვევის მიზნით. ჯერ ერთი, შიშის ფაქტორი გახლდათ, მოსახლეობიდან ეს იყო 200 მეტრში. სქურის ტყეში იყვნენ. სხვათა შორის, ალასანიას მივწერე, რომ ეს გადავიღე. ის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი იყო და ამაზე კომენტარი არ გააკეთა. დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა ამ ბანაკების საკითხს. ალასანიამ კი მხოლოდ არჩევნების შემდეგ გააკეთა კომენტარი, იმ ხალხში ბევრი პატრიოტიაო.

**– ანუ ალასანიამ თქვა, რომ იქ ბევრი პატრიოტი იყო?**

– კი. იქ იყვნენ ზვიადისტებიც, ციხიდან გამოშვებული ხალხიც, მხედრიონელებიც და ადგილობრივი მოსახლეობაც.

**– და ესენი იყვნენ შეიარაღებულები?**

– იქ ნამდვილად შეიტანეს იარაღი, უბრალოდ, ვერ მოვასწარი ამის გადაღება, მაგრამ იმ ბაზებზე იარაღი იყო. ეს ის იარაღია, რაც ახლა აღმოაჩინეს. სამეგრელოში ასეთი რამდენიმე ბაზა იყო.

**– თქვენ ამბობთ, რომ შესაძლებელია, ის იარაღი, რომელიც მაშინ ჰქონდათ ამ ბაზაზე შეტანილი, სამეგრელოში აღმოჩენილი იარაღი იყოს?**

– რა თქმა უნდა. სამეგრელო ძალიან სერიოზულად იყო შეიარაღებული. თუმცა მარტო მანდ არ ჰქონდათ ასეთი ბანაკები. ასეთი ბანაკი იყო ლებარდეში, ასევე ზუგდიდში. თავდაპირველად ეს ხალხი სახლებში იყვნენ განლაგებულნი. რაც ეს ამბავი გახმაურდა და ტელევიზიით გაშუქდა, უკვე ტყეში გადაინაცვლეს. ტყეებში მე წავედი გადასაღებად.

**– რაც შეეხება დასაჭერთა სიას, როგორც ვიცი, ამ სიის შესახებ თქვენთვის ცნობილია...**

– რაც შეეხება, სიას, ამის არსებობის შესახებ ვიცი კერძო საუბრებიდან. ამ სიების ნაწილი ქალბატონ ბურჯანაძეს უნდა ჰქონდეს ნანახი. დასაჭერი ადამიანების სია ნანახია მანამ, სანამ მას აღმოაჩენდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროში იყო იგივე სიები. დასაჭერთა სიაში იყვნენ გია გაჩეჩილაძე, შოთიკო გლურჯიძე, ლევან გაჩეჩილაძე, ბიძინა გეგიძე, შალვა ოგბაიძე და გია ბურჯანაძე. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ უნდა დაეჭირათ ესენი. სიაში იყვნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიც, ძირითადად აქტივისტები, თუმცა არა მე, როგორც ვიცი, „რესპუბლიკელებიდან“ და ალასანიას გუნდიდან არავინ ყოფილა.

**– თქვენ საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?**

– ვინც ეს სიები ნახა, უშუალოდ მან მომაწოდა ინფორმაცია.

**– ნინო ბურჯანაძის ხელში როგორ მოხვდა ეს სია?**

– არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში ნინო ბურჯანაძეს რომ განსაკუთრებით ერჩოდნენ და ცდილობდნენ მის დისკრედიტაციას და ასევე მისი სახელის მიკერებით „ქართული ოცნებისაც“, ეს ცნობილია. რატომღაც ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც ძირითადი დარტყმა ბურჯანაძისა და გაჩეჩილაძის გარემოცვას უნდა მიეღო. ყოველ შემთხვევაში ამაზე მეტყველებს ეს ე.წ. დასაჭერთა სიები. ესაა დაახლოებით 150-კაციანი სია, სადაც პირველ 50 კაცში შედიოდნენ სწორედ ბურჯანაძისა და გაჩეჩილაძის თანამოაზრეები.

## „ძირითადი დარტყმა ბურჯანაძის და გაჩეჩილაძის გარემოცვას უნდა დასტყდომოდა“







## „დასაჭერთა სიის ნაწილი ნანახი აქვს ბურჯანაძეს, ეს არის დაახლოებით 150-კაციანი სია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნიკა მელია მორიგ სკანდალში გაეხვია



## ნიკა მელია: „ერთ-ერთი მათგანი რამდენიმე დღის წინ დააკავეს სწორედ ნარკო-ბრალდებით და 5000-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს“

**რა შეემთხვა ძველი თბილისის გამგებელს ღამის კლუბში და იმყოფებოდნენ თუ არა რესტორან „ლა ტრუფეში“ მომხდარი ინციდენტის მონაწილეები ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ?**



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

„ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეში თანამონაწილეობის შემდეგ ძველი თბილისის გამგებელს ხულიგნობაში ადანაშაულებენ. გასულ კვირას ნიკა მელიას ამ მუხლით ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. საუბარია 12 მაისს თამარაშვილის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტზე, რა დროსაც დაპირისპირებაში მონაწილე ორივე მხრიდან რამდენიმე ადამიანი დაშავდა, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. ხულიგნობაში სდებენ ბრალს ბექა მაზიაშვილსაც, რომელიც დაპირისპირების მეორე მხარეს წარმოადგენდა. ბექა მაზიაშვილის თანმხლები პირი, მანანა გიორგობიანი კატეგორიულად აცხადებს, რომ მაზიაშვილი უდანაშაულოა და ინციდენტი მელიას პროვოკაციულმა ქმედებამ გამოიწვია, თავად მელიას კი ეჭვი აქვს, რომ დაპირისპირებულ სუფრაზე მჯდომი პირები ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ, ამის დასტურად მოჰყავს რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი მათგანის ნარკოდანაშაულისთვის დაკავება და შემდეგ 5000-ლარიანი ჯარიმის სანაცვლოდ განთავისუფლება. მანანა გიორგობიანი ამ ფაქტსაც კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ არც მისი მეგობრები და არც თავად ნარკოტიკებისთვის არ დაუკავებიათ. სანამ მის პოზიციას გაგაცნობთ, მანამდე თავად ნიკა მელია გვესაუბრა კიდევ ერთ ინციდენტზე, რომელიც ამჯერად თბილისის ერთ-ერთ ახლად გახსნილ კლუბში მოხდა და როგორც თავად ამბობს, გარკვეული ჯგუფი მიზანმიმართულად ცდილობს მსგავს სიტუაციებში მისთვის პროვოკაციების მოწყობას.

**ნიკა მელია, ძველი თბილისის გამგებელი:**

– ეს მოხდა ფრანგულ რესტორანში მომხდარი ინციდენტიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ. უფრო კონკრეტულად პირველ ივნისს. ფილარმონიასთან იყო ერთ-ერთი კლუბის პრეზენტაცია და მე, როგორც რაიონის გამგებელი, მიწვეული გახლდით ამ ღონისძიებაზე. იმ დღეს რამდენიმე ღონისძიება გვქონდა დაგეგმილი. მოგეხსენებათ, ბავშვთა დაცვის დღე იყო. მათ შორის გვქონდა მიწვევა ამ კლუბიდან და მე და ჩემი თანამშრომლები ვიყავით შევლით. მივულოცეთ ორგანიზატორებს და ის იყო, აღნიშნული დაწესებულება დავტოვეთ, მოხდა შელაპარაკება ვიღაც უცხო პიროვნებასთან, რომელიც, როგორც მეორე დღეს გაირკვა, იყო მოძრაობა „არას“ ერთ-ერთი აქტივისტი, ლევან ჩიტაძე. სრულიად მოულოდნელად გამაჩერა და მისვამდა პროვოკაციულ კითხვებს იმის შესახებ, როგორ ვგრძნობ თავს? რამდენად კარგი იყო გასული 9 წელიწადი და ა.შ. ამ ყველაფერს ნამდვილად არ ავყევი. მივხვდი, რომ პროვოკატორთან მქონდა საქმე. ჩემი თანდასწრებით აიღო ტელეფონი და დაურეკა ვიღაცას, – სასწრაფოდ მოდი, ჩემზე თავდასხმააო. ნუ, კითხვაც აღარ გამჩენია, რომ ჩემს წინააღმდეგ მორიგ სერიოზულ პროვოკაციას გეგმავდნენ. ჩემს თანამშრომლებსაც ვთხოვე, იქაურობა დაგვეტოვებინა.

**– პოლიცია არავინ გამოიძახა?**

– კი, პოლიცია მოვიდა, თუმცა პოლიციამდე ადგილზე გამოცხადდა მელორ ვაჩნაძე. მიამიტი უნდა ვიყო, რომ ამ ყველაფრის შემთხვევითობა დავიჯერო. უბრალოდ, ის ვერ ამიხსნია, რაში აწყობთ ჩემი დევნა და ასეთი პროვოკაციების მოწყობა. რა სარგებლის მომტანია მათთვის ეს, ვერ ვხვდები. ალბათ, ნებისმიერ ადამიანს, ვინც ახალი ხელისუფლების პოლიტიკას აკრიტიკებს, უნდა რაღაც დონეზე მათი დისკრედიტაცია, იქნება ეს გამგებელი თუ სხვა ნებისმიერი პიროვნება. ძირითადად, იცით, რა ბრძოლაც მიმდინარეობს თბილისის თვითმმართველობის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, რამდენიმე ადამიანი ამოგვიჩემეს და სურთ, შექმნან შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვართ ხულიგნები, კლუბებსა და რესტორნებში ვტეხთ დებოშს და ა.შ.

**– რაც შეეხება ფრანგულ რესტორანში მომხდარ ინციდენტს? და აქვე გკითხავთ, რა ეტაპზეა „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმე?**

– მე მაშინაც და ახლაც დიდი ეჭვი მქონდა, რომ ეს ადამიანები ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. მაქვს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი მათგანი რამდენიმე დღის წინ სწორედ ნარკობრალდებით დააკავეს და 5000-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს. ეს მოხდა სულ ახლახან. მანამდე ის არაერთხელ იყო ხულიგნობის მუხლით გასამართლებული. რაც შეეხება „ქართუს“ საქმეს, ეს იმ ოპერიდანაა, როდესაც პროკურატურას არ აქვს საკმარისი მტკიცებულებები, ამიტომ არაერთხელ გადადეს სასამართლო. უკვე ოთხჯერ გადაიდო პროკურატურის მოთხოვნით. არ გამოვრიცხავ, რომ, რადგან უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ ბანკს ეხება საქმე, დროებით განხილვას აჭიანურებენ, რომ საზოგადოებაში არ გაჩნდეს კითხვები იმ ფონზე, როდესაც ათასობით სხვა საქმეა განსახილველი.

## მანანა გიორგობიანი: „ჩვენ აქამდე ეს არ გვიკადრებია, მაგრამ ახლა თქვენ გეტყვით...“



**იმყოფებოდა თუ არა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ რესტორან „ლა ტრუფეში“ მყოფი მეორე მხარე და რეალურად მოხდა თუ არა ერთ-ერთი მათგანის დაკავება ნარკოდანაშაულისთვის? ამ საკითხზე ჩვენ დაპირისპირებაში მონაწილეთაგან ერთ-ერთს, მანანა გიორგობიანს დავუკავშირდით.**

– არც ბექა მაზიაშვილი, არც მამუკა ბაკურია და არც მე არასდროს არ ვართ ნასამართლევი და არ გვაქვს ნარკოტიკებთან დაკავშირებით რაიმე ადმინისტრაციული ჯარიმა. მელიას ჭორაობას ნამდვილად ვერ ავყვებით. ჩვენ აქამდე ეს არ გვიკადრებია, მაგრამ ახლა თქვენ გეტყვით: მელიას წინააღმდეგ სამი საქმეა აღძრული. თავის პრობლემებს მიხედოს, სჯობია. საყვარელი ვინ მყავს, არ უთქვამს?

**– არა, მაგ საკითხით არ დავინტერესებულვარ...**

– არა, ეს მელიას ფანტაზიებია. შეიძლება ეგეც ეთქვა. მაგ ჭორაობაზე მეტად მე ის მაინტერესებს, სად გაქრა მეორე მთავარი მოწმე. ახლა ყურადღების გადატანას ცდილობს ამ ჭორებზე და თქვენ, ჟურნალისტებიც, ჰყვებით ამ პიარ „ხოდებს“. იმას არ აქცევთ ყურადღებას, რომ კაცი დაკარგულია, უშუალოდ ის, ვინც მე შემეხო. გაარკვიოს გამოძიებამ კონკრეტულად ამ პიროვნების ადგილსამყოფელი. მე მისი ვინაობა ვიცი, თუმცა ჯერჯერობით არ დავასახელებ. ველოდები გამოძიებას.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „რესპუბლიკელები“ შსს-ს დაყოფას ითხოვენ

## პროექტი, რომელიც შესაძლოა „რესპუბლიკური პარტიის“ ოპოზიციაში გადასვლის მიზეზი გახდეს



### my View

მირიან ბოქოლიშვილი

არც თუ დიდი ხნის წინ, იმჟამად პრემიერთან დაახლოებულმა ექსპერტმა და ან უკვე მისმა მრჩეველმა, გია ხუხაშვილმა „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში დააანონსა, რომ შესაძლოა, „რესპუბლიკური პარტია“ სამომავლოდ ოპოზიციაში ვიხილოთო. ხუხაშვილის წინასწარმეტყველების ახდენა, როგორც ჩანს, მთლად სამომავლო პერსპექტივა არ გახლავთ, რადგან ბოლო პერიოდში სახელისუფლებო გუნდის „რესპუბლიკური“ ფრთა ნელ-ნელა ივანიშვილის ფავორიტთა ნაკლოვანებებზე ალაპარაკდა. ჯერ „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის ინიცირებულ პროექტს (უმაღლესი განათლების შესახებ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს) გამოუცხადეს უნდობლობა, შემდეგ შსს-ს დაუწუნეს განცხადება (სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავებთან დაკავშირებით), მოგვიანებით კი, პირდაპირ მთავარი პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხზე მიანიშნეს, როდესაც პატიმრების წამებაში ბრალდებულ ვლადიმერ ბედუკაძეს არჩილ კბილაშვილი თავდებში დაუდგა და ბრალეულობა საერთოდ მოუხსნა. ამას თუ დავუმატებთ დავით ზურაბიშვილის განცხადებასაც, რითაც წამების ამსახველი ვიდეოების ჟურნალისტებისთვის ჩვენება გააპროტესტა, ცხადი ხდება, რომ „რესპუბლიკური პარტია“ ნიადაგს ამზადებს, და არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით. ხელისუფლებასთან დაახლოებული წყარო „პრაიმტაიმს“ უყვება, რომ „რესპუბლიკური პარტია“ ამერიკელებთან აქტიურად მუშაობს, რათა მათ მოახდინონ გავლენა ბიძინა ივანიშვილზე. კერძოდ, საუბარია ღარიბაშვილის უწყების დაყოფაზე პოლიციისა და უშიშროების სამინისტროებად. „რესპუბლიკურ პარტიას“ შესაბამისი პროექტი უკვე მზად აქვს, თუმცა ამის შესახებ სახელისუფლებო გუნდის ნაწილი საქმის კურსში არ გახლავთ, ნაწილი კი ღიად აფიქსირებს, რომ შსს-ს დაყოფის ინიციატივას ამ ეტაპზე მხარს არ დაუჭერენ. პროექტის ავტორი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, „რესპუბლიკელი“ ვახტანგ ხმალაძეა. პროექტში, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში ჯერ არაა ინიცირებული, საუბარია იმაზე, რომ შსს სისტემის რეორგანიზაციის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს პოლიციის ფუნქციის მქონე ორი მნიშვნელოვანი დეპარტამენტი (წინა ხელისუფლების დროს შსს-ს სისტემაში შემავალი 16 დეპარტამენტი არსებობდა ავტ.): პოლიციის დეპარტამენტი (საპატრულო და კრიმინალური პოლიცია) და საზღვრის დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. რაც შეეხება უშიშროების სამსახურებს, ისინი შსს-ს სისტემას საერთოდ უნდა გამოეყონ.

**ვახტანგ ხმალაძე, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე:**

- საზღვარგარეთ შინაგან საქმეთა მინისტრი არ არის პოლიციის მინისტრი. პოლიცია არის სტრუქტურული ერთეული შინაგან საქმეთა სამინისტროში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი საქმიანობა იქ არის სამოქალაქო საქმიანობა. ჩვენთან, დღემდე, შინაგან საქმეთა მინისტრი არის პოლიციის და უშიშროების მინისტრი. სხვა არანაირი ფუნქციები ამ სამინისტროს არ აქვს. ეს უნდა შეიცვალოს.

**- თქვენ მხარს უჭერთ შინაგან ნება?**

- ჩვენ ეს წინასაარჩევნო პროგრამაშიც გვიწერია და ამას გავაკეთებთ.

**- იცნობთ სამინისტროს პოზიციას?**

- სამინისტროს პოზიცია არც მაინტერესებს. ჩვენ ვთქვით, რომ ეს უნდა გავაკეთოთ და ამას აუცილებლად გავაკეთებთ. ეს სჭირდება უსაფრთხოებას. საერთოდ, რატომ ვსვამთ საკითხს ასე – რა პოზიცია აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს? ის არის ერთ-ერთი სამინისტრო, სხვა ბევრ სამინისტროებთან ერთად და ამას გადაწყვეტს პარლამენტი.

## მანანა კობახიძე: „ამ ვითარებაში სტრუქტურის გაყოფა მიზანშეწონილი არ არის“



**საქმეთა სამინისტროს დაშლას?**

- აუცილებლად. მე ვფიქრობ, რომ კონსტიტუციის ახალ რედაქციაში აუცილებლად უნდა იყოს ჩანაწერი, რომ ცალ-ცალკე იყოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროება.

**- იცით შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია, არ ფიქრობთ, რომ ღარიბაშვილის უწყება წინააღმდეგი იქ-**

მართალია, ვახტანგ ხმალაძეს სამინისტროს პოზიცია არ აინტერესებს, თუმცა ღარიბაშვილის უწყების მოსაზრებით ჩვენ მაინც დავინტერესდით. მინისტრის მოადგილე ლევან იზორია მცირე კომენტარით შემოიფარგლა, თუმცა დაგვიდასტურა, რომ ის ამ ცვლილების წინააღმდეგი გახლავთ.

„მე არ ვიცნობ ამ პროექტს. რა თქმა უნდა, ასეთი წინადადების წინააღმდეგი ვარ. ჯერჯერობით სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ ლევან იზორიამ.

ამ ეტაპზე შსს-ს დაყოფას მიზანშეუწონლად მიიჩნევს თავად ბიძინა ივანიშვილის პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოც“. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ამბობს, რომ ამ თემაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

**მანანა კობახიძე, საპარლამენტო უმრავლესობა:**

„ზოგადად, სამომავლოდ ეს შეიძლება იყოს განხილული, მაგრამ, როდესაც ფაქტობრივად ჯერ კიდევ გარდამავალ ეტაპზე ვართ, რადგან ხელისუფლება სულ ახლახან გადმოვიბარეთ, ამ ცვლილების გატარება არამართებულად მიმაჩნია. ამ ვითარებაში, როდესაც დაგეგმილია მთელი რიგი რეფორმებისა, რაც დაკავშირებულია ადამიანურ რესურსებთან, დროსთან, ეს ცოტა ნაჩქარევი იქნება. ჩვენ, ამ ეტაპზე, ჯერ ვებრძვით წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით გადმოსულ სისტემურ პრობლემებს შსს უწყებაში. ამიტომ ამ ვითარებაში სტრუქტურის გაყოფა მიზანშეწონილი არ არის. ეს ნაადრევია. საბოლოოდ შეიძლება აქეთკენ წავიდეთ, თუმცა ჯერჯერობით ამას გამოვრიცხავ“.

შსს-ს რეორგანიზაციის საკითხი „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაშიც გახლდათ შეტანილი, თუმცა როდის განხორციელდება პროგრამის ეს პუნქტი ჯერჯერობით ისეთივე ბუნდოვანია, როგორც „რესპუბლიკური პარტიის“ ბედი კოალიციაში.

## ვახტანგ ხმალაძე: „სამინისტროს პოზიცია არც მაინტერესებს. ჩვენ ვთქვით, რომ ეს უნდა გავაკეთოთ და ამას აუცილებლად გავაკეთებთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „2014 წლის პირველი იანვ
# აღარ ექნება უფლება, ი

ქეთი ხატიაშვილი

ახალი ხელისუფლება საპრეზიდენტო არჩევნებამდე კიდევ ერთხელ ცვლის კონსტიტუციას. პირველად მიხეილ სააკაშვილს შეუკვეცეს უფლებები, ახლა სხვა სახის ჩასწორებებს აკეთებენ. თუმცა, ეს კიდევ არ არის ყველაფერი. მომავალ წელს გაცილებით სერიოზული და მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება, მათ შორის პრემიერისთვის უფლებების შეკვეცის კუთხით.

ერთ-ერთი ცვლილება ორმაგ მოქალაქეობას ეხება.

ბიძინა ივანიშვილი, დღევანდელი მონაცემებით, მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეა. ანუ ის არ სარგებლობს ორმაგი მოქალაქეობის უფლებით. შესატანი ცვლილებების მიხედვით კი, 2014 წლის პირველი იანვრიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეს ავტომატურად აეკრძალება ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტობა ან პრემიერობა. შესაბამისად, ივანიშვილს პრემიერობის ვადა ზუსტად ექვს თვეში ეწურება.

ცვლილება ეხება კონსტიტუციის იმ მუხლსაც, რომელიც განსაზღვრავს, როდის და რა შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს ახალი კონსტიტუციური ნორმები. მოქმედმა ნორმამ გარკვეული დებატები გამოიწვია. ითქვა, რომ სააკაშვილს საკუთარი გადადგომით შეუძლია, შეაფერხოს საპარლამენტო მოდელზე გადასვლა.

**საკონსტიტუციო ცვლილებებზე „პრაიმტაიმი“ „რესპუბლიკური პარტიისა“ და „ქართული ოცნების“ კოალიციის ერთ-ერთ ლიდერს ვახტანგ ხმალაძეს ესაუბრა:**

– ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება, ოღონდ მხოლოდ ოქტომბერში. სხვა შემთხვევაში ეს ცვლილებები არასოდეს შევა კონსტიტუციაში. ასეთია ჩანაწერი. პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის სამი გზა არსებობს: თავად გადადგეს, მოხდეს მისი გადაყენება და გარდაცვალება. ნებისმიერი მიზეზით, თუ უფლებამოსილება ვადამდე ადრე შეუწყდება, ცვლილებები არ ამოქმედდება, რადგან ეს არ იქნება მორიგი არჩევნები. ეს შესწორება 2010 წელს მიიღეს.

**– შეგნებულად ჩაიდო ასეთი დეტალური ჩანაწერი?**

– არ ვიცი, არ მაქვს ამაზე პასუხი. ამ ჩანაწერს ახლა ვასწორებთ, კონსტიტუციიდან ორ სიტყვას ამოვიღებთ: მორიგი და ოქტომბერი. ანუ ფორმულირება იქნება შემდეგნაირად: ცვლილებები ამოქმედდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების შემდეგ.

**– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ მოუწოდა სააკაშვილს, გადამდგარიყო, გამოდის, რომ ეს მომგებიანი არ იქნებოდა...**

– ყველაფერს აქვს რამდენიმე მხარე. თუ სააკაშვილი გადადგებოდა, მაშინ ორმოცდახუთ დღეში უნდა გამართულიყო არჩევნები და ასეთ შემთხვევაში ახალი პრეზიდენტიც ისეთივე ძლიერი უფლებების მატარებელი იქნებოდა, როგორც სააკაშვილი. განსხვავება ის იქნებოდა, რომ ახალი არჩეული პრეზიდენტი პიროვნულად არ იქნებოდა სააკაშვილისნაირი ტიპაჟი და ის მთავრობასთან ერთად შეცვლიდა არსებულ კონსტიტუციას და საკუთარი ნებით დაკარგავდა იმ უფლებამოსილებებს, რაც დღეს აქვს. ახლაც რომ ვერ მოესწროს ამ ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში, ვერ ვხედავ იმის საფრთხეს, რომ მომდევნო პრეზიდენტი ბოროტად გამოიყენებს ამ უფლებებს. თუმცა, ბუნებრივია, რისკი მაინც არ უნდა დარჩეს, იმიტომ რომ ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული პრეზიდენტის პოსტზე დანიშნული პიროვნების სიბრძნესა და გონივრულობაზე... სამწუხაროდ, პრაქტიკა ისეთია, რომ უმეტეს შემთხვევებში პირი, რომელიც გარკვეულ ძალაუფლებას იღებს, ჯდება სავარძელში, იცვლება ხოლმე, თანაც არცთუ ისე სასიკეთო მიმართულებით. ამიტომ საჭიროა, თავად კანონი არ უშვებდეს ასეთ შესაძლებლობებს. გვინდა, რომ თავი დავიზღვიოთ შესაძლო მოულოდნელობებისგან.

**– პრემიერ-მინისტრის უფლებების შეზღუდვაც ამიტომ ხდება?**

– პრემიერის უფლებების შეზღუდვა აუცილებელია.

**– რა უფლებები ეზღუდება?**

– დღეს პრემიერს აქვს უფლება და შესაძლებლობა, ხელები გადაუგრიხოს პარლამენტს. პარლამენტს აქვს ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია: საკანონმდებლო ფუნქციონირება და მთავრობის კონტროლი. იმ ნორმით, რომლის გაუქმებაც გვინდა, პრემიერს ეძლევა საშუალება, აიძულოს პარლამენტი, მიიღოს ისეთი კანონი, რომლის მიღებაც თავად პარლამენტს არ სურს, მაგრამ სურს მთავრობას. იძულება განხორციელდება შემდეგნაირად: მთავრობა წარადგენს პარლამენტში კანონს, თუ პარლამენტი არ მიიღებს კანონს, ეს იმას ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანომ დაიწყო მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა. ანუ კანონის მიღებაზე უარის თქმა ავტომატურად ნიშნავს მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებას. ამის შემდეგ პარლამენტს ერთი გზა რჩება – უნდობლობის პროცესი უნდა მიიყვანოს ბოლომდე, ანუ გადააყენოს მთავრობა და შექმნას ახალი სამთავრობო გუნდი. თუ ასე ვერ მოიქცევა, მაშინ კანონი ავტომატურ რეჟიმში ჩაითვლება მიღებულად და თან პრეზიდენტს უფლება ექნება, პარლამენტი დაითხოვს.



## „სამწუხაროდ, პრაქტიკა ისეთია, რომ უმეტეს შემთხვევებში პირი, რომელიც გარკვეულ ძალაუფლებას იღებს, ჯდება სავარძელში, იცვლება ხოლმე, თანაც არცთუ ისე სასიკეთო მიმართულებით“

## „თუ უშვებ, რომ პარლამენტის წევრი შეიძლება იყოს ორმაგი მოქალაქე, მაშინ უნდა დაუშვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეც შეიძლება იყოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# …რიდან ბიძინა ივანიშვილს …ყოს პრემიერ-მინისტრი“

# EXCLUSIVE

**„ბიძინა ივანიშვილი დღეს არის საფრანგეთის მოქალაქე, მას არ აქვს ორმაგი მოქალაქეობა“**

**– უნდობლობა რომ გამოუცხადოს და გადააყენოს, ამისთვის რა რაოდენობა სჭირდება?**

– პარლამენტმა უნდა შექმნას ახალი მთავრობა, ოღონდ სამი მეხუთედი უმრავლესობით, ანუ 60%-იანი უმრავლესობით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს პარლამენტი, თავისი გაიტანოს. თუმცა დღესაც კი „ქართულ ოცნებას“ არ აქვს 60%-იანი უმრავლესობა, ანუ 90 კაცი. დღეს უმრავლესობას ჰყავს 86 დეპუტატი. ასეთი უმრავლესობის შექმნა თითქმის წარმოუდგენელია. მით უფრო, ასეთი უმრავლესობა კოალიციური სახისაა ხოლმე და ბუნებრივია, ახალი მთავრობის დაკომპლექტება და მასზე შეჯერება, პრინციპში, წარმოუდგენელიც კი იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი დაპირისპირება მთავრობის გამარჯვებით დასრულდება. ის სასურველ კანონსაც გაიტანს პარლამენტის ნების საწინააღმდეგოდ და თუ პარლამენტი შეეწინააღმდეგება, მაშინ მისი დათხოვნის საშუალებაც მიეცემა. სწორედ ამ ნორმის ამოღებას ვცდილობთ. ასევე, უქმდება პრემიერის უფლება, რომ შეცვალოს მინისტრები პარლამენტის დაუკითხავად. გარკვეულწილად სწორდება ბალანსი პარლამენტსა და მთავრობას შორის. მთავრობა არ შეიძლება იყოს უკონტროლო.

**– ყოველთვის მიდიოდა ბრძოლა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის, რა გარანტიები არსებობს ახლა, რომ პარლამენტის ძალაუფლება რეალური იქნება?**

– ყველა ქვეყანაში ყოველთვის იყო და იქნება გარკვეული წინააღმდეგობები პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის. ძალაუფლება უნდა ჰქონდეს ორივე ხელისუფლებას, ოღონდ თავის სფეროში. მცდელობა, რომ პარლამენტის წევრები შეიჭრნენ აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებში და რაღაცები უკარნახონ, ყოფილა და, ალბათ, მომავალშიც იქნება. ასევე, იქნება პირიქითაც... აღმასრულებელი ხელისუფლებაც ყოველთვის ეცდება, შეიჭრას პარლამენტის უფლებებში. ოპოზიციური დამოკიდებულება მთავრობასა და პარლამენტს შორის ყოველთვის იქნება, რადგან პარლამენტი არის ის, ვისი წევრებიც თამაშობენ აუცილებლობასა და საზოგადოების მოთხოვნილებებს შორის. პარლამენტს ირჩევს საზოგადოება, ამიტომ პარლამენტის წევრმა ორი თვალი თუ არა, ცალი თვალი მაინც უნდა ადევნოს საზოგადოების განწყობას, რადგან, თუ ის ამომრჩევლის ნების საწინააღმდეგოდ წავიდა, მომავალ არჩევნებზე ველარ გახდება დეპუტატი. თუმცა არის მომენტები, როცა საზოგადოების გარკვეული სურვილი არ ან ვერ სრულდება. სწორედ ამ ზღვარზე უწევთ სიარული პარლამენტის წევრებს. მთავრობა უფრო მიმდინარე ამოცანებზე ზრუნავს, პარლამენტმა ამ ამოცანებზეც უნდა იზრუნოს და მომავალზეც.

**„ძალაუფლება უნდა ჰქონდეს ორივე ხელისუფლებას, ოღონდ თავის სფეროში“**

**– ფარული ჩანაწერების განადგურება გარკვეული პერიოდით იმიტომ ხომ არ გადაიდო, რომ შსს-ს კონტროლი სჭირდებოდა...**

– არც ერთ ეტაპზე არ გადადებულა მათი განადგურების გადაწყვეტილება. უბრალოდ, იყო დავა, უნდა მომხდარიყო თუ არა მათი შენახვა მტკიცებულებად. უნდა დადგინდეს, ვინ იძლეოდა ამ განკარგულებას, რამდენად სწორად და კანონიერად იძლეოდა ის ვიღაცა ასეთ განკარგულებებს, რა კეთდებოდა სასამართლოს გვერდის ავლით, ან თუნდაც რატომ არ ნადგურდებოდა ის ნაწილი, რაც კავშირში არ იყო დანაშაულთან, ან ვის უნდა გაეცა განადგურების ბრძანება და არ ასრულებდა თავის მოვალეობას... კითხვა უამრავია. ეს ყველაფერი უნდა განისაზღვროს. გამოძიებისთვის საკმარისი იქნება, რომ შეინახონ ორი-სამი ფაქტი და დანარჩენი უნდა განადგურდეს... მაგალითად, ლაშა ტუღუშმა განაცხადა, რომ ყველა ჩანაწერი, რაც მასთან დაკავშირებით არსებობს, შეინახონ. ასევე, მეც თანახმა ვარ, რომ შეინახონ ის ნაწილი, რაც მე მეხება. კიდევ ერთი-ორი ადამიანი რომ მოიძებნოს ასეთი, საკმარისი იქნება გამოძიებისთვის. ის, რომ ასეთი ჩანაწერები არსებობს, ფაქტია და ამას ყველა ვაღიარებთ. ეს არ არის მარტო სექსუალური შინაარსის. თანაც არც ყველა სექსუალური შინაარსის მასალა არის მაკომპრომეტირებელი. მაგალითად, თუ მეუღლეების სექსუალური აქტია ასახული, ეს არ არის მაკომპრომეტირებელი, მაგრამ არის ამაზრზენი. დანაშაულის გამოსაძიებლად მტკიცებულება გვჭირდება და თანაც მოსმენებს მარტო შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აწარმოებდა. ამით დაკავებული იყო ფინანსთა სამინისტრო, პროკურატურა, თავდაცვის სამინისტრო... თავად განმკარგულებლები სხვადასხვა სამინისტროები იყო. შესაბამისად, მათი ინტერესის სფეროებიც განსხვავდებოდა და ჩანაწერებიდან ის მინიმალური რაოდენობა უნდა იქნას შენახული, რომელიც საკმარისი იქნება დანაშაულის სქემის გამოსავლენად. დანარჩენი ყველაფერი უნდა განადგურდეს.

**„პრემიერის უფლებების შეზღუდვა აუცილებელია“**



**– პრემიერის მოქალაქეობას მინდა შევეხო, რატომ გახდა საჭირო ჩანაწერის გაკეთება ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით?**

– ბიძინა ივანიშვილი დღეს არის საფრანგეთის მოქალაქე, მას არ აქვს ორმაგი მოქალაქეობა. რაც შეეხება მოქალაქეობის ჩანაწერს, ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის ნებისმიერი წევრი თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ, ისევე როგორც სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები. ესენი არიან: პრეზიდენტი, ყველა მინისტრი, მათი მოადგილეები, პარლამენტის წევრები. მათთვის ცენზი უნდა იყოს ერთნაირი. თუ სხვადასხვა დეპუტატისთვის, ვთქვათ, მოქალაქეობის კუთხით განსხვავებული ცენზი იქნება, ეს უკვე არასწორია. პარლამენტის თავმჯდომარეს, მიუხედავად თავისი რანგისა, არანაირი განსაკუთრებული უფლებამოსილება არ აქვს.

**– უშიშროების საბჭოში მონაწილეობს...**

– უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს, ასევე, თავდაცვის მინისტრი თანამდებობით არის უშიშროების საბჭოს წევრი, ისევე, როგორც შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები. მათთვის ორმაგი მოქალაქეობა დაშვებულია. ან ყველასთვის უნდა იყოს აკრძალული სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ან ყველასთვის უნდა იყოს დაშვებული ორმაგი მოქალაქეობა. თავის დროზე, როცა ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ჩანაწერი გააკეთეს, მე ვთქვი, რომ არ იყო სწორი. ორმაგ მოქალაქეობას ანიჭებენ საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, ან სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ინტერესები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ასეთი პირი, ვფიქრობ, სახელმწიფოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. თუ ასეა, რატომ უნდა შეეზღუდოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს პოლიტიკაში მოღვაწეობა? თუ ვინმე მიიჩნევს, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პიროვნების პოლიტიკაში ყოფნა რაიმე საფრთხის შემცველია, მაშინ მას ყველანაირ თანამდებობაზე ყოფნა უნდა აეკრძალოს. მაშინ მას პარლამენტის წევრობაც უნდა აეკრძალოს, მინისტრობაც და ყველაფერი...

თუ უშვებ, რომ პარლამენტის წევრი შეიძლება იყოს ორმაგი მოქალაქე, მაშინ უნდა დაუშვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეც შეიძლება იყოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე. დღეს მხოლოდ პარლამენტის წევრს შეუძლია, ჰქონდეს ეს პრივილეგია და პარლამენტის თავმჯდომარე ვერ გახდება, თუ ის ორმაგი მოქალაქეობის მქონეა. როცა პირველ კონსტიტუციაზე ვმუშაობდით, მაშინ საერთოდ იკრძალებოდა ორმაგი მოქალაქეობა.

**– მაშინ რა პრინციპით მოხდა ორმაგი მოქალაქეობის აკრძალვა?**

– ეს საკითხი პირველად მოქალაქის შესახებ ორგანულ კანონში აისახა 1993 წელს, მაშინ ომის პერიოდი იყო და მოტივი გახლდათ ის, რომ მოქალაქეობის საკითხიც კი გაურკვეველი იყო. რაც შეეხება საფრთხეს, პირველ რიგში, მეზობელი ქვეყნებიდან მოდიოდა.

**– რუსეთიდან?**

– რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი...

**– ახლა რუსეთის პრობლემა მოიხსნა?**

– ეს პრობლემა ახლა გაცილებით დაბალია, ვიდრე 1993 წელს იყო.

**– ასეთი განცხადების გაკეთება დღეს, როცა რუსეთის პრეზიდენტი პუტინია, უცნაური არ არის?**

**„ან ყველასთვის უნდა იყოს აკრძალული სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ან ყველასთვის უნდა იყოს დაშვებული ორმაგი მოქალაქეობა“**

– პუტინი რა შუაშია? მე ვამბობ, სახელმწიფო დღეს მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულია, ძლიერია, ის ადამიანები, ვისაც წასვლა უნდოდათ, წავიდნენ. გარდა ამისა, 2014 წლის იანვრიდან გაუქმდება ის არანორმალური მუხლი, რომლის თანახმადაც, ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეს უფლება ეძლევა, მონაწილეობა მიიღოს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში. ანუ ადამიანს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა არ ექნება, ვერ მიიღებს საქართველოს არჩევნებში მონაწილეობას. ახლა 2013 წლის არჩევნებზე ევროკავშირის ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს ეძლევა უფლება, მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში და თუ მას მხარს დაუჭერს მოსახლეობა, გაიმარჯვოს კიდეც. ეს ნორმალურია?

**– გეთანხმებით და რატომ არ იღებს საქართველოს მოქალაქეობას ბიძინა ივანიშვილი?**

– ეს ჰკითხეთ ივანიშვილს. მე არ მიკითხავს და არ ვიცი პასუხი. მე ნუ მეკითხებით ამას.

**– როდესაც ეს მუხლი გაუქმდება, მაშინ ბიძინა ივანიშვილს პრემიერობის უფლება ავტომატურად გაუუქმდება, რადგან მას საქართველოს მოქალაქეობა არ აქვს?**

– 2014 წლის პირველი იანვრიდან, როცა გაუქმდება ჩანაწერი, რომ ევროკავშირის მოქალაქეს არ აქვს უფლება, იყოს ქვეყნის პრემიერი ან პრეზიდენტი, ბიძინა ივანიშვილს აღარ ექნება უფლება, იყოს პრემიერ-მინისტრი.

**– ანუ კანონგარეშე გამოცხადდება?**

– მას ავტომატურად შეუწყდება პრემიერობა, თუ მანამდე თავად არ გადადგა ამ პოსტიდან.

**– გამოდის, 2014 წლის იანვრამდე აქვს მას თანამდებობაზე დარჩენის ვადა?**

– დიახ, ასეა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალი რუსთა



## ნუკრი შათირიშვილი: „არანაირი გატაცების ფაქტი არ ყოფილა, რა თქმა უნდა. თავადვე გაიტაცეს თავიანთი ხალხი ნაციონალებმა“



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

რუსთავის საკრებულოში დაპირისპირება გრძელდება და ის, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მძიმე ხასიათს მიიღებს. „ოცნების“ წარმომადგენლები ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენებას ითხოვენ და მიზნის მისაღწევად რამდენიმე გზას განიხილავენ. ოპონენტების განცხადებით, რუსთავში არნახული ზეწოლაა და მუქარის განხორციელებაში უშუალოდ პოლიციისა და უშიშროების თანამშრომლები არიან ჩართული. დეპუტატ გიორგი ვაშაძის განცხადებით, საკრებულოს სამი წევრის გატაცებასაც ჰქონდა ადგილი, თუმცა, მისი ოპონენტები ამ ფაქტს არ ადასტურებენ.

დღესდღეობით რუსთავის საკრებულოში 24 წევრია. ოცკაციანი ფრაქცია, ოქტომბრიდან მოყოლებული, თორმეტი წევრით შემცირდა და ნაციონალების ფრაქციაში დღეს მხოლოდ 8 დეპუტატია გაერთიანებული. მათგან ერთ-ერთია კახა გურგენიძე, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავმჯდომარის პოსტს. გურგენიძის გადაყენების მცდელობა უკვე ბევრჯერ იყო, თუმცა, „ოცნების“ წევრების განცხადებით, გურგენიძემ ზუსტად იგივე მეთოდით გაიხანგრძლივა პოსტი, როგორც ეს დედაქალაქის საკრებულოში მოხდა. უმრავლესობაში მყოფმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა რიგგარეშე სხდომა თავმჯდომარის გადაყენების საკითხით დანიშნეს, რომელიც მათივე სურვილით ჩავარდა, კვორუმის არარსებობის გამო. საკრებულოში ბოლო დაპირისპირებაც იგივე შინაარსის სხდომის დანიშვნას მოჰყვა.

**„ოცნებას“ თავმჯდომარის გადასაყენებლად უმრავლესობის თანხმობა სჭირდება. ბრძოლაც სწორედ ამ ხმებზე მიდის. თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტის, მამუკა აბულაძის განცხადებით, ზეწოლა საკრებულოს წევრებზე უკვე ღიად მიმდინარეობს.**

**მამუკა აბულაძე, თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი:**

– საკრებულოში მუდმივად მიმდინარეობდა შეკრებები საკრებულოს თავმჯდომარის გადასაყენებლად. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა ზეწოლა საკრებულოს წევრებზე



მამუკა აბულაძე

# EXCLUSIVE

და არაჯანსაღი ვითარებაა შექმნილი, რაც ხელს უშლის საკრებულოსა და მერიის მუშაობას. თავიდან იყო საუბარი, რომ ქალაქის მერის გადაყენება სურდათ, ახლა ჯერი, როგორც ჩანს, საკრებულოს თავმჯდომარეზე მიდგა. დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება, ჩვენ შევუწყვეთ ხელი და შევთავაზეთ სხდომის მოწვევა. განსაკუთრებული ზეწოლა საკრებულოს შვიდ წევრზე ხორციელდებოდა. მათთან გამუდმებით იყო საუბრები.

**– რა ტიპის ზეწოლა იყო?**

– მათთან სასაუბროდ მიდიოდნენ რუსთავის პოლიციის თანამშრომლები და განსაკუთრებით აქტიურობდნენ უშიშროების თანამშრომლები. იყო მოწოდება, რომ მხარი დაეჭირათ თავმჯდომარის გადაყენებისთვის. დასახელდა ოთხი წევრი, ვის დაჭერასაც აპირებდნენ, ასევე იყო მინიშნებები ოჯახის წევრებზე, რომ სამსახურებიდან გაუშვებდნენ. სხვათა შორის, ერთ-ერთი წევრის მეუღლე და შვილი მართლაც გაათავისუფლეს სამსახურიდან. მიუხედავად ასეთი ფაქტის დაფიქსირებისა, ამ ადამიანმა მოსაზრება მაინც არ შეიცვალა.

**– კონკრეტულად ვისგან იყო ზეწოლა, ან ვინ რეკავდა?**

– ჯაბა დუგლაძე. მარტივად შეიძლება გაირკვეს და დადასტურდეს ამ პიროვნებას რამდენჯერ და რა ნომრებზე აქვს განხორციელებული ზარები. ეს პიროვნება პერმანენტულად, ისტერიულად რეკავდა მთელი ღამის განმავლობაში. ჩვენ იძულებულები ვიყავით, ტელეფონები გამოგვერთო. რაც შეეხება გატაცების ფაქტს, მე და კიდევ ორი წევრი ერთად ვიყავით ანანურში, როცა ჩვენთან მყოფ იაგო გაბადაძეს მოაკითხეს და წაიყვანეს. არ ვიცოდით მისი ადგილ-სამყოფელი. ჩვენ კი საპატრულო პოლიცია დაგვყვებოდა, ორჯერ უმიზეზოდ გაგვაჩერეს და ცდილობდნენ, ნარკოლოგიურში გადავეყვანეთ. ორმა ადამიანმა ვერ გაუძლო ზეწოლას და „გატეხეს“.

**– სამართალდამცველებს მიმართეთ?**

– ჩვენ გავაკეთეთ საჯარო განცხადება და შესაბამისი უწყებები საქმის კურსში არიან. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ოპონენტები ავრცელებენ მოსაზრებას, თითქოს რუსთავში ცენტრალური ბიუჯეტიდან იმიტომ არ მოდის დაფინანსება, რომ საკრებულოს სათავეში ჯერ კიდევ ნაციონალები არიან. ჩვენ ვითხოვთ, შეწყდეს საკრებულოს შიდა საქმეებში უშიშროების სამსახურისა და პოლიციის თანამშრომლების ჩარევა.

ზაზა ასისტიშვილი ერთ-ერთია, ვისზეც ზეწოლა უშუალოდ განხორციელდა. საკრებულოს წევრის განცხადებით, მუქარას უშიშროების სამსახურის წევრები ახორციელებენ, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ თავმჯდომარის გადაყენების მხარდაჭერას. როგორც ამბობენ, მუქარა ხორციელდება სატელეფონო ზარებით და თანაც სისტემატურად. სწორედ ამიტომ საკრებულოს წევრები იძულებულები ხდებიან, პერიოდულად ტელეფონები საერთოდ გათიშონ...

**მამუკა აბულაძე: „ჩვენ ვითხოვთ, რომ შეწყდეს საკრებულოს შიდა საქმეებში უშიშროების სამსახურისა და პოლიციის თანამშრომლების ჩარევა“**

**ზაზა ასისტიშვილი, რუსთავის საკრებულოს წევრი:**

– შეხვედრა იყო უშიშროების თანამშრომელთან, სადაც იყო მუქარა. ამის შემდეგ გამოვრთე მობილი, რომ ყველაფერს გავრიდებოდი. პერიოდულად ვრთავდი მობილს, რომ შემოსული ზარები მენახა. მთელი ღამის განმავლობაში იყო ზარები. მეორე დილით მამაჩემს ოპერაციას ვუკეთებდი და არ მინდოდა, იმ დღეს მათი ზარებისთვის მეპასუხა.

**– რომ რეკავდნენ, რას გეუბნებოდნენ?**

– იყო მუქარა, რომ მხარი დამეჭირა საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტისთვის. რაც შეეხება გატაცებას, ჩემ მიმართ ასეთი რამ არ მომხდარა, თავად გავერიდე დაძაბულ სიტუაციას.

აბსოლუტურად საპირისპიროს ამტკიცებენ საკრებულოს დანარჩენი წევრები. ნუკრი შათირიშვილი საკრებულოში „ეროვნული საბჭოს“ სიით მოხვდა. თუმცა საბჭოდან ზურაბ ნოღაიდელის წასვლისა და ერთობის დაშლის შემდეგ ის დამოუკიდებელ წევრად დარჩა. შათირიშვილის მსგავსად, საკრებულოში კიდევ ერთი დამოუკიდებელი დეპუტატია, რომელიც „ოცნების“ წევრებთან თანამშრომლობს, მათ შორის „ოცნების“ ორგანიზაციის შექმნის საკითხზეც. რუსთავში „ქართულ ოცნებას“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის საკრებულოში

## ზაზა ასისტიშვილი: „შეხვედრა იყო უშიშროების თანამშრომელთან, სადაც იყო მუქარა“

ორგანიზაცია შიდა დაპირისპირების გამო არ აქვს.

ნუკრი შათირიშვილის განცხადებით, არანაირ ზეწოლას ნაციონალების მიმართულებით ადგილი არ ჰქონია, მით უფრო გატაცებას. საკრებულოს წევრი ირწმუნება, რომ კოლეგები ყოფილმა მმართველმა გუნდმა თავადვე გაიტაცეს, ოღონდ საქეიფოდ...

**ნუკრი შათირიშვილი, რუსთავის საკრებულოს წევრი:**




– თავად ნაციონალების წევრებმა გაუარეს თავის კოლეგებს, იაგო გაბადაძესა და მურვანიძეს და უთხრეს, დღეს სხდომაზე მისვლა არ არის საჭირო, უჩვენოდ მოაგვარებენ საკითხებს, ჩვენ მივდივართ საქეიფოდო. თქვენ იცით, რომ ქართველი კაცები არ არიან ქეიფთან გულმწყრალად და ესენიც გაჰყვნენ.

**– ვინ წაიყვანა?**

– კონკრეტულ გვარებს ვერ გეტყვით, თავისივე გუნდის წევრებმა წაიყვანეს. დილით სახლებშივე გაუარეს. ამის მოგვარება მათთვის ძალიან მარტივი იყო, რადგან რუსთავის საკრებულოში და მერიაში ჯერ კიდევ ნაციონალები მუშაობენ. რუსთავში „ნაციონალური მოძრაობა“ არ შეცვლილა. 500-კაციან კოლექტივში სხვა პარტიიდან, ნაციონალების გარდა, არავინ არ არის დასაქმებული.

**– ანუ თქვენ გატაცების ფაქტს უარყოფთ?**

– არანაირი გატაცების ფაქტი არ ყოფილა, რა თქმა უნდა. თავადვე გაიტაცეს თავიანთი ხალხი ნაციონალებმა.

**– თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ზეწოლა მიმდინარეობს თითოეულ წევრზე.**

– აგიხსნით სიტუაციას და თუ თქვენ ამას ზეწოლას დაარქმევთ, მაშინ გამოდის, მეც ვახდენ ზეწოლას კოლეგებზე. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ახალი რეალობაა და მე ჩემს კოლეგებს გამუდმებით ვესაუბრები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ინფრასტრუქტურული პროექტები. ჩვენ თავის დროზე გავაკეთეთ მოთხოვნა, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან მიგვეღო 10 მილიონ 350 ათასი ლარი. ეს არის გეგმაში ჩასმული სპეციალური ტრანსფერი, რომ მოხდეს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. თუმცა ამ თანხის დასამტკიცებლად საჭირო იყო დეტალური გაწერა, რისთვის უნდა გაეხარჯა ქალაქს ეს თანხა. „ნაციონალური მოძრაობა“ აქამდე პროექტებს არ აკეთებდა, მიჩვეულებიც არ იყვნენ თანხების გაწერას, დამტკიცება თვითნებურად ხდებოდა ხოლმე. სამი კვირის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ფინანსთა სამინისტროს არ მიაწოდა ეს დეტალები. მეოთხე კვირის განმავლობაში 62 მილიონი ლარის მოთხოვნა გაუგზავნეს, თუმცა ზუსტად იცოდნენ, რომ ამხელა ბიუჯეტს არ დაუმტკიცებდნენ.

**– რა იყო მიზეზი?**

– შეგნებულად გაწელეს დროც, შეგნებულად გაბერეს ეს თანხაც. მე ყველასთან ვთანამშრომლობ და ვცდილობ, ყველა დავარწმუნო, რომ ასეთ სისულელეებზე დროის დახარჯვა არ ღირს და სჯობია, რეალურად ვაკეთოთ საქმე. არ ვფიქრობ, რომ მსგავსი საუბრები ზეწოლაა. მე იმასაც ვთავაზობ ნაციონალების წევრებს, რომ, თუ მათზე თავისი ხელმძღვანელობის მხრიდან არის ზეწოლა, დატოვონ და გამოვიდნენ პარტიიდან.

**– თქვენ თავად რატომ არ წევრიანდებით „ოცნებაში“, არ ყოფილა მათი მხრიდან შემოთავაზება?**




– იცით, არის გარკვეული საუბრები, მაგრამ რუსთავში „ოცნების“ ორგანიზაცია ჯერ არ ჩამოყალიბებულა. აქ არიან ადამიანები, რომლებიც ვერ შეთანხმდნენ ერთმანეთში, გაუგებრობაა შიგნით. რაიონებში „ოცნების“ ბევრ ორგანიზაციაშია შიდა გაუგებრობები. იგივეა რუსთავშიც. თუმცა მე მაქვს „ოცნების“ წევრებთან კონსულტაციები.

**– თავმჯდომარის გადაყენების რა გზები გრჩებათ, თუ უნდა დაელოდოთ სამი თვის გასვლას?**

– არ ვაპირებთ, სამი თვე მოვიცადოთ, არ გავჩერდებით. ამ დღეებში ვაპირებთ შეკრებას და ვიმსჯელებთ. გიორგი ვაშაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ მიზანმიმართულად ეცადნენ თავმჯდომარისთვის კიდევ სამი თვე გაეხანგრძლივებინათ, ვადა კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ცდილობენ, ბიუჯეტი პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამოიყენონ. სწორედ ამის დამტკიცებას შევეცდებით და ასეთ შემთხვევაში ეს არის დასჯადი და თავმჯდომარის გადაყენებაც რეალური გახდება.


# -5% სამომხმარებლო სესხებზე თიბისი ბანკში!

**თიბისი ბანკი გთავაზობთ საუკეთესო პირობებს სამომხმარებლო სესხებზე!**

მათ, ვისაც აქვს სამომხმარებლო სესხი, განვადება, საკრედიტო ბარათი ან ოვერდრაფტი სხვა ბანკებში, ეძლევა შანსი, გააერთიანოს ყველა ეს სესხი და მიიღოს 5%-ით ნაკლები თიბისი ბანკში.

ეს არის უპრეცედენტო შესაძლებლობა, რომელიც დაზოგავს თქვენს დროს - გექნებათ მხოლოდ ერთი სესხი, გადახდის ერთი დღე და რაც მთავარია, არსებულ სესხზე 5%-ით ნაკლები საპროცენტო განაკვეთი.

გაითვალისწინეთ, თუ თქვენ თიბისი ბანკში გააერთიანებთ სესხებს, თქვენი ახალი სესხის საპროცენტო განაკვეთი იქნება 5%-ით ნაკლები, ვიდრე არის ახლა!

თუ თქვენ გაქვთ რამოდენიმე სესხი, 5% დააკლდება ყველაზე დიდი მოცულობის სესხის საპროცენტო განაკვეთს. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13%-ს.

Ⓐ





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მამუკა ყურაშვილი: „ყველა შეცდომ

## „პრაიმტაიმი“ აგვისტოს ომის გაუხმაურებელი დეტალებით

my View
თამარ გორთამაშვილი

**აგვისტოს ომიდან 5 წლის შემდეგ საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციების შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი მამუკა ყურაშვილი „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს და იმ საბედისწერო დარღვევებზე ესაუბრება, რომელიც, მისი აზრით, გამოძიებული და საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი უნდა იყოს.**

ვინ დაიწყო ომი, შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება, როგორ მოქმედებდა სამხედრო ხელმძღვანელობა, ვინ ერეოდა საბრძოლო ოპერაციებში, რატომ ჩამოაცილეს ყურაშვილი პროცესებს და ვინ არიან ის ფსევდოგმირები, რომლებმაც ომის შემდეგ უმაღლესი ჯილდო და პრემიები მიიღეს? – მამუკა ყურაშვილი გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებს.

**– რა შედეგს მოიტანს აგვისტოს ომის მოვლენების გამოძიება, რამდენად საფუძვლიანია კითხვა, ვინ დაიწყო ომი? და რა მთავარი კითხვებია, რაზეც საზოგადოებამ პასუხი უნდა იცოდეს, პირადად თქვენ, გენერალ ყურაშვილს, რაზე გსურთ პასუხის მიღება?**

– მე კითხვები იმდენად არ მაქვს, რამდენადაც ყველა ჯამბაზ ფსევდოგმირს სახეზე ვიცნობ. საზოგადოებას სჭირდება იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც არსებობს. რაც შეეხება ომის დაწყების თემას, ვფიქრობ, მას ამომწურავად აქვს პასუხი გაცემული, იმიტომ რომ თეორიულად ჩვენ თავს ვერ დავესხმოდით, 2008 წლის 7 აგვისტოს მდგომარეობით ეს არის საქართველოს ტერიტორია. აქედან გამომდინარე, რის მომტანია გამოძიება და რას ველოდები მე, გენერალი ყურაშვილი, გეტყვით, რომ ჩემთვის პასუხგასაცემია კითხვა: რატომ წარმოიშვა ამდენი ფსევდოგმირი? ეს სჭირდება ქართულ ჯარს, სჭირდება პასუხი – ვინ როგორ მოქმედებდა, რა დინამიკა იყო.

**– ფსევდოგმირებში ვის გულისხმობთ?**

– ფსევდოგმირებში არის კატეგორია ოფიცრების, რომლებსაც ყველანაირი დასაბუთების გარეშე აქვთ მიღებული ჩინ-მედლები. მე ძიებას წინ აღარ გავასწრებ, არ იქნება ჩემი მხრიდან სწორი, მე მგონია, რომ მთელი პეწი ამ ძიებისა იქნება ის, რომ დადგინდეს, ვინ ვინ არის. ვთქვათ, საქართველოზე აგრესიის ერთ-ერთი მოტივაცია არის ის, რომ ქართულმა ჯარმა დახოცა 2000 მშვიდობიანი მოსახლე, სად არის ეს 2000 კაცი დასაფლავებული? ამ კითხვაზე პასუხი არა მარტო აგრესორმა, რუსეთმა უნდა გასცეს, არამედ იმანაც, ვისაც ეს მედლები აქვს დაკიდებული ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და იმანაც, ვინც ეს ჩინ-მედლები გასცა. ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ ზიანი არ მიადგეს ქვეყანას. მე თუ ჩუმად ვარ მანამ, სანამ ძიება არ დამთავრდება, ეს ისევ და ისევ სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარეა. ამ ყველაფერზე უნდა წავიდეს მსვლელობა, ვინ რა ინტერესში იყო, ვინ რა მიზანს ემსახურებოდა, რამ არია ვითარება და რამ გამოიწვია მსხვერპლი. ჩვენ ვიცით, რომ ყველა შეცდომას აქვს თავისი სახელი და გვარი. მე ძიების ლოგიკას ამაში ვხედავ და არა იმაში, ვინ დაიწყო ომი – ქართული მხარე არ შესულა რუსეთის ტერიტორიაზე.

**– თქვენ ხომ გქონდათ მოქმედების ტაქტიკა დასახული? ამასთან დაკავშირებითაც დაისვა კითხვები...**

– რა თქმა უნდა, მქონდა ტაქტიკა იმ კონტექსტში, რასაც ერქვა სამშვიდობო კონტინგენტი. სწავლებაც მქონდა ჩატარებული, პირველად 17 წლის განმავლობაში. კონფლიქტის ზონაში იყო პოლიგონები, სადაც ემზადებოდა რუსული ბატალიონი, იყო პოლიგონი, სადაც ემზადებოდნენ ოსური ე.წ. სამშვიდობოები. ქართულ ბატალიონს ასეთი პოლიგონი არ ჰქონდა. ჩვენ გვქონდა გორის რაიონში, კონფლიქტის ზონაში არ გვქონია, მაგრამ ისე იყო განლაგებული, რომ მაქსიმალურად მიახლოებული ყოფილიყო, რათა სრულყოფილად შეგვძლებოდა იგივე მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენა. როცა მშვიდობიან მოსახლეობაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ ქართველსაც და ოსსაც, ვინც იქ ცხოვრობდა. კონფლიქტის ზონა მარტო კონფლიქტის ზონა არ იყო. ის იყოფოდა პასუხისმგებლობის ზონებად, იყო ქართული, რუსული და ოსური პასუხისმგებლობის ზონები. მინდა ვისარგებლო მომენტით და აღვნიშნო ადგილობრივი მოსახლეობის მოქმედება. ეს უბრალო მოქალაქეები არ არიან, სამივე ხეობის მაცხოვრებლებს ვუხდი მადლობას, ეს არის ხალხი გამორჩეული პატრიოტიზმითა და სიყვარულით საქართველოს მიმართ. არის უამრავი ფაქტი (რა თქმა უნდა, ძიება დაადგენს ამას), როგორ იქცეოდა მოსახლეობა, როგორ ამოჰქონდათ ჯარისთვის წყალი, როცა საკუთარი ოჯახების ევაკუაცია არ ჰქონდათ დაწყებული და არ ჰყავდათ ოჯახები გაყვანილი. ადამიანებს, რომლებსაც 18-წლიანი ომი ჰქონდათ გადატანილი, ფეხი არ მოუცვლიათ. ქართულ სახელმწიფოს როგორც ეკადრება, ისე იქცეოდნენ. ეს მადლიერება მინდა დავაფასო. თქვენმა გაზეთმა უდიდესი როლი ითამაშა დაღუპული ბიჭების ხსოვნის უკვდავყოფაში. როცა გაჟღერდა აზრი და დავინახე შედეგი, გმირობის ფაქტებზე გამოცემულიყო წიგნი, რაც „პრაიმტაიმმა“ გააკეთა, ეს არის იმ ბიჭების დიდი პატივი და მომავალი სამხედროებისთვის შინაარსობრივად დიდი დატვირთვა აქვს, რომ მათი გმირობა არ დაიკარგება.

სამწუხარო ის არის რომ, ცოცხლებს უფრო მეტი ორდენი აქვთ მიღებული, გაპიარებულიც არიან, ვიდრე დაღუპულები. განსაკუთრებით გამოვყოფდი რომელაშვილებს, ყველა გმირია. თვითონ სატანკო ბატალიონის მოქმედებაა უაღრესად მნიშვნელოვანი. ახლა მუსირებს თემა, რომ ქართველების მხრიდან უამრავი ტექნიკაა დაკარგული. ეს სატანკო ბატალიონს არ ეხება, ჩვენ ხომ ცხინვალში ტანკი და ტექნიკა არ დაგვიკარგავს... თუმცა სხვაგან იყო ასეთი შემთხვევები... ვინ მიატოვა და რატომ მიატოვა, რამ განაპირობა, შეგნებულად მიატოვეს, განსაკუთრებულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ თუ რა მოხდა? – ეს უნდა გაირკვეს. ჩვენ კვლავაც სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ. ეს ყველაფერი ხომ მართლა 7 აგვისტოს არ დაწყებულა, როგორც ამბობენ... ეს არის 20-წლიანი პროცესი. გამოძიების შედეგი, სამხედრო კუთხით, დადებითი იქნება სამხედროებთან მიმართებაში, რაც, საერთო ჯამში, დიდ შედეგს მოუტანს ქვეყანას. რომელაშვილს მიღებული აქვს გორგასლის ორდენი. არ მახსოვს, წმ. გიორგის ორდენი დაღუპულისთვის მიენიჭებინოთ... მე მაგალითად, არც ერთისთვის არ დავიშურებდი ბრწყინვალების ორდენს. სხვათა შორის, მე აგვისტოს ომში მონაწილეობისთვის არანაირი ჯილდო და ორდენი არ მიმიღია. არის უამრავი გმირობა, რასაც გამოძიება კიდევ იტყვის. იყო თუ არა ლოიალობა გარკვეული პირების მხრიდან, ნამდვილი გმირები უნდა გაწეულიყვნენ თუ არა ჩრდილში?! სჯეროდა ვინმეს მართლა, რომ 2 000 კაცი არის დაღუპული? ამდენი რომ ყოფილიყო დაღუპული, არ დაასაფლავებდნენ, დაყრიდნენ და იტყოდნენ: აი, რა ქნეს ქართველებმაო. ფაქტი სად არის?.. როტაციები ხდებოდა ყოველ 6 თვეში, ჩვენ ყოველ 3 თვეში გვქონდა, რადგან სამშვიდობო მისიებში ვმონაწილეობდით (არც ისეთი მრავალრიცხოვანია ქართული ჯარი). ოსური ბატალიონი იყო დაკომპლექტებული ცხინვალიდან და ამით საბუთდება, რომ საერთოდ როტაცია არ სრულდებოდა. და შედეგად რას ვიღებდით? ხელშეკრულებაში ეწერა, რომ პირს, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული 1992-93 წლებში საომარ მოქმედებებში, ეკრძალებოდა სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა. შედეგად ვიღებდით იმას, რომ ოსური ბატალიონი დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი ცხინვალელებით. შედეგად ვიღებდით, რომ დილით გვყავდა სამშვიდობოები და საღამოს ქალაქის დამცველები. ეს დარღვევაა. ყველაზე დიდი დასკვნაა, რასაც მე თვითონ ვხედავ, ამას დიდი სამხედრო განათლებაც არ დასჭირდება... ზაფხულის პერიოდი არც ისეთი სახარბიელოა სამხედრო მოქმედებებისთვის, რაც შეიძლება უპირატესობას აძლევდეს ქართულ მხარეს. ბევრად უპრიანია, ზამთარში აწარმოო სამხედრო მოქმედებები, როცა ბუნებრივად იკეტება გზები და მოსალოდნელია, ზვავი ჩამოწვეს, რომელმაც შეიძლება შენი საქმე გააკეთოს, ამიტომ ნიუანსებზე ნიშნის მოგებით იყო საუბარი. საერთოდ, სამხედროები არ უნდა ერეოდნენ პოლიტიკაში, მაგრამ ბევრ უსამართლობას რომ იგებ, ვეღარ ითმენ ადამიანი. ბევრჯერ სასიამოვნოა ტყუილის მოსმენა, განსაკუთრებით როცა სიმართლე იცი. ბევრი მიება გარკვეულ დინებას, ბევრს საერთოდ წარმოდგენა არ აქვს და გორში ყოფნას ცხინვალში ყოფნას ეძახის, არადა გორი გორია, ცხინვალი – ცხინვალი.

**– სამოქალაქო პირები თუ ერეოდნენ საბრძოლო ოპერაციაში და რა დააზარალა ამან?**

– დააზარალა იმდენად, რამდენადაც თვითონ მოსახლეობაშია მაღალი მსხვერპლი. ამას უკვე გენშტაბი განაგებს. ჩემი როლი ძალიან დაბალი იყო, ეს არის სამშვიდობო ოპერაციების შტაბი. თქვენ ხედავთ ახლა სახლებია აშენებული ლტოლვილებისთვის, მანამდე ეს ადამიანები სად იყვნენ? ესენი ცხოვრობდნენ კონფლიქტის ზონაში. უფრო მეტიც, დიდი ლიახვის ხეობაში, ცხინვალს უნდა გასცდენოდი, რომ იქ ჩასულიყავი, ან იყო მეორე, შემოვლითი გზა – წვერიახო, საიდანაც გამოვიდა 8200 კაცი. ეს ზუსტად იმ გეგმის ნაწილია, რაც შეთამაშებული იყო სამშვიდობოებთან, იმ ბატალიონთან, რომელსაც მსახური მოუწია. ეს გეგმები წამებში არ არის დაწერილი, ჩანაფიქრისა და გადაწყვეტილების რუკაა.

**– გადაწყვეტილებები ადგილზე მიიღებოდა, წინასწარ დაგეგმვის გარეშე?**

– ეს კითხვები უნდა იყოს გენშტაბთან. გენშტაბი უყურებს არა მარტო შიდა ქართლს, არამედ დასავლეთსაც და თუ აუცილებელი იქნება და მოწინააღმდეგე კიდევ მესამე ფრონტს გაგიხსნის, მესამესაც უნდა უყურო. ამ ყველაფერს ოპერატიულ-სტრატეგიული მართვის რგოლი კურირებს, სადაც გარკვეული თანამდებობის პირები შედიან, უშუალოდ ვინც იღებს გადაწყვეტილებებს. თემასთან დაკავშირებით ჩემგან არ იქნება სწორი, რომ ძიებას გავასწრო და რაღაცების მტკიცება დავიწყო. ჩარევა იყო, რა თქმა უნდა. გახსოვთ კორიდორზე იყო საუბარი. ეს შეიძლება გამოაცხადოს გენშტაბის ან ოპერატიულის ხელმძღვანელმა, ან თვითონ სპეცსამსახური შეიქმნას და ის იყოს სამხედრო თემაზე გადაწყვეტილების მიღების გამმჟღავნებელი. სამოქალაქო პირების ჩართვა, საკუთარი თავის აფიშირება ჟურნალისტების მეშვეობით, ფსევდოგმირობებზე ყურადღების გამახვილებით, ეს არის გამოსაძიებელი და ძიება ამას გამოავლენს, ეს გვარები ამოვარდება... მთავარია, ქვეყნისა და ხალხის წინაშე იყო მართალი. პიარი მოკლე ტყუილს ჰგავს და, ადრე თუ გვიან, გამოაშკარავდება.

**– შესაძლებელი იყო თუ არა ამ აგრესიის თავიდან აცილება?**

– ამ აგრესიის აცილება შესაძლებელი იყო მანამ, სანამ რუსეთი დაიწყებდა წვრთნებს „კავკაზ – 2008“-ს. შემდეგ კი ეს უკვე შეუძლებელი გახდა. რა ჩანაფიქრიც ჰქონდა რუსეთს, განახორციელა. საბაბი არაფერი არ იყო, 2008 წელი, ომამდე პერიოდი ისე გავიდა, რომ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევა, ჩვენი მხრიდან არ მომხდარა, ამის ვერც ერთ პროტოკოლს ვერ დადებს რუსული მხარე. ჩვენი ინტერესი მშვიდობა იყო. ჩვენ ჩვენი პოტენციალიც ხომ ვიცით, რაც არ უნდა ძლიერი მეგობრები გვყავდეს, არ შეიძლება პროვოცირება და იმათი სიძლიერით მანიპულირება, ჩვენ ვიქცეოდით იმ ჩარჩოში, რის შესაძლებლობაც გვქონდა. ყოველთვის მიტევებით, რაღაც საკითხების გადადებით, რა თქმა უნდა, არა სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ... იგივე კონტრაბანდის გზები გადაიკეტა. ამას მხოლოდ ფინანსური კუთხით ნუ განვიხილავთ. როცა კონტრაბანდისტული საქმიანობა იყო კონფლიქტის ზონაში, ეს ნაწილობრივ გარკვეულ ბანდფორმირებებსაც მოიაზრებდა, არ შეიძლებოდა ეს შიდა გარჩევებში არ გადასულიყო. როცა ეს მთლიანად ამოიწურა, სადღაც 2004 წლის დასაწყისიდან, ქართულ ბანდფორმირებებზე არასოდეს მომისმენია საუბარი... არადა ეს ის მასალა იყო მტრის ხელში, რომელსაც ისინი ბრმად იყენებდნენ. მეორე ფაქტორი იყო მშენებლობითი პროცესები კონფლიქტის ზონაში. გაიხსნა კინოთეატრი, დაიწყო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები და ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა. მოსახლეობა ძირითადად საქმეში იყო ჩართული და სროლები რომ დაიწყებოდა, ამას უკვე ვეღარ აწერდნენ ქართულ მხარეს. როცა ანალოგიურს სეპარატისტები ადგილობრივ მოსახლეობას ვერ სთავაზობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი თანხები მოდიოდა რუსეთიდან. არაერთი კომისია გამოგზავნეს რუსეთიდან და დღესაც ვერ გაუგიათ, სად წავიდა ის თანხები. ვფიქრობ, ეს იყო ერთ-ერთი წინაპირობა ომის დაწყებისა, რათა ეს ფული ჩამოწერილიყო. მე ასეთი შთაბეჭდილება მაქვს შექმნილი.

**– თავდაპირველად კეთდებოდა განცხადებები, რომ ქართული მხარის პოზიციები უფრო მყარი იყო, ვიდრე მოწინააღმდეგის. შემდეგ ითქვა, რომ ალღუმისთვისაც კი მიდიოდა მზადება... უცებ შემოტრიალდა სიტუაცია, რამ განაპირობა ეს?**

– ძიების პროცესში გამოვლინდება ის სულსწრაფობა და სიბეცე, რასაც მაშინ ჰქონდა ადგილი. „მოჩქარეს მოუგვიანდესო“, ხომ არის ასეთი ანდაზა, ეს მომენტი აუცილებლად გამოიკვეთება. როგორ მოხვდა ამხელა დაჯგუფება ცხინვალში? ან როგორ მოხდა ისე, რომ დაჯგუფება ცხინვალში შევიდა და შუშები არაა ჩამტვრეული. რუსულმა ჯარმა გროზნო, რომ აელო, მიწასთან გაასწორა, აქ კიდევ შუშები არაა ჩამტვრეული. 8-სართულიანი კორპუსები დგას ცხინვალში. სად არის ის მძინარე ქალაქი, რომელიც ქართველებმა მიწასთან გაასწორეს?! აი, ზუსტად მანდ შეიქმნა და მანდ გამოჩნდა ქართველი ჯარისკაცის მომზადების დონე და ეს იმის დამსახურებაა, რომ კოსოვოში, ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობს ქართული ჯარი და იქ ასწავლიან ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობას. რატომ არ არის მაროდიორობისა და ყაჩაღობის არც ერთი ფაქტი ქართული ჯარის მხრიდან?! ეს ყველაფერი ხომ დადებითად აისახება ქართულ მხარეზე. არის მინუსები და პლუსები. ძიება იმას არ ნიშნავს, რომ ვილაც აუცილებლად მოახრჩო, დადებითი მხარეებიც უნდა გამოიკვეთოს და ობიექტური ანალიზი გაკეთდეს.

**– „მოჩქარეს მოუგვიანდესო“ – რას და ვის გულისხმობთ ამაში?**

– მე პირადად არ მინახავს, მაგრამ პირადმა შემადგენლობამ ნახა ის დროშები და ტრიბუნა, და ისინიც, ვისაც ეჩქარებოდა იქ დაფნის ფოთლების თავზე დადება. მე 8 აგვისტოს 16 საათზე გარკვეული მიმართულებიდან გადამაყენეს და ისევ სამშვიდო-






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მას თავისი სახელი და გვარი აქვს“

## პირველად 5 წლის შემდეგ – მამუკა ყურაშვილი აგვისტოს ომის ფსევდოგმირებზე ალაპარაკდა




ბოებში დამაბრუნეს, იმიტომ რომ მიდიოდა დაფნის ფოთლების თავზე მორგება. ვიღაცას რაღაც ეჩქარებოდა. რატომ გამოცხადდა ის კორიდორი? რაღაცასთან ხომ არ იყო ეს დაკავშირებული ? – ძალიან ბევრი ნიუანსია, რომელსაც გამოძიება სჭირდება.

**– შეიძლებოდა მარცხის თავიდან აცილება?**

– სამწუხაროდ, პატარა ქვეყნების ხვედრი ეს არის... მე ჩემი პოზიციიდან შემიძლია, ვიმსჯელო. ძალ-ღონე არ დამიშურებია იმისთვის, რომ ამეცილებინა. ბოლო წუთამდე არის ჩანაწერები, არის აგვისტოს ქრონიკა, რომელშიც არის ჩემი და სარდლის სატელეფონო საუბარი, რომლის დროსაც მე კულახმეტოვს ვეუბნები: „ფრისი მოგვიტანს უბედურებას“. ბოლო წამამდე იყო მცდელობა, თუკი რამე შეიძლებოდა. მაგრამ, როცა გადაწყვეტილება პოლიტიკურ დონეზე მიღებულია, და ამას უკვე თვითონ რუსეთის გენშტაბის ოფიცრები კურირებენ, უკვე ხარჯია გაწეული, ამხელა ჯარია ამოწეული, მოწინავე რაზმები შემოსულია, ეს უკვე გარკვეულ ეტაპზე გარდაუვალი ხდება... არც თანამდებობრივად და არც პიროვნულად არ ძალგიძს ის, რომ რაღაც შეცვალო. საერთოდ, ნებისმიერი ომი არის პოლიტიკის გაგრძელება შეიარაღებული გზით. მიმაჩნია, რომ, როცა ქვეყანაში ომი ხდება, იქ პოლიტიკოსებზე ხმამაღალი საუბარი ცოტა ზედმეტია.

**– ჩვენ გვახსოვს თქვენ მიერ 7 აგვისტოს გაკეთებული განცხადება, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის შესახებ? ამ განცხადების გამო თქვენ ხშირად გაკრიტიკებდნენ... ამიტომ ხომ არ მოხდა თქვენი ჩამოშორება?**

– მე არავისთვის იმ დღეს მიკროფონი არ წამირთმევია. არავისგან არაფერი დავალება არ მიმიღია. აკადემია მაქვს დამთავრებული წითელ დიპლომზე და ძალიან კარგად ვიცი, რა უნდა დავარქვა ოპერაციას. რა თქმა უნდა, ეს იმპულსური განცხადება იყო. იქ არ გახლდათ ისეთი ვითარება, რომ მე არ ვყოფილიყავი იმპულსური. რა თქმა უნდა, იქ იყო საბრძოლო მოქმედებები, იყო დიდი პასუხისმგებლობა... სამწუხაროდ, უკვე 2 სამხედრო მოსამსახურე მყავდა დაღუპული. ერთი დამეღუპა იმიტომ, რომ ელემენტარულად დროული სამედიცინო დახმარება ვერ აღმოვუჩინე ავნევში და სისხლისგან დაიცალა, იმიტომ რომ დიდმუხა მუგუთიდან სასიცოცხლო გზა, რომელიც ფრონეს ხეობას უკავშირდებოდა, ცეცხლის ქვეშ იყო. როგორც წესდება ითხოვდა, საქმის კურსში მყავდა სარდლობა ჩაყენებული და ვეუბნებოდი, რომ სამშვიდობოები იხოცებოდნენ... ამიტომ ეს განცხადება... მე ვთვლი და იურისპრუდენციაც მაგას გვეუბნება, რომ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენს დაქვემდებარებაშია და დროებით ბანდფორმირება აკონტროლებს, ალბათ, იურისდიქცია აღსადგენია. იურისდიქციის აღდგენა კი არის კონსტიტუციური წესრიგის დამყარება, მეტი არაფერი. მე ზუსტად იმიტომ ვახსენე პასუხისმგებლობის ზონები, რომ სწორედ ჩვენს პასუხისმგებლობის ზონაში იყვნენ შემოსული. არა მარტო რუსი აღიარებდა ჩვენს იქაურ ადმინისტრაციებს, არამედ თვითონ სეპარატისტული მთავრობაც.

**– თუმცა ამ განცხადების შემდეგ თქვენ მიმართ სერიოზული კრიტიკა წამოვიდა...**

– ალბათ, ელოდებოდნენ, რომ 2000 კაცი იქნებოდა დაღუპული და ჩემზე უნდოდათ ჯოხის გადატეხა. გენერალ ყურაშვილს სამშვიდობოები რომ დაეხოცა, დღეს თბილისში კრასნოდარის მხარე იქნებოდა, აი, ამის პირობას გაძლევთ... სად არიან დახოცილი სამშვიდობოები? 10 კაცია მხოლოდ დაღუპული და რუსული წესდებებით საკორპუსო სწავლებები რომ ტარდება, ეს დაშვებული სიკვდილიანობაა. სად არის 560 დაღუპული სამშვიდობო? ამ „ვერხნი გარადოკს“ რომ მუსირებენ სულ, „ვერხნი გარადოკში“ ერთ ქართველ ჯარისკაცს არ აქვს ფეხი დადგმული. ამას ძიება დაადგენს... როგორ მოხდა, რომ 6 საგუშაგო, რომელიც აქეთ, დანარჩენ საქართველოში იყო, გაიარეს და მთელი ჯარი შევიდა ცხინვალში და გამოვიდა. რომელი შეტევითი ოპერაციაა მსოფლიოში, რომ მტერს იტოვებ უკან, ზურგში... ერთი თმა ჩამოუვარდა იმ საგუშაგოებზე ვინმეს? როგორ მოხდა ეს ყველაფერი?!

**– თქვენზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაგაპატიმრეს, რაც შემდეგ არ დადასტურდა. რას ემსახურებოდა თუნდაც ასეთი ინფორმაციების გავრცელება და სად იყავით თქვენ? როგორც შემდეგ გაირკვა, მძიმედ იყავით დაჭრილი...**

– ეს ემსახურებოდა ფსევდოგმირების გაჩენას. ჩემთვის გმირობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ჩემთვის მთავარია, ქვეყანა გამთლიანდეს. 22 წელია, ჯარში ვარ და ჩემი ცხოვრების არსი ეგ არის. ეს უკავშირდება ისევ იმ ფსევდოგმირებს, ალბათ, რომლებიც ინტრიგებს ხლართავდნენ მაშინ, როცა მე ცხინვალში ვიყავი. ისხდნენ ხელმძღვანელობასთან და გორში რაღაც ინტრიგებით იყვნენ დაკავებულები. რაღაც ეტაპზე ამან შედეგი გამოიღო, მიიღეს ეს ჯილდოები, დასხდნენ თანამდებობებზე, მე გამომიყვანეს და დამაბრუნეს სამშვიდობოში. სამშვიდობოები სადღაც დეკემბრისთვის გააუქმეს. შეიძლება ითქვას, რომ მე ჩრდილში გამიშვეს. ამის შემდეგ გადამიყვანეს გენინსპექციის უფროსის მოადგილედ. 2009 წლის 9 მაისს დამნიშნეს შტაბის უფროსის მოადგილედ, ეს უკვე დაწინაურებაა. ამ თანამდებობაზე ვიმუშავე აგვისტომდე და გაურკვეველი მიზეზებით შემდეგ გადამიყვანეს უკრაინაში ატაშედ.

აქ ჩემი პიროვნების გარკვევაზე არ არის საუბარი, ეს არის სასიცოცხლო მნიშვნელობის თვითონ ჯარისთვის. ჯარში იყო ხალხი და დღესაც არიან ისეთები, როგორიც არ უნდა იყოს სამხედრო. აი, ამის მაგალითები არიან... მათი სახელები აუცილებლად გახდება ცნობილი. იმიტომ რომ თვითონ პირადი შემადგენლობისთვის და ჯარისკაცისთვის, თითოეული მაღალჩინოსნის ქმედება არის სამაგალითო და ის ხალხი არ უნდა იყოს ჯარში, ვისი განვლილი ცხოვრებაც, სამხედრო სფეროში ფლიდობასთან და თვალთმაქცობასთან არის დაკავშირებული და პირდაპირ მაგალითები არიან, როგორი არ უნდა იყო. ეს ადამიანები უნდა ჩამოშორდნენ ამ სფეროს. ამ ქვეყანაში, ერთხელ და სამუდამოდ, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას – ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე.

**– თქვენ იყავით ერთ-ერთი მთავარი გმირი ამ მოვლენებისა და ჩრდილში დაგაყენეს, რატომ ჩამოგაცილეს ყველაფერს?..**

– იმიტომ რომ სხვანაირად ვერ წარმოაჩენდნენ იმ ფსევდოგმირებს, რომლებიც სჭირდებოდათ. ეს უფრო ლოიალური ხალხია რეჟიმთან, მე კი ყოველთვის ჩემი აზრი მქონდა. მათთვის აბსოლუტურად ყველაფერი მისაღებია, ოღონდ მათ ხელფასსა და პრემიას საფრთხე არ დაემუქროს, მე კი არასდროს უკან არ დამიხევია. იყო ხალხი, რომელიც ძალიან თვითდაჯერებულები იყვნენ და ასეთები უფრო მოსწონდათ. მე ყველას, ყველა ოფიცერს, სულ მცირე, აზრის დამთავრების საშუალებას ვაძლევდი, იმიტომ რომ ხშირ შემთხვევაში ის უფრო ჭკვიანურს მეუბნებოდა, ვიდრე აკადემიადამთავრებული. ვიღაც კი ვერ ლახავდა ამ პირად ამბიციას...

**– თქვენ დაიჭერით მაგ პერიოდში...**

– მე მქონდა მსუბუქი კანტუზია, მაგრამ ეს საერთოდ რა მოსატანია, როცა ამდენი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. გენერალ ყურაშვილის დაჭრა ან სისხლის დაღვრა მოსატანი არ იყო. ჩემი სისხლის წვეთი ცხინვალის მიწაზეა დაცემული, მეტი არაფერი შემიძლია გითხრათ ამ ეტაპზე. საპარლამენტო კომისიაზე კითხვები რომ დამისვეს, ეს ფაქტი იმიტომ ვთქვი, რომ მინდოდა, საზოგადოება მიმეყვანა იმ წერტილამდე, რომ გაეგო, რამ განაპირობა ჩემი განცხადება. საერთოდ არ ვახსენებდი ამ ფაქტს, იმიტომ რომ, როცა ამდენი სამხედრო მოსამსახურე იღუპება და მაქვს პრეტენზია იმაზე, რომ მინიმალური დანაკარგი მქონდა, სანამ მე ვმართავდი ცენტრალურ მიმართულებას, ეს საერთოდ მოსატანი არ არის... მე ცოცხალი ვარ, ისინი დღეს აღარ არიან. დღესაც მე საქართველოს წარმატებას იმ ბიჭების თვალით ვუყურებ და ყოველთვის ვფიქრობ ისე, ბიჭები როგორ აღიქვამდნენ ამ ყველაფერს. მე დღესაც 7 აგვისტოთი, იმ დღით ვცხოვრობ.

**– თქვენი ინფორმაციით, მივა კვალი ხელისუფლების პირველ პირებამდე, გარკვეული გადაწყვეტილების მიღების გამო?**

– ბევრი სიახლე გამოიკვეთება, რაზეც ქართული საზოგადოება პროპაგანდის შედეგად შეცდომაში იყო შეყვანილი. სახელებითა და გვარებით გაჟღერდება, არ დაიმალება. მე შემიძლია ზოგადად აგიხსნათ, ბრიგადამ რატომ შეიცვალა მიმართულება, რამ განაპირობა ზღუდეები... პირველი საჰაერო თავდასხმა, რომელიც რუსის ჯარმა განახორციელა, პირველი თვითმფრინავის ჩამოგდება ოსების მხრიდან, დამობმეს ცხინვალი, ოსური სოფლები და სამშვიდობოები, იფიქრეს, რომ ქართველებმა გააკეთეს ეს და არც დამალეს, გააჟღერეს, მერე დადგინდა, რომ ეს იყო რუსის ჯარი. რატომ შეიცვალა, რა მიმართულებით უნდა ასულიყო, რა დატვირთვა ჰქონდა იმ სიმაღლეზე ასვლას... იქ იყო 3-4-კილომეტრიანი სანგრები გათხრილი, სადაც ჯარი ჩაჯდებოდა, პირველ საჰაერო თავდასხმას ხომ გადაურჩებოდა და ხომ უფრო ნაკლები იქნებოდა დანაკარგი, საერთოდ იქნებოდა თუ არა, ეგეც საკითხავია. სამხედრო სპეციფიკა უფრო სხვანაირია. შეიძლება დაგიძახონ და გარკვეულ პოლიტიკურ გუნდს აწყობდეს რაღაც პოლიტიკური პროცესების გადალახვა და სჭირდებოდე, მაგრამ შენ უნდა გეყოს ვაჟკაცობა, რომ ეს არ გააკეთო. თუმცა ამას მოჰყვება პრემიები, მაგრამ უნდა გქონდეს ვაჟკაცობა, აიღო ჯილდო, დაიბარო 177-ვე დაღუპული გმირის მშობლები და შვილები, ის მინიმალური თანხაც გადაანაწილო და მათ დაურიგო, ეს თანხა მათ ეკუთვნით და არა შენ, რომელსაც ფეხი არ დაგიდგამს ცხინვალში. თუ სიმართლით ვივლით, სიმართლე სამშვიდობოზე გაიყვანს საქართველოს. ის, რომ ჩვენ სამშობიაროში შევედით და ამოვხოცეთ ხალხი, ცხინვალს დავესხით – ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. ეს იყო აგრესიის მიზანი. არამარტო რუსებმა, აქაურმა ფსევდოგმირებმაც უნდა გასცენ პასუხი, ვინ სად დახოცეს.

**– ახლა რას საქმიანობთ?**

– მეგობართან ერთად ოფისში ვმუშაობ, სახელმწიფო სამსახურს ჩამოშორებული ვარ. თქვენთან ინტერვიუს იმიტომ დავთანხმდი, რომ უაღრესად დიდი როლი გაქვთ ნათამაშები ამ დაღუპული ბიჭების უკვდავსაყოფად, ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საერთოდ მე სამხედროების ზედმეტ ჩარევას არ ვამართლებ, 1992-93 წლებში ჩაერივნენ და რა შედეგი იწვნია ქვეყანამ, კარგად ვნახეთ. სადაც სიმართლე იქნება, იქ ვიდგები. 5 წელი ჩემ მაგივრად ილაპარაკეს, ახლა მე მომისმინონ, მე ვილაპარაკებ.





**„უნდა გქონდეს ვაჟკაცობა, აიღო ჯილდო, დაიბარო 177-ვე დაღუპული გმირის მშობლები და შვილები, ის მინიმალური თანხაც გადაანაწილო და მათ დაურიგო, ეს თანხა მათ ეკუთვნით და არა შენ, რომელსაც ფეხი არ დაგიდგამს ცხინვალში“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობაზე იურისტები კომენტარებს არ აკეთებენ

<u>ნინო დათაშვილი</u>

**ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის თემაზე დუმილია. არჩევნების შემდეგ თითქმის რვა თვე გავიდა და ამ საკითხზე კომენტარების გაკეთება ქართულ კოალიციაში ჯერ კიდევ უჭირთ. რას და როგორ აპირებს პრემიერი, არ იციან.**



ამჯერად მას მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს და როგორც ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს აღნიშნული პოსტი დაიკავოს. ცვლილებები კონსტიტუციაში უკვე შედის და სამი თანამდებობის პირისთვის - პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე - ორმაგი მოქალაქეობა დასაშვები იქნება. თუმცა, თუ მომავალი წლის იანვრამდე ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე არ გახდება, მაშინ მას უკვე კონსტიტუცია არ მისცემს უფლებას პრემიერის პოსტი დაიკავოს.

რა ვითარებაა ამჯერად, მიდის თუ არა მუშაობა ამ მიმართულებით. შალვა თადუმაძე წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილის პირადი ადვოკატი იყო. ახლა ის საპარლამენტო მდივანია. ადრე ამ საკითხზე განმარტებებს სწორედ ის აკეთებდა, მაგრამ ახლა კომენტარისგან თავს იკავებს. ამბობს, რომ ამჟამინდელი პოზიცია მას კომენტარის გაკეთების უფლებას არ აძლევს.

საინტერესოა, რომ კომენტარისგან თავს იკავებს ივანიშვილის პირადი ადვოკატი, ამჯერად დეპუტატი, ეკა ბესელიაც.

პარალელურად, არასაპარლამენტო ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ დეკემბრის შემდეგ - ანუ ახალი წლიდან, ანუ სწორედ მაშინ, როცა კონსტიტუცია ივანიშვილს კანონგარეშედ დააყენებს, თუკი ის საქართველოს მოქალაქეობას არ მიღებს - ივანიშვილი პოლიტიკას დატოვებს და წავა. მაგალითად, კახა კუკავა დარწმუნებულია, რომ ივანიშვილი ტრანზიტული ფიგურაა და პოლიტიკაში სხვა გამოჩნდება. ვინ სხვა, არ აკონკრეტებენ. თუმცა, მოლოდინი ლევან ვასაძის მიმართულებით იყო, თანაც სერიოზული.

განსაკუთრებით იმ ხმაურიანი 17 მაისის შემდეგ. ელჯიბითების სკანდალური დასჯის შემდეგ ჯერ მეუფე იაკობი და შემდეგ სწორედ ლევან ვასაძე გამოვიდნენ და პოლიტიკური განცხადებები გააკეთეს, ხელისუფლებამ მათგან მუქარანარევი განცხადებებიც კი მოისმინა, მათ შორის მილიონიანი მიტინგის დაანონსების თაობაზე. თუმცა, ლევან ვასაძემ ლამის საჯაროდ დაიფიცა, პოლიტიკაში მოსვლას არ ვაპირებო. ზოგმა დაიჯერა, ზოგმაც არა.

წინა კვირას ლევან ვასაძე ისევ გამოჩნდა პოლიტიკის სიახლოვეს კი არა და პოლიტიკაში. მან „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან ერთად რამდენიმედღიანი ტურნე მოაწყო საქართველოს სხვადასხვა სოფლებში. რას ნიშნავს ეს? გიორგი მარგველაშვილი ჯერ „ქართული ოცნების" არც ერთ სხვა სუბიექტთან ერთად არ გამოჩენილა, ერთხელ ვიხილეთ ბიძინა ივანიშვილთან ერთად წარდგენაზე და ახლა მას ვასაძე დაჰყვება. ორივე მათგანი კოსტიუმშია და შავი სათვალე უკეთიათ. ეს სტილი პოლიტიკაში, შავი სათვალით სიარული, დიდი ხანია ამოიღეს ქართველმა პოლიტიკოსებმა, როგორც ჩანს, ის ისევ დამკვიდრდება.

ლევან ვასაძის გვერდით გამოჩენით, ბევრი რამ ითქვა; პირველი: მას მხარს უჭერს რუსი ბიზნესმენი, თუმცა, ეს ისედაც ჩანდა. ჯერ კიდევ მარგველაშვილის წარდგენამდე თქვა ლევანმა: „მე ვგულშემატკივრობ მარგველაშვილს".

მეორე: ეკლესია მხარს სწორედ მარგველაშვილს დაუჭერს. ბიძინა ივანიშვილმა კი დაგმო 17 მაისის აქციაზე ეკლესიაში ზოგიერთი ანაფორიანის ქმედებები, მაგრამ გიორგი მარგველაშვილს არაფერი უთქვამს. მან დუმილი არჩია.

თუმცა, ეს სულ სხვა ისტორიაა და როგორ დასრულდება ძნელი სათქმელია. მეორე მხრივ, ფაქტია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ვასაძის გამოჩენას ელოდება. ამბობენ, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნება და პრემიერი ლევან ვასაძე გახდება.

ბიძინა ივანიშვილი თუ პოლიტიკიდან წასვლას მართლა აპირებს, მაშინ მან საქართველოს მოქალაქეობა არ უნდა მიიღოს. თუმცა ის, რომ იურისტები ამჯერად კომენტარს არ აკეთებენ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ივანიშვილი მოქალაქეობას არ მიიღებს. ის არ მიმართავს პრეზიდენტ სააკაშვილს, მაგრამ პრეზიდენტ მარგველაშვილს მიმართავს. თუმცა, ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ ადვოკატებმა მაშინ სააკაშვილს კი არ მიმართეს, არამედ ნატურალიზაციის გზით უნდა მიეღო მოქალაქეობა.

ბიძინა ივანიშვილმა ერთხელ საჯაროდ განაცხადა, რომ ის პოლიტიკიდან მაშინ წავა, როცა სააკაშვილს გააცილებს. სააკაშვილი შემოდგომაზე მიდის. თუმცა სად, ამაზე ვერსიებია. მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებაზე უკვე ღიად საუბრობენ. ამ საკითხზე BBC-მ დავით უსუფაშვილსაც კი დაუსვა კითხვა.

ელოდებიან, რომ პრეზიდენტს ვადის ამოწურვის შემდეგ ჯერ დაკითხვებზე დაიბარებენ და შემდეგ დააპატიმრებენ კიდეც. თითქოს სააკაშვილს ქვეყნის დატოვებაც შესთავაზეს, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა.



## ბიძინა ივანიშვილი: მე პოლიტიკიდან მალე წასვლას ვაპირებ. როგორც კი სააკაშვილი გადადგება და ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, მე დავრჩები არაუმეტეს რამდენიმე დღისა

რამდენიმე დღის უკან ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი მზადყოფნა დატოვოს პოლიტიკა. ესტონური გამოცემის "Postimees"-ის ინტერვიუში საქართველოს პრემიერი ამბობს:

_ მე პოლიტიკიდან მალე წასვლას ვაპირებ. როგორც კი სააკაშვილი გადადგება და ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, მე დავრჩები არაუმეტეს რამდენიმე დღისა. ჩვენ კარგი გუნდი გვყავს, ჩვენს შორის არჩეული იქნება ძალიან საინტერესო პრეზიდენტი, გვყავს პარლამენტის ძალიან კარგი სპიკერი და მე მაქვს იდეა იმასთან დაკავშირებით, ვინ შეიძლება, ჩემი ადგილი დაიკავოს. არ მსურს და ეს საქართველოში პოლიტიკისთვისაც ძალიან ცუდი იქნება, რომ ფსონი მუდმივად ერთ ადამიანზე კეთდებოდეს. ზემოთ აღნიშნული სამი თანამდებობის გარდა, მჯერა, რომ ყველა მათგანი სუფთა ადამიანებად, დემოკრატებად დარჩებიან. აუცილებელია ასევე დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, ასევე თავისუფალი მედია. ახალი სისხლია საჭირო... მე არენიდან მალე გავალ, ცუდს არ ვიმახსოვრებ. წარსულში მე სააკაშვილს ბევრჯერ დავეხმარე, რჩევებს ვაძლევდი, არ მინდა, რომ ცუდად დაასრულოს. უფრო მეტად, მინდა, რომ ის კვლავ დადგეს ფეხზე, თუმცა სამწუხაროდ, მეჩვენება, რომ როგორც ბოლო 9 წელი გაატარა, ისევე მოიქცევა მომავალშიც. არ მჯერა, რომ ამის გადალახვა შეძლოს.






## შალვა თადუმაძე: „ამჯერად დაკავებული პოსტი კომენტარის უფლებას არ მაძლევს"


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ავერსის მტრედი ბარათის ყველაზე იღბლიანი მფლობელები გამოვლინდნენ



"ავერსის" დაგროვებითი ბარათი – მტრედი ბარათი საზოგადოებაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მას საქართველოს მასშტაბით 700 ათასამდე მომხმარებელი ჰყავს. "ავერსის" სააფთიაქო ქსელში დახარჯული თანხის შესაბამისად ბარათზე დაგროვილი მტრედებით არა მხოლოდ სასურველი საჩუქრის არჩევა, არამედ წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღებაც გახლავთ შესაძლებელი.

"ავერსის" მტრედი ბარათის რიგით მეოთხე გათამაშება 2013 წლის 19 ივნისს "რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში შედგა. გამარჯვებულები და ყველაზე იღბლიანებიც უკვე გამოვლინდნენ. წამახალისებელ ლატარიაში სასურველი პრიზები თამაშდებოდა: 5-ჯერ ხუთი ათასი, 5-ჯერ ათი ათასი და 20 ათასი ლარი.
იღბალი ადამიანებს, ხშირად, მოულოდნელად სწყალობთ და "ავერსის" საჩუქარი გამარჯვებულთათვის მართლაც სიურპრიზი და უდიდესი სიხარული გახლდათ. შესაბამისად, გათამაშება, საოცრად ემოციურად ჩატარდა. "ავერსის" სიურპრიზებით სავსე ტელე ეთერს არც ცრემლების გარეშე ჩაუვლია:
მთავარი პრიზის – 20 ათასი ლარის მფლობელი ქალბატონი ქეთო ხინიკაძე აღმოჩნდა.
პირდაპირ ეთერში ემოცია მგონი ვერც გამოვხატე, ჩემთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ეს სიხარული – გამოგვიტყდა, როდესაც მისალოცად და კომენტარის ჩასაწერად კიდევ ერთხელ დავუკავშირდით.
ქალბატონი ქეთო 36 წლის გახლავთ. ქობულეთის რაიონის, სოფელ ზედა კვირიკეს მკვიდრია. როგორც მან გვითხრა, უკვე 17 წელის ოჯახი აქვთ:
– ოჯახის სრულფასოვნებისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება – შვილი გვაკლია. ხელმოკლედ ვცხოვრობთ. მეუღლე არ მუშაობს. მეც დიასახლისი გახლავართ. ცოტა ხნის წინ ოჯახში მცირე შემოსავალი გაგვიჩნდა და მაშინვე ექიმს მივაშურე. დამაიმედა, გიმკურნალებთ და დედობის ბედნიერებას სულ მალე იგრძნობთო, თუმცა ამ ყველაფერს ხომ სახსრები სჭირდება.
"ავერსის" გათამაშება ახლოვდებოდა, ბილეთები მქონდა და სულ წმინდა გიორგის ვევედრებოდი – შენ შემეწიე, შენი კალთა გადმომაფარე მეთქი...
ერთს გეტყვით: ღმერთი გაჭირვებულ ადამიანს არასოდეს მიატოვებს და მეც "ავერსისგან" უდიდესი საჩუქარი მივიღე. ეს თანხა მკურნალობისთვის უნდა გამოვიყენო. პატარა ბაია რომ გაჩნდება, ამაზე მეტი სიხარული რა უნდა იყოს ჩემს ცხოვრებაში.
ჩემი ოჯახის ამ ბედნიერებას "ავერსს" ვუმადლით. მან გაგვიჩინა იმედი, მან მოგვცა მომავლის რწმენა და ახლა რომ ვტირი, ეს მხოლოდ სიხარულის, სასოებისა და უდიდესი მადლიერების ცრემლებია. ყველას მინდა ვუთხრა დიდი მადლობა: მათ, ვინც წამოიწყო ეს კეთილი საქმე, მათ, ვინც ხალხის მომავალსა და სიხარულზე ზრუნავს, ტელეკომპანიას, წამყვანებს და, რაც მთავარია, "ავერსს", რომელიც ჩემთვის მართლაც ხსნა და იმედია" – ქალბატონი ქეთო ჩვენთან საუბრისას ემოციას ვერ მალავდა, ტიროდა და მის ცრემლებში უდიდესი სიხარული იკითხებოდა.
ჩვენ კიდევ ერთხელ ვულოცავთ გამარჯვებულს და ვუსურვებთ, მისი სანუკვარი ნატვრა – დედობა სულ მალე რეალობად იქცეს.
"ავერსის" მტრედი ბარათის წამახალისებელმა გათამაშებამ კიდევ ბევრ ოჯახში შეიტანა უდიდესი სიხარული:
ათი ათასი ლარის მფლობელები არიან ქუთაისის მკვიდრნი დავით ბუცხრიკიძე და ვახტანგ ჩიხლაძე. ასევე, თბილისში მცხოვრები არჩილ გედენიძე, ზოციკო კაკულია და ვალენტინა ნადარეიშვილი.
ბატონ დავითს ქუთაისში დავუკავშირდით. როგორც მან გვითხრა, ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე და ოთხი წლის ვაჟი – ზურა-გიორგი. მოგებულ თანხასაც, ისევ და ისევ, ოჯახს მოახმარს:
– "ავერსის" ერთგული მომხმარებელი გახლავართ. აქ შესანიშნავი მომსახურება და ყოველთვის დაბალი ფასებია. ასე რომ, "ავერსს" ბევრი რამის გამო ვემადლიერებით. უპირველეს ყოვლისა კი იმისთვის, რომ ასეთი შესანიშნავი პრიზის მოგების საშუალება მოგვცა.
ვერ გეტყვით, ჩემთვის მოგება მოულოდნელი იყო თქო, რადგან მნიშვნელოვან მოვლენებს ადამიანები, თითქოს, წინაგანად გრძნობენ და მეც თავიდანვე მქონდა განწყობა, რომ იღბალი გამიღიმებდა. ამის მიუხედავად, იმდენად ემოციურად გადავიტანე ეს ამბავი, რომ დღემდე შოკში ვარ. წნევა მაწუხებს და დიდმა სიხარულმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. უდიდესი მადლიერება მინდა გამოვხატო "ავერსის" მიმართ. არაჩვეულებრივი კომპანიაა. შესანიშნავი სიურპრიზი გაუკეთა ჩემს ოჯახს. წარმატებას და წინსვლას გისურვებთ".

მტრედი ბარათის გათამაშებაში კიდევ ხუთი პრიზი თამაშდებოდა – თითოეული ხუთი ათასი ლარის ოდენობით, რომლის მფლობელებიც გახლავთ: კუპრაძე ელა თბილისიდან, ქუთაისის მკვიდრნი ცისანა დოლონაძე და ელენე ლალაძე, ქალბატონი მზია იტურიძე გორიდან და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სალიბაურის მცხოვრები ნაირა თურმანიძე.
გამარჯვებულთაგან ქალბატონ ელას დავუკავშირდით. როგორც აღმოჩნდა, ის ოჯახთან ერთად თბილისში ქირით ცხოვრობს. 35 წლის გახლავთ. მეუღლე და ორი შვილი ჰყავს – ელენე და საბა. ვაჟი 10 თვისაა და, როგორც ელენემ გვითხრა, "ავერსის" მტრედი ბარათის გათამაშებაში მოგება სწორედ მისი დამსახურებაა:
– საბა ხელოვნურ კვებაზე მყავს. ამიტომ ბავშვის საკვებისა და პამპერსებისთვის "ავერსის" აფთიაქს ხშირად ვაკითხავდი. ფარმაცევტები უკვე მცნობდნენ და პირდაპირ მაწვდიდნენ ჩემთვის სასურველ პროდუქტს. ასე დამიგროვდა მტრედი ბარათზე ქულები და გათამაშების დღისთვის უკვე 9 ბილეთი მქონდა. სიმართლე გითხრათ, გათამაშების თარიღი არ მახსოვდა. ბავშვი დავაძინე და ტელეფონმა რომ დარეკა ჩემად ვუპასუხე – ჩურჩულით. "რუსთავი 2"-ს თუ უყურებთო, რომ მკითხეს, მეგონა ვინმე ჩემს გაქილიკებას ცდილობს თქო, მაგრამ ტელევიზორი ჩავრთე და რომ მივხვდი გამარჯვებული ვიყავი, ისე გამიხარდა, არ ვიცოდი, რა რეაქცია უნდა მქონოდა. მაშინვე მეუღლეს დავურეკე... მასაც არ სჯეროდა, რომ ასეთი მოულოდნელი წყალობა გვარგუნა ღმერთმა. 35 წლის ვარ და დღემდე არაფერი მომიგია – ლარიც კი არ მიპოვია... ასე რომ ეს მართლაც დიდი მოულოდნელობა და სიხარული იყო ჩვენი ოჯახისთვის.
ქვათეთრიდან გახლავართ. სოფელ სვერში ხშირად ჩავდივართ ხოლმე და უმანქანოდ ბავშვების ტარება, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია. გადავწყვიტეთ, მოგებული თანხით მანქანა შევიძინოთ – ეს მართლაც შესანიშნავი საჩუქარი იქნება "ავერსისგან". კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა კომპანია "ავერსს".
უფლის წყალობა არ მოგაკლდებათ, რადგან იმდენი ადამიანი გემადლიერებათ, მათი ლოცვით გზა მუდამ განათებული გექნებათ.
"ავერსი" ულოცავს გამარჯვებულებს და ყოველ თქვენგანს წარმატებებს გისურვებთ, რადგან კომპანია ერთგულ მომხმარებელს სიურპრიზებით კვლავაც გაანებივრებს.





ავერსი AVERSI

"ავერსი" გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

☎ 2-967-227
www.aversi.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მოთხოვნა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე





## გედევან ფოფხაძე: „თუ საზოგადოებაში არის განწყობა, რომ დღევანდელი საპარლამენტო შემადგენლობა არ ასახავს საზოგადოების ინტერესებს, მათ აქვთ უფლება, იმსჯელონ ვადამდელი არჩევნების საკითხზე“

# EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

**ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემა აქტუალობას არ კარგავს. საკითხით დაინტერესებულთა სიაში პირველები არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები არიან. ეს ლოგიკურიც არის. შესაბამისად, სწორედ ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მალე დაიშალოს მოქმედი პარლამენტი. თუმცა კითხვები სწორედ მათი მიმართულებით ჩნდება და ისევ მათივე მხარეს მყოფი პოლიტიკური ძალების მიერ.**

შეიძლება ითქვას, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ ერთადერთია, რომელიც ამ მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს. სოსო მანჯავიძემ ხელმოწერების შეგროვება უკვე დაიწყო. ეს პირველი ეტაპია, რომელსაც საკმაოდ ვრცელი გაგრძელება აქვს. თუმცა ამ პროცესს პროტესტის ნიშნად არ უერთდება „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, კახა კუკავა. კუკავას მიაჩნია, რომ მანჯავიძის აქტიურობა ხელოვნურია და ის რეალურად ხელისუფლების სატელიტს წარმოადგენს...

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:**

– მხარს არ დავუჭერთ სოსო მანჯავიძის ხელმოწერების შეგროვებას, რადგან ეს არის ხელისუფლების სატელიტი პარტია. თუ ხელისუფლებას უნდა, რომ ვადამდელი არჩევნები დანიშნოს, შეუძლია, ეს პირდაპირ გააკეთოს. არ ვიცით, რა აქვთ გეგმაში და რატომ შედის ხელისუფლების ინტერესში მანჯავიძის მოქმედება.

**– რას აკეთებთ იმისთვის, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს?**

– არ ვთვლი, რომ ვადამდელი არჩევნები არის ნომერ პირველი ამოცანა ქვეყნისთვის.

კუკავას ნეიტრალური პოზიციისგან განსხვავებით, საკმაოდ რადიკალური კურსი უჭირავს ნინო ბურჯანაძეს. სხვათა შორის, ბურჯანაძის პარტია და შესაბამისად, „სახალხო კრება“ ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი დააყენა.

უმრავლესობაში საპარლამენტო არჩევნების ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. უმრავლესობის უმრავლესობა თვლის, რომ მოქმედმა პარლამენტმა თავისი ვადა ბოლომდე უცვლელად უნდა მიიყვანოს. მაგალითად, გედევან ფოფხაძეს მიაჩნია, რომ საზოგადოებაში ნებისმიერ ეტაპზე იქნება უკმაყოფილოთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც ასევე ნებისმიერი შემთხვევაში მოისურვებენ პარლამენტის შეცვლას, მათ მოთხოვნებზე რეაგირება კი ყოველთვის ახალი არჩევნების დანიშვნა არ უნდა იყოს...

**გედევან ფოფხაძე, უმრავლესობის წევრი:**

– მე საერთოდ ვადამდელის და დროზე ადრე არაფრის ჩატარების მომხრე არ ვყოფილვარ. მინდა, რომ ყველაფერი კანონით დადგენილი ვადით ჩატარდეს, მაგრამ თუ საზოგადოებაში არის განწყობა, რომ დღევანდელი საპარლამენტო შემადგენლობა არ ასახავს საზოგადოების ინტერესებს, მათ აქვთ უფლება, იმსჯელონ ვადამდელი არჩევნების საკითხზე. ვთვლი, რომ ძალიან ცუდია, როცა არჩეულ პარლამენტს არ ეძლევა საშუალება, იმუშაოს იმდენ ხანს, რამდენი ხნითაც არის არჩეული. გარდა ამისა, საზოგადოების განწყობები ძალიან ხშირად იცვლება. შეიძლება საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს და ორ-სამ თვეში ამომრჩევლის შეხედულება ისევ შეიცვალოს. მაშინ გამოვა, რომ არჩევნები მუდმივად ვადაზე ადრე უნდა ჩატარდეს. თანაც თუ არჩეულმა პარლამენტმა თავისი ვადა არ ამოწურა, ვერ შეფასდება, მისი საქმიანობა პოზიტიურია თუ ნეგატიური.

**– მთავარი ბრალდება არის ის, რომ დღევანდელი პარლამენტი ორპარტიულია...**

– არ არის პარლამენტი ორპარტიული, ის არის ორპოლუსიანი, რადგან კოალიცია შედგება ბევრი პარტიისგან. კონკრეტულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს და ამას ვაფიქსირებთ ხოლმე. თუნდაც განათლების შესახებ კანონი... ყოფილა შემთხვევები, როცა ხმა მიმიცია კანონისთვის გუნდურობიდან გამომდინარე, მაგრამ განსხვავებულად ვფიქრობდი. ამას კოალიციაში ყოველთვის ხმამაღლა ვაფიქსირებდი. თანაც უკვე ვატყობ, რომ „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ აღარ არის ერთიანობა და მალე იქაც გაჩნდება ახალი პოლიტიკური ჯგუფები. ზოგადად, საზოგადოებას ყოველთვის ექნება განცდა, რომ მათ მიერ არჩეული პარლამენტი არ ასახავს მათ ინტერესებს, რადგან მოლოდინი ყოველთვის მეტია. თუ ამ ლოგიკას მივყვებით, მაშინ გამუდმებით საარჩევნო რეჟიმში უნდა ვიყოთ. პრობლემები მუდამ იქნება, ბევრი საკითხი გადასაწყვეტია და ამ მხრივ საზოგადოებას სამართლიანი პროტესტი აქვს, თუმცა ამ პროტესტს მიხედვა და პრობლემებს მოგვარება სჭირდება და არა ახალი საპარლამენტო არჩევნები. ვფიქრობ, ხალხის თვითმიზანი სულაც არ არის ხელისუფლების ან პარლამენტის შეცვლა. მათ პრობლემების მოგვარება სჭირდებათ.

**– შეძლებს ოპოზიცია 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებას? როგორ ფიქრობთ, შეიძლება, ხელოვნურად მოხდეს ხელის შეშლა?**

– არა. პარლამენტის დაშლის საფუძვლები გაწერილია და ბუნებრივია, მხოლოდ ხელმოწერებზე არ არის დამოკიდებული. თუ პარლამენტის დაშლის საფუძველი არ იქნება, მაშინ ვერ დაინიშნება ვადამდელი არჩევნები. მოთხოვნა რომ აქვს საზოგადოების ნაწილს, გასაგებია, მაგრამ სამართლებრივი საფუძველი უნდა ჰქონდეს მათ მოთხოვნას.

ფოფხაძისგან განსხვავებით, მანანა კობახიძე ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ირწმუნებოდა, რომ ვადამდელ არჩევნებზე უკვე მაღალ ეშელონებში მსჯელობენ. „ოცნებისთვის“ ერთადერთი მაღალი ეშელონი არსებობს. ამ ლოგიკით, გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილიც მხარს უჭერს მოქმედი პარლამენტის შეცვლას. თუმცა ხმამაღლა ივანიშვილს არაერთხელ დაუფიქსირებია საწინააღმდეგო.

**მანანა კობახიძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:**

– უკვე მაღალ დონეებზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესახებ ლაპარაკობენ და თქვენ წარმოიდგინეთ, არ დავმალავ და რაღაც მომენტში მეც ვიქნებოდი ამის მომხრე. დღეს რომ პარლამენტი დაიშალოს, ცხადია, ხვალ და ზეგ „ნაციონალური მოძრაობა“ ვერც ერთ ხმას ვერ მოიპოვებს, არანაირი შანსი პარლამენტში მოხვედრისა მათ არ აქვთ, ეს ძალა ისევე გაქრება, როგორც თავის დროზე „მოქალაქეთა კავშირი“ გაქრა. სიმართლე გითხრათ, მეც ძალიან მიჭირს პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან ჯდომა, რომლებსაც რატომღაც ოპოზიციას უწოდებენ.

კობახიძის განცხადებით, ძნელია ნაციონალების მსგავს ოპოზიციასთან ერთად მუშაობა. მისივე მოსაზრებით, ახალი საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში ნაციონალების ადგილს სხვა პოლიტიკური ძალები დაიჭერენ. როგორც ჩანს, ინტერესები მათი მიმართულებით უფრო არის. სხვათა შორის, ექსპერტების განცხადებით, პარლამენტში შესვლის ყველაზე დიდი ინტერესი და შანსიც აწი პრორუსულ ძალებს უფრო ექნებათ... ეს, ალბათ, ბევრ რამეზე მიუთითებს. თუმცა ერთი რამ ფაქტია. პროცესების ხელოვნურად შეცვლას თავად უმრავლესობაც ეწინააღმდეგება.



**კახა კუკავა: „თუ ხელისუფლებას უნდა, რომ ვადამდელი არჩევნები დანიშნოს, შეუძლია, ეს პირდაპირ გააკეთოს“**



სოსო მანჯავიძე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ძვირფასი გარიგება ძვირფასი ინფორმაციის სანაცვლოდ

## როგორ დასაჯა კბილაშვილის უწყებამ პატიმრების წამებაში ბრალდებულები?

## ციხის სკანდალში მხილებულთა ნაწილი სასჯელისგან საერთოდ განთავისუფლდა, ნაწილს კი სასჯელის მინიმალური ზომა მიესაჯა






my View

მირიან ბოქოლიშვილი

**ციხეებში არსებული გაუგონარი სისასტიკის რეზულტატი 9 თვის შემდეგ: პატიმრების წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებულ პირებთან პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა, უმეტესობას სასჯელის მინიმალური ზომა შეეფარდა, ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი, ვლადიმერ ბედუკაძე კი, რომელიც პატიმრების წამებასა და გაუპატიურებას (მათ შორის არასრულწლოვნის) ვიდეოკადრებზე აღბეჭდავდა და დრო და დრო ცინიკური რეპლიკებითაც „ამხნევებდა“ დაზარალებულებს, „განსაკუთრებული თანამშრომლობისთვის“ სასჯელისგან საერთოდ განთავისუფლდა. ასე დასრულდა გახმაურებული ციხის სკანდალი... ახლა განსასჯელთა სკამზე წამებასა და გაუპატიურებაში ბრალდებული პოლიციის სხვა ჩინოსნები სხედან, რომელთა შესახებაც სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავებიდან გახდა ცნობილი. გააგრძელებს თუ არა პროკურატურა უკვე დამკვიდრებულ პრაქტიკას და გაურიგდება თუ არა წამებაში ბრალდებულებს ამჯერადაც? „პრაიმტაიმი“ შეეცადა, ამ საკითხზე მთავარი პროკურორის აზრი მოესმინა. ჩვენ ასევე გვაინტერესებდა, კონკრეტულად რა დამსახურებისთვის გამოიჩინა მოწყალება არჩილ კბილაშვილმა ციხის მწამებლების მიმართ? მთავარ პროკურორთან ინტერვიუს მიზნით ჩვენ მის პრესსამსახურს დავუკავშირდით, თუმცა პროკურატურის ახალი მედიასტრატეგიის თანახმად, გაირკვა, რომ ინტერვიუ მხოლოდ 3 თვის შემდეგ შედგებოდა. სანამ არჩილ კბილაშვილი სექტემბერში ჩვენს კითხვებს უპასუხებს, მანამდე მედიასთან განმარტება პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ხათუნა პაიჭაძემ გააკეთა. ის ადასტურებს, რომ ბასტისა და ბუბუს მეტსახელებით ცნობილ პირებს, ლევან ფხალაძესა და ბორის ფარულავას და მათთან ერთად კიდევ 6 პირს, რომლებიც ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე პატიმრების წამების ბრალდებით დააკავეს, პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა.**

„ამ ადამიანებს, იმის გამო, რომ მათ გამოძიებას ძვირფასი ინფორმაცია მიაწოდეს და ითანამშრომლეს, გაუფორმდათ რეალურ სასჯელებზე საპროცესო შეთანხმება“, – განაცხადა პაიჭაძემ.

მას არ დაუკონკრეტებია, რა არის ის ძვირფასი ინფორმაცია, რის მიწოდების სანაცვლოდაც პატიმრების წამებაში ბრალდებულებს საპროცესოები გაუფორმდათ. შეთანხმების გაფორმების შედეგად, ბუბუს მეტსახელით ცნობილ ბორის ფარულავასა და გლდანის #8 დაწესებულების კიდევ ერთ თანამშრომელს, მანუჩარ ლომთაძეს, 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ამ პირებმა სასჯელი უკვე მოიხადეს და თავისუფლები არიან. საპროცესო შეთანხმებით სასჯელი 5 წლამდე შეუმცირდა ბასტის მეტსახელით ცნობილ ლევან ფხალაძეს. სასჯელზე გარიგება კიდევ 5 პირის მიმართ განხორციელდა:

მამუკა ჩხიტუნიძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და 6 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება; კობა ჩიკვატიას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით; გურამ ცომაიას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით; ალექსანდრე ჯანჯღავასა და დავით მეცხოვრიშვილს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

საპროცესო შეთანხმება არ გაფორმებულა შემდეგ პირებთან:

დავით ხუჭუას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 3 თვის ვადით და 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, ასევე დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით; გაგა მკურნალიძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 4 თვის და 15 დღის ვადით და 1 წლის და 6 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, ასევე განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით;

გიორგი კვარაცხელიას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით;

ლევან ფურცხვანიძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 9 თვის ვადით და 1 წლისა და 6 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება;

ვიქტორ ყაჭეიშვილს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 3 თვის ვადით და 1 წლისა და 6 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, ასევე განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით;

ოლეგ ფაცაციას განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 9 თვის ვადით და 1 წლისა და 6 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

სასამართლომ ორი პირის – თემურ ჭაჭიასა და მათე ელბაქიძის მიმართ წარდგენილი ბრალდება გადააკვალიფიცირა სხვა მუხლზე და მათი მსჯავრდება მოხდა დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის. თემურ ჭაჭიასა და მათე ელბაქიძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება ციხის გახმაურებული სკანდალის ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტს, ვლადიმერ ბედუკაძეს, ის საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე, მიუხედავად მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტის არსებობისა, „განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ“ საპროცესო შეთანხმების შედეგად, სრულად განთავისუფლდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

**ბედუკაძე საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე, „განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ“ საპროცესო შეთანხმების შედეგად, სრულად განთავისუფლდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან**

მკითხველს შევახსენებ, რომ სასჯელაღსრულების სისტემის 17 ყოფილ თანამშრომელს, რომელთა უმეტესობა ვიდეოჩანაწერების გავრცელებიდან მალევე დააკავეს, გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმართა წამება და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა ედებოდათ ბრალად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის მიხედვით, ადამიანთა წამება ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ათ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი ა) მოხელის, ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; გ) არაერთგზის; დ) ორი ან მეტი პირის მიმართ; ე) ჯგუფურად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე. 17 ბრალდებულის შემთხვევაში სასჯელის მაქსიმალური ვადა 6 წლით განისაზღვრა.

წამებაში ბრალდებულთა მიმართ პროკურატურის მიერ გამოჩენილ ლოიალობას სკეპტიკოსები საპარლამენტო უმრავლესობაშიც გამოუჩნდნენ, რომელთა ნაწილი უკვე ღიად მიანიშნებს არჩილ კბილაშვილის პასუხისმგებლობის საკითხზე. ზოგადად, საპროცესო შეთანხმება პროკურატურის საქმიანობაში დამკვიდრებული წესია და ამას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, თუმცა, სკეპტიკოსთა შეფასებით, ცივილიზებულ სამყაროში ადამიანის წამება იმ კატეგორიის დანაშაულად ითვლება, რომელზეც საპროცესო მექანიზმის გამოყენება დაუშვებელია.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქართველოს საგარეო ვალი 13 მილიარდია



**my View**

**ხათუნა მგალობლიშვილი**

**ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი საქართველოში ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებას პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებს. დასკვნამ თბილისში ორმაგი რეაქცია გამოიწვია. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ახალი ხელისუფლება არასწორი გზით მიდის და მეორე - ამერიკასთან გაფუჭებული ურთიერთობა საქართველოს ეკონომიკას წარმოუდგენელ ზიანს მიაყენებს. შეფასებებში რეაქციები პოლიტიკური პოზიციების მიხედვით დაიყო. უმცირესობა კონგრესის დასკვნაში თითოეულ სიტყვას საგანგაშოდ აღიქვამს, უმრავლესობა კი თვლის, რომ ამერიკის მხრიდან მსგავსი დასკვნის დადება მხოლოდ და მხოლოდ წუხილია ვანო მერაბიშვილის დაკავების გამო...**



**დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:**

- ნებისმიერ ქვეყანაში ისეთი პირის დაკავება, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იყო მინისტრი, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრი, დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების მხრიდან ინტერესი, სრულიად ბუნებრივია მათი პოზიცია, რომ საქართველოში არ უნდა იყოს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებები. ხელისუფლება იზიარებს ამ პოზიციებს. რეკომენდაციისთვის ყველას მადლობას ვუხდით.

პარლამენტი კონგრესის დასკვნის სიმკაცრეს ნაწილობრივ პოლიტიკურ თამაშებს აბრალებს. უსუფაშვილი აცხადებს, რომ შტატების პოლიტიკური ძალების ნაწილი ბევრად მეტ ყურადღებას აქცევს საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ძალების მხოლოდ ერთ ნაწილს და ინფორმაციული სიმწირეც სახეზეა. თუმცა ახალი ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ საქართველო-ამერიკის ურთიერთობებზე არანაირი დასკვნა არ აისახება და ის ისეთივე სახით გაგრძელდება, როგორიც აქამდე იყო.

განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ექსპერტებს. ისინი პრობლემას ბევრად უფრო შორს ხედავენ ვიდრე ერთი ყოფილი ჩინოვნიკის დაკავებაა. სულაც არ თვლიან, რომ მთავარი პრობლემა მერაბიშვილის დაჭერის პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური შეფასების მიცემაა. ექსპერტებმა მთავარი საკითხი კონგრესის დასკვნის ბოლო ნაწილში „აღმოაჩინეს" - „საქართველოს მთავრობის მხრიდან ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ გატარებულმა ღონისძიებებმა შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინონ აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობებზე. მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების თვალსაზრისით"...

2013 წლის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვალი ცამეტ მილიარდზე მეტს შეადგენს. 13 მილიარდიდან 4 მილიარდი სამთავრობო სექტორის არის, 58 მილიონი ეროვნული ბანკის, ხოლო 2 მილიარდი საბანკო სექტორის ვალია. ცნობილია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს დაახლოებით მილიარდი ლარის ოდენობის ვალი უნდა გაესტუმრებინა. ამერიკას სრული უფლება აქვს რისკების გამო ვალის რესტრუქტურიზია არ მოახდინოს...

## რა მოხდება თუკი ამერიკა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი აღარ იქნება

**„საერთაშორისო ორგანიზაციებში ძალიან მარტივად შეიძლება დადგეს ბიზნესგარემოს, თუ პოლიტიკური გარემოს გაუარესების გამო საკითხი და ნაკისრი ვალდებულებები ვადაზე ადრე მოითხოვონ"**

**ლევან ალაფიშვილი, ექსპერტი:**

- ამერიკის სახელმწიფო ძალიან მკაფიო მინიშნებას გაუკეთებს, პირველ რიგში, თავის ინვესტორებს, რომ საქართველო აღარ არის ჩემთვის პრიორიტეტი, არ არის ისეთი ბიზნესგარემო... ეს თავისთავად სიგნალი იქნება სხვა ინვესტორებისთვის. თუ ამერიკა უარს იტყვის ინვესტორების შემოყვანაზე, მით უფრო უცხოელი ინვესტორებისთვის აღარ იქნება დაცული უსაფრთხოების გარანტიები.

**- ციფრებში როგორი იქნება ეს ზარალი?**

- ციფრებზე საუბარი დღეს ძალიან ძნელია, თუმცა, თუკი გავითვალისწინებთ ჩვენს საგარეო ვალს, ვთქვათ შესაძლებელია, რომ 100 მილიონიც კი პროცესების დაწყების საფუძველი იყოს - ერთი შეჩერებული ინვესტიცია. მით უფრო, რომ საუბარი იყო რამდენიმე მილიარდზე. ომამდე სერიოზული გარემო იყო, მაგრამ ამაზე საუბარი რამდენიმე დღეში დასრულდა. მართალია, ფაქტორი ომი გახდა, მაგრამ არანაკლები წვლილი მიუძღვის ამერიკას. მას შეეძლო თავისი ინვესტორებისთვის ეთქვა, რომ მიუხედავად ომისა, აქ მაინც არის ადგილი, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ეს იქნებოდა ასევე სიგნალი დანარჩენი ინვესტორებისთვის. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციებში ძალიან მარტივად შეიძლება დადგეს ბიზნესგარემოს, თუ პოლიტიკური გარემოს გაუარესების გამო საკითხი და ნაკისრი ვალდებულებები ვადაზე ადრე მოითხოვონ. წელს ჩვენ გვიწევდა დაახლოებით მილიარდის გასტუმრება, გაისტუმრა ვინმემ ეს ვალი? წარმოიდგინეთ, რომ უბრალოდ, არ მოახდინონ ვალის რესტრუქტურიზაცია, სახელწმიფოს ბიუჯეტიდან მოუწევს ვალის გადახდა, რის შედეგადაც გაბანკროტდება.

**- აქ შეიძლება ვინმემ არგუმენტი მოიყვანოს, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთი დაგვეხმარება...**

- რაში დაგვეხმარება, ინვესტიციებში? და დღეს რატომ არ გვეხმარება? ან როგორ დაგვეხმარება? რუსეთის ვინც იყო, იქ რა ქნა, ააყვავა რომელიმე მხარე? არაფერია გაკეთებული. იგივე სომხეთში, ბელორუსში... არის სადმე ინვესტიციების მოჭარბება? რა თქმა უნდა, არა. თუნდაც ყაზახეთი, ასტანაში ყველა მულტინაციონალური კომპანიის წარმომადგენლობაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ ბიზნესი არ კონტროლდება. ასე რომ, რუსეთის როლს, როგორც ძირითადი ინვესტიციების მომზიდველის, ვერ განვიხილავ. ქართველები, რომლებსაც რუსეთში აქვთ ბიზნესები, იგივე ბიძინა ივანიშვილი, მაგალითად, თუ ისინი წამოიღებენ თავიანთ ბიზნესს საქართველოში, ეს სხვა საკითხია...

**- მაგალითად, გულუამ ან ებრალიძემ, იგივე ვასაძემ, რომ ჩადოს საკუთარი ფინანსები საქართველოში...**

- ვასაძე თუ ჩამდები იყო, აქამდეც ჩადებდა, იგივე შემიძლია ვთქვა ებრალიძეზე და გულუაზე. იგივე შემიძლია ვთქვა ივანიშვილის შემთხვევაშიც. გასაგებია, რომ ივანიშვილმა პოლიტიკაში ჩადო, რაც რუსეთში გაყიდა, მაგრამ კიდევ ხომ ჰქონდა ბიზნესი? დანარჩენი სად არის? წესით, დანარჩენი ბიზნესიც აქ უნდა იყოს.

**- იყო მოსაზრება, რომ ივანიშვილი გარდამავალი პიროვნებაც კი იყო ქართულ პოლიტიკაში, იმისთვის, რომ სოჭის ოლიმპიადის დროს სააკაშვილი არ ყოფილიყო ხელისუფლებაში, რადგან რუსეთს ყოველთვის ჰქონდა შიში, რომ სააკაშვილი ხელს შეუშლიდა ოლიმპიადის ჩატარებას...**

- არა მგონია, რომ ოლიმპიადასთან მიმართებაში სააკაშვილი სერიოზულ საფრთხედ განიხილებოდა რუსეთში. ბოლოს და ბოლოს კედელს ააშენებდა და თავის უშიშროებას დასვავდა იმ ტერიტორიაზე. რუსეთს არ ჰქონდა პრობლემა, რომ აღეკვეთა რაიმე საფრთხე. ფიზიკური საფრთხეების მოხსნის შემდეგ ერთადერთი რჩებოდა, გამოხატული პროტესტი, ისიც სპორტულ სამყაროში. აქაც გაჟღერდა, რომ სპორტული სამყარო და პოლიტიკა ერთმანეთისგან გამიჯნულები არიანო, თუმცა ეს ჩემთვის მიუღებელი ფორმულაა. არა მგონია, ბიძინა ივანიშვილი სოჭის ოლიმპიადის გამო გამოსულიყო პოლიტიკაში. სხვათა შორის „ვარდების რვოლუციის" პერიოდში ერთ-ერთ სერიოზულ კანდიდატურად დასახელებული სწორედ ივანიშვილი იყო. მაშინ რუსეთის გეგმები შევარდნაძემ აურია თავისი გადადგომით. ივანოვი სწორედ მაგიტომ იყო ჩამოსული თბილისში. მოლაპარაკება იყო ასეთი, შევარდნაძეს უნდა დაესრულებინა თავისი ვადა, ამის გარანტორი რუსეთი იქნებოდა და არჩევნებში ივანიშვილს უნდა გაემარჯვა.

**ლევან ალაფიშვილი: „შესაძლებელია, რომ 100 მილიონიც კი პროცესების დაწყების საფუძველი იყოს"**







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პარლამენტის სკანდალური დადგენილება

ხათუნა მგალობლიშვილი

**17 მაისის პეტიციას 12 ათასი ხელმოწერა ასრულებს. ხელმოწერების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი დასრულდა და ეკა ბესელიამ საკუთარი სიტყვები უკან წაიღო. თუმცა უკვე დღეს აცხადებს, რომ ხელმომწერთა ნამდვილობა ეჭვქვეშ არც დაუყენებია. ამ შემთხვევაში ყველაფერი ზაზა გაბედავასა და კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსს დაჰბრალდა, რომლებმაც პეტიციაზე საკუთარი ხელმოწერები აღმოაჩინეს. სწორედ გაბედავამ მიმართა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს ინიციატივით, ხელმოწერები გადამოწმებულიყო. მთავარი დამნაშავე გაიშიფრა, თუმცა დასკვნის შინაარსმა მალევე გადაფარა 12 ათასი ადამიანის ავთენტურობის ამბავი.**

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", დამოუკიდებელი ჟურნალისტები და კიდევ ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ბესელიას კომიტეტის დასკვნას 17 მაისის შესახებ დაუბალანსებელს, არაპროფესიონალურსა და შეუსაბამოს უწოდებს. მართალია, საუბარია სამუშაო ვარიანტზე, თუმცა ბესელიას მისამართით უკმაყოფილება, სავარაუდოდ, არც საბოლოო ვარიანტის წარმოდგენის შემდეგ შეწყდება. მით უფრო, რომ პარლამენტში დასკვნის განხილვას კომიტეტის თავმჯდომარე ვერ დაესწრება. ბესელია სამუშაო ვიზიტით საზღვარგარეთ მიემგზავრება.

**ეკა ბესელია, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე:**

**– რატომ ატყდა ხმაური ხელმოწერების ირგვლივ?**

– რამდენიმე ადამიანმა დააყენა ეს ხელმოწერები ეჭვქვეშ. მათ თქვეს, რომ მათი ხელმოწერები არასწორად იყო პეტიციაზე და მოგვმართეს თხოვნით, რომ გადაგვემოწმებინა.

**– თქვენ ეჭვქვეშ არ დაგიყენებიათ?**

– არა, რა თქმა უნდა, მე ეჭვქვეშ არ დამიყენებია. როგორ დავაყენებდი ეჭვქვეშ, ეს ხომ ელექტრონული ხელმოწერებია.

**– იყო ბრალდება, რომ თქვენ რელიგია უფრო მაღლა დააყენეთ, ვიდრე კანონი...**

– სად ჩანს ეს? დამიდასტურონ, თუ ასეა. კონსტიტუცია არის ქვეყნის ძირითადი კანონი და მე ამას ვაღიარებ, როგორც საქართველოს მოქალაქე. მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს თავისი განსაკუთრებული სტატუსი და არსად იმ დასკვნაში არ წერია, რომ კონსტიტუციაზე მაღლა რაიმე დგას. ეს არსად არ წერია.

**– შეფასება არის ასეთი, რომ დასკვნა არის ტენდენციური...**

### თამთა ქარჩავა:
### „მე ვფიქრობ, რომ ასეთი დასკვნის დადებით კომიტეტმა ხელი შეუწყო, რელიგიური ჯგუფებისა და კონტრდემონსტრანტების ხედვები უფრო ლეგიტიმური გამხდარიყო"



**EXCLUSIVE**

### ეკა ბესელია: „რასაც პარლამენტი ჩათვლის საჭიროდ, იმ პოზიციას დააფიქსირებს და თუ ეს მოსაზრება მიუღებელი აღმოჩნდება, მხოლოდ ამის შემდეგ ექნებათ უფლება, გააკრიტიკონ ის"

– ეს არ არის საბოლოო დასკვნა და როგორი იქნება ის, როცა საბოლოო სახეს მიიღებს, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ. შეფასებებს მოვისმენ მაშინ, როცა საბოლოო დასკვნა დაიდება. იქამდე მიმდინარეობს სამუშაო პროცესი და არ მესმის, წინასწარ რატომ კეთდება დასკვნები. რაც შეეხება სიტყვა პროპაგანდას, ის არ არის შეურაცხმყოფელი სიტყვა. მთავარი არის ის, რომ ძალადობას ვგმობთ და ყველა, ვინც ძალადობას ახორციელებდა, პასუხისგებაშია მიცემული. ნებისმიერი პირის უფლება იქნება დაცული, მათ შორის უმცირესობის წარმომადგენლების და ამის გარანტორები ჩვენ ვართ. რასაც პარლამენტი ჩათვლის საჭიროდ, იმ პოზიციას დააფიქსირებს, და თუ ეს მოსაზრება მიუღებელი აღმოჩნდება, მხოლოდ ამის შემდეგ ექნებათ უფლება, გააკრიტიკონ ის. იქამდე ყველაფერი სამუშაო პროცესია და სამუშაო პროცესში გამოთქმული აზრი, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია.

ანგარიშის გაწევა არც ერთ მხარეს არ უცდია. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დასკვნის განხილვისას საკმაოდ კრიტიკული იყო. მათ ღიად დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრება, რომ შეეცდებიან, სერიოზული გავლენა მოახდინონ საბოლოო ვარიანტზე. აცხადებენ, რომ დასკვნა არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციას და არის მცდელობა რელიგიური გადახრისკენ.



**თამთა ქარჩავა, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი":**

– დასკვნაში არის დისბალანსი და არის გაუმართავი. ის არის შეუსაბამო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციასთან. იქ წარმოდგენილი მოსაზრებები არ ჯდება დემოკრატიული საზოგადოების გაგებაში. LGBT წევრების შეკრების თავისუფლება, ამ თემების ხმამაღლა და საჯარო განხილვები, მათი უფლებების დარღვევებზე საუბრები და დისკუსიები აუცილებელია. ეს ყველაფერი არის დემოკრატიული საზოგადოების ნაწილი. ვფიქრობ, ასეთი დასკვნის დადებით კომიტეტმა ხელი შეუწყო, რელიგიური ჯგუფებისა და კონტრდემონსტრანტების ხედვები უფრო ლეგიტიმური გამხდარიყო. ეს არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

**– ფიქრობთ, რომ საბოლოო ვარიანტი განსხვავებული იქნება?**

– ჩვენ შევეცდებით, დასკვნაზე გავლენა მოვახდინოთ.

**– თუ ვერ მოახდენთ გავლენას?**

– ეს იქნება ინდიკატორი იმისა, როგორი რწმენა, სულისკვეთება და მსოფლმხედველობა აქვს ადამიანის უფლებათა კომიტეტს პარლამენტში. ეს იქნება კომიტეტის საზომი და ტესტი, როგორ ხედავს ის ლიბერალურ საკითხებსა და დემოკრატიას.

„საიას" მსგავსად ფიქრობენ მედიის წარმომადგენლებიც. ჟურნალისტ ნინო დანელიას განცხადებით, ადამიანის უფლებათა კომიტეტი არ უნდა აღმოჩნდეს რელიგიური ექსტრემისტების გვერდით.

**ნინო დანელია, ჟურნალისტი:**

– ხელმოწერების ნამდვილობაში არავის ეჭვი არ ეპარება. ის ეჭვქვეშ დადგა მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე უცოდინარმა ადამიანმა, რომლებმაც არ იციან, როგორ ხდება მსგავს პეტიციებზე ონლაინ ხელმოწერების შეგროვება, თქვეს, რომ მათი ხელმოწერები არის პეტიციაზე ისე, რომ ხელი პირადად არ მოუწერიათ. გაბედავამ ისიც კი თქვა, რომ ბევრმა ადამიანმა არც კი იცის, რაზე მოაწერა ხელი. სწორედ ამიტომ თქვა ეკა ბესელიამ, რომ შესაძლებელი იყო, ეჭვქვეშ დამდგარიყო ხელმოწერების ნამდვილობა. სიები გადამოწმდა და ვისაც ორჯერ ჰქონდა ხელი მოწერილი, ისინი გაიცხრილა. მე მაგალითად, პირველად რომ მოვაწერე ხელი, არ დაფიქსირდა, ამიტომ მეორედაც მოვაწერე და შემდეგ ინტერნეტში ორივე ხელმოწერა აღმოჩნდა. ბუნებრივია, ასეთი ფაქტები გასწორდა. ყველა დუბლიკატი სიიდან ამოგდებულია. სწორედ ამიტომ სია დავიდა 12 ათასამდე. გაბედავასნაირი პროვოკატორები სიიდან ამოღებულები არიან და ის სია, რომელიც დღეს დევს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან, არის ზუსტი.

**– თქვენ იმედი გამოთქვით, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის საბოლოო დასკვნა რადიკალურად განსხვავებული იქნება პირველი ვარიანტისგან, რა კონკრეტული შენიშვნები გაქვთ?**

– არ მივცემ თავს უფლებას, ვილაპარაკო იმ იურიდიულ შეუსაბამობებზე, რომელიც არის დასკვნის პირველ ვარიანტში. მინდა აღვნიშნო, რომ დასკვნაში აქცენტები აბსოლუტურად არასწორადაა დასმული. მაგალითად, წერია, რომ შეკრების თავისუფლება არ არის უზენაესი უფლება და საქართველოს მთავრობის ფუნდამენტური მოვალეობაა რელიგიის დაცვა. ეს არ არის სწორი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს რელიგიისა და ადამიანის უფლებების დაპირისპირება. ეს გაუგონარი და არაპროფესიულია. იმედი მაქვს და ეს პირადადაც ვთხოვე კომიტეტის ხელმძღვანელობას, ნუ დადგებიან რელიგიური ექსტრემისტების გვერდით.

საბოლოო ვერსიამდე საკითხის განხილვა პარლამენტში მოხდება. თუმცა დახურულ სხდომაზე არასამთავრობოებსა და კომიტეტს შორის შეთანხმება გარკვეულ საკითხებზე შედგა და ეს ბესელიამ თავადაც დაადასტურა.

**ეკა ბესელია:**

– დასკვნის პროექტში რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით კორექტირება შევა. პრინციპულ საკითხებზე ვთანხმდებით, ეს ეხება ძალადობის დაგმობას, სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ნებისმიერი უმცირესობის გამოხატვის უფლება. აზრთა სხვადასხვაობა ორ საკითხთან დაკავშირებით არსებობს. ერთი არის ის, რომ ჩვენ პოლიციის მოქმედებას დადებითად ვაფასებთ, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ პოლიციასთან მიმართებაში შეფასება იყოს კრიტიკული. ასევე, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები რელიგიის თავთან დაკავშირებით. შეთანხმებული საკითხები დასკვნის სამუშაო ვერსიაში შევა და მსჯელობა კორექტირებულ ვარიანტზე გაგრძელდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოთხი წლის წინ სენაკში მომხდარი უბედური შემთხვევა კვლავ ბურუსითაა მოცული



ამირან ჭუბაბრია

## ვინ მფარველობს ავტომობილის მძღოლს, რომელმაც 26 წლის ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლა?

**EXCLUSIVE**



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**ოთხი წლის წინ, სენაკში, სტალინის ქუჩაზე მომხდარი უბედური შემთხვევა შესაძლოა პროკურატურის დაინტერესების საგანი გახდეს. გარდაცვლილის ოჯახის იურისტები თეა წულუკიანის, არჩილ კბილაშვილისა და ეკა ბესელიას სახელზე განცხადებას ამზადებენ. საუბარია ავტოსაგზაო შემთხვევაზე, რომელსაც 26 წლის ამირან ჭუბაბრია შეეწირა. ავტომობილის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და მისი კვალი დღემდე უცნობია. ჭუბაბრიების ოჯახი დარწმუნებულია, რომ დამნაშავეს მაღალჩინოსნები აფარებდნენ ხელს. კონკრეტულად ვისზე აქვს ეჭვი ოჯახს? რა უთხრა როლანდ ახალაიამ გარდაცვლილის დედას და რა კავშირი აქვს ამ საქმესთან მეგის ქარდავას?**

**„პრაიმტაიმი“ გარდაცვლილის დედას, ნონა ჭუბაბრიას ესაუბრა:**

– ზუსტად ოთხი წლის წინ, 28 აგვისტოს, დაიღუპა ჩემი შვილი. ავარიის მომხდენი ავტომანქანის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მთელ რაიონში გავარდა ხმა, ამირანი დაიღუპაო. საავადმყოფოსთან მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის მანქანების დიდი რაოდენობა, მათ შორის ზუგდიდიდან. როგორც წესი, დაიწყო გამოძიება, მაგრამ, როგორც გაირკვა, მალევე ჩაიფარცხა. მე, შვილმკვდარ დედას, რა თქმა უნდა, იმის თავი არ მქონდა, რომ მაშინვე დავინტერესებულიყავი გამოძიების მსვლელობით, მაგრამ შვილის დასაფლავების შემდეგაც რომ არავინ მოგვაკითხა პოლიციიდან, 16 სექტემბერს თვითონ მივედი განყოფილებაში, სადაც განმიცხადეს, რომ – ჩვენ გვეგონა, თქვენ იმ მძღოლს მოურიგდით და ამიტომაც აღარ დავინტერესდით ამ ამბითო. ე.ი. ჩვენ გვცოდნია დამნაშავის ვინაობა, პოლიციის ინფორმაციით მოვრიგებივართ კიდეც მას და კითხვითაც არ გვკითხეს, ვინ იყო იგი. როდესაც მივედი, საპატრულოს უფროსი ქარაია დაიმალა, მითხრეს, ექსპერტიზაზეა გაგზავნილი ტანსაცმელიო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არანაირ ექსპერტიზაზე არ იყო გაგზავნილი. მხოლოდ ჩემი მისვლის შემდეგ, გარდაცვალებიდან მეცხრამეტე დღეს გაგზავნეს ექსპერტიზაზე. მითხრეს, დამნაშავე გაიქცა და ჩვენ არ ვიცით ვინ არისო. ადგილზე დარჩა ღია ლურჯი ფერის ნამსხვრევები, არც ამით დაინტერესდნენ. განყოფილებაში რომ ვიყავი, ადგილზე იმყოფებოდა მეგის ქარდავაც. იქ, პირადად ჩემთვის არაფერი უკითხავს, ქარაიას ესაუბრებოდა. შემდეგ სოფლის რწმუნებულთან ყოფილა მოსული, ჩაუსვამს მანქანაში, რა ელაპარაკა, არ ვიცი, რამდენიმე პიროვნება, რომელიც სავარაუდოდ შეიძლება ყოფილიყო ეჭვმიტანილი, თვითონ უნახავს. სიმართლის დადგენას ცდილობდა, თუ ვინმესთვის აღიარების მიღებას, ეგ არ ვიცი. ჩვენ არ გაგვკარებია და ფაქტია, რომ ეს საქმე დღემდე გაუხსნელია. ქარაიამ მითხრა – მე ისე არ წავალ აქედან, ეს საქმე რომ არ გავხსნაო. მეორე დღეს რომ მივაკითხე, მითხრეს, რომ თბილისში გადაიყვანეს, დააწინაურესო.

**„ქარაიამ მითხრა – ისე არ წავალ აქედან, ეს საქმე რომ არ გავხსნაო. მეორე დღეს რომ მივაკითხე, მითხრეს, რომ თბილისში გადაიყვანეს, დააწინაურესო“**

**– როგორც ვიცი, როლანდ ახალაია საქმის კურსში იყო ამ შემთხვევის შესახებ...**

– კი, არაერთხელ ვცადე მასთან შეხვედრა. მაშინ საოლქო პროკურორი იყო. ბოლოს, როგორც იქნა მიმიღო. შემოიყვანა თანამშრომლები, მოადგილეები და ოროსანი ბავშვებივით დააყენა: - ეს ქალი ეძებს შვილის მკვლელს, თუ არ გაარკვევთ, ყველა დატოვებთ სამსახურსო. არ ვიცი, ეს ჩემს საჩვენებლად გააკეთა თუ მართლაც გულთან მიიტანა, მაგრამ ვერც ამ შეხვედრამ შეცვალა რამე.

**– ვინმე აფარებს ხელს?**

– დიახ, ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ მას მაღალჩინოსანი მფარველობდა. ახლა, სწორედ ამის გასარკვევად მივმართავ საგამოძიებო ორგანოებს. გაარკვიონ, როგორც რეალური დამნაშავე, ასევე ის, თუ ვინ აფარებდა ხელს. ყველა უნდა დაისაჯოს. როდესაც ჩემი შვილი საავადმყოფოში მიიყვანეს, იქ ახლობლებმა დააფიქსირეს ორი პიროვნება, ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც უცნაურად კითხულობდნენ ჩემი შვილის მდგომარეობას და საავადმყოფო მალევე დატოვეს, მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ ვერ გადარჩებოდა. ეს პიროვნებები გამოელაპარაკნენ სანიტარს, მაგრამ ამ ქალმა ბოლოს იუარა. ამითაც არ დაინტერესდა გამოძიება. ვერ დადგინდა იმ პირების ვინაობა. დასაკითხად ჰყავდათ რამდენიმე ბიჭი, არ ვიცი რას სთხოვდნენ მათ და როგორ მოეპყრნენ, მაგრამ მათი ოჯახის წევრები აქ მომიცვივდნენ – ჩვენი შვილები რა შუაში არიან, ჩვენების მიცემის სანაცვლოდ რომ სცემენო. რა უნდა მეთქვა... მე, ჩემი შვილის მკვლელს ვეძებ და არავის ცემით არ ვარ დაინტერესებულიმეთქი.

**– ვინ სცემა უშუალოდო?**

– მეგის ქარდავას უცემია, ჩვენებას რომ ართმევდა. საერთოდ, არავის ცემა არ მაინტერესებს, მე მხოლოდ იმის გარკვევა მინდა, ვინ მოკლა ჩემი შვილი და ვინ მფარველობს.

**„პოლიციაში განმიცხადეს, – ჩვენ გვეგონა, თქვენ იმ მძღოლს მოურიგდით და ამიტომაც აღარ დავინტერესდით ამ ამბითო“**

**– და კონკრეტულად ვინ მფარველობს. ვისზე გაქვთ ეჭვი?**

– მე ყველაზე მეტი კითხვა, სენაკის პატრულის მაშინდელ უფროს ქარაიას მიმართ მაქვს. 26 წლის საღ-სალამათი შვილი მომიკლეს და ვერ დაადგინეს დამნაშავე. ვიღაც მაღალჩინოსანი დგას ამ ყველაფრის უკან, სხვა შემთხვევაში გამორიცხულია ეს ვერ გაერკვიათ. ახლა, ხელახლა გამოძიებას მოვითხოვ, იქნებ წლების შემდეგ მაინც გაირკვეს ჩემი ოჯახის ტრაგედიის მიზეზი. ჩვენ მოვითხოვეთ გამოძიება წარემართა გამომძიებელ მორგოშიას. პატიოსანი ადამიანია, შევხვდი კიდეც. მითხრა, მე არაფერს არ დაგიმალავო, მაგრამ, სამ დღეში, მოულოდნელად პოლიციიდან საერთოდ გაათავისუფლეს. მეგის ქარდავამ იცის ჩემი შვილის მკვლელი, მაგრამ მალავს. ის ეძებდა ვიღაც პიროვნებას, თვითონ დადიოდა რწმუნებულთან ერთად, მაგრამ რა მიზნით, ან ვის ეძებდა? აი, ეს არის გასარკვევი. რეალურ დამნაშავეს ეძებდა, თუ ვინმეს, ვინც თავის თავზე აიღებდა.



ნონა ჭუბაბრია



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მიმაჩნია, რომ რუსეთი არის ვერაგული სახელმწიფო და ყოველთვის იქნება საფრთხე იმ ქართველებისთვის, ვისაც რუსეთში აქვთ გარკვეული ბიზნესი“



# პაატა ზაქარეიშვილი: „ჩვენმა მოქალაქეებმა უმჯობესია, საქმე უკეთეს ქვეყნებში აწარმოონ, იქ უფრო დაცული იქნება მათი უფლებები“

EXCLUSIVE

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**რეინტეგრაციის მინისტრმა საქართველოს მოქალაქეებს თავშეკავებისკენ მოუწოდა. გაფრთხილება მათი მისამართით გაკეთდა, ვისაც რუსეთში საკუთარი ბიზნესის აწყობა სურს. პაატა ზაქარეიშვილის ინიციატივა კიდევ უფრო დეტალურად რომ ავხსნათ, აღმოჩნდება, რომ ის აბსოლუტურად წინააღმდეგობაში მოდის არა მარტო ზურაბ აბაშიძის გეგმებთან, არამედ თვითონ ბიძინა ივანიშვილის სურვილთანაც. ერთი მხრივ, პრემიერის პირადი წარმომადგენელი ცდილობს, ორივე მხარე დაარწმუნოს, რომ ქართული ღვინის რუსულ ბაზაზე გატანა სერიოზული წინსვლაა, მეორე მხრივ კი, რეინტეგრაციის მინისტრი ადასტურებს, რომ ამაში დიდი საფრთხეა. საფრთხეს კი მარტივი ლოგიკით ხსნის – რუსეთი ჩვენი მეგობარი სახელმწიფო არ არის...**

**პაატა ზაქარეიშვილი, რეინტეგრაციის მინისტრი:**

– ეს ჩემი პოზიციაა. მიმაჩნია, რომ რუსეთი არის ვერაგული სახელმწიფო და ყოველთვის იქნება საფრთხე იმ ქართველებისთვის, ვისაც სურს ჰქონდეს, ან აქვს რუსეთში გარკვეული ბიზნესი. ამის მაგალითია დეპორტაცია. როცა რუსეთმა ქართველები დასაჯა იმის გამო, რომ საქართველოსგან მეტს ელოდებოდა და ვერ მიიღო ის შედეგი. პოლიტიკის გამო დაზარალდნენ ქართველი მოქალაქეები. ამიტომ მე ვურჩევ ყველას... მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას, ბუნებრივია, დამოუკიდებლად მიიღებენ და მათი ნება იქნება, ექნებათ თუ არა რაიმე ბიზნესი რუსეთში. ჩვენმა მოქალაქეებმა უმჯობესია, საქმე უკეთეს ქვეყნებში აწარმოონ. იქ უფრო დაცული იქნება მათი უფლებები. თუმცა მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა, საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა მაინც რუსეთთან აკავშირებს თავის მომავალს. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მიხარია, ასეთ გაფრთხილებას რომ ვიძლევი, მაგრამ პერსპექტივაში პრობლემები გარდაუვალია.

**– ეს არ ეწინააღმდეგება იმ ნაბიჯებს, რომელსაც პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი დგამს რუსეთთან მიმართებაში, ან არ გამოიწვევს დაბნეულობას იმ ბიზნესმენებში, რომლებიც საკუთარი თუნდაც ღვინის გატანას გეგმავენ რუსულ ბაზარზე?**

– რატომ ეწინააღმდეგება? მე ხომ გითხარით, რომ მიუხედავად ჩემი პოზიციისა, ქართული მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთს უკავშირებს საკუთარ მომავალს. ჩვენ ვალდებული ვართ, გავაფრთხილოთ ჩვენი მოქალაქეები. როცა ამერიკის შეერთებული შტატები თავის მოქალაქეებს აფრთხილებს, არ ჩავიდნენ, მაგალითად, ირანში, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ირანში ჩასვლას უკრძალავენ? რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, სახელმწიფო ეუბნებათ, რომ მათთვის ირანში ჩასვლა შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი. ჩვენი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, არ გვაქვს მორალური უფლება, ვუთხრათ ჩვენს მოქალაქეებს, რომ იმოგზაურონ რუსეთში და იქ ჩასვლით პრობლემები არ შეექმნებათ, რადგან ის ჩვენი მეგობარი ქვეყანაა. ამის თქმის უფლება არ გვაქვს. ჩვენ საკუთარ მოქალაქეებს ვეუბნებით, რომ პატივს ვცემთ თქვენს თავისუფლებას, არჩევანის უფლებას, სადაც გნებავთ, იქ აწარმოოთ თქვენი ბიზნესი, მაგრამ ვაფრთხილებთ. რა შედეგი დადგება გაფრთხილების შემდეგ? პასუხისმგებლობას უკვე თავის თავზე აიღებენ.

**– ტიშკევიჩთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ ეს ცვლილება ხელისუფლების უმოქმედობით არის გამოწვეული...**

– პრეზიდენტის ადმინისტრაცია ყოველთვის უნამუსოდ და უსინდისოდ იტყუება არა მარტო ტიშკევიჩის მიმართულებით, არამედ ყველა თემის მიმართულებით. ტიშკევიჩს, როგორც ნებისმიერ დეპუტატს, ვადა ეწურება. ასე ამოეწურა აქ ყოფნის ვადაც. მისი მდგომარეობა არანაირიად არ გაუარესებულა, საერთოდ არ შეცვლილა არაფერი მისთვის სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. ეს არის უსინდისო ტყუილი.

**– არის ინფორმაცია, რომ რუსეთის დახმარებით იწერება ოსეთის ახალი ისტორია, რომელიც შევა ადგილობრივ სკოლებში და ბავშვები შეისწავლიან სწორედ რუსეთის მიერ დაწერილ ისტორიას...**

– რუსები გვეხმიანებიან ყველაფერში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არის რუსული ჯარი, რუსული ფული, რუსული სამართალი, რუსული ენა. ეს არის ოკუპაციის ფორმა. ამაზე უარესი ხდება ამ წუთებში, ვიდრე ოსეთის ახალი ისტორიის დაწერაა. ასეთ ისტორიულ ნაწერებს, როგორც წესი, არავინ არ კითხულობს ხოლმე, რადგან ის ყალბია. მართალი გითხრათ, ეს ყველაზე ნაკლები პრობლემაა ჩვენთვის.

**– გრძელდება მავთულხლართების გაბმა, ადამიანების გატაცებები...**

– ანუ გრძელდება ოკუპაცია, ახალი არაფერი ხდება. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ გადამეტებული პროპაგანდის შედეგი. რაც არ არსებობს, რა უნდა გადმოეწიათ. ეს იყო ოკუპირებული ტერიტორია და რუსებმა იმოქმედეს იმის საპასუხოდ, რაც ეხლა ხდება ურთიერთობებში. რუსეთს შეეშინდა, რომ დაიძვრებოდა ქართულ-ოსური შერიგების პროცესი, რუსები ამას არც მალავენ. მავთულხლართები რეალურად არის ოსური საზოგადოების წინააღმდეგ. რა განსხვავებაა ბერლინის კედელსა და ჩინეთის კედელს შორის? ბერლინის კედელი თავის ხალხს არ უშვებდა გარეთ, ჩინეთის კედელი კი მტერს არ უშვებდა შიგნით. ეს არის ბერლინის კედელი. რუსებს სურთ, რომ შემოფარგლონ ოკუპირებული ტერიტორიები. მათ სურთ, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან არავინ არ გამოვიდეს, ან თუ ვინმე მოინდომებს, ძნელად გამოვიდეს. როცა ამბობენ, საზღვარი გადმოსწიესო, მე ვერ მაჩვენებთ ხაზს, რომელიც მანამდე არსებობდა. მანამდე ქართველ გლეხებს შედარებით თავისუფლად შეეძლოთ იქ გადაადგილება. თუმცა აპატიმრებდნენ კიდეც და უამრავი პრობლემაც ჰქონდა მოსახლეობას. დღეს რუსებმა გადაწყვიტეს, ხაზი გაავლონ, რათა მომავალში ქართული მოსახლეობის მოძრაობები ინტენსიური არ იყოს. მკაფიოდ და ცალსახად მათი ამოცანაა, რომ გადაადგილების ინტენსივობა შემცირდეს. ჩვენი ამოცანაა, რომ დავიცვათ ქართული მოსახლეობის უფლებები. ეს პროგრამა უკვე შემუშავებულია, ჩვენი სამინისტროდან, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებიდან მიმდინარეობს ერთობლივი მუშაობა. პროცესში ასევე ჩართულია შინაგან საქმეთა სამინისტროც. კონცეფცია გაწერილია და პარლამენტში 26 ივნისს იქნება მოსმენა. ძალიან მალე ჩვენ მოვახერხებთ იმ ადგილობრივი მოსახლეობის გრძელვადიან დახმარებას, ვინც უშუალოდ დაზარალდა ამ მავთულხლართებით.

**– რა დახმარებები იქნება?**

– უამრავ დახმარებაზეა საუბარი. ის, რაც იქ მყოფ ოჯახებს სჭირდებათ პრობლემების მოსაგვარებლად. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ზოგს ყველაზე მეტად ნაგვის გატანის პრობლემა აქვს. ძირითადად არის სარწყავი წყლის მიწოდების პრობლემა, საძოვრების, ვენახების დაკარგვა. ყველა კონკრეტულ პრობლემაზე იქნება კონკრეტული რეაგირება. ინფორმაცია უკვე შეგროვებულია და არსებობს, ახლა საჭიროა ამ ინფორმაციის გადაქცევა საბიუჯეტო ხარჯებად.

„პრეზიდენტის ადმინისტრაცია ყოველთვის უნამუსოდ და უსინდისოდ იტყუება“

„როცა ამბობენ, საზღვარი გადმოსწიესო, მე ვერ მაჩვენებთ ხაზს, რომელიც მანამდე არსებობდა“

„ინფორმაცია უკვე შეგროვებულია და არსებობს, ახლა საჭიროა ამ ინფორმაციის გადაქცევა საბიუჯეტო ხარჯებად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ამ წლის ბოლოსთვის რუსეთ
# დოლარის ღირებულების ქ

## ზურაბ აბაშიძე: „რუსეთთან დიალოგი იქნება რთული და ხანგრძლივი პროცესი; სწრაფი ცვლილებები, განსაკუთრებით რთულ თემებთან დაკავშირებით, არ მოხდება“



**„რომ არა ეს პრაგმატული პოლიტიკა, რუსეთის შესაბამისი უწყებები, ალბათ, გაცილებით მეტ წუნს იპოვიდნენ ჩვენს ღვინოსა და „ბორჯომში“, ვიდრე ცოტა ხნის წინ ონიშჩენკომ აღმოაჩინა“**

ქეთი ხატიაშვილი

**რა შეიცვალა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არჩევნების შემდეგ, საით წაიყვანს თბილისს ეგრეთწოდებული დათბობის პოლიტიკა და რას ნიშნავს, როცა საპასუხოდ რუსეთი ისევ მცოცავ ოკუპაციას აგრძელებს? „პრაიმტაიმს“ ესაუბრება დიპლომატი, ყოფილი ელჩი რუსეთში და ამჟამად პრემიერის წარმომადგენელი რუსეთში ზურაბ აბაშიძე.**

**– ბატონო ზურაბ, ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ არჩევნების წინ განაცხადა, რომ ის შეძლებს რუსეთთან ურთიერთობების დათბობას ნატოში გაწევრიანების პარალელურად, თანაც მოახერხებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დაბრუნებას. რამდენად რეალურია ამ ფორმულის პოლიტიკაში განხორციელება, მით უფრო, თუ მედვედევისა და პუტინის განცხადებებს გავითვალისწინებთ? რუსეთის პირველმა პირებმა არაერთხელ თქვეს: 2008 წლის ომი საქართველოსთან რუსეთს იმისთვის დასჭირდა, რომ საქართველო ნატოში არ შესულიყოო.**

# EXCLUSIVE

– დიდი ნორვეგიელი მკვლევარი ფრიტიოფ ნანსენი ამბობდა: „რთული მიზნის მიღწევას დიდი დრო და მონდომება სჭირდება, მიუღწეველ მიზნამდე მისვლას კი – ცოტა უფრო მეტიო“. ჩვენს წინაშე მართლაც ძალიან ამბიციური ამოცანაა. ერთი მხრივ, ევროატლანტიკური ინტეგრაცია, მეორე მხრივ კი – რუსეთთან საერთო ენის გამონახვა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჯერ ძნელია იმის თქმა, კონკრეტულად როდის და როგორ მოხდება ეს. მსოფლიო ძალიან სწრაფად იცვლება და სულ უფრო არაპროგნოზირებადი ხდება. სამხრეთ კავკასიასთან ახლოს მდებარე რეგიონებიდან კი ისეთი ახალი საფრთხეები მოდის, რომლებიც ბევრი სტანდარტული მიდგომის გადახედვას ითხოვს. აგრესიული რადიკალიზმი და ფუნდამენტალიზმი დესტაბილიზაციის საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიას, არამედ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, მათ შორის რუსეთს, ასევე დასავლეთის სამყაროს. რაღაც ეტაპზე ამ საფრთხეების ერთობლივი გააზრება და თანამშრომლობის ახალი ფორმულების ძიება გარდაუვალი იქნება. სწორედ ამ კონტექსტში ვხედავ ერთ-ერთ დამატებით გზასა და შანსს მომავალში ჩვენი შემდგომი დაახლოებისა ნატოსთან და დღევანდელი პრობლემების მოგვარებისა რუსეთთან.

რაც შეეხება 2008 წლის ომს, მე კვლავ ვრჩები იმ პოზიციაზე, რომ ჩვენი მცდარი პოლიტიკა რუსეთის მიმართ 2008 წლამდე არანაირად არ უწყობდა ხელს ამ უბედურების თავიდან აცილებას. ვფიქრობ, ევროკავშირის მიერ შექმნილი ე.წ. ტალიავინის კომისიის დასკვნაში, საერთო ჯამში, ობიექტურად არის აღწერილი და გაანალიზებული ომის მიზეზები და მისი დრამატული შედეგები.

**– კონკრეტულად რომ გვითხრათ, რას ითხოვს რუსეთი თბილისისგან? რა არის ის პოლიტიკური ფასი, რაც ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად უნდა გადავიხადოთ? აქვე შეგახსენებთ იგივე ლავროვის განცხადებას. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ რუსეთი არ აპირებს აღიარების უარყოფას...**

– ის, რომ რუსეთი არ აპირებს თავისი გადაწყვეტილების დენონსირებას, არა მხოლოდ ლავროვმა, არამედ პრეზიდენტმა პუტინმაც რამდენჯერმე დაადასტურა. მათ შორის, სულ ახლახან ჟურნალისტებთან შეხვედრისასაც. ამავე დროს პუტინმა ისიც აღნიშნა, რომ არც საქართველო იტყვის უარს თავის ტერიტორიულ მთლიანობაზე; ამიტომ ჯერ გამოსავალი არ ჩანს, იქნებ მომავალში თვით ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა ერთმანეთში მოილაპარაკონო. რა თქმა უნდა, ამ „ფორმულას“ აკლია უმნიშვნელოვანესი ელემენტი, კერძოდ ის, რომ რუსეთის პოლიტიკური ნების გარეშე აფხაზები და ოსები კომპრომისზე წასვლას, რომც მოინდომონ, ვერ შეძლებენ. თუმცა ბ-ნი პუტინი არ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას და თავისთავად, ეს საინტერესოა; ამ მომენტს ბევრმა რუსეთსა და დასავლეთშიც მიაქცია ყურადღება. ეს არც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გამორჩებოდათ.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, რას ითხოვს რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად, ცალსახად მოგახსენებთ, რომ ამ თემაზე მოსკოვთან საუბარი არ მიმდინარეობს და არც რაიმე საფასური მოუთხოვიათ. რუსეთი ამჟამად მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომ ეს თემა განსჯის საგანს არ წარმოადგენს.

რუსეთთან დიალოგის პარალელურად ჩვენ აუცილებლად უნდა ვეძიოთ გზები აფხაზებთან და

**„მოსკოვში ნათლად აცნობიერებენ, რომ ჩვენი ევროატლანტიკური კურსი უცვლელია“ „ჩვენი კანონმდებლობით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებული ტერიტორიებია. კანონი კანონია“**



**„გასული წლის ოქტომბერში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ცნობილი ცვლილებები რომ არ მომხდარიყო, ძალიან მეეჭვება, დღეისთვის რუსეთის ბაზარზე, ქართული პროდუქციის დაბრუნების თვალსაზრისით, იმავე დონეზე ვყოფილიყავით, რასაც ჩვენი მთავრობის პრაგმატული მიდგომით, სულ რაღაც, 6 თვეში მივაღწიეთ“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ში დაახლოებით 100 მილიონი ...ართული პროდუქცია შევა“

ოსებთან დასაახლოებლად. ისე არ უნდა წარმოვაჩინოთ საქმის ვითარება, რომ ისინი მოსკოვის ყურმოჭრილი სუროგატები არიან და თავიანთი აზრი ან პოზიცია არ გააჩნიათ. ეს მეტად მარტივი ხედვაა და ამასთანავე შეურაცხმყოფელი აფხაზებისა და ოსებისთვის.

**– რამდენად სავარაუდოა, რომ რუსეთმა მოითხოვოს საქართველოს ევრაზიის კავშირში გაწევრიანება, თუ გქონდათ ამ თემაზე საუბარი ვინმესთან?**

– არანაირი საუბარი ამ თემაზე არ ყოფილა. მოსკოვში ნათლად აცნობიერებენ, რომ ჩვენი ევროატლანტიკური კურსი უცვლელია.

**– ერთ-ერთ თქვენს წარმატებად ჩაითვალა ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ „ვეტეოში“ რუსეთის გაერთიანება მას ავალდებულებს, ითამაშოს საერთაშორისო სტანდარტებით და ბაზარი გახსნას. პარალელურად ქტად რჩება და ჩვენი პროდუქცია რუსულ ბაზარზე ბრუნდება. ამ წლის ბოლოსთვის რუსეთში დაახლოებით 100 მილიონი დოლარის ღირებულების ქართული პროდუქცია შევა. ეს არ არის კოლოსალური თანხა, თუმცა ის ბევრ გლეხს, მეღვინეს, კომპანიასა თუ მეწარმეს წაადგება. მომავალში ეს მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება.**

**– რას იტყვით იმ კომპანიებზე, ვისაც უფლება მიეცა, რუსულ ბაზარზე შევიდეს, ანუ რუსეთმა ვიზა მისცა. ამ თემაზე სხვადასხვა სახის ინფორმაციები ვრცელდება. ითქვა ისიც, რომ რუსეთის ბაზარი მხოლოდ იმ ბიზნესმენებისთვის გაიხსნა, ვინც რუსეთში მოღვაწეობს.**

– ჩვენი მხრიდან არანაირ პროტექციონიზმს ან ბიზნესი არ ჰქონდეთო“. „პრაიმტაიმთან“ საუბარში მინისტრმა განმარტა, რომ რუსეთში ბიზნესის წარმოება საფრთხის შემცველია. და თუ ბიზნესის წარმოება სახიფათოა, რამდენად უსაფრთხოა ის

**„ის, რომ რუსეთი არ აპირებს თავისი გადაწყვეტილების დენონსირებას, არა მხოლოდ ლავროვმა, არამედ პრეზიდენტმა პუტინმაც რამდენჯერმე დაადასტურა“**

ვთქვათ უარი. დღევანდელ მსოფლიოში ბიზნესს ასარჩევად არა აქვს საქმე, თითქმის ყველგან ეკონომიკური კრიზისია. ფულის საშოვნელად ცხრა მთას იქით მიდიან და ნემსის ყუნწში ძვრებიან.

**– ხომ არ ფიქრობთ, რომ ახალ ხელისუფლებაში საგარეო ორიენტაციის მხრივ პრობლემებია, ზოგიერთი გამოხატულად უჭერს მხარს დასავლეთს და ზოგიერთიც რუსეთის პოლიტიკას იზიარებს...**

– ვერანაირ პრობლემას საგარეო ორიენტაციის კუთხით ვერ ვხედავ. რუსეთში ღვინისა თუ კიტრის გაყიდვა არ ნიშნავს საგარეო ორიენტაციის შეცვლას. შეგახსენებთ თუნდაც საგარეო პოლიტიკის პრინციპების თაობაზე ორიოდე თვის წინ ჩვენი პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციას. სხვათა შორის, ჩვენი მთავრობის ინიციატივით რუსეთთან დაწყებულ დიალოგს ხაზგასმით მხარს უჭერს ზაციები ჩვენი პოზიციების დასაცავად და ამ უმსგავსო ფაქტების აღსაკვეთად. სხვა რაიმე იარაღი ჩვენ არ გვაქვს. რაც შეეხება ბ-ნ ბიძინას მოსაზრებას, არა მგონია, ის საფუძველს იყოს მოკლებული. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველო-რუსეთის დიალოგს ბევრი ოპონენტი ჰყავს რუსეთში, ასევე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. მიზეზთა გამო, მათ არ აწყობთ ჩვენს ქვეყნებს შორის საუბრის დაწყება. ამ ფაქტორის იგნორირება სწორი არ იქნება.

რაც შეეხება ე.წ. ბორდერიზაციის მიმართ მოსკოვის ოფიციალური წარმომადგენლების დამოკიდებულებას, ისინი აცხადებენ, რომ ამ „სასაზღვრო ზოლების“ შექმნაზე მუშაობა აფხაზებთან და ოსებთან ერთად მათ ჯერ კიდევ 2009 წლიდან დაიწყეს. მათი თვალთახედვით, ამ რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება მოსკოვს აძლევს უფლებას, „ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს“ დაეხმაროს სასაზღვრო



**„რაც შეეხება 2008 წლის ომს, მე კვლავ ვრჩები იმ პოზიციაზე, რომ ჩვენი მცდარი პოლიტიკა რუსეთის მიმართ 2008 წლამდე არანაირად არ უწყობდა ხელს ამ უბედურების თავიდან აცილებას“**

**ჩვენ მოვისმინეთ იგივე ონიშჩენკოს განცხადებები. ის ამტკიცებდა, რომ ჩვენი ღვინო ძმარია და ძველებურ „ბორჯომს“ ველარ ვასხამთ. რას უკავშირებთ ასეთ განცხადებებს?**

– 2011 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით რუსეთმა მართლაც აიღო ვალდებულება ამ ორგანიზაციის სხვა წევრ ქვეყნებთან ცივილიზებული ვაჭრობის შესახებ. თუმცა, გასული წლის ოქტომბერში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ცნობილი ცვლილებები რომ არ მომხდარიყო, ძალიან მეეჭვება, დღეისთვის რუსეთის ბაზარზე, ქართული პროდუქციის დაბრუნების თვალსაზრისით, იმავე დონეზე ვყოფილიყავით, რასაც ჩვენი მთავრობის პრაგმატული მიდგომით, სულ რაღაც, 6 თვეში მივაღწიეთ. მიზეზი ყოველთვის მოიძებნება და რომ არა ეს პრაგმატული პოლიტიკა, რუსეთის შესაბამისი უწყებები, ალბათ, გაცილებით მეტ წუნს იპოვიდნენ ჩვენს ღვინოსა და „ბორჯომში“, ვიდრე ცოტა ხნის წინ ბ-მა ონიშჩენკომ აღმოაჩინა. ზოგადად, როგორც ჩანს, ბ-ნი ონიშჩენკო არ გაურბის მედიასთან ურთიერთობას და ბევრ საინტერესო განცხადებასაც აკეთებს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყველა განცხადებაზე პასუხის გაცემაა საჭირო. ფაქტი ფაპრეფერენციებს არ ჰქონია ადგილი. ჩვენი მხრიდან ყველა კომპანიას ერთნაირი შანსი მიეცა. შეიძლება რუსეთში ვიღაცამ სხვაზე მეტი „მარიფათი“ გამოიჩინა; რას იზამ, ესეც კომერციული კონკურენციის ნაწილია და რეალობა. თუმცა ისიც მინდა აღვნიშნო, რომ „როსპოტრებნადზორის“ ექსპერტები მეტად პროფესიულად ეკიდებიან საქართველოში თავიანთ მისიას და ამ თვალსაზრისით რაიმე პრეტენზიის შესახებ არ მსმენია. ამ უწყებასთან ფრიად ეფექტურად მუშაობს საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო.

**– ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებდით რეინტეგრაციის მინისტრის განცხადებას. პაატა ზაქარეიშვილმა თქვა ასეთი ფრაზა: „სჯობს, საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში**

**„ჩვენს წინაშე მართლაც ძალიან ამბიციური ამოცანაა. ერთი მხრივ, ევროატლანტიკური ინტეგრაცია, მეორე მხრივ კი – რუსეთთან საერთო ენის გამონახვა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“**

**პოლიტიკისთვის?**

– რუსეთი მართლაც სარისკო ბაზარია და ჩვენმა მეწარმეებმა ეს კარგად იციან, თუნდაც გასული წლების გამოცდილებით. თუმცა, ამ ბაზრის მიმართ ინტერესი კვლავაც დიდია არა მხოლოდ ქართული კომპანიების, არამედ ზოგადად საერთაშორისო ბიზნესის მხრიდან. მთავრობა პოლიტიკურ გარანტიებს ვერ მისცემს მეწარმეებს. ჩვენ ვცდილობთ, დახურული კარი გავუხსნათ ბიზნესს, შემდეგ კი მისი გადასაწყვეტია, შევა თუ არა ამ კარში. თვით საქართველო ძალიან მცირე ბაზარია, მისი ეკონომიკის განვითარებას ჰაერივით სჭირდება საექსპორტო სივრცე. ამ მხრივ, ჩვენი პრიორიტეტია ევროკავშირი და დასავლეთის ქვეყნები, თუმცა არც სხვა შესაძლებლობებზე უნდა ნატო, ევროკავშირი, აშშ და ჩვენი სხვა პარტნიორები. ისე კი, წინა ხელისუფლება თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოდელად ხშირად სინგაპურს ასახელებდა. რამდენადაც მე ვიცი, სინგაპური დასავლეთში კი არა, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდებარეობს. ამ კუთხით ორიენტაციის ცვლილება მართლაც მოხდა: ჩვენ ახლა ევროპისკენ მივდივართ.

**– არ შემიძლია, დიცის ინციდენტზე არ გკითხოთ. არამხოლოდ მცოცავი ოკუპაცია გრძელდება, დღეს კიდევ ორი ადამიანი დააპატიმრეს რუსმა სამხედროებმა. ბიძინა ივანიშვილმა თქვა: არ მჯერა, რომ ეს მოსკოვის გადაწყვეტილება იყოს, როგორც ჩანს, ადგილზე მოხდა გაუგებრობაო. ამ მიმართულებით რამე ხომ არ გარკვეულა? საერთოდ, როგორ შეაფასებდით, რუსეთის მხრიდან საზღვრის გადმოწევის ფაქტს, მაშინ როცა თბილისმა, ანუ ახალმა ხელისუფლებამ, ტონიც შეარბილა რუსეთთან მიმართებაში და გარკვეულ დათმობებზეც მიდის?**

– ყოველივე ეს მიუღებელია და აღმაშფოთებელი. ასე აფასებენ ამ ფაქტებს ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დიპლომატიური ბერკეტები, საერთაშორისო ორგანიინფრასტრუქტურის შექმნაში. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა ჩვენთვის და მსოფლიო თანამეგობრობისთვის სრულიად მიუღებელია.

ჩვენ ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ რუსეთთან დიალოგი იქნება რთული და ხანგრძლივი პროცესი; სწრაფი ცვლილებები, განსაკუთრებით რთულ თემებთან დაკავშირებით, არ მოხდება. მომავალშიც ბევრი გამოწვევა გველის. მიუხედავად ამისა, ამ გზას ალტერნატივა არ გააჩნია.

**– ნინო ბურჯანაძის განმარტებით, რუსეთს ოკუპანტი არ უნდა ვეძახოთ. მისი მოსაზრებით, აჯობებს, თუ ვიტყვით, რომ რუსეთს დროებით აქვს ცხინვალი და აფხაზეთი დაკავებული. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით? რუსეთის ოფიციალურ პირებს, ვისაც თქვენ ხვდებით, ჰქონდათ თუ არა თქვენთან ამ ტერმინზე საუბარი და რამდენად მართებულია სიტყვა „ოკუპანტი“ ჩავანაცვლოთ ტერმინით „დაკავებული“?**

– ჩვენი კანონმდებლობით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებული ტერიტორიებია. კანონი კანონია. ალბათ, მომავალში შეიძლება ტერმინოლოგიის შეცვლაზეც ფიქრი, ოღონდ მას შემდეგ, რაც ამ რეგიონებში რეალობა შეიცვლება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის უწოდებენ უფლებადამცველები „ღამის ნოტარიუსს“ და რა თაღლითური სქემა მოქმედებდა საკუთრების გადაფორმების დროს

ნანა შონია

**„პრაიმტაიმი“ ერთი კონკრეტული საქმის შესახებ გიამბობთ, რომლის მთავარი გმირიც ქალბატონია, რომელსაც გირავნობის ხელშეკრულება გაუფორმეს ისეთ ფართზე, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის და არ არსებობს. საქმეში ცნობილი ნოტარიუსი ნინო გინტური ფიგურირებს, რომელსაც უფლებადამცველები ე.წ. „ღამის ნოტარიუსად“ მოიხსენიებენ.**

რატომ გახდა მოქალაქე ჯულიეტა ბაიდაშვილი იძულებული მთავარი პროკურატურისთვის მიემართა? რა მტკიცებულებები არსებობს ნორატიუსის წინაალმდეგ და რა მოხდა სინამდვილეში. ამის გარკვევა „პრაიმტაიმმა“ სცადა.




**ჯულიეტა ბაიდაშვილი:** რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით მიწევს დავა ერთსა და იმაზე ამხანაგობასთან, სადაც ფიგურირებს ერთი და იგივე ნოტარიუსი. 2004 წლის ხელშეკრულების თანახმად, მე გამიფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება, ამხანაგობასთან, რომლის მიხედვითაც ჩემს მიერ გადახდილი თანხის საფუძველზე მეკუთვნოდა 137 კვადრატული ფართი ბინა, პლუს 17 კვადრატული ავტოფარეხით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოტყუებული დავრჩი. ეს კორპუსი აშენდა, აზომვა გაკეთდა და გავიგე, რომ მე იქ არ ვფიგურირებდი. როდესაც ამასთან დაკავშირებით ამხანაგობის თავმჯდომარეს მივმართე, მან მითხრა, რომ ხელშეკრულება, რომელიც წარვადგინე, მას არ ეხებოდა და დავრჩი მოტყუებული. ხომ უნდა მითხრან რა ხდება, ან რატომ არ უნდა მიმეღო მე ეს ფართი?

უფრო მეტსაც გეტყვით, მე ბაკურიანში ვიყიდე ფართი, 58 კვადრატული მეტრი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემი ნაყიდი ფართი გადაფორმებული იყო სხვის სახელზე. მოგვიანებით, ბაკურიანში მომცეს სახლი, მაგრამ არა ეს, არამედ სხვა და 58 კვადრატულის ნაცვლად სრულიად სხვა ადგილას, 54 კვადრატული. მე დღეს მაინტერესებს და ვსვამ კითხვას, რის საფუძველზე გასხვისდა ჩემ მიერ ნაყიდი ფართი? არსებობს მშენებელი, ვინმე მიხეილ ხუციშვილი, რომელთანაც სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება მქონდა გაფორმებული არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, 310 ათას დოლარზე. ხუციშვილმა მე ჩემი კუთვნილი თანხა არ დამიბრუნა და ამიტომაც ვითხოვდი სამტრედია-წერეთლის კუთხეში, სადაც თავმჯდომარე იყო მიხეილ ხუციშვილი, მის წილს. ამ ადგილზე არსებული 100 კვადრატული კი უნდა გადმომცემოდა, თუმცა ეს 100 კვადრატული არსად არ ფიგურირებს საჯარო რეესტრში. გარდა ამისა, მე ვითხოვ მიხეილ ხუციშვილის 20%-ს სამტრედია-წერეთლის კუთხეში მდებარე მშენებარე კორპუსიდან.

**- თქვენ კონკრეტული პრობლემა გაქვთ ხუციშვილის ქონებასთან დაკავშირებით, თუმცა რა კავშირი აქვს ამ საქმესთან ნოტარიუს ნინო გინტურს?**

- გეტყვით. ავიღოთ ბაკურიანის მშენებლობა, ბაკურიანის მშენებლობის თავმჯდომარე არის ვინმე ზაზა მაღლაფერიძე, რომელიც არის ნოტარიუს ნინო გინტურის მაზლის შვილი და რეალურად ამ ყველაფრის უკან დგას ის ნოტარიუსი, რომელმაც ეს არარსებული ქონება დააკანონა. როდესაც მე მივმართე მაღლაფერიძეს მან განმიცხადა, რომ ხუციშვილს, რომელიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფება, არაფერი წილები არ აქვს ამ ამხანაგობაში, რადგან ის არის ახლა ამხანაგობის თავმჯდომარე. ამ ადამიანს, ყველაფერი ისე აქვს გაკეთებული, რომ ჩვენ შეიძლება იქამდე ვერ მივიდეთ, ამიტომაც მივმართავთ პროკურატურას და სამართალდამცავ ორგანოებს, სათანადოდ შეისწავლონ ეს საქმე, რათა გამოვლინდნენ დამნაშავეები. ქალბატონი ნინო გინტური და მიხეილ ხუციშვილი ერთად მოღვაწეობდნენ. მე ამ ქალბატონთან არაერთხელ მქონია შეხვედრა და საუბარი, მე მას ვენდე და დავრჩი მოტყუებული. ამიტომაც დღეს მთავარი პროკურატურისგან მოვითხოვ დამიბრუნონ ჩემი ფართი, ბაკურიანში 58 კვადრატული, მესამე სართულზე კუთხის ბინა, ასევე გადმომიფორმონ 20%-იანი წილი, რომელიც სამტრედია-წერეთლის კუთხეშია ხუციშვილის სახელზე და ახსნან საიდან მოვიდა ხელშეკრულება 100 კვადრატულ მეტრზე ისეთი, რომელიც ბუნებაშიც არ არსებობდა? მე ვარ მოტყუებული ამ ჯგუფის მიერ და ვიცი, რომ ჩემს მდგომარეობაში კიდევ არიან მოქალაქეები, რის გამოც ამ საქმეების სათანადოდ შესწავლა უნდა მოხდეს.



**ნიკოლოზ მჟავანაძე უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე:** - ჩვენ გვაქვს რამდენიმე თემა ნინო გინტურთან დაკავშირებით, შეტანილი გვაქვს პროკურატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადება, რადგან ძალიან ბევრი კითხვის ნიშნები არსებობს. ბევრი ადამიანი ხელს ადებს ნინო გინტურს და ამბობენ, რომ ბიზნესის გადაფორმებებში ეს ადამიანი მონაწილეობდა. თუმცა დღეს ჩვენ კონკრეტულ პრობლემაზე და კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში ვსაუბრობთ. ნინო გინტურმა გააფორმა სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება და სესხის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებაში ჩაწერა 100 კვ.მ. სამტრედია წერეთლის კუთის მშენებარე კორპუსში, რომ დაგირავებული წილის უფლება უნდა იქნეს მეორე სართულზე, ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაში, ამხანაგობა სამტრედია-წერეთლის კუთხეში. ამ ყველაფრის შემდეგ ის დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, სადაც დაფიქსირდა კრედიტორი არაყიშვილი დინარა და მესაკუთრე მიხეილი ხუციშვილი. ნინო გინტურმა, როდესაც სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებაში მე-4, მე-3 პუნქტში დაგირავებულისთვის დააფიქსირა 100 კვადრატული მეტრი, ყოველივე აღნიშნულის დაფიქსირებისას დაეყრდნო ბინათმშენებლობა ამხანაგობა სამტრედია-წერეთლის კუთხეში სადამფუძნებლო ხელშეკრულებას, რომელიც მის მიერ არის შედგენილი 2007 წელს. აღნიშნულ სადამფუძნებლო ხელშეკრულებით კი მიხეილ ხუციშვილზე არ აღირიცხება 100 კვადრატული ფართი. ამიტომაც ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი ვივარაუდოთ, გინტურმა ჩაიდინა დოკუმენტის გაყალბება, როდესაც სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებაში უზრუნველყოფად 100 კვადრატული ფართი ჩაწერა. რაც შეეხება იმას თუ რა შუაშია ამ საქმეში ჯულიეტა ბაიდაშვილი, გეტყვით, რომ ჯულიეტა ბაიდაშვილისგან აიღო ვალი, მიხეილ ხუციშვილმა და მან რეესტრში დააფიქსირა გირავნობის ხელშეკრულება, სადაც ფიქსირდებოდა, რომ პირი იყო 100 კვადრატული ფართის მესაკუთრე, ბაიდაშვილმა არბიტრაჟის გადაწყვეტილებით დაიკავა ხუციშვილის ფართი და გახდა მესაკუთრე, თუმცა შემდგომ ველარ მოახდინა ამ ფართის საკუთრების დარეგისტრირება, რადგან რეესტრში მას განუცხადეს, რომ 100 კვადრატული მეტრი ნოტარიუს ნინო გინტურის ხმრიდან აღებულია ჰაერიდან და ის უბრალოდ, არ არსებობს. ეს, ჩვენი აზრით, არის დანაშაული და ამიტომაც მივმართეთ პროკურატურას. არის კიდევ რამდენიმე ხელშეკრულება, სადაც ეს ქალბატონი უშუალოდ მონაწილეობს. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ქალბატონი ჯულიეტასგან, ამხანაგობის თავმჯდომარე ვინმე ზაზა მაღლაფერიძე მისი ნათესავია, ხოლო ხუციშვილი მასთან დაახლოებული პირი. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ წილების უკან რეალურად დგას ნოტარიუსი ნინო გინტური. პროკურატურამ უნდა გამოიძიოს რასთან გვაქვს საქმე, იყო თუ არა ეს ორგანიზებული დანაშაული, რომლის უკანაც იდგა ეს ნოტარიუსი. ჩვენ არ ვართ გამომძიებლები, ჩვენ არ ვართ პროკურატურა, მაგრამ ფაქტია, რომ აქ რაღაც სუფთად არ არის. სხვათა შორის ამ საქმეზე ნოტარიუსთა პალატასაც მივმართეთ, მაგრამ მათ სანოტარო აქტის გაფორმებიდან სამი წლის შემდეგ არ აქვთ საქმის განხილვის უფლება ეს ხელშეკრულება კი 2008 წელს გაფორმებული, ამიტომ ამ საქმის განხილვა მათ კომპეტენციას სცილდებოდა.

ამასთან მე მინდა მივამრთო ქალბატონ თეა წულუკიანს, ნოტარიუსთა პალატა შედის იუსტიციის სამინისტროში. მოგეხსენებათ, რომ დღეს დიდი კითხვებია მოსამართლეთა კორპუსთან დაკავშირებით, მაგრამ ძალიან ბევრი კითხვის ნიშნებია ნოტარიუსებთან დაკავშირებითაც. რეალურად კი ნოტარიუსი არ არის გათანაბრებული საჯარო მოხელესთან, ამიტომაც ადამიანი, რომელიც დანაშაულს სჩადის, სამოხელეო მუხლებით არ ისჯება. ამიტომაც იუსტიციის სამინისტრო და უშუალოდ მინისტრი უნდა დაინტერესდეს ნოტარიუსთა საქმიანობით. ეს საქმეები და განსაკუთრებით კი საკმაოდ ხმაურიანი ნოტარიუსის ნინო გინტურის საქმე, უნდა იქნას შესწავლილი, რადგან ბევრი ადამიანი მას მოიხსენიებს, როგორც „ღამის ნოტარიუსს“, რადგანაც, როგორც ვიცით, წინა ხელისუფლების პირობებში ღამითაც ხდებოდა ქონებების გადაფორმება, როცა ადამიანებს ძალით ათმობინებდნენ კუთვნილ წილს. ჩვენ ვეცადეთ დიალოგის რეჟიმში გადაგვეწყვიტა პრობლემატური საკითხები, მაგრამ უშედეგოდ. ძალიან ბევრ სხვა საქმეებზეც არის საუბარი, მაგრამ დღეს ჩვენ ვსაუბრობთ იმ კონკრეტულ საქმეზე, რისი მტკიცებულებაც გვაქვს.

ზემოთ მოყვანილი საუბრების შემდეგ „პრაიმტაიმი“ ნოტარიუს ნინო გინტურს და ამხანაგობის თავმჯდომარეს ზაზა მაღლაფერიძეს დაუკავშირდა. გინტური ჩვენთან საუბარში ადასტურებს, რომ ზაზა მაღლაფერიძე მისი ნათესავია, მაგრამ აცხადებს, რომ ნათესაური ნიშნით მას სანოტარო აქტი არავისთან არასდროს გაუფორმებია.

**ნინო გინტური, ნოტარიუსი:** - სანოტარო მოქმედება არის საიდუმლო, მისი გამჟღავნების უფლება მე არა მაქვს და თუ ჯულიეტა ბაიდაშვილმა მიმართა პროკურატურას, პროკურატურის ორგანოები გაარკვევენ ყველაფერს და თუ ჩემი ბრალეულობა რამეში აღმოჩნდა, მზად ვარ პასუხი ვაგო.

**- ისინი აცხადებენ, რომ ზაზა მაღლაფერიძესთან, რომელიც ამხანაგობის თავმჯდომარეა და ბატონ მიხეილ ხუციშვილთან, თქვენ გაკავშირებით ნათესაური ურთიერთობა და რელურად კი ამ ყველაფრის უკან თქვენ ფიგურირებთ?**

- ჯერ ერთი ნათესაური კავშირის გამო არავინ ისჯება. ჯულიეტა ბაიდაშვილი თუ იმას დაამტკიცებს, რომ მიხეილ ხუციშვილი ჩემი ნათესავია, მე დავამტკიცებ, რომ დედოფალი დაიანა ან მარგარეტ ტეტჩერი ვარ. რაც შეეხება ზაზა მაღლაფერიძეს, ის ნამდვილად ჩემი ნათესავია და მე ის მეამაყება, შვილივით მიყვარს. ჯულიეტა ბაიდაშვილს კი ვეტყვი, მან აქეთიქით წოწიალს და ინტრიგების ხლართვას თავი დაანებოს მის მევახშე თავს მიხედოს ამ პროცენტებში რომ წაართვა ნახევარ თბილისს ქონება, ის ტოტი არ მოჭრას, რომელზეც ზის. ჟულიეტა ბაიდაშვილმა თავის ჩაოხრებულ საქმეს მიხედოს, ზაზა მაღლაფერიძე ჩემი მაზლის შვილია და მე ჭკუა მეკეტება მაგ ბავშვზე. ნათესაობის გულისთვის კი ნოტარიაულ მოქმედებას არ ვაკეთებ. ბაიდაშვილმა თავის „ბაღჩაში“ მოიკითხოს ეგეთი ნოტარიუსები.

**ზაზა მაღლაფერიძე (ამხანაგობის თავმჯდომარე):** - ჩემთვის ცნობილი არ არის ამ საქმის შესახებ, რადგან ამ ადამიანს ჩემთან არავითარი ხელშეკრულება არა აქვს გაფორმებული და მე მხარედ არსად არა ვარ დაფიქსირებული და ამიტომაც ეს საქმე ჩემთვის გაუგებარია. ჩემი მხრიდან, არაფერზე ხელი არ არის მოწერილი და არავითარი თანხა არ არის დაფიქსირებული ამხანაგობაში. აქედან გამომდინარე, არანაირი უფლება არ მაქვს, სხვისი საკუთრება მივცე ადამიანს, რომელსაც არანაირი თანხობრივი მონაწილეობა არ აქვს ამ საქმეში მიღებული. ჩემი მხრიდან არავითარი ხელმოწერები არ არსებობს, თუ სხვაგან რამეზე აქვს ხელი მოწერილი, ვერ გეტყვით.



**„ბევრი მას მოიხსენიებს როგორც „ღამის ნოტარიუსს“, რადგან, როგორც ვიცით, წინა ხელისუფლების პირობებში ღამითაც ხდებოდა ქონების გადაფორმება, როცა ადამიანებს ძალით ათმობინებდნენ კუთვნილ წილს“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სამეგრელოში „მხედრიონი“ ბრუნდება

**my View**
მირიან ბოქოლიშვილი

**მომავალ კვირას „ქართული ოცნების“ სამეგრელოს ორგანიზაციის წევრები თბილისში ჩამოსვლასა და ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან საპროტესტო აქციის გამართვას აპირებენ. რამ გამოიწვია პარტიული აქტივისტების უკმაყოფილება და რა ხდება, ზოგადად, რეგიონში? ამ საკითხზე „პრაიმტაიმს“ „ქართული ოცნების“ მარტვილის საარჩევნო შტაბის უფროსი, ზურაბ ბიგვავა ესაუბრა.**

**ზურაბ ბიგვავა, „ქართული ოცნების“ წევრი:**

– სამეგრელოში არჩევნების შემდეგ აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა. დღეის მდგომარეობით, მთელ რეგიონში კიდევ უფრო მეტი უმუშევრობა, უსამართლობა და იმედგაცრუებაა. ამას ვამბობ დიდი გულისტკივილით, მაგრამ ეს გახლავთ სიმართლე და თვალის დახუჭვა არასერიოზულია. რეგიონში ამ დრომდე მუშაობდა მშენებლობები და ვაჭრობა. როგორც კი მშენებლობები გაჩერდა, იკლო შემოსავლებმა და შესაბამისად, ბევრი სავაჭრო ობიექტიც გაჩერდა. იმედგაცრუება გამოიხატა იმაში, რომ, ვინც ახალაიებისა და მეგის ქარდავას კლანის წინააღმდეგ იბრძოდნენ, ისინი გარიყულნი აღმოჩნდნენ პროცესებიდან. ადგილებზე პრაქტიკულად არავინ შეცვლილა. კი, ბაჩო ახალაია დაჭერილია, ქარდავა – გაქცეული, მაგრამ მათი ქვეშევრდომები ვინც იყვნენ, ვინც უშუალოდ ძალადობდა ხალხზე, ესენი ყველანი ადგილზე რჩებიან. უბრალოდ, თუ აქამდე „ნაციონალური მოძრაობის“ მაისურები ეცვათ, ახლა „ოცნების“ მაისურები მოირგეს. იგივეა პროკურატურა, სასამართლოც და პოლიციაც. წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ სამეგრელოში ჩაიდებოდა დიდი თანხა, რადგან ეს რეგიონი აფხაზეთისთვის მიმზიდველი უნდა გამხდარიყო და ა.შ. მანახვეთ ერთი თეთრი, რომელიც ჩვენს მხარეში ჩაიდო. ყველაფერი აღმოჩნდა ბლეფი. უმუშევრობა იზრდება და მატულობს უსამართლობის განცდა. საქმე ისაა, რომ სამეგრელოში „ქართულმა ოცნებამ“ წააგო არჩევნები, გარდა ფოთისა. რამ გამოიწვია ეს, ამის გამოძიებას კაციშვილი არ ცდილობს. ეს იყო სერიოზული გარიგება, რომელზეც მე ჯერჯერობით ხმამაღლა საუბრისგან თავს შევიკავებ.

## „მე, როგორც „ქართული ოცნების“ წევრს, არ მინდა, რომ ეს ხელისუფლება დაემხოს, ეს ჩემს ინტერესებში არ შედის, მაგრამ ხალხი დაიღალა“

# EXCLUSIVE

**– ანუ საუბარი იმაზე, რომ სამეგრელოში კვლავ „ნაციონალური მოძრაობა“ მართავს პროცესებს, უსაფუძვლო არაა?**

– დიახ. ხალხს უკვე უჩნდება უსამართლობის გრძნობა. მე, როგორც „ქართული ოცნების“ წევრს, არ მინდა, ეს ხელისუფლება დაემხოს, ეს ჩემს ინტერესებში არ შედის, მაგრამ ხალხი დაიღალა. ხალხი ელის უკანონოდ წართმეული მიწების დაბრუნებას, სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ უშედეგოდ. ყველა რაიონში ჰპირდებოდნენ თითო საწარმოს ამუშავებას. ერთი საწარმოს მშენებლობა მაინც დაიწყო? აგროსესხებზე რომ საუბრობდნენ, მიხვალ ბანკში და უკან გაბრუნებენ, იქ არანაირ შეღავათიან სესხს ჩვენ არ გვაძლევენ. სამეგრელოში ამ ეტაპზე დენთია ჩადებული და როდის აფეთქდება, არავინ იცის. ეს ხალხი დიდხანს ასე ჩუმად არ გაჩერდება. ყველა ფიქრობს, რომ ან დღეს გამოსწორდება სიტუაცია, ან ხვალ, მაგრამ არ დადგა ეს დღე. გარდა ამისა, რეგიონში თანამდებობებზე ინიშნებიან ყოფილი მხედრიონელები, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ძალიან დიდ გაღიზიანებას იწვევს.

**– შეგიძლიათ, კონკრეტული გვარები დაგვისახელოთ?**

– მაგალითად, მარტვილში ალიკა გრიგალავა, რომელიც „მხედრიონის“ უფროსის მოადგილე გახლდათ, დაინიშნა მარტვილის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელად. ასევე, სენაკში დანიშნეს ყოფილი მხედრიონელი კილასონია. ესენი არჩევნებამდე არსად არ ჩანდნენ, მაგრამ უცბად, ოქტომბრის შემდეგ გამოჩნდნენ და დანიშნეს პარტიულ თანამდებობებზე.

**– ვისი ინიციატივით ინიშნებიან ეს კადრები თანამდებობებზე?**

– ესენი არიან ყოფილი რაგბისტები. თქვენ იცით, რომ „ქართულ ოცნებაში“ არსებობს რაგბისტების ლობი, ბატონ გივი ჭიჭინაძისა და გაიოზ მონიავას სახით. ესენი ლობირებენ ზედა ეშელონებში ყოფილი მხედრიონელების დანიშვნას. დღეს, სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ მართავს არა პოლიტსაბჭო, არამედ რაგბისტების ლობი. ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს სამეგრელოს მაგალითზე. რაიმე თანამდებობაზე რომ დაინიშნო, ან ყოფილი მხედრიონელი უნდა იყო, ან ყოფილი მემარჯვენე და საგანელიძესთან გქონდეს ახლო ურთიერთობა. სხვა მხრივ, ხელისუფლებამ ხალთან კონტაქტი დაკარგა. ამას ცხადყოფს ერთი ფაქტიც. მარტვილიდან თბილისში 3-ჯერ ჩამოვიდა ხალხი ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად. ესენი იყვნენ მისი მხარდამჭერები და აპროტესტებდნენ ყოფილი მხედრიონელების დანიშვნას მაღალ თანამდებობებზე. ასევე, მათი მოთხოვნა იყო, უკანონოდ გასხვისებული მიწების პრობლემის მოგვარება. ეს ხალხი ხან გივი ჭიჭინაძემ მოატყუა, ხან გელა ხვედელიძემ. ჰპირდებოდნენ ამ პრობლემების მოგვარებას, უშვებდნენ უკან და მერე სატელეფონო ზარებსაც კი აღარ პასუხობდნენ. 180 კაცი ჩამოვიდა მესამედ. 30-მა კაცმა შიმშილობაც გამოაცხადა. მათთან მივიდა არმაზ ახვლედიანი, რომელმაც უთხრათ, რომ აქციის ფონზე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ, თუ დაიშლებოდნენ, ეს შეხვედრა 2-3 დღეში შედგებოდა. სამწუხაროდ, ამჯერადაც მოატყუეს ეს ადამიანები. არმაზ ახვლედიანი ტელეფონზეც კი აღარ პასუხობდა. სამწუხაროდ, სამეგრელოსთვის დღეს არავის არ სცალია. როგორც აჩოქებდნენ მას მთელი ამ წლების განმავლობაში, ახლაც ისე გრძელდება. დღეს რეგიონი პრაქტიკულად სულს ღაფავს. ხალხმა რა ქნას, არ იცის.

## „ვინც ახალაიებისა და მეგის ქარდავას კლანის წინააღმდეგ იბრძოდნენ, ისინი გარიყულნი აღმოჩნდნენ პროცესებიდან“

**– და გამოსავალს რაში ხედავთ?**

– მომავალი კვირიდან, თუ ეს სიტუაცია არ შეიცვალა, სამეგრელოს ყველა რაიონიდან ხალხი აპირებს შეკრებას, გამომგზავრებას და ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან, ან მთავრობის კანცელარიასთან საპროტესტო აქციების დაწყებას. ხალხში გაჩნდა ასეთი დამოკიდებულება, როგორც მეფის დროს იყო: მეფე კარგია, ქვემო დონეზე კი არიან ცუდები. ეს არის იმის ბრალი, რომ ხელისუფლებიდან სამეგრელოში კაციშვილი არ ჩამოსულა, ნაციონალები კი აქტიურად დადიან და ეწევიან აგიტაციას.



## ზურაბ ბიგვავა: „რაიმე თანამდებობაზე რომ დაინიშნო, ან ყოფილი მხედრიონელი უნდა იყო, ან საგანელიძესთან გქონდეს ახლო ურთიერთობა. სხვა მხრივ, ხელისუფლებამ ხალთან კონტაქტი დაკარგა“



## „ქართული ოცნების“ წევრები ივანიშვილის რეზიდენციასთან საპროტესტო აქციას გეგმავენ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ხდება გლდანი

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**ადვოკატი სოსო ბარათაშვილი პროკურორსა და გამომძიებელს, გლდანის ციხის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკავებულ თანამშრომელთა მიმართ ზეწოლასა და არასაპროცესო ხერხებით მოქმედებაში ადანაშაულებს.**

რამდენიმე დღის წინ ბარათაშვილმა „პრაიმტაიმს“ განუცხადა, *რომ გლდანის ციხეში მყოფი შპს „მექანიზატორის“ წარმომადგენლები საგანგაშო მდგომარეობაში იმყოფებიან.*

**სოსო ბარათაშვილი:** „დაახლოებით 17 საათზე, დამიკავშირდა გამომძიებელი შარდენ კოპალიანი და მითხრა, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა მამუკა ივანიაძემ მოითხოვა დაკითხვა და მკითხა, იყო თუ არა შესაძლებელი, კვირა დღეს მომხდარიყო დაკითხვა. მე გამიკვირდა და ვუთხარი, რომ ორშაბათს მომხდარიყო და შევთანხმდით, რომ ორშაბათს, 13 საათზე შევხვდებოდით ერთმანეთს გლდანის საპყრობილეში. ორშაბათს დილით საპყრობილეში შევედი დაახლოებით 10 საათზე, სხვა პატიმრების მოსანახულებლად და შემდეგ უკვე მინდოდა მამუკა ივანიაძის მონახულება. ერთ-ერთმა ადვოკატმა შემატყობინა, რომ მოსულები იყვნენ გამომძიებელი შარდენ კოპალიანი და პროკურორი შოთა რიჟამაძე, რომლებიც იმყოფებოდნენ ციხის უფროსის მოადგილის კაბინეტში. შევედი აღნიშნულ კაბინეტში და ვკითხე, რისთვის იმყოფებოდნენ იქ. მათ მითხრეს, რომ მამუკა ივანიაძემ მე, როგორც ადვოკატს, გამომიცხადა უნდობლობა, მომცა აცილება და სურს სახაზინო ადვოკატის აყვანა. მოვითხოვე, ეჩვენებინათ დოკუმენტი, რომლითაც ივანიაძემ ეს ყველაფერი განაცხადა. მაჩვენეს მისი ხელნაწერი, რომელიც მთავარი პროკურორის - არჩილ კბილაშვილის სახელზეა დაწერილი. დათარიღებულია კვირა დღით, 16 ივნისით. ვკითხე მათ, როგორი წესით მოხდა ამ წერილის გადაგზავნა მთავარ პროკურორთან, შემდეგ ანტიკორუფციულ სამსახურში და როგორ მოხდა, რომ 11 საათისთვის ყველა ინსტანცია მოიარა ამ წერილმა? მათ ამის თაობაზე პასუხი ვერ გამცეს“.



**„მე ვცდილობ ფსიქოლოგიურად გავძლიერდე, თუ ვერ გავძელი, თავს მოვიკლავ, რადგან ვერ ავიტან ამდენ უსამართლობას და ძალმომრეობას, პასუხისმგებლობას ყველანაირ შედეგებზე ვიკისრებ. პროკურორ რიჟამაძე და მის კამპანიას“**





სოსო ბარათაშვილი ამბობს, რომ ივანიაძის ირგვლივ განვითარებული მოვლენები ძალიან ჰგავს ფოტოგრაფების გახმაურებულ საქმეს.

„მაშინაც იმავე წესით ხდებოდა ადვოკატების შეცვლა. მაქვს სრული საფუძველი, განვაცხადო, რომ მამუკა ივანიაძესთან ხდებოდა ბოლო დღეების განმავლობაში არასაპროცესო ხერხით მუშაობა გამომძიებლებისა და პროკურორების მხრიდან, რაზეც ვაცხადებ პროტესტს. სხვა შემთხვევაში შეუძლებელია, რომ კვირა დღეს მომხდარიყო ეს ყველაფერი“, -ამბობს ბარათაშვილმა.

ბარათაშვილისვე განცხადებით არაადამიანური მოპყრობა ხორციელდება „მექანიზატორთან“ დაკავშირებით, დაკავებული ომარ თედორაძის მიმართ. როგორც მისი საუბრიდან ირკვევა, თედორაძე, ერთ კვირის წინ, „ჯურღმულში“ გადაიყვანეს.

სოსო ბარათაშვილი: „მასზე ხორციელდება საშინელი ზეწოლა, ის გულით ძალიან სერიოზულად დაავადებული ადამიანია და ამ მხრივ ცდილობენ, ზემოქმედება განახორციელონ ამ ადამიანზე. იგივე შეიძლება ითქვას სხვა პატიმრებზე, რომლებიც უკანასკნელი დღეების განმავლობაში გაცილებით უარეს პირობებში გადაიყვანეს, ვიდრე აქამდე იყვნენ. ამ ადამიანების მდგომარეობა უკვე საგანგაშოა. პროკურატურამ გაიაზრა, რომ მათ მიმართ ხელჩასაჭიდი არგუმენტი არ გააჩნიათ და გადავიდნენ მათ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე, არასაპროცესო მოქმედებებით. ამასთან, მინდა ამ საკითხზე სოზარ სუბარის ყურადღებაც მივაპყრო, რომ არა ციხის ადმინისტრაცია, ამ ადამიანების უარეს პირობებში გადაყვანა არ მოხდებოდა“.

ადვოკატის ამ ბრალდებებს გამოეხმაურა მთავარი პროკურატურაც და სასჯელაღსრულების მინისტრიც. მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ბარათაშვილი ცრუობს. როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, ბრალდებულ მამუკა ივანიაძესთან საპყრობილეში მისი მოთავსების დღიდან არავინ ყოფილა.

„ასევე, სიცრუეა ადვოკატ ბარათაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ ბრალდებულის განცხადება გადაიგზავნა შსს-ს ანტიკორუფციულ სააგენტოში. მითითებული განცხადება შემოსულია პროკურატურაში, რადგან პროკურატურა არის განცხადების ადრესატი და არსად გადაგზავნილა. მაშინვე, როდესაც საქმის მწარმოებელი ორგანოსათვის ცნობილი გახდა, რომ ბრალდებული მამუკა ივანიაძე პროკურორთან შეხვედრას ითხოვდა, სწორედ მისი უფლებების, კერძოდ დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, გამოძიების მიერ მოხდა მისი სამივე ადვოკატის ს. ბარათაშვილის, რ. კირკიტაძისა და ი.ჯანაშვილის ინფორმირება იმის თაობაზე, რომ მონაწილეობა მიეღოთ ბრალდებულთან ჩასატარებელ საპროცესო მოქმედებებში. ბრალდებულთან შეხვედრამდე მამუკა ივანიაძემ განცხადებით მიმართა პროკურატურას, რომლითაც ის უნდობლობას უცხადებდა ადვოკატ სოსო ბარათაშვილს და მის საადვოკატო ბიუროს“, - ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მთავარი პროკურატურის განცხადებით, ბრალდებულის მოთხოვნის შესახებ ადვოკატმა ინფორმაცია საპყრობილეში ყოფნის დროს მიიღო, თუმცა ტერიტორიას გაეცალა: „ნაცვლად იმისა, რომ ადვოკატ სოსო ბარათაშვილს ბრალდებულის პოზიცია გაერკვია, მან საპყრობილის ტერიტორია დატოვა, რის შემდგომაც საგამოძიებო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება, ადვოკატის დასწრების გარეშე არ შეხვედროდნენ ბრალდებულს და მათ ბრალდებულთან კონტაქტის გარეშე დატოვეს საპყრობილე“.

ბრალდებებს უარყოფს სოზარ სუბარიც. მინისტრი, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარზე ზეწოლას გამორიცხავს. სუბარის განცხადებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები, გლდანის დაწესებულებაში, კარგ მდგომარეობაში იმყოფებიან.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# „ტრაქტორების საქმეზე“ ერთ-ერთი ბრალდებული, პროფესორი ომარ თედორაძე თვითმკვლელობით იმუქრება

**EXCLUSIVE**



**სოზარ სუბარი:** „არ შეესაბამება სიმართლეს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკავებული თანამშრომლები ცუდ პირობებში იმყოფებიან. ისინი არიან ძალიან კარგ პირობებში. დაკავების დროს ისინი, ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ, არ გაგვიჩერებია პირველადი გადანაწილების საკნებში და მაშინვე ავიყვანეთ კორპუსზე. პირველივე დღიდან მაქსიმალური ყურადღება ხორციელდება მათზე სამედიცინო პერსონალის მხრიდან, ძალიან სწრაფად გავუკეთეთ მაღაზიის ბარათები. ცუდ პირობებზე ლაპარაკი არ შეიძლება. პროკურორის მხრიდან ზეწოლაც შეუძლებელია, ამაზე, ალბათ, პროკურატურაც გასცემს პასუხს. პროკურორის მხრიდან ზეწოლა არ შეიძლება არსებობდეს. ხოლო, ადვოკატზე ადამიანი რატომ ამბობს უარს, ამაზე პასუხს მე ვერ გაგცემთ“.

სასჯელაღსრულების მინისტრის პასუხად, რამდენიმე დღის წინ, პატიმრობაში მყოფი ომარ თედორაძის გამოკითხვის ოქმი გავრცელდა, რომელიც 18 ივნისით არის დათარიღებული და რომელსაც უცვლელად გთავაზობთ. პროფესორი ომარ თედორაძე თვითმკვლელობით იმუქრება.

**ომარ თედორაძე (გლდანის N8 საპყრობილის პატიმარი)**: „მოგახსენებთ, რომ 2010 წლის 15 ივნისს, დილით 10 საათზე, შემიცვალეს კამერა და გადამიყვანეს სხვა საკანში. უნდა აღვნიშნო, რომ სადაც ახლა ვიმყოფები, არის ვიწრო საკანი, ვართ 4 ადამიანი, არის ჰაერის უკმარისობა, განსაკუთრებულად მაღალი სიცხის პირობებში, ფაქტობრივად შექმნილია უმძიმესი პირობები.

აქვე უნდა გაცნობოთ, რომ ვარ ავადმყოფი (ჰიპერტონიით, ჰაერის უკმასირობა, სისხლძარღვების შევიწროება, დიაბეტის ზღვარზე). თქვენ დაფიქრდით რატომ გადამიყვანეს ამ პირობებში, მას შემდეგ, რაც მოითხოვეს ვადის გაგრძელება. არაფერს ვითხოვ, ერთი თხოვნა მქონდა - გაეზომათ წნევა, მთელი ღამე, 17 რიცხვში, არაფრით არ მოვიდა ექიმი ან ექთანი მაინც, რომ წნევა გაეზომა, როცა დილით მორიგე კონტროლიორს ვკითხე, რატომ არ მოვიდა ექიმი ან ექთანი-თქო, მან მიპასუხა, ექიმმა ბრძანა, მე არ მეხებაო. ეს ყველაფერი დაიწყო მას შემდეგ, რაც გადამიყვანეს სხვა კამერაში.

აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ საპატიმროში მოყვანის დღიდან, გამომიცვალეს ხუთი კამერა.

17-ში მთავარ ექიმს ვკითხე, ჩემს ავადმყოფობის ისტორიას თუ იცნობდა, მან მიპასუხა, ვიცნობ, სერიოზული ავადმყოფი ხარო. მაშინ მე ვკითხე რატომ გადმომიყვანეს ამ კამერაში, ვილაც იჯდა გვერდზე კრესლოში, რა ხდებაო იმან მხრები აიჩეჩა, კარგი, მე გავარკვევ ვისი დავალებით გადმოგიყვანეს აქო, თქვა მთავარმა ექიმმა. ჩვენი შეხვედრა შედგა მთავარი ექიმის კაბინეტში.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მათ კარგად იციან, რომ მე არანაირი დანაშაული არ მიმიძღვის, მგონია, ცდილობენ ისარგებლონ ჩემი მძიმე ავადმყოფობით და ახდენენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, მიუარესებენ პირობებს, რათა ჩავვარდე აფექტში და მივცე მათთვის სასურველი ჩვენება. ამ პირობებში ჩემს სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე. მე ვცდილობ, ფსიქოლოგიურად გავძლიერდე, თუ ვერ გავძელი, თავს მოვიკლავ, რადგან ვერ ავიტან ამდენ უსამართლობას და ძალმომრეობას, პასუხისმგებლობას ყველანაირ შედეგებზე ვიკისრებ. პროკურორ რიჟამაძეს და მის კამპანიას (გამომძიებლებს, მის დამქაშებს).

ერთადერთი ადამიანები, ვინც მივლიან და მასულდგმულებენ, ესენი ჩემი თანასაკნელები არიან, ისინი ყველანაირად გვერდში მიდგანან. პატიმრების ამბავი უფრო მეტი ჰუმანურობის და სამართლიანობის გრძნობა ვიდრე რიჟამაძისნაირ სამართლის მაძიებლების, ვითომ ამის შემდეგ რაიმე სამართლიანობაზე და ჰუმანურობაზე უნდა ვიფიქროთ, მე და ჩემს უკან მდგომებმა, რომელთაც ჩემი სჯერათ, მიცნობენ.

აქვე მსურს დავამატო, რომ მას შემდეგ, რაც სხვა კამერაში გადამიყვანეს, საკანში მყოფი პატიმრების დიდი ძალისხმების, ჩხუბის, კარებების ბრახუნის შემდეგ, ხერხდება ექიმის მოყვანა. საერთოდ, თუ თანასაკნელებმა არ ატეხეს... გახდომის შემდეგ კაციშვილი პატიოსანი არ არის.

გამოკითხვის ოქმი დაწერილია ჩემ მიერ, ჩემივე სიტყვებით, რის სისწორესაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

18 ივნისი, 2013 წ.

> **„მათ კარგად იციან, რომ მე არანაირი დანაშაული არ მიმიძღვის, მგონია ცდილობენ ისარგებლონ ჩემი მძიმე ავადმყოფობით და ახდენენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, მიუარესებენ პირობებს, რათა ჩავვარდე აფექტში და მივცე მათთვის სასურველი ჩვენება“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქვაბისხევის ნაგავსაყრელი მოსახლ

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**საქართველოს რეგიონებში არსებული ნაგავსაყრელები რომ სერიოზულ პრობლემად იქცა, ამას „პრაიმტაიმის“ ბოლოდროინდელი პუბლიკაციებიც ადასტურებს. საფრთხე, რომელიც მიწის ზემოთ დარჩენილი დამპალი ნარჩენებისგან შეიძლება მოსახლეობას მიადგეს, ასევე სერიოზულია, რადგან მუნიციპალურ ნაგავსაყრელებს უკვე, ადგილობრივების მიერ ხელოვნურად მოწყობილიც ემატება, რაც, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა მდინარეების ხევებში გვხვდება. მაგალითად, უკვე წლებია, ბორჯომის მოსახლეობა საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენებს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე ყრის, რაც თავისთავად აკრძალულია და მდინარეს სხვადასხვა მომწამლავი ნივთიერებებით აბინძურებს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი პრესა ამ თემას აქტიურად აშუქებდა, პრობლემა არ იხსნება. ხალხს ნაგავი მაინც მდინარის პირას მიაქვს. თუმცა ამ შემთხვევაში თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ქვაბისხევის ნაგავსაყრელზე, რომლის ადგილასაც, ჰოლანდიური პროექტის მიხედვით, დვირი-ქვაბისხევის მონაკვეთზე, წლის ბოლომდე თანამედროვე სტანდარტების მქონე ნაგავსაყრელის მოწყობა იგეგმება. როგორც პროექტის გეგმიდან ირკვევა, მოსამზადებელი ფაზა უკვე დასრულებულია, დანარჩენი სამუშაოები კი დაგეგმილი. პროექტის ბიუჯეტი 1 200 000 ევროა. დაწყების თარიღად 2011 წლის პირველი იანვარია მითითებული, 2013 წლის 31 დეკემბერს კი უკვე დასრულებული უნდა იყოს.**

როგორც ირკვევა, პროექტის მიმღები ბორჯომის მუნიციპალიტეტია, თუმცა ამ კვირაში ის საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას გადაეცემა და პროექტს კურაციას სწორედ ის გაუწევს. ამ ეტაპზე კომპანიისთვის მიწის გადაფორმების პროცედურა ხორციელდება და ამის შემდეგ დაიწყება ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა, თუმცა, როგორც კომპანიის ხელმძღვანელის გიორგი შუხოშვილისგან ირკვევა, ეს არ იქნება თავიდან ბოლომდე ევროპული სტანდარტის, ანუ ნარჩენების გადამუშავება და საწრეტი ავზების მოწყობა (რაც თანამედროვე ნაგავსაყრელის სტანდარტისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს) არ მოხდება. დაგეგმილია მხოლოდ გზის გაწმენდა, ახალი უჯრედის გაკეთება, სპეციალური მემბრანების მოწყობა და ნარჩენების დამარხვა.

თუმცა მთავარი პრობლემა ისაა, რომ ეს პროექტი იმ ვადებში ვერ განხორციელდება, რაც მითითებულია. რა მოხდა, რატომ შეფერხდა ამ მსხვილბიუჯეტიანი პროექტის განხორციელება, ან რა თანხაა დახარჯული უკვე





EXCLUSIVE





# ბორჯომში მდინარის ნაპირზე არალეგალური ნაგავსაყრელია მოწყობილი



მოსამზადებელ ეტაპზე, რაც პროექტში მითითებულია, როგორც დასრულებული, ამაზე კომპანიას პასუხის გაცემა უჭირს, რადგან პროცესში თავიდანვე ჩართული არ ყოფილა.

სწორედ ამ გამოცდილების გამო, ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც ეს პრობლემა უკვე წლებია აწუხებს, კიდევ უფრო შეწუხებულია. ისინი ორი წელია ელოდებიან ამ პრობლემის გადაჭრას, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

გამომდინარე იქიდან, რომ ზაფხულია და ტემპერატურა სულ უფრო იმატებს, დამპალი ნარჩენების აალების საფრთხეც მატულობს, რაც თავისთავად ატმოსფერულ ჰაერს აბინძურებს და ადგილობრივებში სხვადსხვა დაავადებების მატების რისკს ზრდის. ქვაბისხევის ნაგავსაყრელი, დისკომფორტს ადგილობრივების გარდა, ტურისტებსაც უქმნის, რადგან საავტომობილო გზა სწორედ ქვაბისხევზე გადის. ნაგავსაყრელის შემყურე უცხოელ ტურისტს, კი ნამდვილად არ მოუნდება დაბინძურებულ გარემოში დასვენება.

ამას წინათ ინტერნეტში ერთ-ერთი ბლოგერის პოსტს წავაწყდი, რომელიც 3 მაისს არის გამოქვეყნებული.

„გუშინწინ, როდესაც სოფელში მივდიოდით და ქვაბისხევს გავცდით, საშინელმა სუნმა შეგვაწუხა. ნაგავსაყრელი პირდაპირ გზის პირასაა. ყოველდღიურად 4 ნაგავმზიდს საყოფაცხოვრებო ნარჩენები აღნიშნულ ტერიტორიაზე გააქვს. ნარჩენებში დაგროვილი აირების გამო ნაგავს ცეცხლი უჩნდება და მთელი დღის განმავლობაში იწვის. ბორჯომი ტურისტული ზონაა, ამ ტერიტორიაზე უამრავი ადამიანი მოძრაობს და მათ შორის მეც. ნაგავსაყრელი მგზავრებს დისკომფორტს უქმნის, რომ არაფერი ვთქვა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ქვაბისხევთან, სადაც ყოველდღიურად ტონობით საყოფაცხოვრებო ნარჩენები თავსდება, ახლომდებარე სოფლებიდან პირუტყვიც დადის, შესაძლოა, მოხდეს მათი მოწამლვა. საკუთარ მოვალეობად ჩავთვალე ამ პოსტის გაკეთება, სასწრაფოდ მისაღებია შესაბამისი ზომები. როგორც გავიგე, გარემოს დაცვის სამინისტრო ევროპული სტანდარტების ნაგავსაყრელის აშენებას გეგმავს და პროექტიც ხორციელდება, რომლის შედეგსაც დიდი იმედით ველი“.

როგორც უკვე გითხარით, მოლოდინი იმისა, რომ პროექტი რამდენიმე თვეში დასრულდება, დიდი ალბათობით გაცრუვდება, რადგან მისი განხორციელება, 2011 წლის ნაცვლად, მხოლოდ ახლა იწყება.

გიორგი შუხოშვილი (მყარი ნარჩენების მართვის კომპანია): „2011 წელს ჰოლანდიური მთავრობის გრანტით კეთდებოდა ეგ ნაგავსაყრელი, მემორანდუმზე


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ეობისთვის ისევ პრობლემად რჩება



# რატომ შეფერხდა მილიონ ევროიანი პროექტი, რომელიც 2011 წელს უნდა დაწყებულიყო

ხელი აქვს მოწერილი გარემოს დაცვის სამინისტროს და მიმღები არის ბორჯომის მუნიციპალიტეტი. პროექტირება მოხდა ისე, რომ ძველის ადგილას უნდა გაკეთდეს ახალი. პროექტის მიხედვით ასეა.

**- ეს პროექტი მილიონ 200 000 ევრო ჯდება?**

- დიახ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ამჯერად არ ვმონაწილეობთ. მიწა ჩვენზე ფორმდება და შესაბამისად, ჩვენ ჩავანაცვლებთ მუნიციპალიტეტს. მიმღები ჩვენ ვიქნებით. ჩვენ უკვე გვაქვს კონტაქტები ჰოლანდიელებთან და მხარს ვუჭერთ, რომ ეს განახორციელონ. ჯერჯერობით მხოლოდ ლაპარაკი მიდის, დასრულების ვადაა 2014 წლის აპრილი.

**- პროექტში სხვა ვადაა მითითებული. დასრულების თარიღად 2013 წლის 31დეკემბერია მითითებული – დაწყების კი 2011 წლის პირველი იანვარი. ამ დრომდე არაფერია გაკეთებული, პროექტში კი ნათქვამია, რომ საწყისი ფაზა დასრულებულიაო. თქვენ რას იტყვით?**

- რადგან ჩვენ არ ვიყავით ამ პროექტის რომელიმე მხარე, ამ ეტაპზე ირიბი ინფორმაცია გვაქვს. როგორც ვიცით, პროექტი გადმოგზავნილი აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტს, პროექტი რა შინაარსის არის და როგორია, მაგას უნდა გავეცნოთ. პროექტი გაკეთებულია, ახლა უნდა დაიწყონ მუშაობა. ეს არის ის, რაც ვიცით. ახლა, როცა ჩვენ ჩავერთვებით, როგორც მიმღებები, ამ ყველა საკითხს მაქსიმალურად მოვთხოვთ ჰოლანდიელებს.

**- შესაბამისად, ამ პროექტის დასრულების თარიღი დეკემბერი ვერ იქნება.**

- წესით, უნდა გაკეთდეს. იქნება ახალი უჯრედი, გზები მოეწყობა. მე თვითონ პროექტი არ მინახავს, იმედია, უახლოეს მომავალში ვნახავ, როცა უკვე მიწა ჩვენზე გადმოვა და სრულფასოვნად ჩავერთვებით. ტექნიკის უზრუნველყოფაა გათვალისწინებული. იქნება უჯრედი, თავისი მემბრანებით.

**- ესე იგი, ევროპული სტანდარტის ნაგავსაყრელი არ იქნება?**

- ევროპული სტანდარტების იქნება უჯრედი და ნაგავსაყრელი. ანუ, როგორც უნდა მოხდეს ევროპული სტანდარტებით ნარჩენების განთავსება, ეგრე იქნება, უბრალოდ, არ მოხდება მეორადი ნედლეულის გადამუშავება, თორემ ტექნიკით და იმ სტანდარტებით იქნება აღჭურვილი, როგორიც საერთაშორისო სტანდარტებია.

**- აქამდე რატომ არ გაკეთდა არაფერი?**

- კი, მართალია, მაგრამ ეს კითხვა ჩვენთან არ არის, მე არ ვიყავი მანამდე ჩართული. გარემოს დაცვის სამინისტრო, რომელმაც ხელი მოაწერა მემორანდუმს, ეგ უნდა ყოფილიყო მომთხოვნი. მიმღები კიდევ მუნიციპალიტეტი იყო, ახლა ჩვენ ვენაცვლებით.

**- ანუ უნდა ყოფილიყო ძველი გარემოს დაცვის სამინისტრო?**

- რა თქმა უნდა, პროექტის მიმდინარეობას ეგ კურირებდა, ტექნიკურ საკითხებს კი მუნიციპალიტეტი. ახლა ჩვენ ჩავენაცვლებით და ჩვენ ვიქნებით უკვე ბოლომდე.



დაწყების თარიღი: 01-01-2011
დასრულების თარიღი: 31-12-2013

განმახორციელებლები

Ameco International
+31 (0)6 30 254 58 40
Koningslaan 60,3583 GN Utrecht, The netherlands
http://www.ameco-ut.nl/

Sjoerd van Keulen
Project officer
+31 (0)6 20 24 87 31
s.vankeulen@ameco-ut.nl

http://georgia.nlembassy.org/

მაილსტონები

მაილსტონი: საწყისი ფაზა
სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: მოსამზადებელი ფაზა
სტატუსი: დაგეგმილი




## 30%-იანი საზაფხულო შეთავაზება „პრაიმტაიმისგან“

სპეციალური შეთავაზება ტურისტულ კომპანიებს, აქცია - 30 ივნისამდე - „განათავსე რეკლამა „პრაიმტაიმში“ და მიიღე 30%-იანი საზაფხულო ფასდაკლება“, გაძლევთ საშუალებას, უკეთესად განავითაროთ თქვენი ბიზნესი.

ურთიერთთანამშრომლობის შემთხვევაში, აქციიდან გამომდინარე, გთავაზობთ:

1) ერთთვიანი თანამშრომლობის შემთხვევაში, 30%-იდან 10% გადაერიცხება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, რომლის საფუძველზეც თქვენი კომპანიის შესახებ უფასოდ განთავსდება მცირე ზომის სტატია. ეს ყოველივე კი დამატებით აისახება თქვენს საქველმოქმედო საქმიანობაში.

2) გაზეთში განთავსდება ფასდაკლების კუპონი, სადაც თანდართული იქნება ფასდაკლების პირობები. დაინტერესების შემთხვევაში მკითხველს შესაძლებლობა ექნება ამოჭრას ბარათი და მისი მეშვეობით ისარგებლოს თქვენი კომპანიის სხვადასხვა მომსახურებით.

3) „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში უფასოდ განთავსდება თქვენი კომპანიის ბანერი და გავრცელდება ფლაერები.

4) ერთთვიანი თანამშრომლობის შემთხვევაში, გაზეთ „პრაიმტაიმში“ ჩაიდება თქვენი კომპანიის ფლაერი, რომელიც ვრცელდება კვირაში 20 000-იანი ტირაჟით.

თანდართულ ფაილში აღნიშნული ფასები, მოცემულია ფასდაკლების გარეშე.

გთხოვთ, დაგვიდასტუროთ წერილის მიღება.

PRIME Time


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნაწამები პატიმარი განთავისუფლებულია

ნანა შონია

**გლდანის მე-8 საპყრობილეში სასტიკად ნაწამები 27 წლის პატიმარი პაპუნა კვარაცხელია თავისუფალია. ახალგაზრდა სასჯელისგან პრეზიდენტის შეწყალების შედეგად განთავისუფლდა.**

**27 წლის პატიმარს ციხეში წამების შედეგად მიღებული დაზიანებებით თავში კავერნული ანგიომა (თავის სიმსივნე) განუვითარდა, რომელიც შესაძლოა, ნებისმიერ წამს გასკდეს და ბიჭის სიცოცხლე ფატალურად დასრულდეს. პაპუნასთვის საჭირო ოპერაციის ჩატარება საქართველოში ვერ ხერხდება, მას მკურნალობა საზღვარგარეთ უნდა ჩაუტარდეს.**

როგორია ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ყოფილი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შესრულდება თუ არა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის დაპირება მის მკურნალობასთან დაკავშირებით? ამის შესახებ „პრაიმტაიმი" პაპუნა კვარაცხელიას მამას, თამაზ კვარაცხელიას ესაუბრა.

– როგორც სასჯელაღსრულების მინისტრმა, ბატონმა სოზარ სუბარმა აღნიშნა ჩემთან შეხვედრის დროს, იმისთვის, რომ პაპუნას სასჯელაღსრულების დაწესებულება დაეტოვებინა, არსებობდა ორი გზა, ეს იყო პრეზიდენტის შეწყალება ან აქტირების კომისია. სამინისტრო განმარტავდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არსებული დასკვნების შედეგად აქტირების კომისიაში ჩასმის საშუალებას არ იძლეოდა, ერთადერთი გზა იყო პრეზიდენტის შეწყალება, რომელზეც თავიდანვე უარი განვაცხადე, რადგანაც ჩემი შვილი წინა ხელისუფლების რეჟიმის მიერ იყო ნაწამები. მოგვიანებით თავად სამინისტრომ გადაუგზავნა პრეზიდენტს მისი მონაცემები. პაპუნას ჯანმრთელობის მდგომარეობა აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში კვლავ დამძიმდა და ის ღუდუშაურის კლინიკაში გადმოიყვანეს. მინისტრს ამ პერიოდისთვის პირად კონტროლზე ჰქონდა ეს საქმე აყვანილი და უშუალოდ მის მოადგილეს, ბატონ არჩილ თალაკვაძეს ჰქონდა ეს ყველაფერი დავალებული. საბოლოო ჯამში, მოხდა ისე, რომ პაპუნა 25 მაისს რუსთავის ნე-17 დაწესებულებიდან პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე გაათავისუფლეს.

გამოსვლის შემდეგ ის ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, დამოუკიდებლად გადაადგილებაც კი უჭირდა. დღეს ეს მდგომარეობა ინტენსიური მკურნალობისა და ზედამხედველობის შედეგად გაუმჯობესებულია. პაციენტი ყოველდღე დაგვყავს „ნიუ-ჰისპიტალში", სადაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გამოკვლეული მისი ჯანმრთელობა. დანიშნული აქვს აქტიური მედიკამენტური მკურნალობა, რადგანაც აქვს კავერნული ანგიომა, ლაკონური კერები, „ცე" ჰეპატიტი. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ დაქვეითებული აქვს მარცხენა თვალის მხედველობა 30%-ით, რომელიც საოპერაციოა. ამ ბავშვს იმდენი რამე აქვს გადატანილი, როცა ამას თვითონ იხსენებს, ცუდად ხდება. მე დღეს ბედნიერი ვარ იმით, რომ ის თავისუფალია და შეგვიძლია, მის გადარჩენაზე ვიზრუნოთ. ამაზე კი მადლობას ვუხდი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარს, მის მოადგილეს არჩილ თალაკვაძეს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას და რა თქმა უნდა, გაზეთ „პრაიმტაიმის" რედაქციას, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს ფაქტი შესაბამისი უწყებების ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო.

**– ბატონო თამაზ, თავის დროზე საუბარი იყო იმაზე, რომ თქვენს შვილს განთავისუფლების შემდეგ დასჭირდებოდა ოპერაცია. რას ამბობენ დღეს, არსებობს თუ არა ამის მზაობა?**

– ჯერჯერობით ამაზე საუბარი არ ყოფილა. მეც ვერ მოვიცალე ამისთვის, რადგანაც თითქმის ყოველდღე გამოკვლევებზე დავდივართ, ამიტომაც, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯერ არავისთვის მიგვიმართავს. როდესაც პაპუნას ჯანმრთელობის მდგომარეობა მოგვცემს მისი გადაადგილების საშუალებას, ალბათ, მივმართავთ და გვაქვს დახმარების იმედი.

**– სად უნდა ჩაუტარდეს მას ეს ოპერაცია და დაახლოებით რა თანხაზეა საუბარი?**

– გამოკვლევები მაისში ჩატარდა სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ, ფრიდონ თოდუას სახელობის კლინიკაში. ბატონმა ფრიდონმა გვირჩია სტამბულის კლინიკა, რომელიც შედარებით ახლოსაა საქართველოსთან და სადაც საკმაოდ ძლიერი სპეციალისტები ჰყავთ. გარდა ამისა, ჩვენ პრობლემას ვაწყდებით პაპუნას გადაადგილებასთან დაკავშირებით, რადგანაც მისი ტრანსპორტირება თვითმფრინავით შეუძლებელია, ამიტომაც მისი გადაყვანა მანქანით უნდა მოხდეს. არსებობს, ასევე, მეორე ფაქტორიც, მხოლოდ ერთ დიაგნოზთან არ გვაქვს საქმე, როდესაც პაპუნას სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა, ნაღველში პოლიპები ჰქონდა 4 მილიმეტრი. ახლა, ორი-სამი თვის მანძილზე, სამწუხაროდ, ის 7 მილიმეტრამდეა გაზრდილი. ამ ყველაფერს ემატება ღვიძლი, ამიტომაც კომპლექსურად უნდა მოხდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა საოპერაციოდ მომზადდეს. რაც შეეხება ოპერაციისთვის საჭირო თანხებს, ერთი წლის წინანდელი კალკულაცია ჩვენთვის ცნობილია, სადაც რამდენიმე ათას ევროზეა საუბარი. დღეის მდგომარეობით ეს ციფრი რამდენს შეადგენს, ზუსტად არ ვიცით. უახლოეს მომავალში მივმართავთ სტამბულში იმ კლინიკას, სადაც გამადანური სხივებით ჩატარდება ეს ოპერაცია და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვაც ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

## „მადლობას ვუხდი ბიძინა ივანიშვილს, სოზარ სუბარს, ეკა ბესელიასა და რა თქმა უნდა, გაზეთ „პრაიმტაიმს"



პაპუნა კვარაცხელია

## EXCLUSIVE

## „პრეზიდენტის შეწყალებაზე თავიდანვე უარი განვაცხადე, რადგანაც ჩემი შვილი წინა ხელისუფლების რეჟიმის მიერ იყო ნაწამები"

## „უახლოეს მომავალში მივმართავთ სტამბულში იმ კლინიკას, სადაც გამადანური სხივებით ჩატარდება ეს ოპერაცია და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვაც ამის შემდეგ გახდება ცნობილი"



თამაზ კვარაცხელია



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI




- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.



## დარეკეთ 114-ზე!

- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

**კატეგორიულად აკრძალულია!**



- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.



**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ელ ჯერო და ბათუმის ჯაზფესტივალი










**ზაფხული და კვლავ ისტერპრომოუშენის მიერ მოწყობილი სასიამოვნო და სასარგებლო სიურპრიზი ჯაზის მოყვარულებს. მსოფლიო ვარსკვლავები შავი ზღვის სანაპიროზე და მათ შორის ლეგენდარული ელ ჯერო, რომელიც წელს ფესტივალს გახსნის. თანადაფინანსების შეწყვეტის მიუხედავად გემოვნებიანი მუსიკის მოყვარულებს, როგორც ყოველთვის, წელსაც ძალიან მაგარი ივლისი ელით, ჰაიკლასის მუსიკოსებით. თუმცა ძველებურად 5-6 სცენის ნაცვლად მხოლოდ ერთი სცენა იქნება ქალაქში, ვერც უფასო კონცერტს წააწყდებით ვერსად და ვერც ქუჩებში მოსიარიულე მუსიკოსები გაგართობენ. არადა ორგანიზატორებს სხვა ჩანაფიქრი ჰქონდათ.**

**კახი კანდელაკი:** „ახლა მხოლოდ ერთი კომერციული სცენა გვაქვს და კლუბი TAKE FIVE. წლევანდელი ფესტივალი წესით ბევრად უფრო მასშტაბური უნდა ყოფილიყო, ვიდრე შარშან, მაგრამ კულტურის სამინისტროდან თანადაფინანსება შეუწყდა და ამიტომ უფრო ნაკლებს ვაკეთებთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ხარისხს ვიცავთ. ჰაიკლასის მუსიკოსები ჩამოგვყავს, მაგრამ შვიდდღიანის ნაცვლად ოთხდღიანია და 20-25 ჯგუფის ნაცვლად 6 ჯგუფი გამოგვყავს... მსოფლიო პრაქტიკა კი ამგვარია, რაც უფრო მეტ ფულს ჩადებს სახელმწიფო, უფრო მეტ თანხას ამოიღებს.... ერთი სასიამოვნო ინფორმაცია ის არის, რომ აჭარის მთავრობა დაგვიდგა მხარში, ბათუმის მერია და კულტურის სამინისტრო. მაქსიმალურს აკეთებენ. ადგილობრივებმა უფრო იციან, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ბათუმისთვის და აჭარისთვის ეს ფესტივალი.

ტრადიციად ქცეული Black sea jazz Festival-ი 18 დან 21 ივლისის ჩათვლით გაიმართება...

კონცერტები ბათუმის ჩოგბურთის კორტებზე ჩატარდება. კლუბ TAKE FIVE -ში, კონცერტების დასრულების შემდეგ, საღამოს გააგრძელებს BIG JOHN & Vienna Soul Society. 21 ივლისს კი, ფესტივალს La Rochelle Band-ი დახურავს. ბილეთების ყიდვა 5 ივნისიდან, ფილარმონიის სალაროებში და ვებ-ვერდზე: BILETEBI.GE- ში არის შესაძლებელი.

18 ივლისი - AL JARREAU;
19 ივლისი - MIKE STERN / VICTOR WOOTEN BAND;
20 ივლისი - CARMEN SOUZA QUARTET;
21 ივლისი - JOSE JAMES.




# ძალადობაა ქართულ თანამედროვე მუსიკაში და The SANDA-ს პროტესტი

**„დისკრიმინაცია და ძალადობაა ქართულ თანამედროვე მუსიკაში“,- აცხადებს როკ ჯგუფი The SANDA და საპროტესტო აქციას იწყებს. მათივე თქმით, ამ აქციას მომავალში უამრავი მუსიკოსი შეუერთდება, რადგან ძალიან ბევრ, კარგ, ნიჭიერ პროფესიონალ მუსიკოსს საქართველოში ყურადღება საერთოდ არ ექცევა, უფრო მეტიც, ხდება მათი დისკრიმინაცია და დაბლოკვა. თავიანთ მოთხოვნებზე ჯგუფის წევრებმა რამდენიმე დღის წინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში ისაუბრეს.**

**ნათია ნამგალაური, ჯგუფ The SANDA-ს წევრი:** „არ უნდა ხდებოდეს ცალკეული მუსიკოსების დისკრიმინაცია, გნებავთ დაბლოკვა. ბოლო უნდა მოეღოს კონკრეტული პიროვნებების სუბიექტური აზრის ზეობას და ამ პრინციპით მუსიკოსების ლობირებას.

ბოლო უნდა მოეღოს ნეპოტიზმს. არ უნდა არსებობდეს ეიჯიზმი მუსიკაში. ყველა ჟანრის შემსრულებელს, თანაბარი უფლებები უნდა მიეცეს. ყველას უნდა შეეძლოს თავისი შემოქმედება საზოგადოების წინაშე წარმოაჩინოს. მით უმეტეს თუ ისინი პროფესიონალები არიან. ტელევიზიებისა და რადიოების ხელმძღვანელებისგან, გაუთავებლად არ უნდა გვესმოდეს, შინაარსს მოკლებული ფრაზა „თქვენ ფორმატში არ ჯდებით“. არ უნდა გვესმოდეს, რომ როკ-მუსიკის სხვადასხვა მიმართულებანი, შოუბიზნესის ნაწილი არ არის. ეს სამარცხვინოა! ასეთ დამოკიდებულებას აწყდება ძალიან ბევრი მუსიკოსი, საუბარია სხვადასხვა მიმართულების ჯგუფებზე. არავის არ აინტერესებს, როგორ ახერხებენ ისინი არსებობას და კონცერტების ჩატარებას“.

2013 წელს The SANDA-ს 20 წელი შეუსრულდა. ჯგუფის სტილი არ მოიცავს მხოლოდ როკს, მასში პოპის, ინდის, არტის, ფანკის, ჰიპ-ჰოპის ელემენტებია გაერთიანებული. ეს არის ერთადერთი ქართული მოქმედი ჯგუფი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ყოველწლიურად ატარებს რამდენიმე სოლო კონცერტს პატარა კლუბებში, თეატრებში. ეს ყველაფერი კი სპონსორების, პიარის, გაშუქების გარეშე ხდება. გამოშვებული აქვთ არა ერთი აუდიო და ვიდეო ალბომი. ჯგუფი შესულია მსოფლიო საუკეთესო მუსიკოსების საძიებო სიაში. აქვთ მოწვევები საზღვარგარეთიდან, მაგრამ იმის გამო, რომ ელემენტარული დაფინანსება არა გააჩნიათ The SANDA-ს წევრები იძულებულნი არიან ამ მოწვევებზე უარი თქვან.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პიანისტის სურვილი და რეალური საქმე







**დასარტყამი ინსტრუმენტები, ელექტრონული გიტარა, ბას გიტარა, ბოქსები და მიკროფონები, იამაჰას სინთეზატორი. ამ ინსტრუმენტებს მალე ავჭალის ციხეში მყოფი არასრულწლოვანი პატიმრები მიიღებენ. მათთვის ეს საჩუქრები უცხოეთში მოღვაწე ქართველ პიანისტს ნინო კამბეგაშვილს გერმანიიდან ჩამოაქვს. ის საქართველოს რამდენიმე დღეში ეწვევა. ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ ვწერდით იმის შესახებ, რომ მუსიკოსი ავჭალის ციხეში მუსიკალური სკოლის გახსნას აპირებდა. წინა ვიზიტის დროსაც გადასცა მან საჩუქრად პატიმრებს მუსიკალური ინსტრუმენტები და პირობა მისცა, რომ უახლოეს ხანში მუსიკალური სკოლაც ექნებოდათ. „ჟოლო“ პიანისტს ფრანკფურტში დაუკავშირდა და მუსიკალურ სკოლასა და სამომავლო გეგმების შესახებ ჰკითხა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საჩუქრები ნინოს უსინათლო მუსიკოსებისთვისაც აქვს.**

**ნინო კამბეგაშვილი:** „2 ნიჭიერ, უსინათლო მოზარდ პიანისტს დავასაჩუქრებ, შეხვედრა მერიაში შედგება. მათ სპეციალურად უსინათლოებისთვის დაბეჭდილ ნოტებს გადავცემ, ასევე დავუნიშნავ სტიპენდიას, 1 წლის განმავლობაში თითოეული მათგანი 600 ევროს მიიღებს. ხოლო 1 ივლისს, სასჯელაღსრულების და კულტურის სამინისტროს დახმარებით ისევ შევდივარ არასრულწლოვანებთან ავჭალის ციხეში. ამჯერად მათთვის მუსიკალურ სკოლას ვხსნი. ყველა ინსტრუმენტი აქედან მომაქვს, მასწავლებლებიც უკვე ვიპოვე. მახარებს ის ფაქტი, რომ პატიმრებს, რომლებსაც მუსიკა უყვართ და ნიჭიერები არიან, მუსიკალური სკოლა ექნებათ.

# ჯგუფ „ელდრაინის“ და „ბრავო რექორდსის“ ერთობლივი პროექტი



**ეს პროექტი ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს და სხვა ქვეყნის ჯარისკაცების მხარდასაჭერად ხორციელდება.**

ჯგუფი „ელდრაინი“ პირველ CD ალბომს გამოსცემს, რომელიც ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს და ყველა სხვა ქვეყნის ჯარისკაცს ეძღვნება. ალბომის სტუდიური ჩაწერა და დიზაინზე მუშაობა ამჟამად „ბრავო რექორდს“-ში მიმდინარეობს. ახალი ალბომის პრეზენტაცია კონცერტის სახით 5 ივლისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში იგეგმება. ეს ჯგუფის პირველი CD ალბომია, სახელწოდებით - Till The End („ბოლომდე“) და იგი ანტიტერორისტულ თემატიკას ეძღვნება. ალბომში შედის 12 ინგლისურენოვანი მუსიკალური ნაწარმოები. ჯგუფის წევრები თავად არიან სიმღერების მუსიკისა და ტექსტის ავტორები. ალბომზე მუშაობის პერიოდში, ისინი მუდმივად ხვდებოდნენ ავღანეთის ომის ვეტერანებს და მათთან საუბრისა და კონსულტაციების შედეგად ქმნიდნენ რეპერტუარს თავიანთი პირველი ალბომისთვის.

ამ ერთობლივი პროექტით „ბრავო რექორდსი“ და ჯგუფი „ელდრაინი“ უდიდესს თანადგომას და პატივისცემას გამოხატავს ყველა იმ ახალგაზრდა სამხედროს მიმართ, რომლებიც თავიანთ სამხედრო ვალს იხდიან უსაფრთხოების მისიის განსახორციელებლად ავღანეთში, - აღნიშნა „ბრავო რექორდსის“ დამფუძნებელმა ზაზა შენგელიამ.

ახლო მომავალში ავღანეთში ჯგუფის გასვლითი კონცერტი იგეგმება, ისინი აღნიშნულ ალბომს, საკონცერტო პრეზენტაციის სახით, ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს და სხვა ქვეყნის ჯარისკაცების წინაშე წარადგენენ.

**„ბრავო რექორდსი“ და ჯგუფი „ელდრაინი“ მადლობას უხდიან პროექტის მხარდამჭერებს:** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს; გენერალურ სპონსორს - კომპანია „გალფს“ და სპონსორს - „ელიტ ელექტრონიქსს“.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანუკი არეშიძემ ქველმოქმედება წამოიწყო

**my View**
**თამარ გონგაძე**

**19 ივნისს 19 საათზე რესტორან „ძველ ქალაქში“ დიზაინერ ანუკი არეშიძის ინიციატივითა და „ხელოვნების სახლის“ ორგანიზებით, საქველმოქმედო პროექტის - „ჩვენ გამოგviva“-ს პრეზენტაცია შედგა. პროექტის ფარგლებში არტ თერაპია უტარდებათ ონკოლოგიური პრობლემის მქონე ქალბატონებს, უფრო კონკრეტულად კი „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ თხუთმეტ წევრ ქალბატონს. ეს ის ქალბატონები არიან, ვინც კიბო დაამარცხეს და მათ კლუბს, რომელიც 300 ქალს აერთიანებს, ასეთი სახელი დაერქვა. რადგან ისინი გამარჯვებულები არიან, ამ საქველმოქმედო პროექტის სახელწოდებაშიც ამიტომ ფიგურირებს სიტყვა „viva“. იდეა აპრილის ბოლოს გაჩნდა, დაიგეგმა, ერთ კვირაში არტ თერაპიის გაკვეთილების ჩატარება დაიწყო და თვე-ნახევარში პროექტის პრეზენტაციაც შედგა. პრეზენტაციას ბევრი სტუმარი ჰყავდა, მათ შორის - მინისტრები, დიპლომატიური კორპუსი, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები... მოეწყო ორგანიზატორების ნამუშევრების გამოფენა. რესტორნის დიდ დარბაზში ანუკი არეშიძის, ირაკლი რუსაძის, ანა ჩანგიანის და ნუკი კოპალეიშვილის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. სპეციალურად ამ პროექტისთვის დამზადებული სამკერდე ნიშნები სიმბოლურ ფასად - ათ ლარად გაიყიდა. შემოსული თანხა ამ პროექტს მოხმარდება. გვაჩვენეს არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიტივის“ მიერ დამზადებული სოციალური ვიდეორგოლები, რომელშიც საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ამ პრობლემის მქონე ქალბატონებს თანადგომას უცხადებენ. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, პროექტში უამრავი პარტნიორი და ქველმოქმედების კეთების მსურველი ჩაერთო. პროექტის მიზანია, „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ ამ თხუთმეტ ქალბატონს დარჩენილი 285 ქალბატონიც შემოუერთოს და არტ თერაპია მათაც ჩაუტარდეთ. ეს კი თანხებს უკავშირდება. და თუ აქამდე ანუკი არეშიძემ და ანა ჩანგიანმა („ხელოვნების სახლის“ დამაარსებელი) მხოლოდ თავიანთი სახსრებით შეძლეს პროექტის დაქოქვა, ამიერიდან საზოგადოების ყველა ფენის დახმარების იმედი აქვთ. პრეზენტაციაც ამას ემსახურებოდა. „ბევრი დაგვიდგა გვერდით, კეთილი ნებით. მაგრამ პროექტი რომ ხანგრძლივი იყოს და მეტი ჯგუფი ავიყვანოთ, ამიტომ გვჭირდება დამატებითი სახსრები“, - აცხადებს ანა ჩანგიანი. როგორც შევიტყვე, ამ თხუთმეტ ქალს არტ თერაპიით ახალი ცხოვრება დააწყებინეს. ამას ინტერვიუებიდან შეიტყობთ და მერწმუნეთ, ჩემსავით აღფრთოვანდებით. როგორც ანუკი არეშიძე ამბობს, არტ თერაპია ამიერკავკასიაში ამ პროექტამდე არავის გამოუყენებია.**



## „საერთოდ, ადამიანებს ერთმანეთში მზის დანახვა უჭირთ. სხვაში მხოლოდ ბნელი მხარის დანახვით ძალიან რთულია ცხოვრება“

### არტ თერაპიით შეცვლილი ცხოვრება

**ანუკი არეშიძე:** „ცოტა ხნის წინ ერთ საქველმოქმედო საღამოს დავესწარი, რომელიც ონკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონების კლუბს მიეძღვნა. ეს ის სამასი ქალბატონია, ვინც მკერდი მოიკვეთა და კიბოზე გაიმარჯვა. მათთვის კონცერტი მაია ბარათაშვილმა ჩაატარა. ამ ყველაფრის შემყურეს ძალიან დიდი სურვილი გამიჩნდა, ჩემი შესაძლებლობებითა და პროფესიით მათ გვერდში დავდგომოდი. მერე ჩემი სურვილი თინა ბერუჩაშვილს გავანდე. შევხვდი ანა ჩანგიანს, რომელსაც „ხელოვნების სახლი“ აქვს. ვინც ყველაზე მეტად იაქტიურა, იმ თხუთმეტ ქალს ერთად გავაცანით არტ თერაპიის იდეა და თექაზე, თიხასა და ქსოვილზე მუშაობის სწავლა დავაწყებინეთ. ზოგი მათგანი თიხის შემსწავლელთა ჯგუფშია, ზოგი კონსტრუირების, ზოგი თექის მოთელვის. თითოეული კურსის შესწავლა სამთვიანია, კვირაში ორორი გაკვეთილით. ამ სამი გამოყენებითი ხელოვნების შესწავლაზე 4 სპეციალისტი ვმუშაობთ. მე და ირაკლი რუსაძე კონსტრუირებას ვასწავლით, ანა ჩანგიანი თექის მოთელვას, თიხაზე მუშაობას კი ნუკი კოპალეიშვილი. ძალიან ნიჭიერები არიან. თექაზე მაგრად იმუშავეს. ისეთ დეტალზე ჩაგეკითხებიან, ვერაფერს გამოაპარებ. ძალიან მოსწონთ არტ თერაპია და გვეკითხებიან, ხომ გაგრძელდება და ერთჯერადი პროექტი ხომ არ არისო?

ევროპაში არტ თერაპია საკმაოდ აპრობირებული მეთოდია. როდესაც ჩვენს შესახებ იტალიელ მეგობრებს მოვუყევი, გაუხარდათ და გაუკვირდათ, რომ აქამდე საქართველოში ეს მეთოდი არ იყო. მილანში ხელოვანები და მწერლები ამგვარი პროექტებით მხარში უდგანან არა მხოლოდ სიმსივნის პრობლემის მქონე ქალბატონებს, არამედ სხვადასხვა პრობლემების მქონე ქალბატონებსაც. არტ თერაპია ჯანმრთელი ადამიანისთვისაც მნიშვნელოვანია. შემოდგომაზე ამ ქალბატონების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების და კოსტიუმების გამოფენა-გაყიდვა მოეწყობა“.



## „ადამიანს რომ ბედნიერებას აჩუქებ, ამაზე მაგარი რამ არ არსებობს“

**ანა ჩანგიანი:** „ჩვენი მიზანია, ამ ქალბატონებმა არა მხოლოდ ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაცია გაიარონ, არამედ ეს ნასწავლი ხელობა მომავალში შემოსავლის წყაროდ გაიხადონ“.

**ანუკი არეშიძე:** „მუშაობის დროს მთელი უარყოფითი ენერგია მთლიანად ნამუშევარზე გადააქვთ და დადებითად იმუხტებიან. თანაც ამ დროს ჩართულია ტვინი, სისხლძარღვები, მყესები, მთელი სხეული.





ანუკი არეშიძე, თინა ბერუჩაშვილი და ანა ჩანგიანი



ამ ქალბატონებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ხელებით მუშაობა, რომ კვანძები არ განუვითარდეთ. ხელოვნება ადამიანს არა მხოლოდ ფსიქოლოგიურად ეხმარება, არამედ ჯანმრთელობის თვალსაზრისითაც. რომ ვხედავ, რომ ისინი ბედნიერები არიან, მგონი მათზე ბედნიერი მე ვარ. რომ ვუსმენ, პრობლემაზე კი არ საუბრობენ, არამედ ცხოვრების გაგრძელებაზე და იმაზე, როგორ აქციონ შემოსავლის წყაროდ აქ ნასწავლი ხელსაქმე. ამ ქალბატონებთან მუშაობამ ყველაფერზე სხვანაირად დამაფიქრა. ერთმა ქალბატონმა თქვა, რაც შევიტყვე, რომ სიმსივნე მაქვს, ვცდილობ დილაობით მზეს ადგომა დავასწრო, რომ ვნახო, როგორ ამოდისო... სხვანაირად უყურებენ ყველაფერს. რაც ჩვენთვის პრობლემაა, მათთვის უკვე ძალიან სასაცილოა. როცა უმნიშვნელო რამეზე ვბრაზდები, უცებ მახსენდება, რომ არსებობს ასეთი პრობლემა და მერე ვჩერდები. მათგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ. დიდ სტიმულს მაძლევენ. თვითონაც ვერ ხვდებიან ისეთ ბრძნულ რამეს ამბობენ და მე ამ ფრაზებს ვიჭერ... ადამიანს რომ ბედნიერებას აჩუქებ, ამაზე მაგარი რამ არ არსებობს. დროის უქონლობის გამო ამ პროექტის შესახებ კახამ დეტალურად არ იცოდა. როცა გაიგო, ჩემი წამოწყება ძალიან გაუხარდა. იცის, თუ რამეს ხელს მოვკიდებ, ბოლომდე მივიყვან. საერთოდ არაფერში შემიწუხებია“.

**კახა კალაძე:** „საინტერესო იდეაა, მივესალმები. ვიცოდი, რომ ანუკას სურვილი ჰქონდა დახმარებოდა ამ ქალბატონებს. ყველაფერი გამოუვა, მთავარია მონდომება. მე ყველანაირად დავეხმარები. მე მაქვს ჩემი საქველმოქმედო ფონდი და არ გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ ერთადაც გავაკეთებთ საქველმოქმედო პროექტს. ამ ადამიანების გვერდით დგომა და დახმარება კი მნიშვნელოვანია. საუბედუროდ ეს დაავადება გახშირდა და მნიშვნელოვანია მასზე ყურადღების გამახვილება“.

**ნოდარ ხადური:** „მნიშვნელოვანი პროექტია. სამწუხაროა, რომ ამ მიმართულებით მდგომარეობა მკვეთრად გაუარესებულია. ამ დაავადების მაჩვენებელი გაზრდილია. მნიშვნელოვანია, რომ ფართო საზოგადოებაც ჩაერთოს ამ პრობლემის გადაწყვეტაში. მიხარია, რომ პოპულარული ადამიანები იკრიბებიან და ქველმოქმედებით პატარა წვლილი შეაქვთ ამ საქმეში“.

**გურამ ოდიშარია:** „ბევრი სტატია წავიკითხე და სამწუხაროდ, იმრავლა სიმსივნურმა დაავადებებმა. კეთილშობილი საქმეა და თუ რამ შემიძლია, მზად ვარ გვერდში დავუდგე“.

### „ჭაღარა კახის მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ჩემი ქმარი გახდა“

**- ანუკა, პოლიტიკოსის ცოლი ხართ და თქვენი ეს სოციალური აქტივობა ამით ხომ არ არის განპირობებული?**

- არა, როგორც გითხარით, იმ ერთმა საქველმოქმედო საღამომ გადამაწყვეტინა ამ პროექტის გაკეთება. ამ ქალბატონების ისტორიის მოსმენის შემდეგ გულგრილი ნამდვილად ვერ ვიქნებოდი. ფეხბურთელობის დროს კახაც იყო საქველმოქმედო საქმიანობაში ჩართული. „კალა ფონდი“ აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ ოჯახებს სხვადასხვა პროექტით დაეხმარა.

**- როგორ წარმოგიდგენიათ კახი, როგორც პრეზიდენტი? ხომ იყო მის სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატურაზე საუბარი?**

- არ ვიცი... ვნერვიულობდი, არ მინდოდა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებულიყო. ეს დიდი პასუხისმგებლობაა. ვიცი, რომ ყველაფერს ძალიან მაგრად შეეჭიდება, იმიტომ, რომ რასაც ხელი მოჰკიდა, ხუთიანზე გააკეთა. რომ იყო მის კანდიდატურაზე ლაპარაკი, იმ დროს „ფეისბუქზე“ ფოტოზე კომენტარებით ისე გადამიარეს, გავოცდი. დიდი ფეხსაცმელი


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# - არტ თერაპია პირველად საქართველოში

აცვია, კარტოფილის თლის დროს გაპრანჭული რატომ ზისო და ამგვარი კომენტარები... როგორც კი გიორგი მარგველაშვილი დაასახელეს, მაშინვე გაჩერდნენ. საერთოდ, ადამიანებს ერთმანეთში მზის დანახვა უჭირთ. სხვაში მხოლოდ ბნელი მხარის დანახვით ძალიან რთულია ცხოვრება.

**- გინდათ პირველი ლედი იყოთ?**

- არა, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. მე მირჩევნია ჩუმი, წყნარი ცხოვრება, ჩემი საქმის კეთებით. მინდა ჩემთვის ვიყო, ვიჭუკჭუკო და ადამიანებს ჩუმად დავეხმარო.

**- პოლიტიკაში მოსვლამ რითი შეცვალა კახი? ჭაღარა მოემატა და მეტად დაფიქრებული გახდა?**

- ჭაღარა კახის მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ჩემი ქმარი გახდა (იცინის). დინჯი მანამდეც იყო. სახლში მოსული ბევრს მუშაობს, სულ წერს, კითხულობს. ამაზე არც მაქვს პროტესტის გრძნობა. როცა შეუძლია ყოველთვის ერთად ვართ. შვილებთან ფანტასტიკური ურთიერთობა აქვს, საოცრად კარგი მამაა. ნახევარი საათი რომ ჰქონდეს დრო, მაშინვე მათ სანახავად მოდის. მაშინ ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლემ რა უნდა თქვას, მის ქმარს ისეთი გრაფიკი აქვს, დღეში ორი საათით ხედავს. მათ ფონზე ბედნიერი ვარ.

**- როგორც უკვე მინისტრის ცოლი თავს რამეში იზღუდავთ?**

- ყველაფერში. საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ძალიან თავშეკავებული ვარ. არა მგონია ისედაც ვაღიზიანებდე ვინმეს, თუმცა ვცდილობ ყველას პატივი ვცე და დავუთმო. ჩემს აზრს საჯაროდ ვერ ვაფიქსირებ. თუ რამე არ მომწონს, სახლში ვქოთქოთებ. თავს იმიტომ ვიკავებ, რომ მერე ვისაც როგორ უნდა ჩემს სიტყვებს ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებენ. ამიტომ კახა რომც არ იყოს პოლიტიკაში, მაინც აღარ დავაფიქსირებდი ჩემ აზრს. ჟურნალისტები ყოველ სიტყვაზე ჩასაფრებულები არიან. მხოლოდ აქ არ მაკვირდებიან გამადიდებელი შუშით, უკრაინაშიც. მეგონა იქ უფრო თავისუფლად ვიქნებოდი, მაგრამ - არა. თავისუფლად ვერსად დაჯდები, თხუთმეტი ფოტოგრაფი ყველგან დაგდევს. უყვართ სტატუსები. თუ სადმე ფოტოებს გადაგვიღებენ, სტატიაში კახის რეგალიებს ჩამოწერენ ხოლმე. სამებაში, აღდგომას გადაგვიღეს ფოტო და უკრაინულ საიტზეც და პრესაშიც გამოაქვეყნეს - როგორც იქნა, თავისი შვილების დედაზე ჯვარი დაიწერაო. ძალიან გამეცინა. დღის გმირი იყავიო, მენეჯერმა დამირეკა. უთოც რომ ჩავრთე, იქაც შენზე საუბრობდნენო.

### „ასეთი ემოციური კახა არასდროს მინახავს“

„კახის ფეხბურთიდან გაცილების ამბავში აქტიურად ვიყავი ჩაბმული. კარგი გაცილება იყო. ამდენ ხალხს არ ველოდი. მთელი სტადიონი გადაჭედილი იყო. იყო ცრემლი, სიხარული... რადგან მილანის გუნდი ჩამოდიოდა, კახის ვთხოვე, შენი მილანის მაისური მომეცი, ჩავიცვამ-მეთქი. არ ეცალა და მეც ავდექი და მისი ჯენუას მაისური (იმ გუნდის, სადაც კარიერა დაასრულა) ჩავიცვი. ტრიბუნაზე მილანის პრეზიდენტის გვერდით აღმოვჩნდი. ეს რა გაცვიაო, მითხრა, ჩქარა გაიხადეო. ვერ გავიხდი-მეთქი. მაშინ თვითონ მომცა მილანის 2007 წლის კახას მაისური, იმ წლის, ჩემპიონები რომ გახდნენ. ასე გამომაცვლევინა მაისური. თვითონ კახამ ძალიან ინერვიულა იმ დღეს. მე კახასგან ისეთი სიტყვები, რაც დედამისს უთხრა, არასდროს გამიგია. ძალიან ემოციური გამოსვლა ჰქონდა, ჩანაწერს მეორედ ვერ ვუყურე. ასეთი ემოციური კახა არასდროს მინახავს. სხვანაირი იყო. ცხოვრებაში ძალიან სიტყვაძუნწია. მაგარი იუმორის გრძნობა აქვს. ხუმრობდა იტალიელებთან. ისინიც ეხუმრებოდნენ, მინისტრო, თქვენობით ხომ არ გელაპარაკოთო. მილანელებს თბილისი მოეწონათ. მთაწმინდის პარკიდან დავანახეთ ქალაქი, ძველი თბილისიც ვაჩვენეთ, გაგიჟდნენ. ვახშმის ორგანიზატორი მე ვიყავი. მეგობრები დამეხმარნენ. იტალიელებს ჭამა უყვართ და ჩვენ კერძებზე გადაირივნენ. კახას ისე ენატრება მილანი, ერთი წელია არ ყოფილა. მე მის გარეშე იქ ჩასვლა არ მინდა. ჩემთვის ყველა ქუჩა მასთან ასოცირდება. თებერვალში ბავშვები ასაცრელად მყავდა ჩაყვანილი და კახას გარეშე გამიჭირდა. ფეხბურთი კახამ შემაყვარა. მას შემდეგ საერთოდ არ მიყურებია ფეხბურთისთვის. სპორტიდან მისი წასვლით გული დამწყდა, თუმცა ცხოვრების სხვა ეტაპზე გადავიდა“.

### „არ შეიძლება პოლიტიკოსის ცოლს თავზე ბალი გეკეთოს“

„ხუთი წელია ერთად ვართ. ამ დრომ ძალიან უცებ გაირბინა. ლევანი უკვე ოთხი წლისაა. რა გრძნობითაც ცოლად გავყევი, ის გრძნობა გვაქვს დღემდე. დღეს კიდევ უფრო მეტად გვიყვარს ერთმანეთი, რადგან ეს გრძნობა ცხოვრების ბევრმა ეტაპმა გააძლიერა, შვილებმა კი - შეკრა. ყველაფერს ვაკეთებ საიმისოდ, რომ ჩვენი სიყვარული არ განელდეს. ამაში ის გვეხმარება, რომ კახა სახლში ნაკლებად არის. მონატრების მომენტი სულ გვაქვს. ყველაფერი აბსოლუტურად ქალზეა დამოკიდებული. ხომ ვამბობთ, ცოლს ირთავს ქმარიო. ფსიქოლოგები კი ამბობენ, რომ ქალს მოჰყავს კაცი ქმრად. ქალია ყველაფრის გადამწყვეტი. ქალს დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს. როცა ოჯახში ქალია მაგრად, ოჯახიც ძლიერია და ყველა საქმეში წარმატებას აღწევს. მინდა, რომ სულ ჩემთან ერთად იყოს, მაგრამ ქალთა იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, წარა-მარა რომ ურეკავენ და ტვინს უჭამენ ქმრებს. თავს არ ვაბეზრებ. ჩემზე თერთმეტი წლით უფროსია. ჩემი ემოციურობით და მხიარულობით გავაგიჟე. ის დინჯია და ერთმანეთს ვაბალანსებთ. კაცი ქალზე აუცილებლად უფროსი უნდა იყოს. მასთან ურთიერთობით დიდი გავხდი. ბევრი რამე მასწავლა, დიდი ამაგი აქვს ჩემზე, ახლა უკვე სულ სხვა ფასეულობები მაქვს. დედა და მამა ჩემს გამო რომ მშვიდად არიან, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იციან, რომ დავაცემინო, ერთი ღერი თმა არ ჩამომივარდება. ეს კახას დამსახურებაა. არ მიყვარს შეყვარებულები და ცოლ-ქმარი რომ თავიანთ ძალიან პირადულზე საუბრობენ. ეს პირადი კარია, რომელიც არ უნდა გააღო. როცა აღებ, იწყება პრობლემები. საძინებლის ფოტოების გადაღება არ შეიძლება. იშვიათად ნახავთ ჩემი და კახის ფოტოებს, სადაც ჩახუტებულები ვკოცნით ერთმანეთს. ფსიქოლოგებმა ბევრი რამ მასწავლეს. თავშეკავება დიდი რამეა. რასაც ფიქრობ, იმპულსურად იმ წამსვე ყველაფერი არ უნდა თქვა. ათჯერ დაითვლი, დაწყნარდები და ტვინში ბევრი რამ გეცვლება.

**- „ფეისბუქის“ გვერდზე მიკი მაუსის ფოტო გიდევთ და კომენტარი გიწერიათ, მთავარია მიკი არ ღალატობსო. ღალატზე რატომ გაამახვილეთ ყურადღება?**

- ყველაფერი ქალზეა დამოკიდებული. იმას, რასაც მე არ მაპატიებენ, ვერც მე ვერასოდეს ვაპატიებ. მე მესაკუთრე ვარ, ის, რაც ჩემია, ჩემია! სხვა ვერ შეეხება. ინტუიცია მაღალ დონეზე მაქვს.

**- სიყვარული რა არის?**

- ვულკანი რომ ამოდის და არ ჩერდება, ეგ არის სიყვარული. ვაიკულე ამბობდა, მამაკაცის მიმართ სიყვარული არ არსებობს, მხოლოდ ვნებააო. არ ვეთანხმები. სიყვარული რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, ეს არის - ვნება, მეგობრობა, ურთიერთგაგება.

### „24 წლის ვხდები და თავი ძალიან დიდი მგონია“

**- 1 ივლისს დაბადების დღე გაქვთ. რა გინდათ რომ მეუღლემ გაჩუქოთ?**

- არ ვუკვეთავ საჩუქარს. რომც არ მაჩუქოს, ყოველდღიური ცხოვრება იმდენად კარგად გვაქვს აწყობილი, რომ ეს მაჩუქემეთქი, არ ვეუბნები. გამიხარდება, მაგრამ არ არის აუცილებელი. 24 წლის ვხდები და თავი ძალიან დიდი მგონია.

**- თქვენი წყვილი განსხვავებული იმიჯით და ჩაცმის სტილით გამოირჩეოდა. ახლა კახა ნაკლებად ჩნდება ფერადი კოსტიუმებით...**

- რაც პოლიტიკაში წავიდა კლასიკურად აცვია, მართალია. შაბათ-კვირას ან როდესაც უცხოელ სტუმრებს ხვდება, ფერად სამოსს იცვამს ხოლმე. ბეჟი და ღია ჟოლოსფერი ქართველებისთვის უცხოდ აღსაქმელი ტანდემია... კახას ყოველთვის კარგად აცვია ხოლმე. როგორც სტილისტი მეც ვაძლევ რჩევას. მგონია, რომ ზღვაზე გავფერადდებით. მეც შევიცვალე სტილი, არ შეიძლება პოლიტიკოსის ცოლს თავზე ბალი გეკეთოს. ეგ პერიოდიც გავიარე.

### ბრენდი „ანუკი-ბიჭოლა“ დაიშალა

**- თქვენს „ფეისბუქზე“ წავიკითხე, რომ ბრენდი - „ანუკი-ბიჭოლა“ აზრთა სხვადასხვაობის გამო დაიშალა. უფრო კონკრეტულად რა მოხდა?**

- ცალ-ცალკე ვაგრძელებთ მუშაობას. კიევში დარჩება მაღაზია ოღონდ - „ანუკი-ბიჭოლა“ აღარ ერქმევა. იქ სხვა ქართველი დიზაინერების სამოსიც იყიდება. რაღაც მომენტებში ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. ბიჭოლას სხვა სტილი და ხაზი აქვს, მე - სხვა. მე 50-60-ანი წლების ქალური სტილი მიყვარს, ელეგანტური, მოგუდულად სექსუალური. ბიჭოლა კრეატიულია და ვამბობდი, გალიაში მყავდა-მეთქი. ახლა შემოქმედებითად აბსოლუტური თავისუფლება აქვს. შეუძლია მაგრად გაფრინდეს, მე აქეთ, ის - იქით. ჩვენ მეგობრები ვართ, მომწონს მისი კრეატივი, თუმცა შემოქმედებითად ვერ შევეწყვეთ. ურთულესია ერთი ხაზის ქვეშ ორი დიზაინერის მუშაობა. ახლა დავაფასე „დოლჩე გაბანა“. ძეგლი უნდა დაუდგან. მე უკვე დავიწყე ცალკე მუშაობა, რამდენიმე კოსტიუმი გავაკეთე, საქორწილო კაბაც შევკერე. მეგობარს ეცვა ჩემი კაბა კიევში და მისი ფოტო ყველა ჟურნალში მოხვდა. მთხოვეს, რომ აქტიურად ჩავერთო. ამ პროექტის გამო ჯერ ვერაფერს ვაკეთებ. სექტემბრიდან მივხედავ. ჯერ მეგობრის ატელიეში ვკერავ. აუცილებლად მექნება ჩემი სახლი და ჩვენებას გავაკეთებ. საქართველოში რომ ჩვენებას აკეთებ, ძალიან მომზადებული უნდა იყო. იმას, რასაც კიევში გაპატიებენ, აქ არ გაპატიებენ, იმის მიუხედავად აქვს თუ არა შესაბამისი განათლება ამ სფეროში. ამიტომ ცოტა სხვანაირად მოვემზადები. მარტო რომ უნდა წარსდგე რამდენი კრიტიკოსი მოვა და რამხელა დაინტერესება იქნება, ხომ ხვდებით? მოკლედ, ჩვენებას აუცილებლად გავაკეთებ. ოქტომბერში ვფიქრობ, ვნახოთ...













# EXCLUSIVE




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი ცაგარელი, უცხოეთშ



**my View**
**დეა თავზერიძე**

**... ზოგიერთი უცხოეთში მიდის, წარმატებასაც აღწევს, მაგრამ საერთოდ არ აინტერესებს საქართველოში რა ხდება. ის კი თავისი ქვეყნით ცხოვრობს... ყველას თავისი გზა აქვს...**



„არ ვთვლი, რომ წარმატებას მივაღწიე, ასე არც არასოდეს მიფიქრია. შეიძლება სხვისთვის წარმატებული ვარ, მაგრამ მე ვერ ვგრძნობ ამას, შეიძლება ვერც ვერასოდეს ვიგრძნო და არც არის საჭირო“,- ამბობს უცხოეთში მოღვაწე ალტისტი და თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი გიორგი ცაგარელი... ცხოვრებაშივე ლეგენდად ქცეული კომპოზიტორი, გია ყანჩელი კი მას ამგვარად აფასებს: „მას შესანიშნავი ბგერა აქვს, შესანიშნავად გრძნობს ფორმასა და დრამატურგიას... არსებობს შესრულების ისეთი მხარეები, რომელსაც ვერავითარი პედაგოგი ვერ გადასცემს მოწაფეს, ეს ბუნებრივი ნიჭია, თვისება, რომელიც აუცილებლად თანდაყოლილი უნდა იყოს. გიორგი ცაგარელი ამ თვისების მატარებელია“...

უცხოეთში მოღვაწე ნიჭიერმა ქართველმა წელს მსოფლიოში სახელგანთქმული ალტისტებისგანაც დაიმსახურა ქება. მათ შორის იური ბაშმეტი და კიმ კაშკაშიანიც არიან. სწორედ ამ ქებისა და მოწონების შედეგად კიმ კაშკაშიანთან ლოსანჯელესში კონკურსზე მიემგზავრება, ხოლო იური ბაშმეტთან ფესტივალზე იტალიაში... ამჯერად კი გიორგი საქართველოშია და თავის ცხოვრებაზე, ტკივილსა თუ სამომავლო გეგმებზე „პრაიმტაიმთან“ საუბრობს.

**გიორგი ცაგარელი**: უცხოეთში 2007 წლიდან ვცხოვრობ, ჯერ გერმანიაში ვიყავი, მერე შვეიცარიაში გადავედი. არ ყოფილა სეზონი ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში რომ არ ჩამოვსულიყავი. წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოვდივარ. საქართველოს სხვადასხვა ორკესტრებთანაც ვთანამშრომლობ, მაგრამ ყველაზე ხშირად ნიკოლოზ რაჭველთან. საერთოდ ნიკოლოზ რაჭველმა ძალიან კარგი რამ გააკეთა, შეგვკრიბა უცხოეთში მცხოვრები ყველა მუსიკოსი და ხშირად ვმართავთ კონცერტებს საქართველოში, ვეხმარებით და ვცდილობთ, რომ ჩვენს ქვეყანაში კლასიკური მუსიკა, საორკესტრო ჟანრი და სიმფონიური ორკესტრი განვითარდეს. ნიკას დამსახურებით რაღაც ერთ დიდ არმიად გადავიქეცით და ეს მახარებს, თუმცა, განწყობა ცოტა დაძაბული მაქვს, იმ ვითარების გამო, რაც ნიკოლოზ რაჭველთან დაკავშირებით ხდება და იმის ნაცვლად, რომ მუსიკაზე, მომდევნო პროექტებსა და იდეებზე ვიფიქრო, ჩემი ეს ჩამოსვლა ამ პრობლემებს ეთმობა, არის გაურკვევლობა და რაღაც უაზრო მიზეზები, რომელიც არ მთავრდება. თუმცა, ეს სტიმულს გვაძლევს და პუბლიკაც ხედავს თუ რამდენის გაკეთება შეგვიძლია... მოხარული ვარ, რომ ყოველ მომდევნო ჩამოსვლაზე, ორკესტრი სხვანაირად უკრავს, მათთან ერთად დაკვრა კიდევ და კიდევ უფრო საინტერესო და სასიამოვნო ხდება. უკვე ისეთ ნაწარმოებებს ვეჭიდებით, რაზეც ადრე ვერც ვიფიქრებდით, ახლა კი თამამად შეგვიძლია ამ ნაწარმოების აღება...

**- შენს ინსტრუმენტზე რას მეტყვი?**

- ალტის ჟღერადობა ტემბრალურად ძალიან ახლოს არის ადამიანის, უფრო, ალბათ, მამაკაცის ტემბრთან. თან ძალიან სევდიანი ინსტრუმენტია. ადრე უფრო ორკესტრში ან კამერულ მუსიკაში გამოიყენებოდა, ახლა კი მისთვის სპეციალურად წერენ ნაწარმოებებს. მეოცე საუკუნეში სოლო ინსტრუმენტი გახდა... ეს ინსტრუმენტი, ალბათ, ყველაზე მეტად ასახავს იმ მოვლენებს, იმ განწყობას და იმ

**„ნელ-ნელა იქაურობას ეჩვევი, მაგრამ ძალიან რთულია. რაც არ უნდა მიგიღონ და დაგაფასონ, ბოლომდე იქაურად ვერ გრძნობ თავს. მერე უკვე აქაურიც აღარ ხარ, რადგან ბევრი მენტალური მომენტები აქაც გალიზიანებს... აქ როცა დიდხანს ხარ, ეჩვევი და მერე შენც მათი ნაწილი ხდები, მაგრამ იქიდან რომ ჩამოდიხარ, ძალიან უხეშად გხვდება და ძალიან რთულია ბევრი რამ“**

მსოფლმხედველობას, რაც მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეში ხდება. ჩემთან ძალიან ახლოს არის, რადგან თანამედროვე მუსიკა უფრო მისაღებია ჩემთვის. იმიტომ რომ ამ დროში ვცხოვრობ, ახლა იქმნება და ალბათ უფრო გულწრფელია. ალტიც გულწრფელი ინსტრუმენტია.

**- გია ყანჩელის მუსიკას ძალიან უხდება ალტი.**

- გია ყანჩელს ალტისთვის რამდენიმე ნაწარმოები აქვს დაწერილი და ყველა მაქვს შესრულებული. ყანჩელის მუსიკა ძალიან ახლოს არის ჩემთან და ძალიან მიყვარს. მისი შესრულება ცნობილსა და კარგ მუსიკოსებში კარგ ტონადაც ითვლება. ევროპასა და მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. როდესაც არჩევანის გაკეთების საშუალება მეძლევა, უპირატესობას ყოველთვის ყანჩელს ვანიჭებ. თავად რეპეტიციებს ესწრება და რაღაც თავისი შენიშვნები და წინადადებები აქვს-ხოლმე, ამ დროს ის ნაწარმოებებიც კი, რომელიც 20 - 30 წლის წინათ დაიწერა, იმ მომენტში თითქოს ახლიდან იქმნება და ეს შექმნის პროცესია ძალიან საინტერესო. რაღაც ნიუანსები არის, რომელიც შეიძლება სხვანაირად მოინდომოს. ან მის გარეშე მქონდეს რეპეტიცია და კონცერტი და მე სხვანაირად დავინახო. თანაავტორივით ვხდები იმ მომენტში და ეს რაღაც განსაკუთრებული გრძნობაა. თან, როდესაც ის ადამიანი ცოცხალია, რომელმაც ეს ნაწარმოები შექმნა და შეგიძლია რჩევა ჰკითხო, შეიძლება მოგიყვეს ზუსტად ის ადგილი, გითხრას იმ განცდის შესახებ, თუ რას გრძნობდა იმ მომენტში, რა გადაიტანა, რა წარმოსახვა იყო და ეს კიდევ უფრო გეხმარება იმ აზრის ზუსტად გადმოცემაში, რაც კომპოზიტორს აქვს და კიდევ უფრო საინტერესოს და ძალიან ახალს ხდის ამ ნაწარმოებს.

**- როგორ ფიქრობ, გია ყანჩელი, თავის კომპოზიციებთან ახლოს არის, როგორც პიროვნება?**

- კი, ალაბათ... მისი პიანო და წყნარი საუბრები პაუზებით... თუმცა, არასოდეს მინახავს იგი აღშფოთებული, ნაწარმოებში ექსპრესიული მომენტებიც აქვს ხოლმე, ალბათ, შინაგანად აქვს ეს. შეიძლება ეს ბანალური შედარებაა, მაგრამ მისი საუბრის ტონი, დინჯი და წყნარი პაუზებით, ბევრ ნაწარმოებში შეგხვდება. რა თქმა უნდა, მის შინაგან სამყაროს ასახავს და ის განცდა, რაც მას აქვს, მისივე ნაწარმოებშია. მე კი მგონია, რომ უსამართლობის განცდა ყოველთვის აქვს. ის, რაც მსოფლიოში ხდება, ამდენი უაზრო ომი, ეს პოლიტიკური საშინელი ვითარება, ეს ყველაფერი, თუნდაც უბრალო სოციალური განცდა, მის ნაწარმოებში ძალიან მკვეთრად არის.

**- დარბაზს როგორი რეაქცია აქვს უცხოეთში ყანჩელის მოსმენის შემდეგ?**

- დარბაზს ყანჩელის მუსიკის შემდეგ ყოველთვის შოკური რეაქცია აქვს ხოლმე... კინომუსიკა და თეატრმუსიკა არ არის ისეთი პოპულარული ევროპისთვის, როგორც საქართველოში. მაგრამ ყანჩელი ისეთი მელოდიურია და ისეთი თვისებები აქვს, რომ ნებისმიერ მსმენელს მოხიბლავ... კლასიკურ ჟანრში მისი ნაწარმოებები საერთოდ ძალიან პოპულარულია, ამიტომ ჩვენი, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მუსიკოსების მიზანი იყო, კინო და თეატრის მუსიკის პოპულარიზაცია გაგვეკეთებინა.

**- როგორც ვიცი მოახერხეთ კიდეც და დისკიც გამოეცით „ყანჩელიადა“**

- კი, შვიდი ქართველი მუსიკოსი შევიკრიბეთ. შვიდივე უცხოეთში ვმოღვაწეობთ. ანსამბლს „სეპტერიმენდი“ ერქვა. ძირითადად გია ყანჩელის მუსიკაზე ვმუშაობდით. გადავწყვიტეთ დისკიც გაგვეკეთებინა, „ყანჩელიადა“. მისი რამდენიმე ნაწარმოები სეპტეტისთვის გადავაკეთეთ... შემდეგ, ჩვენთან ფრანკფურტში, ბატონი გიაც ჩამოვიდა და ერთად ვიმუშავეთ. ძალიან მოეწონა ჩვენი იდეები და მისი მუსიკის ჩვენეული ინტერპრეტაცია, კორექტივებიც შეიტანა. კარგი ჩანაწერი გამოვიდა, კარგი კონცერტებიც იყო.

**- ამჯერად რაზე მუშაობთ?**

- ამჟამად ეს ანსამბლი არ არსებობს, მაგრამ ახლა არის „საქართველოს სიმებიანი კვარტეტი“, რომლის ოთხივე წევრიც ევროპაში ვმოღვაწეობთ, ალექსანდრე ხატისკაცი ოსლოში ცხოვრობს, თათია გვანცელაძე, ფრანკფურტში სწავლობს, ანა ხუბაშვილი მიუნჰენში მოღვაწეობს, მე ჯერ ისევ შვეიცარიაში ვარ, მაგრამ ბერლინში გადავდივარ. ეს ქალაქი ერთ-ერთი მუსიკალური ცენტრია და ვფიქრობ, იქ გადასვლა, ცხოვრება და მოღვაწეობა ბევრად უკეთესი იქნება ჩემი კარიერისთვის... კვარტეტს რაღაც შემოთავაზებები გვქონდა დაფინანსებებთან დაკავშირებით, მაგრამ სახელის გადარქმევა გვთხოვეს, არ დავთანხმდით, რადგან გვინდა, რომ საქართველოს სახელით გავიდეთ ფესტივალებზე და ჩვენს ქვეყანას პოპულარიზაცია გავუწიოთ. ჯერჯერობით ამას







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ი მოღვაწე ნიჭიერი ალტისტი

„კვარტეტს რაღაც შემოთავაზებები გვქონდა დაფინანსებებთან დაკავშირებით, მაგრამ სახელის გადარქმევა გვთხოვეს, არ დავთანხმდით, რადგან გვინდა, რომ საქართველოს სახელით გავიდეთ ფესტივალებზე და ჩვენს ქვეყანას პოპულარიზაცია გავუწიოთ“



## „როგორც ახლა, მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემ ქვეყანას რითიც შევძლებ დავეხმარო და გამოვადგე“

exclusive



## „მოხარული ვარ, რომ ყოველ მომდევნო ჩასმოსვლაზე, ორკესტრი სხვანაირად უკრავს, მათთან ერთად დაკვრა კიდევ და კიდევ უფრო საინტერესო და სასიამოვნო ხდება“



ჩვენი სახსრებით ვახერხებთ. რამდენიმე კონცერტი უკვე გვქონდა. უბრალოდ, საკვარტეტო ჟანრი ძალიან რთულია, ძალიან დიდი კონკურენციაა და ამისთვის საჭიროა სხვადასხვა კონკურსებზე წარმატების მოპოვება, ამ კონკურსისთვის ვეძებთ სპონსორს, რომ გზის ხარჯები და ცხოვრება აგვინაზღაუროს, რადგან სხვადასხვა ქალაქებში ვცხოვრობთ და ძალიან რთულია... ვნახოთ მომავალში როგორ იქნება, ჯერჯერობით ჩვენ ძალიან ვართ მონდომებულები და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს სახელი შევინარჩუნოთ და საქართველოს სიმებიანი კვარტეტის სახელით გავიდეთ კონკურსებზე.

**- მუსიკის გარდა სხვა პროფესიაზე თუ გიფიქრია, ან რაიმე გატაცება თუ გქონია როდესმე?**

- ხატვა და ბავშვობაში ფეხბურთი...მაშინ მარტო ფეხბურთზე ვოცნებობდი, მეტი არაფერი მაინტერესებდა. მინდოდა ცნობილი ფეხბურთელი გამოვსულიყავი და ევროპაში მეთამაშა. მეკარე ვიყავი. ყველას ძალიან მოსწონდა ჩემი თამაში. რთული იყო ვარჯიშისა და მუსიკის შეთავსება. არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, ფეხბურთს გავყოლოდი, თუ მუსიკა ამერჩია. ფიზიკურადაც ველარ ვუძლებდი. მერე ერთი წელი საერთოდ აღარ ვიარე მუსიკაზე და მივხვდი, რომ არჩევანი მუსიკის სასარგებლოდ უნდა გამეკეთებინა... რაც შეეხება ხატვას, ადრე უფრო ბევრს ვხატავდი. ახლაც ვხატავ, მაგრამ იშვიათად, რადგან გატაცება იცის და მერე ვერ ვეშვები. ამის გამო კი სხვა საქმე უნდა გავაფუჭო. ამიტომ თავიდან მეზარება ხოლმე, მაგრამ თუ დავჯექი, ველარ ვდგები. მაშინ ვხატავ, როცა განსაკუთრებულ ხასიათზე ვარ, ამიტომ წელიწადში ერთხელ შეიძლება ერთი რამ დავხატო. ეს, ალბათ, მაშინ, როცა მუსიკალური გადაღლილობა მაქვს... ამ დროს ჩემს თავს, ალბათ, ნახატებით გამოვხატავ. არადა სულ მეხატება...

**- შენი განწყობა დაკვრაზე რამდენად აისახება, აქვს თუ არა მნიშვნელობა, რა განწყობით მიხვალ ინსტრუმენტთან?**

- რა თქმა უნდა... შეიძლება ერთი და იგივე ნაწარმოები სხვადასხვანაირად შეასრულო, ეს განწყობაზეა დამოკიდებული. პროფესიონალიზმი ის არის, როგორ განწყობაზეც არ უნდა იყო, შენი პრობლემების მიუხედავად, აუცილებლად უნდა შეხვიდე იმ განწყობაში რა განწყობითაც არის ეს ნაწარმოები დაწერილი. თუმცა ადამიანები ვართ და ყოველთვის ერთნაირად არ არის... ყველაზე სასიამოვნო მომენტია, როცა გავიწყდება სად ხარ და რაღაც შენს სამყაროში თუ მიკროსამყაროში გადადიხარ. ყველაზე წარმატებული შესრულებაც, ალბათ, მაშინ არის. თუმცა, სხვადასხვა მიზეზების გამო ხანდახან პირიქით ხდება... პუბლიკის რეაქციიდან გამომდინარე. პუბლიკაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. მით უმეტეს საქართველოში, ძალიან რთულია, ბევრი ფაქტორი გიშლის ხელს. ან ტელეფონი რეკავს, ზოგი დგება, ხმაური შემოდის... მაყურებელმა შეიძლება დისკომფორტი შეგიქმნას. ყანჩელის მუსიკა ისეა დაწერილი სულ პიანო, სიჩუმეა და ნებისმიერი დახველებაც კი აფუჭებს ხოლმე... ამიტომ ძალიან რთულია... და არამარტო საქართველოში, უცხოეთშიც ხშირად ყოფილა ეს შემთხვევა... რასაც მერე ავტორის მხრიდან გაღიზიანება მოჰყოლია. მაგრამ მარტო პუბლიკაზე არ არის დამოკიდებული, ხანდახან, თუ კონცერტებით დატვირთული და ემოციურად გადაღლილი ხარ, ვერ შედიხარ როლში, ვერ გადადიხარ შენს სამყაროში და ფორმალურად უკრავ. ასეთ შემთხვევაში ავტოპილოტივით უნდა ჩაირთო და ტექნიკურად გამართულად და პროფესიულად შეასრულო. მაგრამ ასეთი მომენტები საბედნიეროდ იშვიათია...

**- ალბათ, ბევრი გეუბნება იმ სიამოვნებაზე, რომელსაც იღებენ, როცა შენ გისმენენ.**

- კი, ბევრი მეუბნება, მიხარია, როცა სხვა ადამიანი ჩემი დაკვრითა და ქმედებით სიამოვნებას იღებს, მეც ეს მგვრის ყველაზე დიდ სიამოვნებას. უფრო კი ის ფაქტი, როდესაც უცხო ადამიანი, რომელმაც პირველად მოგისმინა, კონცერტის შემდეგ მადლობას გეუბნება და გილოცავს, ეს მართლა საოცარი შეგრძნებაა. ახლობელზე კი მაინც ფიქრობ, რომ როგორც ახლობელი გილოცავს და სუბიექტურია...

**- წლების შემდეგ რა იქნება?**

- წლების შემდეგ რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ როგორც ახლა, მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემს ქვეყანას რითიც შევძლებ დავეხმარო და გამოვადგე. ეს ვალდებულების გრძნობა არ არის, ეს უბრალოდ, ასეც უნდა იყოს. იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება აუცილებლად უნდა გავუზიარო იმ ადამიანებს, რომელთაც საშუალება არა აქვთ, რომ იქ წავიდნენ...







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი წყვილი - ნინო გაჩე



**my View**

**თამარ გონგაძე**

**სათაურმა და ამ ტანდემმა შესაძლოა გაგაოცოთ. მეც იგივე რეაქცია მექნებოდა. ეს სიახლეა – ნინო და პაატა ჯერ სპექტაკლში იქცნენ წყვილად, მალე კი შესაძლოა, ერთად კინოშიც ვიხილოთ.**

პაატა ინაურისთვის ეს წელი სიახლეებით დაიწყო. ჯერ იყო და მარჯანიშვილის თეატრის დასში აიყვანეს, მალევე კი პედაგოგმა – გიზო ჟორდანიამ „ჰაჯი მურატში“ მთავარ როლზე დაამტკიცა.

უკვე თვეზე მეტია ამ სპექტაკლს თამაშობენ. ნინო ჰაჯის პირველი ცოლის - სოფიათის როლს ასრულებს. აკადემიური სპექტაკლია, საკმაოდ გამოცდილი რეჟისორის ხელწერას მაშინვე შეამჩნევთ. როლების განაწილება და მსახიობების თამაში – შთამბეჭდავია. წყვილი ერთმანეთს ამ სპექტაკლამდე მხოლოდ გამარჯობით იცნობდა. დღეს უკვე მეგობრობენ.

ამ ტანდემის გარშემო არის კიდევ ერთი სიახლე. „ჰაჯი მურატი“ რეჟისორმა გია კერესელიძემ ნახა და ნინოს და პაატას ეკრანულ წყვილად გადაქცევა მოუნდა. ფილმ „წმინდა ნინოში“ (დაფინანსების შემთხვევაში) რეჟისორი პაატას და ნინოს ერთ-ერთ მთავარ როლში გადაღებას გეგმავს.

ორივეს უნდა, რომ თეატრში ისეთი როლები ითამაშონ - ერთზე აღარ თქვან, ეს კატოაო და მეორეზე - ლელა წურწუმიას ფილმში რომ თამაშობს, ის ბიჭიაო. საამისოდ კი ორივეს ყველაფერი წინ აქვს.

**„ჰაჯი მურატი“**

პაატა მარჯანიშვილის თეატრის შტატის მსახიობობით საოცრად გახარებულია. მანამდე ამ თეატრის სპექტაკლების ეპიზოდებში თამაშობდა. პირველი მთავარი როლი კი გიზო ჟორდანიამ ანდო. უკვე თეატრის მსახიობი ვარ და მისი კანონები უნდა დავიცვაო, ამბობს. სამეფო უბნის თეატრთან კი დიდი ხანია თანამშრომლობს.

მისგან განსხვავებით ნინო ათი წელია მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. პაატა ნინოს ხუმრობით გმირის სახელს ეძახის, სოფიათის ნაცვლად სოფოს. არც რეპეტიციებს და არც სპექტაკლს ხიფათის გარეშე არ ჩაუვლია. სამაგიდო რეპეტიციის დროს პაატამ თვალი იტკინა და როგორც ამბობს, სამი დღე ტექსტს ცალი თვალით კითხულობდა.

**პაატა:** „ჰაჯი მურატს“ ვიწყებო და გცალიაო, მკითხა ბატონმა გიზომ. მეგონა, ერთ-ერთი მეომრის როლი უნდა მოეცა, მაგრამ ჰაჯი მურატს ითამაშებ თუ გცალიაო, რომ მითხრა, სიხარულისგან გავგიჟდი“.

**ნინო:** „ბატონმა გიზომ საუკეთესოდ იცის, რა როგორ გაგაკეთებინოს. შენი შესაძლებლობების მაქსიმუმს იყენებს. თავს მანამ არ დაგანებებს, სანამ იმ შედეგს არ მიიღებს, რაც მას სურს. იმპროვიზაციის საშუალებასაც გაძლევს. ეს კი მსახიობის გაზრდაში დიდ როლს თამაშობს. ბატონ გიზოსთან შვიდი წლის წინ „სამგროშიან ოპერაში“ ჟორჟეტას როლს ვთამაშობდი. იმ დროს ჩააბარა თეატრალურში პაატამ“.



**გია კერესელიძეს „ჰაჯი მურატში“ ჩემი და პაატას სცენური ტანდემი მოეწონა და თავის ფილმში როლები შემოგვთავაზა**



**ნინო გაჩეჩილაძე: „სოფიათი ჰაჯის ბედისწერაა, რომელიც მას ფატალურ ბედს უწინასწარმეტყველებს. ორივე მეოცნებეა. მათი სიყვარული ნამდვილია, ყოველგვარ სიყალბეს მოკლებული“**

**პაატა ინაური: „რეპეტიციებისას ბევრს ვფიქრობდი ჩემს გმირზე. ბავშვობიდან მინდოდა გმირის თამაში. მარჯანიშვილის სცენა გჭამს. სულ პატარა როლები მქონდა და უცებ მთავარი გმირი! ხმამაც სხვანაირად გაიჟღერა“**

**პაატა:** „რეპეტიციებისას ბევრს ვფიქრობდი ჩემს გმირზე. ბავშვობიდან მინდოდა გმირის თამაში და როდესაც მომეცა საშუალება, ვეცადე ძველ თეატრსა და თანამედროვე თეატრს შორის შუალედი მეპოვა და ისე მეთამაშა. შევძელი თუ არა, არ ვიცი. ამას გამოცდილებაც უნდა. მარჯანიშვილის სცენა გჭამს. სულ პატარა როლები მქონდა და უცებ მთავარი გმირი! ხმამაც სხვანაირად გაიჟღერა. ბატონ გიზოს მივყევი, ჩემს იდეებსაც ვეუბნებოდი. ჩოხამ ხასიათი - სიმტკიცე და სიმკაცრე მომიტანა“.

**- რაში ამართლებ და არ ამართლებ შენს გმირს?**

- ყველაფერში ვამართლებ. ანტიგმირსაც აქვს თავისი სიმართლე. იაგოსაც თავისი სიმართლე აქვს. თუ ბოროტს თამაშობ, გაფუჭებულია ყველაფერი. ჰაჯი მურატი თავისი ოჯახისთვის, სოფიათისთვის, უსუფისთვის, დედისთვის იბრძვის. უნდა, რომ თავისი კუთხე ჰქონდეს. ბოლოს არც შამილისკენ იყო, არც რუსეთისკენ და გაქცევა რომ სცადა, კიდეც მოჰკვეთეს თავი“.

**ნინო:** „ჩემი გმირი მისტიკურია, თან ჩემი წინა როლებისგან რადიკალურად განსხვავებული. სხვა ესთეტიკაა, ეს კლასიკური თეატრია, რომელიც მარჯანიშვილის აკადემიური თეატრის ესთეტიკას ესადაგება. ამ თეატრის რეპერტუარში ასეთი რამდენიმე სპექტაკლი მაინც უნდა იყოს. მე, როგორც მაყურებელს, ასეთი ტიპის სპექტაკლი კარგა ხანია არ მინახავს. ჩემთვის მნიშვნელოვანია ჰაჯი მურატში თამაში და დიდ როლს ვითამაშებდი, თუ პატარას, ამას უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩემს პერსონაჟს დიდი აზრობრივი დატვირთვა აქვს. სულ ორჯერ ჩნდება და ორივეჯერ რასაც უწინასწარმეტყველებს, ის უხდება ჰაჯი მურატს. ბოლოს ეუბნება, შენ სიკვდილი არ აგცდებაო და ასეც მოხდება. სოფიათი ჰაჯის ბედისწერაა, რომელიც მას ფატალურ ბედს უწინასწარმეტყველებს. ორივე მეოცნებეა. მათი სიყვარული ნამდვილია, ყოველგვარ სიყალბეს მოკლებული. მათი სურვილია თავისუფლების და სიყვარულის სიმბოლო წითელი ყვავილი ერთად მოწყვიტონ. ბატონ გიზოს კარგი იუმორი აქვს, ჩვენი სცენების დადგმისას ბევრს ხუმრობდა. თქვენს ურთიერთობაში უნდა იდოს სექსიც, ერთმანეთს უნდა იზიდავდეთო და ამის ნუ გეშინიათო. რამდენად გამოგვივიდა ეს მაყურებელმა განსაჯოს, მე მგონი ნაპერწკალი გავაჩინეთ“.

**პაატა**: „ერთ-ერთი საპრემიერო სპექტაკლის დროს დავშავდი. შამილს – გივი ჩუგუაშვილს – ერთ სცენაში ჯაჭვით ვუკავივარ ხელში და ძირს მაგდებს. ბატონი გივი მსუბუქად მაგდებს, მე ვაძლევ დიდ ინერციას, რომ ვითომ მთელი ძალით მაგდებს. ამ სცენის დროს ზურგს უკან მრგვალი სკამი დევს. ამ დავარდნისას ვერ მოვზომეთ და სკამს ცხვირი ჩამოვარტყი. სისხლი წამსკდა, ვიგრძენი, რომ ცხვირი გვერდით წამივიდა. ორ წუთში სცენაზე თეონა ქოქრაშვილი შემოდის, რომელიც თითქოს დაჭრილია და ამბობს, სისხლი მდისო. ამ სიტყვებზე მე შემომხედა, რომ მე მართლა მდის სისხლი და ცხვირი სხვაგან მაქვს. ხელი მოვუჭირე, ვანიშნე - გააგრძელე-მეთქი, თან მეცინებოდა. ანტრაქტის დროს შემეშინდა, ცხვირი ხელით გავწიე, ხმა ჰქონდა. მერე, რენტგენის გადაღების დროს მითხრეს - ჩაგისვამს ცხვირიო. სასწრაფო მოვიდა, გამაყუჩებელი გამიკეთა და მეორე ნაწილში თამაში გავაგრძელე. ახლა მეც და ბატონი გივიც ორივე შეშინებულები ვართ. საერთოდ, ძალიან ხიფათა ვარ“.

**ნინო:** „დეკამერონში“ მე და ბატონი გივი მამა-შვილს ვთამაშობთ. სახეში გარტყმის სცენაა. სპექტაკლი რომ მთავრდება, სულ მეკითხება, გარტყმა ძალიან მაგრად ხომ არ მომივიდაო. ერთხელ ყურში მოუხვდა ხელი და ბჟუილი რომ დამიწყო, მთელი სპექტაკლის განმავლობაში მიბჟუოდა“.

**ეკრანული წყვილის დაბადება**

**ნინო:** „ერთი ასეთი საინტერესო ფაქტი მოხდა. ბატონ გია კერესელიძეს „ჰაჯი მურატში“ ჩემი და პაატას სცენური ტანდემი მოეწონა და თავის ფილმში როლები შემოგვთავაზა. ფილმი დაფინანსებას მიიღებს თუ არა, შემოდგომაზე გადაღებები უნდა დაიწყოს. ჩვენ როლებზე განვიხილებით.



კადრი სპექტაკლიდან „ჰაჯი მურატი“





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჩილაძე და პაატა ინაური



პაატა ინაური: „მე და კატო, ალბათ, შემოდგომაზე ვიქორწინებთ. ტრადიციულს არა, ახალგაზრდულ ქორწილს გადავიხდით“

EXCLUSIVE



„ამას წინათ მამამ მითხრა, სიყვარული ზუსტად მაშინ მოვა, როცა არ ელოდები და არ იჩქაროო. რაღა დროს ჩემი აჩქარებაა, იმ ასაკს უკვე გადავცდი, როცა ქალმა ქორწინება უნდა იჩქაროს“

მოგონილ პერსონაჟებს ვითამაშებთ. შეყვარებულები ვართ, რომლებიც მერე იქორწინებენ. მგელიკა ჰქვია პაატას გმირს, ჩემსას – ნათია.

მარჯანიშვილის თეატრში სერიალის წყალობით მოვხვდი. „წვრილვარსკვლავთა ღამეში“ ანდრო ენუქიძემ სტუდენტობის დროს გადამიღო. მერე კი გადაწყვიტა, რომ მარჯანიშვილში მათამაშოს. ჩემი დებიუტი შედგა ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში - „თოვლივით თეთრი თოვლი“.

**პაატა:** „მე „სამეფო უბნის თეატრში“ მნახეს და ზაზა ურუშაძეს ურჩიეს, რომ ფილმში გადავეღე. მერე იყო სინჯები და მთავარ როლზე დამამტკიცა. სხვათა შორის, ბრიტანელმა რეჟისორმა უილიამ ოლდროდმა დამამტკიცა ქართულ-ბრიტანულ ფილმში. სამი საათი გამწურა კასტინგზე. ვთამაშობ კაცს, რომელსაც ცოლი ღალატობს. ეს კაცი მერე ოფიცერი ხდება. გადაღებები აგვისტოში თბილისში იქნება. ვიცი, რომ ფილმში მურმან ჯინორია თამაშობს. ჩემი ცოლის როლში ინგლისელი მსახიობი ითამაშებს“.

**- ნინო, სერიალში თამაში არ მოგენატრა?**

- ახალი სერიალი თუ იქნება და თამაშს შემომთავაზებენ, დავთანხმდები. „შუა ქალაქმა“ ორჯერ დამირეკა და უარი ვუთხარი, ჩავთვალე, რომ ჩემთვის ბევრად საინტერესო იქნება ახალ პროექტში გამოჩენა, ვიდრე უკვე არსებულში, რომელიც დიდი ხანია გადის და დღეს თუ ხვალ დასრულდება. ყველაზე დიდი სურვილი მაქვს რადიკალურად განსხვავებული ტიპაჟი მათამაშონ, ვიდრე კატო იყო. თუნდაც დეტექტიურ ჟანრში დამაკავონ ან ბოროტი გოგოს როლი მომცენ.

**პაატა:** „როცა დრო მქონდა, ვუყურებდი „ჩემი ცოლის დაქალებს“. ვუთხარი კიდეც, რომ მომწონდა ნინოს თამაში“.

**ნინო:** „კოლეგისგან კომპლიმენტი მნიშვნელოვანია. მსახიობი კოლეგები კომპლიმენტებით დიდად არ განებივრებენ. ვიცი, რომ პაატა არ მომატყუებს“.

**- ნინო, აგრძელებ სერიალის ყურებას? რას იტყვი ამ სეზონზე?**

„თქვენს ურთიერთობაში უნდა იდოს სექსიც, ერთმანეთს უნდა იზიდავდეთ და ამის ნუ გეშინიათო. მე მგონი ნაპერწკალი გავაჩინეთ“

- როცა სახლში ვარ, ვუყურებ. შაბათ-კვირას ძირითადად მეგობრებთან ერთად სულ სადღაც ვერთობი, რასაც აქამდე ვერ ვახერხებდი. პირველი ორი სეზონი ბევრად კარგი იყო. მესამე სეზონის შეფასებისგან კი თავს შევიკავებ.

### პირადი

**- პაატა, რეალურ ცხოვრებაში შენც ხომ გყავს შენი კატო. როგორ ხართ შენ და კატო კალატოზიშვილი?**

- უკვე ოთხი წელზე მეტია ძველებურად კარგად.

**- ქორწინებას გეგმავთ?**

- ვგეგმავთ. ზუსტად არ ვიცით როდის. მე და კატო, ალბათ, შემოდგომაზე ვიქორწინებთ. ტრადიციულს არა, ახალგაზრდულ ქორწილს გადავიხდით. სიყვარული? კარგი რამეა. ყველაფერს მასთან ერთად უძლებ და გადიხარ. ახლახან შვედეთში შვედური ბიენალეს ფარგლებში სპექტაკლი „ტროელი ქალები“ გვქონდა წაღებული, მე არ ვთამაშობ, კატო თამაშობს. მე დათა თავაძის ასისტენტი ვიყავი. ისეთი სპექტაკლი გამოვიდა, სადაც არ მივდივარ, სულ მაგაზე ლაპარაკობენ. ორის ნაცვლად სამჯერ გვათამაშეს. სამეფო უბნის თეატრის ეს მსახიობი გოგონები თავის ასაკში პირველები არიან.

**ნინო:** „შესანიშნავი წყვილია. ერთ სფეროში არიან. ჩემთვის მტკივნეული იქნება ჩემს მეწყვილეს სხვა პროფესია ჰქონდეს და იშვიათად ვნახულობდე. მესაკუთრე ვარ. იმას კი არ ვამბობ, რომ მსახიობი მინდა იყოს. არასდროს მომწონებია მსახიობი ბიჭი და იმედია, არასდროს მომეწონება. თუმცა სასურველია ჩემ სფეროში ტრიალებდეს“.

**- ნინო შენს პირადში რა ხდება?**

- ჯერ სიახლე არ მაქვს, თავისუფლებით ვტკბები. მჯერა, რომ მნიშვნელოვანი რამ მოულოდნელად ხდება და ზედმეტი ძალისხმევა ამისთვის საჭირო არ არის. მაშინ უნდა მოხდეს, როცა არ ელოდები. ამას წინათ მამამ მითხრა, სიყვარული ზუსტად მაშინ მოვა, როცა არ ელოდები და არ იჩქაროო. რაღა დროს ჩემი აჩქარებაა, უკვე იმ ასაკს გადავცდი, როცა ქალმა ქორწინება უნდა იჩქაროს... მშობლების სიტყვა ჩემთვის წინასწარმეტყველებასავით არის. ამიტომ მათ ვენდობი. სხვას ვის უნდა დავუჯერო ჩემს სახლში? ახალ მოსახლეობა ჯერ არ მიზეიმია. პაატა გია კერესელიძესთან ერთად დავპატიჟე და ჩემთან ვისაუბრეთ ფილმზე.

**პაატა:** „კარგი დიასახლისია, დატრიალდა, კარტოფილი შეწვა“...

**ნინო:** „გაჩკა“ როგორ ტრიალებს სამზარეულოშიო, ამბობენ ხოლმე. სამზარეულოში ტრიალი სტუმრების ხათრით მსიამოვნებს. ჩემი თავისთვის მეზარება. ახლა სახლს ვალამაზებ. სურათები მინდა დავკიდო, სახლს ფერები შევმატო“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გია ყანჩელის იდ



## გია ყანჩელი: „უბრალოდ, იღბალია, რომ მე ასეთ პიროვნებებთან მომიხდა მუშაობა. ისინი ძვირფასები არიან ჩემთვის. ბედნიერი ადამიანი ვარ“...

დეა თავზერიძე

### კონცერტის წინა დღე, „სტიქსი“-ს რეპეტიცია

სცენაზე ასზე მეტი შემსრულებელი იყო, ორკესტრანტები და კაპელას წევრები... დარბაზში გია ყანჩელი იდგა და სცენიდან დაღვრილ „სტიქსს“ უსმენდა... ვერ გეტყვით, უბრალო მსმენელივით ისიც „სტიქსი“-ს განცდებს იყო აყოლილი თუ გონებაში სხვებისთვის შეუმჩნეველ დეტალებს ალაგებდა, რომ მერე მუსიკოსებისთვის რჩევები მიეცა... არ ვიცი... ისე ვიყავი როლში შესული, რომ ამაზე ფიქრი მას შემდეგ დავიწყე, როცა მოულოდნელად შუქი ჩაქრა და გამოვფხიზლდი... რამდენიმე წუთით ყველაფერი აირია... მეც რეალობას დავუბრუნდი და... უცებ, რატომღაც ავადმოსაგონარი უშუქობისა და გამყინვარების ხანა გამახსენა... მეგონა, შუქის გათიშვის გამო რეპეტიცია შეწყდებოდა და გული დამწყდა... თუმცა, რამდენიმე წუთში ჩემი ნაფიქრისგან რადიკალურად განსხვავებული რამ მოხდა, ნიკა რაჭველს ჯერ რამდენიმე მობილურმა მიანათა... მერე კი ყოველ ორკესტრანტთან რაღაც აციმციმდა... ნინო ნახუცრიშვილმა თითოეულს სპეციალური ნათურები ჩამოურიგა...

...და ასე, ციცინათელებიან დარბაზში ისევ დაიღვარა გია ყანჩელის იდუმალი „სტიქსი“...

### რამდენიმეწუთიანი შესვენება და თავად კომპოზიტორი „სტიქსზე“

**გია ყანჩელი:** – მე, როგორც წესი, ჩემს მუსიკას კრიტიკულად ვუსმენ. სულ მაინტერესებს რამე შეცდომა ხომ არა მაქვს დაშვებული, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები კარგა




## „ამ ნაწარმოებში წას
## ვახსენებ, გუნდი მათ



ხნის წინ არის დაწერილი და ალბათ, ერთი 50-ჯერ მაქვს მოსმენილი. როცა ვისმენ მაინც იმას ვფიქრობ, შეიძლებოდა თუ არა უკეთესად დაწერა, გაორკესტრება... როგორც ჭადრაკში არსებობს ხოლმე სვლების აურაცხელი რაოდენობა, ასევეა მუსიკაშიც. ეს ძალიან რთული პროცესია. ვცდილობ, არაფერი ზედმეტი არ იყოს, არც ეპიზოდი, არც გაორკესტრებაში, არც სოლისტისა თუ გუნდის პარტიაში. ამიტომ ძალიან ვიტანჯები ხოლმე. ძალიან მიჭირს უარის თქმა იმაზე რაც ზედმეტი მეჩვენება. ეს მე ელდარ შენგელაიასგან ვისწავლე, როდესაც ის ჩემი მუსიკით თავის ფილმებს ამონტაჟებდა, ასევე გია დანელიასაგან, რობიკო სტურუასგან, ვისთანაც მე მთელი ჩემი ცხოვრება ვიმუშავე. აი, ასეთი კრიტიკული მიდგომით ვუსმენ ხოლმე ჩემს მუსიკას.

**- კონცერტზეც იგივე ხდება? კონცერტზეც ღელავთ?**

-კონცერტზე უბრალოდ, მინდა ხოლმე, რომ უშეცდომოდ შესრულდეს და დარბაზში ატმოსფერო იყოს - განსაკუთრებული სიჩუმე. ჩემთვის სიჩუმე რამდენიმე კატეგორიად არსებობს. როდესაც ისეთი სიჩუმეა, რომელსაც ვნატრობ, მაშინ მიმაჩნია, რომ ის უხილავი ძაფები, რომელიც სცენას, მაყურებელსა და დარბაზს შორის არის გაბმული, მაშინ ვარ ხოლმე კმაყოფილი...

## მიხაილ სიმონიანი: „როდესაც ნიკოლოზ რაჭველმა თბილისში ჩამოსვლა და ყანჩელის მუსიკის დაკვრა შემომთავაზა ერთი წამითაც არ დავფიქრებულვარ, რადგან ყანჩელის მუსიკა ჩემთვის ყველაზე წმინდა და გენიალურია“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უმალი „სტიქსი“



# SIVE

## ულების სახელებსაც სახელებს მღერის“

### ტექსტი პროგრამისთვის

ნიუ-იორკის ფილარმონიის ორკესტრთან პრემიერის დროს, როცა პროგრამისთვის მცირე ზომის ტექსტის დაწერა სთხოვეს, მან ტექსტში მსმენელისთვის მიმართვაც ჩართო, - „ხმამაღალ ადგილებში ხმამაღლა ახველონ, ჩუმ ადგილებში კი ხვლებისგან თავი შეიკავონ“... რატომღაც ეგონა, რომ ტექსტს არ დაბეჭდავდნენ, მაგრამ პროგრამა სწორედ ამ ტექსტით გამოქვეყნდა.

### ბებიაქალის წინასწარმეტყველება

გია ყანჩელის კომპოზიტორობას ერთი უცნაური ისტორია უკავშირდება. მას მუსიკოსობა, დაბადებისთანავე, ბებიაქალმა უწინასწარმეტყველა. ეს კომპოზიტორს მოგვიანებით ოჯახის ერთმა ახლობელმა უამბო. „ბებიაქალმა, თურმე დედას უთხრა: თქვენი შვილი ბედნიერი იქნება და მუსიკოსი გახდება, იმიტომ რომ მას უცხო ფორმის ყურები, ლამაზი თითები და მუცელზე ხალი აქვსო“. ბებიაქალის წინასწარმეტყველება ახდა, ნოტებისა და მუსიკის გარეშე მისთვის სიცოცხლე სიკვდილის ტოლფასია...

გია ყანჩელი, ზოგიერთი მუსიკოსის მსგავსად, მუსიკალურ ოჯახში არ დაბადებულა. მამა ექიმი ჰყავდა, დედა დიასახლისი. თავად კი, როდესაც მუსიკამ ასე ძალიან გაიტაცა და მუსიკაზე სიარული დაიწყო, თავის პატარა მეგობრებს დაუმალა. როდესაც მეგობრებმა საიდუმლო გაუგეს, „იოჰან სებასტიან ბახი“ შეარქვეს... მაშინ, ალბათ, მათ ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ გია ყანჩელი წლების შემდეგ მსოფლიო დონის კომპოზიტორი გახდებოდა...

### უცხოეთში

უცხოეთში 1991 წელს გაემგზავრა. გერმანიის ხელოვნების აკადემიის სტიპენდია დაენიშნა და რამდენიმე წელი ბერლინში დაჰყო. მერე თბილისში არეულობა დაიწყო. მას კი ვიზა და დასარჩენი თანხა ჰქონდა და დარჩა... 1995 წელს ანტვერპენის ორკესტრისგან მიიღო შემოთავაზება და ბელგიაში გაემგზავრა. მას შემდეგ ანტვერპენში ცხოვრობს... მაგრამ საქართველოსთან კავშირი და რუსთაველის თეატრთან თანამშრომლობა არ გაუწყვეტია. მუსიკა რობერტ სტურუას საუკეთესო სპექტაკლებისთვის გია ყანჩელის შექმნილია. „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „ჰამლეტი“, „ქალი-გველი“, „მეთორმეტე ღამე“...

ელდარ შენგელაიამ კი გია ყანჩელის პირველი სიმფონია მოისმინა თუ არა, მაშინვე გადაწყვიტა, რომ მისი „არაჩვეულებრივ გამოფენისთვის“ სწორედ ამ კომპოზიტორს უნდა დაეწერა მუსიკა... ის არის კომპოზიტორი, „დრამატურგიული, მონტაჟური აზროვნებით“, - აღნიშნა მან მოგვიანებით... შეუძლებელია დაივიწყო მუსიკა კინოფილმებიდან: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „მიმინო“, „შერეკილები“, „არ დაიდარდო“, „ქვევრი“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „როცა აყვავდა ნუში“... თავად კი ადამიანებზე, რომლებთანაც უმუშავია, ამბობს: „უბრალოდ, იღბალია, რომ მე ასეთ პიროვნებებთან მომიხდა მუშაობა. ისინი ძვირფასები არიან ჩემთვის. ბედნიერი ადამიანი ვარ... სხვათა შორის ამ ნაწარმოებში წასულების სახელებსაც ვახსენებ, გუნდი მათ სახელებს მღერის“...

### STYX-ი მდინარე გარდაცვლილთა სულებისთვის

„STYX-ი ბერძნულ მითოლოგიაში მიწისქვეშა წმინდა მდინარეა, რომელზეც ეტლით დასრიალებს ქარონი და გარდაცვლილთა სულები ჰადესის სამფლობელოში გადაჰყავს. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მიღრმავდება ურთიერთობის სურვილი იმ ჩემთვის ძვირფას პიროვნებებთან, რომლებმაც ჩემზე ადრე დატოვეს წუთისოფელი. სულიერი კავშირი მათთან კვლავაც არ შემწყდარა. გამოუთქმელი აზრები და გრძნობები სხვადასხვა სიტყვაში თავსდება. სიტყვები იმგვარად გაერთიანდა, რომ შეადგინეს ტექსტობრივი ჯგუფები - ქართული ტაძრების, ხალხურ სიმღერათა და საგალობლების სახელწოდებები, ოჯახი, ბუნება, ან განსვენებულ მეგობართა სახელები. თითოეული ჯგუფი ჩემთვის მარადიულ ფასეულობას ნიშნავს. STYX-ის ტექსტუალურ საფუძვლად ქართული სიტყვები შევარჩიე. მათი ფონემების ხმოვანება ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. მხოლოდ ფინალში, როგორც აზრობრივი შეჯამება, ინგლისურ ენაზე ჟღერს ერთი სტრიქონი, რომელსაც შექსპირის „ზამთრის ზღაპრიდან“ წარმოსთქვამს ალეგორიური პერსონაჟი - დრო“...

### „ეს ყველაფერი მივიწყებული უნდა იყოს“...

„მადლობელი ვარ ნიკასი, უნიჭიერესი პიროვნებაა და ძალიან მწყინს, რომ მის გარშემო აჟიოტაჟია ატეხილი. მგონია, რომ ეს დროებითი ამბავია, ყველაფერი ჩაივლის... უშეცდომო არავინა ვართ. ის პრეტენზიები, რომლებიც საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს აქვს ნიკას მიმართ, ალბათ, ნორმალურია, მაგრამ მისი ნიჭი იმდენად განსაკუთრებულია, რომ ეს ყველაფერი უნდა იყოს მივიწყებული, იშვიათია ასეთი ნიჭიერი ხალხი, მე მიმაჩნია, რომ არიან ერთეულები, რომლებიც მუსიკოსებად იბადებიან და მუსიკოსები ხდებიან, ეს იშვიათი შემთხვევაა და ნიკა ასეთი კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება. მე მთელი ჩემი ცხოვრება ისეთ გენიოსთან მაქვს გატარებული, როგორიც ჯანსუღ კახიძე იყო, ამიტომ ძალიან კარგად ვიცი რა არის დირიჟორის ხელი, დირიჟორის სმენა და რას ნიშნავს პაუზა და სიზუსტე.... სტიქსი“ ჩემი ბოლო ნაწარმოებია, რომლის დირიჟორობაც ჯანსუღმა მოასწრო... როცა თბილისში არც შუქი იყო და არც გათბობა, თბილისის მუსიკალურ ცენტრში ორკესტრი „სონი ქლასიქალისთვის“ იწერდა დისკს. ელექტროენერგია დარბაზს გენერატორით მიეწოდებოდა... მუსიკოსები თითებამოჭრილი ხელთათმანებით უკრავდნენ, ჯანსუღი კი დირიჟორის პულტთან „დუბლიონკით“ და „უშანკით“იდგა... მიუხედავად ამისა, მიშა კილოსანიძის და ჯანსუღის წყალობით, ჩანაწერი იდეალური გამოვიდა“.

**ნიკოლოზ რაჭველი:** „უცნაური ისტორია მაკავშირებს „სტიქსთან“... როდესაც გია ყანჩელმა „სტიქსი“ დაწერა, მაშინ მე ვენის მუსიკის აკადემიაში ვსწავლობდი. პრემიერისთვის ალტის, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრის გარდა ფორტეპიანოს პარტია შეიქმნა. გია ყანჩელი ანტვერპენიდან ვენაში შემეხმიანა და შემომთავაზა, როიალის პარტია დამეკრა. ამ ნაწარმოების სულ პირველ საპრემიერო ტურნეში მე ვიყავი ადამიანი, ვინც ბაშმეტთან, ორკესტრებთან და გუნდთან ერთად ფორტეპიანოს პარტიას უცვლელად უკრავდა. მახსოვს, თბილისური პრემიერისთვის თბილისში სპეციალურად ჩამოფრენილმა, აეროპორტში ფეხი მოვიტეხე, ტრაპზე დავცურდი და ჩამოვვარდი. თუმცა, პრემიერაზე როიალამდე კასტილებით მაინც მივაღწიე... მაქვს უნიკალური ვიდეომასალა, სადაც „სტიქსს“ ჯანსუღ კახიძე დირიჟორობს, მე ვარ ფორტეპიანოსთან და ბაშმეტი ალტის პარტიას უკრავს. ჩვენი კაპელა მღერის და თბილისის სიმფონიური ორკესტრი უკრავს... აი, ასეთი ისტორია მაკავშირებს მის პირველ აჟღერებასთან, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს ნაწარმოები ჩემთვის იმთავითვე ყველაზე ძვირფასი, საყვარელი და ახლობელი გახდა. ხალხურისა და სასულიერო მუსიკის შემდეგ ქართულ მუსიკაში ყველა ნაწარმოებს შორის, რაც კი ოდესმე შექმნილა, „სტიქსი“ ყველაზე მეტად მიყვარს. გია ყანჩელი კი ჩემთვის, ალბათ, ისევე, როგორც ყველა ნორმალური ქართველი მუსიკის შემფასებლისა და მოყვარულისთვის, ეროვნული ღირსებისა და ეროვნული თვითშეფასების გადარჩენის ტოლფასი ადამიანია. იმიტომ რომ ჩვენ ბევრი უარყოფითი თვისება გვაქვს, არამარტო ჩვენ, ყველა ერს და მით უმეტეს ამ სიძნელეების დროს. არადა, ჩვენი ერი რომ გადარჩეს, ამისთვის ისეთი პერსონებია საჭირო, როგორც ილია ჭავჭავაძე იყო, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და როგორიც გია ყანჩელია... მასთან ურთიერთობისას ყოველთვის ვფრთხილობ, ეს ისეთი ადამიანია, მინდა არ ვაწყენინო, ჩემთვის მისი არსებობა ბევრი რამის განმსაზღვრელია. მისი და რამდენიმე ისტორიული ადამიანის არსებობა, მაძლევს იმის თქმის საშუალებას, ვიამაყო რომ ქართველი ვარ“.

**„სტიქსი“-ს დაკვრის დიდი გამოცდილება მაქვს, როგორც ალტის, ასევე ვიოლინოს ვერსიისა. როგორც საქართველოში, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ორკესტრებთან. ყველაზე მეტად კი, როგორც დირიჟორი, ამ ნაწარმოების დირიჟორობაში რობერტ სტურუასთან მუშაობამ დამხვეწა, როცა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად „სტიქსი“-ს სპექტაკლის თეატრალური ვერსიის ცოცხალ აკომპანიმენტს ვაკეთებდით. მაშინ კაპელა მეორე იარუსზე განთავსდა, ორკესტრი რუსთაველის თეატრის სიღრმეში - კედელთან, მოქმედება შუაში თამაშდებოდა, იქიდან ვაკონტროლებდი არა მარტო ორკესტრს, არამედ მსახიობებს და მეორე იარუსზე გუნდს, ამიტომ იმ ერთგვარმა ექსტრემალურმა მდგომარეობამ ისეთი თვისებები გამომიმუშავა, ასე მგონია, რომ ნებისმიერ მდგომარეობაში შევძლებ ამ ნაწარმოებს ვუდირიჟირო. საქართველოში სავიოლინო ვერსია პირველად სრულდება“.**

**მიხაილ სიმონიანი:** „საქართველო ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი ქვეყანაა. ამიტომ, როდესაც რამდენიმე დღის წინ ნიკოლოზ რაჭველმა დამირეკა, თბილისში ჩამოსვლა და ყანჩელის მუსიკის დაკვრა შემომთავაზა, ერთი წამითაც არ დავფიქრებულვარ. რადგან ყანჩელის მუსიკა ჩემთვის ყველაზე წმინდა და გენიალურია. მიუხედავად იმისა, რომ რთულია შეასრულო ყანჩელი, რადგან ფსიქოლოგიურად რთული ნაწარმოებია და ის შენზე სხვადასხვანაირ შთაბეჭდილებას ახდენს... მაგრამ მე ძალიან მიყვარს... დაკვრის დროს შეგრძნება და განცდაც საოცარია. ალბათ, ასჯერ მეტად გამძაფრებული, ვიდრე მსმენელს აქვს“.



**ნიკოლოზ რაჭველი: „გია ყანჩელისა და რამდენიმე ისტორიული ადამიანის არსებობა, მაძლევს იმის თქმის საშუალებას, ვიამაყო, რომ ქართველი ვარ“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N25 (223) ორშაბათი 24 ივნისი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

## ექსკლუზიური ინტერვიუ გია ყანჩელთან



exclusive

## გიორგი ცაგარელი, უცხოეთში მოღვაწე ნიჭიერი ალტისტი





„ადამიანს რომ ბედნიერებას აჩუქებ, ამაზე მაგარი რამ არ არსებობს“

## ანუკი არეშიძემ ქველმოქმედება წამოიწყო - არტ თერაპია პირველად საქართველოში

exclusive



exclusive

## ახალი წყვილი - ნინო გაჩეჩილაძე და პაატა ინაური

პაატა ინაური: „მე და კატო, ალბათ, შემოდგომაზე ვიქორწინებთ. ტრადიციულს არა, ახალგაზრდულ ქორწილს გადავიხდით“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება